N47 (49
19/XI-2
1 ლარ

ჟურნალისტი, რომელსაც მამუკა ღლონტმა ტელეფონი დაუმტვრია

ლალი მოროშკინას მეორე ქმარი მისი პირველი პარტნიორი გახდა

ვის აჩუქა „მაესტროს“ შეფმა ავტომანქანა

რას ეძებდა მკვლელი გენერლის სეიფში

რა ნივთები წაიღეს თამაზ ნინუას სახლიდან

რატომ ვერ დაიმორჩილა მარინა ბერიძემ შვილი

ფილმი შინდისში გმირულად დაცემული 17 ქართველი მეომრის შესახებ გადაღებულია

„სამირა ბავშვს ქართულ იავნანას რუსულად უმღერის“

ქართულ-აზერბაიჯანული წყვილის სიყვარულის ამბავი

ფენომენი

კაცი, რომელიც 3 წუთში ზეპირად 10 მილიონის ფარგლებში კუბურ ფესვს იღებს

ლადო ასათიანის მიერ შვილისთვის ლექსად დაწერილი „ანდერძი“

ISSN 1987 - 5029

საინტერესო „ბომბური“ ცხოვრება და დიეტაზე მეოცნებე მათხოვარი

№47 (493)
19 — 25 ნოემბერი. 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
ვირის გრიპი

■ **ინფორმაცია 6**
■ **SOS!** 7
12 წლის ობოლი გოგონას ტრაგედია

■ **კონფლიქტის ზონა** 9
რუსული „თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკა“ და გალის რეალური სურათი

■ **თავგანწირვა** 12
შინდისში გმირულად დაღუპულ ქართველ მეომრებზე გადაღებული ფილმი

■ **სამართალი** 16
ტელეჟურნალისტები ევროსასამართლოში საჩივლელად მზად არიან

■ **კრიმინალი** 17
■ **პროექტი** 19
ლალი მოროშკინას მეორე ქმარი მისი პირველი ბიზნესპარტნიორი გახდა

■ **საგანძური** 20
ფილმი ქართულ საგალობლებზე

■ **ოჯახი** 24
„დედაჩემის სურვილების საპირისპიროდ წავედი“

■ **დედამამიშვილები** 26
„გარეგნულად კი ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ განსხვავებული გემოვნება გვაქვს“

■ **კოლეგები** 28
განახლებული „მოამბის“ რეპორტიორმა ცოლად კონკურენტი შეირთო

■ **ვარსკვლავები** 30
■ **ფსკერი** 31
საინტერესო „ბომჟური“ ცხოვრება

■ **თქვენთვის, ქალბატონებო!** 33
■ **სიტუაცია** 34
პარალელური ფლოსტები

ქვეყანა



12 წლის ობოლი გოგონას ტრაგედია

მოგვიანებით, გოგონას კბილიდან სისხლდენა დაეწყო და ის სასწრაფოდ, ექიმთან წაიყვანეს, მაგრამ სტომატოლოგმა მხრები აიჩეჩა, სისხლდენა ვერაფრით შეუჩერა და ელისოს მამას ურჩია, შვილი სასწრაფოდ, ქალაქში წაეყვანა. პატარამ სვანეთიდან ქუთაისში, ქუთაისიდან კი თბილისში ამოყო თავი, სადაც თეთრხალათიანებმა მას მძიმე განაჩენი გამოუტანეს — 12 წლის ელისოს ლეიკემია აღმოაჩნდა.

6

სახე

„განსხვავებული გემოვნება გვაქვს“

„ ძალიან განვსხვავდებით. მე უფრო რბილი ადამიანი ვარ, დეა — უფრო ფიცხი და ემოციური. ისე, ობიექტურიც... ერთმანეთს კიდევ ხმის ტემბრით გვამსგავსებენ, განსაკუთრებით, როცა ტელეფონზე ვლაპარაკობთ. ხანდახან დედას და დეიდასაც კი ვერევით ერთმანეთში“.

19

ცხოვრება

საინტერესო „ბომჟური“ ცხოვრება

ეს ადამიანები ქუჩაში მოწყალებას ითხოვენ და თავს ამით ირჩენენ, მაგრამ ფოტოების გადაღებისას, კატეგორიულად გამაფრთხილეს, — ჟურნალის ფურცლებზე „მათხოვრის ფორმაში“ გამოჩენა არ გვსურსო! საკუთარ განვლილ ცხოვრებაზე საუბრისას, თვალები უბრწყინავდათ, მერე კი სახის გამომეტყველება მკვეთრად ეცვლებოდათ და ინტერვიუს შეწყვეტას მთხოვდნენ. ალბათ, გულის სიღრმეში დარდის ვინმესთვის გაზიარება სურდათ, რადგან საბოლოოდ, ჩვენი საუბარი მაინც შედგა.

31

ფაქტები

„ჩემი უჩვეულო მეზობლები“



„ნატა გათხოვილ დაქალს ესტუმრა. ბევრი ჭორაობის შემდეგ დაქალი დაინტერესდა, როგორი კარის მეზობლები ჰყავდა. არც ერთს არ ვიცნობ, ზამთარში არ მცალია მათთვის, ზაფხულში ისინი ვერ იცლიან ჩემთვის, როგორც კი აცივდება, გაზის „სოჩიკს“ ვაჩერებ და არც ერთ მეზობელს არ ვუშვებ სახლში, არ მინდა ჩამიშვანო.“.

85

■ **წყვილი** 37
ქართულ-აზერბაიჯანული წყვილის სიყვარულის ამბავი

■ **კონსულტაცია** 39
„უჩინმაჩინი“, ძმიძარა და ლიდერობის მოყვარულ ადამიანთა პრობლემები

■ **ნამდვილი ამბავი** 40
სიშტერე ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ

■ **ოსტატი** 41
„ქართველები უცხოელების გაკვირვებას ხშირად ვახერხებთ“

■ **ასპარეზი** 43
■ **ეს სამყაროა** 44
■ **საკითხავი ქალებისათვის** 46
■ **ადამიანი-ლეგენდა** 48
■ **ანტიდეპრესანტი** 50
■ **ავტო** 50
■ **ტაძარი** 52
■ **ჯანმრთელობა** 54
■ **შთამომავლობა** 57
„ლადოს ჭადართან“ თვალში გაყრილი თვალი

■ **ფენომენი** 60
■ **საუკუნის ტოლი** 62
„ამ ქვეყანას ვეღარ ველევი — მეტი მინდა ვიარო, ვიშრომო, საყვარელ ადამიანებს ვუცქირო“

■ **თინეიჯერული პოლტები** 64
„ძონძომანია“, ბაზრობა, ბუტიკი თუ ინდივიდუალური შეკვეთა

■ **ნეთი პოეზია** 67
■ **გულახდილი დღიური** 68
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)

■ **დოკუმენტური პროზა** 70
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)

■ **ქართული დეტექტივი** 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ **მინიროომანი** 76
■ **რომანი** 78
სვეტა კვარაცხელია. აკრძალული თამაშები (გაგრძელება)

■ **რეალური** (გაგრძელება) 82
■ **გზავნილები** 85
■ **ყველა ერთისათვის** 90
■ **მოზაიკა** 97
■ **დაიჯესტი** 98
■ **ერუდიტი** 100
■ **გასართობი** 102
■ **ასტროლოგია** 104
■ **სკანვორდი** 105
■ **საფირმო** 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ვარჯიში — ენაბლუობის გამოსასწორებლად

„წარმოიდგინეთ, რომ მეგობარმა ისეთი მოულოდნელი ამბავი შეგატყობინათ, თვალები შუბლზე აგივიდათ — ასწიეთ წარბები, გააფართოეთ თვალები და დაჭიმეთ შუბლის კუნთები 3-4 წამით, შემდეგ მოადუნეთ და თავისუფლად დაუშვით წარბები“.

41

ადამიანი

„ამ ქვეყანას ვეღარ ველევი“

„ფეხს ვითრევ, ისე კი ვიცი, მალე მომიწევს „მიქელასთან“ შეხვედრა. ზოგჯერ ვფიქრობ ჩემს განვლილ დღეებზე, კარგიც ბევრი მქონია, მაგრამ უფრო მეტი ცუდი მარგუნა ბედმა. მარტო მე კი არა, ბებო, ჩემი თაობის ადამიანებს, ბევრი უვარგისის მოსწრებამ მოგვიწია. ჩვენი ბრალი არ იყო, მაშინდელი ყოფა იყო დამნაშავე...“

57

ბიბლუსი

შეხვედრები სტალინთან

...1940 წლის 21 ივლისს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ახალარჩეულმა საკანონმდებლო ორგანოებმა ეს სახელმწიფოები საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გამოაცხადეს და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მათი შესვლის დეკლარაციები მიიღეს.

67

ტაიმ-აუტი

ყველაზე, ყველაზე...

ყველაზე დიდი სალამანდრა სიგრძით 1,8 მეტრი იყო და 65 კგ-ს იწონიდა. სალამანდრა ცეცხლში არ იწვება — ის კანიდან დამცავ ლორწოს გამოყოფს და გარბის.

97

ვირის გრიპი

შესავლის ნაცვლად ჰო, რატომ გაგიკვირდათ?! ქათმის და ღორის გრიპი თუ არსებობს (არსებობს კი არა, გული მაქვს გახეთქილი შიშისგან, დღეში ოცჯერ ვიბან ხელებს), ვირმა რა დააშავა?! უწყინარი, სასარგებლო ცხოველია და ვინძლო, მისი „სახელობის“ გრიპიც უწყინარი აღმოჩნდეს, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ, ახლა კი წინა „პროვოკაციაში“ დაპირებული, ლუკაშენკოსა და ობამას „შედარებითი დახასიათება“ ვნახოთ.

შეგახსენებთ, მაშინ ვწერდი, ლუკაშენკო და ობამა ორად ორი მსოფლიო ლიდერია, რომელსაც „ღორის გრიპი“ ფარმაცევტული კომპანიების გავრცელებული ჭორი ჰგონია და საერთოდაც, რაღაცებში ერთმანეთს ემსგავსებიანმეთქი. თუმცა, ტყუილი გამომივიდა: ნათელა დეიდა ჩვენი სადარბაზოს „ლიდერია“ და ისიც „მეწამლეების მაფიაზე“ ლაპარაკობს. სხვათა შორის, „ვირის გრიპის“ არა, მაგრამ „ვირის ტვინის“ შესახებ სწორედ ნათელა დეიდამ მიამბო ბავშვობაში და ახლა გამახსენდა — თურმე, წინათ, „მაშინ, როცა ბნელი იყო ხალხი“, ცოლები ურჩ ქმრებს ვირის ტვინს შეაპარებდნენ ხოლმე საჭმელში, რათა დაემორჩილებინათ.

ცხადია, ამერიკის პირველ ლედის ვერაფერს დავაბრალებ, მაგრამ მისტერ ბარაკ ჰუსეინ ობამა, დღითი დღე უფრო „უცნაურად“ რომ იღიმის, ვირივით ჯიუტი ფაქტია და ამ ბოლო დროს რუსული მედიაც რომ აღარ ლანძღავს აშშ-ს და მის პრეზიდენტს, ესეც საკმაოდ ზუსტი ინდიკატორია; ხოლო რუსულ პრესაზე მონიტორინგის მწარმოებელ ერთ-ერთ ამერიკულ „ენ-ჯე-ო“-ს თუ ვენდობით, რუსი ჟურნალისტების მიერ სალანძღავ კონტექსტში მოხსენიების მიხედვით, ლიდერთა რეიტინგი ასე გამოიყურება:

1. სააკაშვილი;
2. კაჩინსკი;
3. იუშჩენკო;

—

—

—

35-36 — ობამა და ლუკაშენკო ერთნაირი „შედეგებით“.

აჰა! ესეც მე ვარ?! „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების შესრულების გარანტზე“ — სარკოზიზე აღარაფერს ვამბობ, რომელმაც რუსებს შავ ზღვაში „სატასაოდ“ ისეთი გემი მიჰყიდა, მთელი საქართველო ერთ ზალპად რომ არ ეყოფა. მაგ კაცმა, ის ლამაზი ქალი ცოლად მოიყვანა თუ არა (ეტყობა, კარლა ბრუნი ნათელა დეიდას იცნობს), მაშინვე „უცნაურად“ გაიღიმა და იმის შემდეგ მასეა. გულზე ხელი დაიდეთ (თქვენც, ქართველო „ექსპერტებო“) და თქვით, — შარშან, მედვედევსა და სააკაშვილს შორის რომ დარბოდა, ყველამ გაიგეთ, ინტერვიუებში რას ლაპარაკობდა? პირადად მე, იმისგან განსხვავებულად გავიგე, ვიდრე ჩვენმა ხელისუფლებამ და სულაც არ მიკვირს, რომ „პეღევი, ახალგოღი“-ს აღარ იძახის და პუტინის ძმაკაც ბერლუსკონისთან სიარულსაც მოუხშირა... ჰო, თვითონ ბერლუსკონიზე აღარაფერს ვამბობ, რომელიც მექალთანეობის გამო ცოლსაც კი გაეყარა და მაგისი ორგიების მონაწილე „სიძვის დიაცთაგან“ ერთი მაინც ხომ იქნებოდა „ნათელა დეიდას ნაცნობი“?!

ერთი სიტყვით, სახეზე გვაქვს ახალი დაავადების — „ვირის გრიპის“ კლინიკური სურათი:

1) რისკის ჯგუფი — მსოფლიოს ლიდერები;

2) სიმპტომები — საქართველოს „დაკიდება“, გართულებულ შემთხვევაში — უშუალო აგრესია;

3) მკურნალობა — მიშა ამბობს, ვიცი, მაგრამ ჯერ არ ამხელს.

მიშაზე გამახსენდა: დავით აღმაშენებლის „ალი-კვალი“ რომ იყო, ხომ ვიცოდით და ახლა მასში მაჰათმა განდიმ „გაიღვიძა“! ინდოელთა დიდი წინამძღოლი და განმათავისუფლებელი ხომ თვითონ დადიოდა კეთროვანთა ბანაკებში და პირადად ანუგეშებდა ტანჯულებს; როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, ამ ფსიქოთერაპიამ ბევრზე ისე იმოქმედა, რომ ამ მანამდე განუკურნებელ სენსაც კი მოერიაო.

ჩვენმა მიშამაც, „თხა თხაზე ნაკლებიო“ და, ყველა რომ იქიდან გამორბის, ეს „მშობლიურ“ უკრაინაში გაემგზავრა — ან იქ შეაჩერებს „ღორის გრიპის“ ეპიდემიას, ან აქ ჩამოგვიტანს „ვირის გრიპის“ წამალს...

P.S. გრიპის შიშმა ისე დამავიწყა ყველაფერი, რომ ლუკაშენკოს „ემისრებზე“ ვეღარაფერი ვთქვი: რა და, „ბატკამ“ კომისია გამოგზავნა იქაური პარლამენტარების შემადგენლობით, რომელმაც „ადგილზე უნდა შეისწავლოს“, ღირს თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ჰოდა, ბაქრაძეც ტყავიდან ძვრება, რომ ამ ბრიყვი ნაკომუნისტრების ჯგუფს თავი მოაწონოს!!!

რა ქნას, ევროპასა და ამერიკას „ვირის გრიპი“ შეეყარათ...

პროვოკატორი

სოხუმელი ლტოლვილები კვლავ ღია ცის ქვეშ ათენებენ

რამდენიმე დღის წინ მუხიანის დასახლებაში, სს „ორიონის“ შენობაში მცხოვრები დევნილები გამოასახლეს. როგორც თავად სოხუმელი ლტოლვილები ჰყვებიან, წინასწარ გაუფრთხილებლად მათ ოთახებში პოლიციის თანამშრომლები შეიჭრნენ, ავეჯი ფანჯრებიდან გადაუყარეს და გარეთ გამოდევნეს.

მუხიანის პოლიციაში ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარზე უარს აცხადებენ, შს სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა კი „ორიონის“ ხსენებისთანავე ტელეფონი გამორთო და მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, მასთან დაკავშირება ვეღარ მოვახერხეთ.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, მარიანა ნანობაშვილის ცნობით, მინისტრმა კობა სუბელიანმა ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი კომენტარის გაკეთება არ ისურვა, რაც ძალიან გასაკვირია, რადგან სწორედ ამ სამინისტროს ევალება ნებისმიერი დევნილის საკითხის შესწავლა, თუნდაც, ის ტყუოდეს ამა თუ იმ სიტუაციაში.

ამ ინციდენტისა და „ორიონიდან“ გამოდევნილი დევნილების (ტავტოლოგია არ გეგონოთ!..) შემდგომი ბედის შესახებ ვრცლად „გზის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ. ■

კონსტანტინე გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებიან

საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებათა შემსწავლელი დროებითი კომისიის წევრებისა და კონსტანტინე გამსახურდიას მისამართით მუქარის ზარი უშიშროების ყოფილი მინიტრის, თამაზ ნინუას მკვლელობის შემდეგ განხორციელდა. როგორც გამსახურდიას პირადმა თანაშემწემ, მირიან პატარკაციშვილმა განაცხადა, მუქარის ზარები მის პირად ტელეფონზე განხორციელდა. უცნობმა ხმამ კომისიის წევრებისგან მუშაობის შეწყვეტა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ფიზიკური ლიკვიდაციით დაიმუქრა. პარტია „თავისუფლების“ ერთ-ერთი ლიდერის, სანდრო ბრეგაძის აზრით, მუქარა იმ ადამიანებმა განახორციელეს, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ ინფორმაციას ფლობენ. „ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პირადი გასაუბრების საფუძველზე, მავანნი საკმაოდ შეშინდნენ და კომისიაში შიშის ფაქტორი დაინერგა. შესაძლოა, ნინუას გარდაცვალების მეორე დღეს ვიღაცამ სწორედ იმიტომ დარეკა, რომ მისი ზარი უფრო პროდუქტიული ყოფილიყო... ჩვენ ამ საკითხზე მუშაობას თუ შევწყვეტთ, პარლამენტში დარჩენას აზრი არ ექნება“, — განაცხადა ბრეგაძემ. ■

თავდაცვის ყოფილი მინისტრი სკანდალში გაეხვა

ექსმინისტრმა დავით კეზერაშვილმა, თავის ბიზნესპარტნიორებთან ერთად, კომპანია „მაგთიკომისგან“ „მერსედესის“ გათამაშების სატელევიზიო პროექტის შეჩერება მოითხოვა. კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, კეზერაშვილსა და „მაგთიკომის“ გენერალურ დირექტორს, დევიდ ლის შორის დავა ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ბოლოს კი ვითარება ისე დაიძაბა, რომ კეზერაშვილი დევიდ ლის იარაღით დაემუქრა. „მაგთიკომის“ გენერალურმა დირექტორმა დახმარებისთვის აშშ-ის ელჩს, ჯონ ბასს მიმართა, რომელიც ინციდენტში პირადად ჩაერთო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანია „მაგთიკომში“ კომენტარის გაკეთება არ ისურვეს, მაგრამ დაადასტურეს, რომ „მერსედესის“ გათამაშების სატელევიზიო პროექტთან დაკავშირებით პრობლემები მართლაც შეიქმნა. ■

ბესარიონ აპლია რუსეთის პატრიარქს დახმარებას სთხოვს

ე.წ. აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელი, ბესარიონ აპლია რუსეთის პატრიარქსა და წმინდა სინოდს აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სტატუსის აღდგენაში დახმარებას სთხოვს. „აფხაზეთის ეკლესიას 1795 წელს დაკარგული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სტატუსის აღდგენა სურს. ღვთისა და ერის წინაშე ვადასტურებთ, რომ ჩვენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან არავითარი ეპისტოლეები, მილოცვები და სულიერი საზრდო არ მიგვიღია“ — ეს განცხადება აპლიამ აფხაზეთის ტელევიზიით გააკეთა. ■

რას უპასუხებს რუსეთის პატრიარქი?..

ამერიკელები ქართულ დემოკრატიაში არსებული ხარვეზებით დაინტერესდნენ

„დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ლევან გაჩეჩილაძემ აშშ-ის უწყებათაშორის ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკული მხარე ქართულ მედიასა და საკანონმდებლო სისტემაში არსებული ხარვეზებით დაინტერესდა. უწყებათაშორის ჯგუფს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, თინა ქეიდენაუ ხელმძღვანელობს. გაჩეჩილაძის გარდა, ჯგუფის წარმომადგენლებმა ნინო ბურჯანაძის, ირაკლი ალასანიასა და გიორგი თარგამაძის მოსაზრებებიც მოისმინეს. „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი, ირაკლი ალასანია ფიქრობს, რომ აშშ-ის უწყებათაშორისი ჯგუფი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის კონსენსუსის ძიებას შეეცდება. „ვნახოთ, როგორ გაგრძელდება მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან“, — აღნიშნა ალასანიამ, რომელიც იმედოვნებს, რომ აღნიშნული შეხვედრები საარჩევნო სისტემაზე დიდ გავლენას მოახდენს. ■

ქვეყანა

ასლან აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტს მკვლელობაში ადანაშაულებს

აჭარის ავტონომიის ყოფილი ხელმძღვანელი — ასლან აბაშიძე, რომელიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს, მიხეილ სააკაშვილს ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში ადანაშაულებს. ის რუს ჟურნალისტთან საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტს გაბოროტებულ მეტიჩარას უწოდებს და ირწმუნება, — სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტერორიზმით დაკავდა და პირველ რიგში, თავის უახლოეს თანამებრძოლებს დაერია. „ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ოფიციალური ვერსია სიცრუეა. არსებობს მოწმეთა ჩვენება, რომლებსაც შეუძლიათ, დაადასტურონ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის გვამი, მისი გარდაცვალების შემდეგ მიიტანეს იმ ბინაში, სადაც დეფექტური გაზის ღუმელი იყო დამონტაჟებული. საქართველოს საინფორმაციო საშუალებებს სააკაშვილის ხელქვეითები მკაცრად აკონტროლებენ და დამოუკიდებელი მაუწყებლობის ნებისმიერ მცდელობას მაშინვე ბლოკავენ. მათ შიშის საფუძველი ნამდვილად აქვთ: ჟვანიას მოკვლას დიდხანს ცდილობდნენ, სააკაშვილის თანდასწრებით მას ელექტროშოკით აწამებდნენ, თავში მძიმე საფერფლით სცემდნენ და ყველაფერი ეს „შავნაბადას“ პრეზიდენტის რეზიდენციაში ხდებოდა. რაულ უსუპოვიც სწორედ იქ მოკლეს, მაგრამ ჟვანიასგან განსხვავებით, ის არ უწამებიათ“. ■

12 წლის ობოლი გოგონას ტრაგედია

„მინდა, ჩემი თმა დამიბრუნონ...“

სვანეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს დედით ობოლი, ულამაზესი გოგონა, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ქვეყანას შეხაროდა, მეგობრებთან თამაში ძალიან უყვარდა, მათთან ერთად დარბოდა, ხტუნაობდა, კისკისებდა, მაგრამ ერთხელაც მიხვდა, რომ სხვებისგან რაღაცით გამოირჩეოდა და მეგობრებისგან განსხვავებით, ძალიან მალე იღლებოდა. თუმცა, უფროსებისთვის ეს არ გაუმხელია.

ლიკა ქაჯაია

მოგვიანებით, გოგონას კბილიდან სისხლდენა დაეწყო და ის სასწრაფოდ, ექიმთან წაიყვანეს, მაგრამ სტომატოლოგმა მხრები აიჩეჩა, სისხლდენა ვერაფრით შეუჩერა და ელისოს მამას ურჩია, შვილი სასწრაფოდ, ქალაქში წაეყვანა. პატარამ სვანეთიდან ქუთაისში, ქუთაისიდან კი თბილისში ამოყო თავი, სადაც თეთრხალათიანებმა მას მძიმე განაჩენი გამოუტანეს — 12 წლის ელისოს ლეიკემია აღმოაჩნდა. ავადმყოფობაზე მეტად, გოგონა ქიმიოთერაპიის შედეგად გაცვენილ თმაზე დარდობს და ყველაზე მეტად, დალალებთან განშორება სტკივა.

ახლა ამ პატარა ფერიას თქვენი დახმარება სჭირდება, რათა სამკურნალოდ გერმანიაში წავიდეს, გამოჯანმრთელდეს, ქიმიოთერაპიის კურსის კიდევ ერთხელ ჩატარება აღარ დასჭირდეს და თმასთან (ან უფრო ძვირფას რამესთან, რასაც პატარა ჯერ ვერ აცნობიერებს) განშორება არ მოუხდეს.

თინა გვიჩიანი, *ელისოს მამიდა:*

— ელისო ჩემი გაზრდილია. 3 წლის იყო, როცა დედამისმა მომიყვანა (მე ზუგდიდში ვცხოვრობ) და მითხრა: ცუდად ვარ, უნდა ვიმკურნალო და გთხოვ, ჩემს შვილს შენ მიხედეო. რა უნდა მექნა? — ერთი ძმა მყავს და მისი შვილის გაზრდაზე უარს როგორ ვიტყოდი? სამწუხაროდ, ჩემი რძალი გარდაიცვალა და ამ ბავშვის აღზრდა მე ვიკისრე.

— *ახლა ელისო ისევ თქვენთან ცხოვრობს?*

— 2 წლის წინ ჩემმა ქმარმა ინფარქტი მიიღო და ვინაიდან გოგონას მოსავლელად ვერ ვიცლიდი, ის მამამისს, სვანეთში ჩავუყვანე.

— *ელისოს და ან ძმა არ ჰყავს?*

— როგორ არა, ექვსი და-ძმანი არიან. ჩემი ძმა თბილისში ჩამოსასვლელად ვერ იცლის, დანარჩენ ბავშვებს მოვლა-პატრონობა არ უნდათ?!. თან, სოფელში მოსავალი დაუბინავებლად რომ დატოვოს, მერე შვილებს რა აჭამოს? საცოდავი, წელზე ფეხს იდგამს, რათა შვილები გამოკვებოს... მეც, სახლში სამჯერ

ელისო მამიდასთან ერთად

ნაინფარქტალი ქმარი მივატოვე და ელისოს გამოვყევი. ოღონდ ეს იყოს კარგად, ამან იცოცხლოს და ამქვეყნად არაფერი მინდა (*ტირის*).

— *თქვენ შვილები არ გყავთ?*

— როგორ არა, 3 შვილი და 2 შვილიშვილი მყავს... ყველა ძმისშვილი მიყვარს, მაგრამ ელისო ჩემთვის გამორჩეულია — ის ხომ მე გავზარდე.

— *ვიდრე კბილიდან სისხლდენა დაეწყებოდა, მას დაავადების რაიმე სხვა ნიშანი ვერ შენიშნეთ?*

— თურმე, ბავშვი შარშან მოწამლულა. როგორც ამბობს, რაღაც ბალახისგან დამზადებული კერძი უჭამია და პირველად სწორედ მაშინ გამხდარა

ეს სურათი მანამ გადავიღე, ვიდრე თმას შემჭრიდნენ და ქიმიოთერაპიის კურსს ჩამიგარებდნენ

ცუდად. მე ვფიქრობ, რომ ლეიკემია ამან გამოიწვია.

— *ექიმებიც ასეთ ეჭვს გამოთქვამენ?*

— არა, ამის შესახებ ექიმებმა არაფერი იციან, ეს ახლახან გამანდო... როცა მოწამლული ექიმთან წაიყვანეს, აღმოჩნდა, რომ თირკმლის პრობლემაც ჰქონდა. სამწუხაროდ, არ ვიცი, ზუსტად რა დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ ძალიან ვერაგი დაავადება კი იყო. თან, თუ არ მეშლება, მარჯვენა თირკმელი აქვს გადიდებული... ამ ამბიდან ცოტა ხანში ელისოს კბილიდან სისხლდენა დაეწყო და ჩემმა ძმამ ის სასწრაფოდ, სტომატოლოგთან წაიყვანა. ექიმმა სისხლდენა რომ ვერ შეაჩერა, ჩემს ძმას უთხრა: გოგონა სასწრაფოდ, ქუთაისში წაიყვანეთო. ქუთაისში გვითხრეს, ლეიკოციტები აქვს ძალიან დაბალი და თბილისში, იაშვილის საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთო. აქ **დაადგინეს, რომ ბავშვს ლეიკემიის უმძიმესი ფორმა ჰქონდა. თურმე, სისხლდენა ფარულად, კუჭშიც მიმდინარეობდა და ბავშვი განუწყვეტლად, სისხლს აღებინებდა.** ამ საავადმყოფოში, ექიმით დაწყებული და სანიტრით დამთავრებული, ყველა ფეხზე დადგა, ბავშვი მოაძლიერეს. ახლა უკვე სეირნობის უფლებასაც გვაძლევენ, მაგრამ კბილიდან სისხლი ისევ სდის. ეგ არაფერი, ელისომ ქიმიოთერაპიის კურსი ვერ აიტანა, მთელი ტანი ისე ჰქონდა დამწვარი, გეგონებოდათ, მდუღარე გადასხესო. საშინელი სანახავი იყო. დეკემბერში სამკურნალოდ გერმანიაში გვიშვებენ, მაგრამ არ ვიცი, იქ წასვლას მოვახერხებთ თუ ვერა.

— *რატომ ვერ მოახერხებთ?*

— ეს გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამის საშუალება კი ჩვენს ოჯახს არა აქვს.

— *როგორც ვიცი, საზღვარგარეთ მკურნალობასაც ბადრი პატარკაციშვილის ფონდი აფინანსებს...*

— დიახ, **მკურნალობას და ყველა ხარჯს, გარდა ტრანსპორტირებისა და კვებისა, ეს ფონდი აფინანსებს, მაგრამ ჩვენ იმის საშუალებაც აღარ გვაქვს, რომ იქ ყოფნისას ბავშვს საკვები არ მოვაკლოთ**. ელისოს მამას რაც ჰქონდა, უკვე მოგვცა, ახლა მისი იმედი აღარ მაქვს, ფულს ვეღარ იშოვის. ჩემი ოჯახიც არაა მატერიალურად ძლიერი, ნათესავებს კი თავადაც არაფერი აქვთ და ჩვენ აბა, რითი დაგვეხმარებიან?.. ის კი არა, ზოგჯერ საავადმყოფოდან წასვლის, აქაურობისგან დასვენების უფლებასაც გვაძლევენ, მაგრამ ვერსად მივდივართ, წასასვლელი არსად გვაქვს. ეჰ, **ვინმე ერთი წლით ბინას რომ გვათხოვებდეს, თუნდაც, სარდაფს, რომელშიც ერთ საწოლს დავდგამთ, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება**. აქედან გასვლა და სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა ელისოს გამოაცოცხლებს.

— *საკვებით ვინ გამარაგებთ?*

— სოფლიდან გვიგზავნიდნენ ხოლმე რაღაცებს, ზოგჯერ ნათესავებსაც მოჰქონდათ საჭმელი, ახლა კი აღარ ვიცი, რა გვეშველება — რაც დრო გადის, მით მეტად გვიჭირს თავის გატანა. მე სულ ვიშიმშილებ, მაგრამ ელისოს კარგი კვება სჭირდება (*ტირის*)...

— *როგორი ბავშვი იყო ელისო მანამ, ვიდრე დაავადდებოდა?*

— სიცოცხლით სავსე, ვერცხლისწყალივით სწრაფი. სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერია და რასაც ხელს მოჰკიდებს, აუცილებლად გამოუვა. უყვარს ხელოვნება, სიმღერა და ინგლისური ენა. ეკლესიური და სიკეთით სავსე ბავშვია. სხვათა შორის, ძალიან კარგად ქსოვს. ახლა მითხრა, ქვედაბოლო უნდა მოგიქსოვოო (*ტირის*). საავადმყოფოში მოდიან ხოლმე მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს გაკვეთილებს უტარებენ და ელისოც მთხოვს ხოლმე, „კლასში“ გავიყვანო, მაგრამ იქ დიდხანს ვერ ძლებს, იღლება. სამაგიეროდ, უკვე აითვისა ძერწვა... აღარ შემიძლია ელისოზე ლაპარაკი. არ ვიცი, რა გვეშველება (*ტირის*)...

— *კი, მაგრამ ხომ გპირდებიან, რომ ელისო გერმანიაში მკურნალობის შემდეგ საბოლოოდ გამოჯანმრთელდება.*

— კი, გვპირდებიან, მაგრამ (*ელისოს გადახედა*)... იცით, ელისოს ლეიკემიის მართლაც, ძალიან მძიმე ფორმა აქვს და მას მთელი ცხოვრება გაფრთხილება სჭირდება. სანამ შევძლებთ, ვიბრძოლებთ გამოჯანმრთელებისთვის. იმედია, უფალი არ გაგვწირავს.

ჩვენს საუბარს ელისო გაფაციცებით უგდებდა ყურს და არც ერთი სიტყვა არ გამორჩენია. გოგონას გავულიმე და ვთხოვე, — *იქნებ, რაიმე შენც მითხრა-მეთქი, მან ჯერ თავი დამიქნია, თანხმობის ნიშნად, მაგრამ შემდეგ იუარა,* — *ვერაფერს გეტყვი, არ შემიძლიაო. ვთხოვე: ის მაინც გამანდე, რაზე ოცნებობ-მეთქი? თვალცრემლიანმა მიპასუხა:*

— ძალიან მინდა, ტელეფონი მქონდეს.

— *ტელეფონი რად გინდა?*

— მეგობრები მომენატრა და მათ დავურეკავდი ხოლმე.

— *ტელეფონის გარდა, რაზე ოცნებობ?*

— ძალიან მინდა, ჩემი თმა დამიბრუნონ, — *მითხრა ელისომ და თითი კედელზე მიყუდებული სურათისკენ გაიშვირა:* — ეს სურათი მანამ გადავიღე, ვიდრე თმას შემჭრიდნენ და ქიმიოთერაპიის კურსს ჩამიტარებდნენ. თმის შეჭრა არ მინდოდა, მაგრამ მაიძულეს (*ტირის*).

ქალბატონი თინა:

— ახლა თავსაფარს არ იშორებს და რომც ვეხვეწო, არაფრით მოიხსნის. ამ სურათს სულ გულში იხუტებს და ეფერება.

ელისო:

— მალე თმა ისევ ამომივა და მას აღარასდროს შეველევი... მამიდამ გითხრათ, რომ ბალახმა მომწამლა. იცით, ბალახის შემდეგ ნაყინით მოვიწამლე, ცოტა ხანში თავბრუ დამეხვა და საპირფარეშოში წავიქეცი. მას შემდეგ „მაროჟნის“ დანახვა არ მინდა. ამ ზაფხულს მომიტანეს და გადავაგდებინე. მეზიზღება, რადგან მგონია, რომ ჩემს ავადმყოფობაში ისაა დამნაშავე.

— *ასე რატომ ფიქრობ?*

— იმიტომ, რომ მალევე დამეწყო კბილიდან სისხლდენა.

— *მამიდაშენმა მითხრა, რომ ღვთისმოშიში ხარ.*

— დიახ და უფლის ნებით, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც საჭიროა. უფალო, დაგვიფარე ყველანი და შეგვიწყალე ჩვენ.

P.S. თუ გოგონას დახმარების სურვილი და საშუალება გაგიჩნდებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(55) 25.60.81 ან შეგიძლიათ გადარიცხოთ თანხა ქალბატონი თინა გვიჩიანის სახელზე, „საქართველოს სახალხო ბანკში“ გახსნილ ანგარიშზე: ბანკის კოდი: 220101488, საანგარიშსწორებო ანგარიში: 5539046930. ელისოს აგრეთვე შეგიძლიათ დაეხმაროთ სისხლის (I ჯგუფი დადებითი) გაღებით. გულისხმიერებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას. ■

„თუ ვინმე უკეთეს არჩევანს შემომთავაზებს, დღესვე დავხევ აფხაზურ პასპორტს...“

რუსული „თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკა“ და გალის რეალური სურათი

პროვოკაციებით, ავანტიურით თუ პოლიტიკოსებისა და უბრალო ადამიანების შეცდომების მიზეზით, აფხაზეთი ნაბიჯ-ნაბიჯ შორდება დანარჩენ საქართველოს. შესაძლოა, ეს მავანს ვითარების დასამძიმებლად ნათქვამი ეგონოს, მაგრამ კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენების გაცნობა ასეთი დასკვნის საფუძველს ნამდვილად იძლევა...

ლალი პაპასკირი

აფხაზეთში არასტაბილურობით გალის რაიონი ლიდერობს. იქ არც ე.წ. აფხაზურ კანონს უწევენ ანგარიშს და არც რუსულსა და ქართულს. ადგილობრივები საკუთარი სახლ-კარის შესანარჩუნებლად უამრავ დათმობაზე მიდიან, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობენ — ისინი, ვინც არსებულ რეალობას თავისებურად მოერგნენ... ერთი შეხედვით, ვითარება ყველგან ერთნაირია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ამ ადამიანებს ზოგჯერ მათ მიმართ გამოხატული თანაგრძნობაც აღიზიანებს; შეკითხვაზე, — „რა ხდება „იქ“? — ხშირად ბრაზიანად პასუხობენ, — „არაფერი, მშვიდობაა“. „მშვიდობას“ კი „რუსულ-აფხაზური რეიდების“ გარეშე ჩავლილ ერთ კვირას უწოდებენ...

ბოლო დროს, აფხაზეთში პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ბევრი სიახლე მოხდა, რაც საერთო ჯამში, არასახარბიელო სურათს ქმნის: 15 ნოემბრიდან თვითაღიარებულ რესპუბლიკას საკუთარი სატელეფონო კოდი გაუჩნდა — რუსული მედიის ინფორმაციით, აფხაზეთი რუსეთის საერთაშორისო სატელეფონო ინდექსით - 7-ანით ისარგებლებს, ფიქსირებული კოდი 840 იქნება, მობილური კავშირგაბმულობისთვის კი — 940 ინდექსი იმოქმედებს. დე ფაქტო პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსის, კრისტიან ბუანიას განცხადებით, აფხაზეთში მოქმედ ყველა სატელეფონო სადგურში დეკოდური სადგურები უკვე ციფრული სისტემით შეიცვალა. აფხაზეთისთვის რუსეთის საერთაშორისო სატელეფონო ინდექსის მინიჭება 2009 წლის 28 სექტემბერს მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმებული, ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის შესაბამისად განხორციელდა.

გალში ინტენსიურად დაიწყო აფხაზური პასპორტების დარიგება და პარალელურად, სეპარატისტულმა ხელისუფლებამ დანარჩენ აფხაზეთში ამ რაიონის ეკონომიკურ ინტეგრირებაზე ზრუნვაც დაიწყო...შევეცადე, გამერკვია — როგორ ცხოვრობენ გალელი ქართველები წნეხის ქვეშ, რის ფასად ქართველობენ და როგორ აისახება

მათზე რუსულ-აფხაზური პოლიტიკის ცვლილებები და კიდევ — რამდენად იგრძნობა წინასაარჩევნო განწყობილება ამ რეგიონში და ვის სასარგებლოდ აპირებენ ქართველი დევნილები არჩევანის გაკეთებას?

როგორც ცნობილია, აფხაზეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა. 12 დეკემბრისთვის დაგეგმილ არჩევნებში ერთმანეთს კონკურენციას მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, ყოფილი დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, ოპოზიციონერი ბესლან ბუთბა, ფილოსოფიისა და მეცნიერების დოქტორი ვიტალი ბგანბა და დე ფაქტო სახელმწიფო კომპანიის — „აფხაზეთის საზღვაო მიმოსვლის“ ხელმძღვანელი ზაურ არძინბა გაუწევენ. კანდიდატებს გალის რაიონში წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად ჯერ არ დაუწყიათ, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, ამ რაიონში საფუძვლიანი მუშაობისთვის ემზადებიან. საფუძველიც არსებობს — გალის რაიონი ნებისმიერი კანდიდატისთვის ყველაზე დიდი ადამიანური რესურსია: აფხაზმა კანდიდატებმა იციან, რომ სერგეი ბაღაფშს გამარჯვება გალელების მხარდაჭერამ მოუტანა. წელს ამ სიამოვნებას ვერც ერთი აფხაზი ლიდერი ვერ მიიღებს, რადგან გალელები უკვე არც ერთ მათგანს არ ენდობიან. გარდა ამისა, არჩევნებამდე თვეზე ნაკლები დარჩა, გალში კი პასპორტიზაციის პროცესი ჯერაც არ დასრულებულა, რის გამოც ადგილობრივთა უმრავლესობა არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. სავარაუდოდ, ამავე მიზეზით კანდიდატებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს, გალელებისთვის საკუთარი თავი და პროგრამა წარედგინათ და რაიონის ქართული მოსახლეობის ნაწილმა არც კი იცის, ვინ იყრის კენჭს დე ფაქტო არჩევნებზე. მაგრამ არსებობს მეორე ნაწილი, რომელიც საკმაოდ პოლიტიზებულია.

ანატოლი, *68 წლის, სოფელ ნაბაკევის მკვიდრი:*

— ჯერჯერობით არავინ გამოჩენილა, მაგრამ რუსი სამხედროების თქმით, სოფლის ცენტრში საარჩევნო შტაბის მსგავსი რაღაც გაიხსნება. აქაურების დიდ ნაწილს უკვე აღებული აქვს აფხაზური პასპორტი.

— **თქვენ?**

— მე საბჭოური, ე.წ. წითელი პასპორტი მაქვს, მაგრამ თუ იარაღით არ დამადგნენ, არჩევნებზე არ წავალ. ჩვენს აზრს რა მნიშვნელობა აქვს — პრეზიდენტი მაინც ის გახდება, ვინც რუსეთს უნდა... ადგილმდებარეობა მიწყობს ხელს იმაში, რომ აფხაზებსა და რუსებზე დამოკიდებული არ ვიყო. ეს არც ისე ადვილია, მაგრამ ვახერხებ. ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, მიწის დიდი ნაკვეთი ავიღე, ერთგან ბოსტნეულის სათბური გავაკეთე, სხვაგან კი — თხილისა და ციტრუსის პლანტაცია, სადაც ქართველებსა და აფხაზებს გვერდიგვერდ ვამუშავებდი და მაშინ საკუთარი თვალით დავინახე, თუ როგორ ამსხვრევენ ადამიანური ურთიერთობები პოლიტიკურ სტერეოტიპებს. ჩვენი მუშაობის პრინციპი ასეთი იყო: აფხაზები ზუგდიდის ბაზარში გადასვლას ვერ ბედავდნენ, ამიტომ თავიანთ წილ ჭირნახულს გალელებს ატანდნენ; ისინი კი უპრობლემოდ გადმოდიოდნენ ზუგდიდში, მოსავალს ყიდდნენ და აღებული ფული აფხაზებისთვის ჩაჰქონდათ. ასე შემთხვევით როდი მოვქცეულვარ. ჩემთან დასაქმებული აფხაზები ჩემი და დანარჩენი ქართველების უსაფრთხოების გარანტად გვევლინებოდნენ. მათ უკან ოჯახები იდგა და ნაომარ აფხაზეთში პურის ფულის შოვნა არც ისე ადვილი იყო. მერე კი ზუგდიდსა*

და ენგურს გამოღმა გადმოსვლა თავადაც გაბედეს...

— თქვენი მეურნეობა ახლაც ამ პრინციპით მუშაობს?

— უფრო მეტიც — ახლა ჩემს მეურნეობაში რუსი სამხედროებიც ჩავაბი. ისინი ფიზიკურად შრომას თაკილობენ, მაგრამ მოსავლის უსაფრთხო რეალიზაციაში მეხმარებიან. ვიღაცამ მკითხა, — ასე როგორ მოარჯულე ეს ხალხი, ყველაფერი ერთბაშად რომ არ წაგართვესო?! ისინი აქ რამდენიმე წლით არიან ჩამოსული, თუ ყველაფერს ერთბაშად წამართმევენ, მომდევნო წელს აღარ გავაკეთებ და — მორჩა; ასე კი წელიწადში რამდენჯერმე, როცა ზუგდიდის „საზღვრისკენ“ ჩემს ხალხს გააცილებენ, გარკვეულ თანხას მიიღებენ და სურსათს აიღებენ...

— თქვენს სოფელს რუსები აკონტროლებენ?

— ჩემს სოფელსაც და გალის სოფლების უმეტესობასაც, ძირითადად, რუსები აკონტროლებენ, აფხაზებს იქ არავინ უსმენს... ჩვენი სოფლის სკოლაში სასწავლო პროცესი რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ ჩემი და ოტობაიაში ცხოვრობს და მისგან ვიცი, რომ მის სოფელში ჯერ კიდევ მუშაობს ქართული სკოლა...

ანატოლის დახმარებით, მის დასაც დავუკავშირდი, რომელიც სოფელ ოტობაიას სკოლის მასწავლებელია.

მზია, *54 წლის:*

— ჩვენს სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს. სასწავლო წლის დასაწყისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოებიც მივიღეთ — I-დან XII კლასამდე... აქაურ მოსახლეობას პოლიტიკური პროცესები ნაკლებად აინტერესებს და არა მგონია, ვინმე არჩევნებზე წავიდეს, თუნდაც იმიტომ, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი არჩევნებში მონაწილეობას ვერც მიიღებს, რადგან აფხაზური პასპორტები არა აქვს.

მამუკა, *34 წლის, ფიჩორის მცხოვრები:*

— ჯერჯერობით საარჩევნო კამპანია არ დაწყებულა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აფხაზი სეპარატისტები გალის მოსახლეობას თხილისთვის, ქართულ მხარეზე უფრო მაღალ ფასს სთავაზობენ. მათ ჩვენგან და კიდევ რამდენიმე ქართულ სოფელში მცხოვრები ადგილობრივი ქართველებისგან თხილის შესაძენად სპეციალური პუნქტები გახსნეს და მოსავალს იმაზე მაღალ ფასად იბარებენ, ვიდრე ქართველებს ზუგდიდის რაიონში მალულად გადატანილ თხილში უხდიან... ეს რუსული გეგმის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდში ე.წ. „ჩორნი ხოდებით“ მიმავალ გალელებს გზადაგზა აყაჩაღებდნენ და ხშირ შემთხვევაში, ხელცარიელს ტოვებდნენ, ხალხი ლამის სიცოცხლის რისკის ფასად მაინც მიდიოდა. თხილი და ციტრუსი ფსოუს საზღვრამდე რომ მიგვეტანა, გზაში იმდენი გვეხარჯებოდა, წაღება არც კი ღირდა. აქაური ბები კი მატერიალურად, სეზონურ შემოსავალზე ვართ დამოკიდებული და ამიტომაც ვცდილობთ ზუგდიდში „გადაძრომას“. რუსები მიხვდნენ, რომ აკრძალვებით ვერაფერს გახდებოდნენ და გალში თხილის ფასს აუწიეს: ზუგდიდში თხილი 3,50 ლარი ღირს, აქ კი 10-15 თეთრით მეტი, ზოგან კი — იგივე და ტყე-ტყე სიარული და „საზღვრის“ ფარული გადაკვეთა აღარ ღირს... ამას უფრო, პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკური: თუ უბრალო ხალხს შორის ფარული მიმოსვლა შეწყდა, გალელი ქართველები აფხაზებსა და რუსებთან საერთო ენას გამონახავენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც და აფხაზებიც რუსებს ვერ ვიტანთ. ისინი ხედავენ ჩვენს ასეთ დამოკიდებულებას და სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვა დაიწყეს — „თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკა“ კი წარმატებით იმუშავებს... ხალხი დაიღალა. გალელები დანარჩენი საქართველოსთვის „ნახევრად ლტოლვილები“ ვართ, რომლებიც ისე „ვნაგლობთ“, რომ სახელმწიფოსგან ფულად დახმარებასაც ვიღებთ, სახლ-კარიც შენარჩუნებული გვაქვს და მაინც გვიჭირს. დიახ, ასეა. მეც მიჭირს, იმიტომ, რომ გალსა და თბილისს შორის ვარ „გაკიდული“: ენგურის ხიდს მიღმა ცოლი და მოხუცი მშობლები მყვანან, აქეთ კი — შვილები... შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ეს რას ნიშნავს?! აქ რომ წამოვიდე, როგორ ვიცხოვრო?! ჩემი ერთი ქალიშვილი მარკეტში მუშაობს და თვეში 150 ლარი აქვს, ბიჭი დაცვის თანამშრომელია და 300 ლარამდე იღებს და ეს თანხა ოჯახს კი არა, თავად არ ჰყოფნით. მე კი ქუჩაში დგომა არ შემიძლია, ვაჭრობას მიწაზე მუშაობა მირჩევნია. იქ, ჩემს მიწაზე ყოველდღე მაყვედრიან ქართველობას, მაგრამ თავს მაინც მყარად ვგრძნობ და გარდა ამისა, საფლავებს ველარ მივატოვებ...

— აფხაზური პასპორტი გაქვთ?

— დიახ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი ქვეყნის მოღალატე ვარ. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ სხვანაირად იქ არ დამედგომებოდა — „მფარველი აფხაზი“ არ მყავს და რაღაც გარანტია მჭირდება, რომ ვიარსებო. დიდხანს ვითრიე ფეხი, რომ ეს არ გამეკეთებინა, მაგრამ ვითარება უკეთესობისკენ არ შეცვლილა, პირიქით — უარესობისკენ წავიდა. თუ ვინმე სხვა გამოსავალს შემომთავაზებს, ამ პასპორტს დღესვე დავხევ... იქაურობა რომ დავტოვო, ჩემს სახლს რუსი სამხედროები დაეპატრონებიან. რუსებსაც ერთი სული აქვთ, როგორმე ქართული სოფლები დაიცალოს, — აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის რუსული სამხედრო პუნქტი გამყოფი საზღვარი გახდება.

— თქვენი აზრით, მათ ჩანაფიქრის განხორციელებაში ქართული მოსახლეობა უშლის ხელს?

— დიახ, რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, ასეა... ამ საკითხში აფხაზები და რუსები ვერ შეთანხმდნენ: აფხაზეთის ხელისუფლებას არ უნდა ჩვენი აყრა, თორემ უკვე დიდი ხნის წინ გაგვასახლებდნენ. როცა რუსებმა ჰკითხეს, — თქვენს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების უფლებებს ასე აქტიურად რატომ იცავთო? — მაშინ დაიწყო აფხაზური პასპორტების აქტიურად დარიგება, მაგრამ მერე ისევ მიწყნარდა. რაც მეტ ცარიელ ადგილს ნახავენ რუსები გალის სოფლებში, მით მეტი რუსული სამხედრო პუნქტი გაიხსნება.

მერი შაფათავა, *სოფელ თაგილონის მკვიდრი:*

— წინა არჩევნებზე საარჩევნო შტაბი სკოლაში იყო განთავსებული და უმრავლესობამ ხმა ამუამინდელ დე ფაქტო პრეზიდენტს მისცა, მაგრამ ახლა მოსახლეობის დიდ ნაწილს აფხაზური პასპორტები არა აქვს და შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებთ. საბუთები ძალიან ბევრმა ჩააბარა, მაგრამ გალში გვითხრეს, პასპორტებს მხოლოდ იანვრიდან მიიღებთო. ასე რომ, არა მგონია, ამ არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ. რამდენადაც ვიცი, აფხაზებს ყველაზე მეტად, ვიტალი ბგანბას პრეზიდენტობა უნდათ, მაგრამ იმასაც ამბობენ, ვინც რუსეთს უნდა, ის გაიმარჯვებსო... ჩვენს სოფელში წინასაარჩევნო განწყობილება არ იგრძნობა და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისიც კი არ იცის, თუ ვინ იყრის კენჭს...

— გავრცელებული ინფორმაციით, რუსული პასპორტების გაცემაზეც იყო საუბარი...

— არა, ეს ისე ადვილი არ არის, როგორც ენგურს გაღმა ამბობენ... რუსული პასპორტის აღება ქართველებს კი არა, აფხაზებსაც უჭირთ. ეს პროცესი რომ დაიწყოს, აფხაზეთში უმუშევართა არმია რუსეთის სხვადასხვა ქალაქს შეესევა. ეს რუსებმაც გვითხრეს, — ასე რომ მოხდეს, აფხაზეთი რამდენიმე კვირაში დაიცლება, სამაგიეროდ, რუსეთში კრიმინალის გაკონტროლება შეუძლებელი გახდებაო...

■

აფხაზეთის ხელისუფლებას არ უნდა ჩვენი აყრა, თორემ უკვე დიდი ხნის წინ გაგვასახლებდნენ

ავერსი -15 წელი თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

14 ნოემბერს კომპანია "ავერსს" 15 წელი შეუსრულდა. ზუსტად 15 წლის წინ 1994 წლის ნოემბერში ყაზბეგის გამზირის 5 ნომერში, ერთი პატარა აფთიაქი გაიხსნა, რომელშიც თავდაპირველად მხოლოდ 22 დასახელების მედიკამენტი იყიდებოდა. სწორედ ამ პატარა აფთიაქით დაიწყო კომპანია "ავერსის" სპირალური აღმასვლა. (სწორედ ასე ითარგმნება ლათინურიდან სიტყვა – ავერსი).

კომპანია "ავერსმა" იუბილე მცხეთაში, რესტორან "ძველ არმაზში" წვეულებით აღნიშნა. თუმცა, სანამ თავად წვეულებაზე მოგახსენებდეთ, მოდით "ავერსის" მოღვაწეობის ისტორიას გადავხედოთ.

15 წლის წინ გრანდიოზულ მასშტაბებზე არავინ ფიქრობდა. თუმცა, ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომის, ერთგულების და პროფესიონალიზმის შედეგად "ავერსმა" სრულად გაამართლა თავისი სახელწოდება და არამარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ უძლიერეს კომპანიად იქცა, რომელიც მთელს საქართველოში განლაგებულ სააფთიაქო ქსელს, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ფარმაცევტულ საწარმო "ავერსი-რაციონალს" და მსოფლიო დონის "ავერსის კლინიკათა" ქსელს აერთიანებს. სადღეისოდ "ავერსის" აფთიაქთა რიცხვი 190-ს მიუახლოვდა, კომპანიაში 4000-მდე ადამიანია დასაქმებული, ISO, FDA და GMP-ის საერთაშორისო სერტიფიკატების მფლობელი საწარმოს "ავერსი რაციონალის" მედიკამენტების ექსპორტი კი თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ყირგიზეთში ხორციელდება. დღითი დღე ფართოვდება "ავერსის კლინიკათა" ქსელი. სულ ცოტა ხნის წინ მარნეულის, ლანჩხუთის, რუსთავის და თბილისის კლინიკებს გორის ახლად გახსნილი "ავერსის კლინიკაც" შეემატა. "ავერსის კლინიკათა" შორის ყველაზე მასშტაბური და ფართოპროფილიანი თბილისის სამკურნალო დაწესებულებაა. აქ ამბულატორიულ და დიაგნოსტიკურ სამსახურებთან ერთად ქირურგიული განყოფილება და ოცდახუთსაწოლიანი სტაციონარიც მოქმედებს. "ავერსის კლინიკათა" ქსელში ქართულ სტანდარტს მხოლოდ ფასები შეესაბამება, სხვა ყველაფერი კი მსოფლიოს საუკეთესო კლინიკების სტანდარტებს აკმაყოფილებს. "ავერსის" დევიზი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. კომპანია მრავალი საქველმოქმედო პროგრამის ავტორი და ინიციატორია. "ავერსი" რეგულარულად ეხმარება ბავშვთა სახლებს, მოხუცთა პანსიონატებს, სხვადასხვა კერძო კომპანიებს. სპონსორობას უწევს საქველმოქმედო აქციებს. ახორციელებს სხვადასხვა სახის ფასდაკლებებს, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მედიკამენტებზე 10%-იანი ფასდაკლების პროექტი სკოლის მასწავლებლებისათვის, ექიმებისთვის, პენსიონერებისთვის და სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომელიც თითქმის 4 წელია ხორციელდება. გარდა ამისა "ავერსის კლინიკის" უფასო მომსახურებით სარგებლობენ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები და ვეტერანები. ხოლო მას შემდეგ რაც "ავერსსა" და საპატრიარქოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, კლინიკა ასევე უფასო მომსახურებას უწევს მღვდელ-მონაზვნებს და საპატრიარქოს რეკომენდაციით მოსულ პირებს. მათ ასევე უფასოდ გადაეცემათ მკურნალობისათვის საჭირო ყველა მედიკამენტი.

ახლა კი თავად საიუბილეო წვეულებას დავუბრუნდეთ. 14 ნოემბერს, "ძველ არმაზში" "ავერსის" თანამშრომლები და კომპანიის უახლოესი მეგობრები შეიკრიბნენ. წამყვანების მისალმების შემდეგ სტუმრებს "ავერსის" დაბადების დღე კომპანიის დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა პაატა კურტანიძემ მიულოცა. მან ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა ერთგული მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ 15 წლის წინ ვერც კი დავიჯერებდი, თუ "ავერსი" ოდესმე ასეთი მასშტაბური კომპანია გახდებოდა. საიუბილეო საღამო სიურპრიზებით გახლდათ დატვირთული. პირველი სიურპრიზი სტუმრებმა დარბაზში შესვლისთანავე აღმოაჩინეს. კედლებზე მათ ჯერ კიდევ 15 წლის გადაღებული ფოტოები დახვდათ. ფოტოები, რომლებიც "ავერსის" მოღვაწეობის ისტორიას ასახავდა. აქ თქვენ ნახავდით "ავერსის" ლოგოს თავდაპირველ ნიმუშსაც და იმ თანამშრომლებსაც, რომლებიც კომპანიის დაარსების დღიდან ერთგულად ემსახურებიან "ავერსს" და საყვარელ საქმეს. იყო უამრავი თბილი მოგონება, სახალისო ვიქტორინა და კონკურსი, თუმცა თანამშრომლებისათვის ყველაზე მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი "ავერსის" პირველი 6 თანამშრომლის პრიზებით და ფულადი პრემიებით დაჯილდოვება გახლდათ.

წვეულების კულმინაცია გრანდიოზული ფოიერვერკი გახლდათ, რომელიც სპეციალურად ავერსელებისთვის მოეწყო. მცხეთის ცა არაერთხელ გაანათა წითელი გულის ფორმის შუშხუნებმა. საღამოს არც საიუბილეო ტორტის გარეშე ჩაუვლია. გრანდიოზული ტორტი ცოცხალი მუსიკის ფონზე გაიჭრა.

ვულოცავთ "ავერსს" 15 წლის იუბილეს, წინსვლას, წარმატებას და რაც მთავარია, მადლიერი მომხმარებლების სიმრავლეს ვუსურვებთ. "ავერსი" ხომ სწორედ მომხმარებელზე ორიენტირებული და მზრუნველი კომპანიაა. ჩვენის მხრივ კი ვიტოვებთ იმედს, რომ "ავერსის" მესვეურები საინტერესო და სასარგებლო სიახლეებით მოსახლეობას მომავალშიც არაერთხელ გაახარებენ.

17 გმირი და 17 აკვანი

ანუ „საქართველოში გმირები კიდევ გაიზრდებიან“

მან დაჭრილი თანამებრძოლი გულში ჩაიკრა, „მამაო ჩვენო“ ხმამაღლა წაიკითხა, შემდეგ დანარჩენ დაჭრილებს გასძახა: ვისაც ჩემი ხმა გესმით, გთხოვთ, მტერს ცოცხალი არ ჩაჰბარდეთო! — და ხელყუმბარა გახსნა... — ეს ალექსანდრე ონიანი იყო, აგვისტოს ომის გმირი, რომელიც ხელისუფლებამ ისევე მიივიწყა, როგორც სხვა დანარჩენი, ჩვენი დროის ქართველი გმირები...

ნათუნა გახტურიძე


ედმონდ მინაშვილი

აგვისტოს ომიდან უკვე წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ დღემდე არავინ არაფერს ამბობს იმ მეომრების შესახებ, რომლებმაც საქართველოს ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე შესწირეს. მათ მიერ ჩადენილი გმირობა უპრეცედენტო იყო და ეს თავად რუსმა ოკუპანტებმაც აღიარეს. მიხეილ დვალიშვილის, ალექსანდრე ონიანის, რუსლან წულაძის, ზვიად კაცაძის, ილია გაბუნიას, რომან ზოიძის, კახა კოშაძის, ემზარ წილოსანის, ილია შეყლაშვილის, ფელიქს კაკაურიძისა და ვეფხია ჯიშკარიანის გმირობის ამბავი შემთხვევით შევიტყვე. როგორც მეგობარმა და კოლეგამ, გელა კორძაძემ მიამბო, ცხინვალის მისადგომებთან რუსული ასეულის მიერ ალყაში მოქცეულ სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის სამხედრო-საინჟინრო ასეულის თორმეტ სამხედროს, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა, მტერთან ანგარიშსწორებისას ტყვიაწამლის მარაგი სრულიად ამოეწურა. ბიჭებმა ტყვეობას სიკვდილი არჩიეს და უკანასკნელი ტყვიით თუ ხელყუმბარით სიცოცხლე თავადვე მოისწრაფეს... მოგვიანებით, გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული, რუსი სამხედროს, საშა დროზდოვის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ეწერა: „რაციით გადმოგვცეს, რომ ცხინვალთან ახლოს ჩვენს ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს და დახმარება იყო საჭირო. სასწრაფოდ ჩავსხედით მანქანებში. გასასვლელთან რომ მივედით, ჩვენების საქმე ძალიან ცუდად იყო: ქართველები თავის აწევის საშუალებას არ გვაძლევდნენ, მიცვალებულიც ბევრი ჰყავდათ და დაჭრილიც. ესენი ვინ არიან, ეშმაკები, ქაჯები თუ ადამიანები? — ყვიროდა მეთაური. — უკვე საათია, ასეთ დღეში ვართო. 15 წუთში კიდევ ერთი ჯგუფი წამოგვეშველა თავისი ტექნიკით. ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა. ამის გახსენებაც არ მინდა. როგორც გავიგეთ, მხოლოდ თორმეტი ქართველი გვებრძოდა, მხოლოდ თორმეტი! მათგან ცოცხალი არავინ დარჩა. ვინც ჩვენს ტყვიებს გადაურჩა, თავად მოისწრაფა სიცოცხლე. ჩვენი მეთაური 12 ქართველი ჯარისკაცის ცხედართან დიდხანს, მდუმარედ იდგა, მერე ერთი ამოიოხრა, ხმამაღლა კი მხოლოდ ეს თქვა — ასეთი ბიჭები რომ მყოლოდაო... სიტყვა აღარ დაასრულა, ისე ჩაჯდა მანქანაში“.

*ერთ-ერთი გმირის, მიშიკო დვალიშვილის მშობლებს დავუკავშირდი, რომლებმაც ჩემი მეგობრის მიერ მოყოლილი ამბავიც დაადასტურეს და სხვა საინტერესო დეტალებიც მიამბეს. მათი ინტერვიუ ჟურნალ „გზაში“ გამოქვეყნდა, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რედაქციაში უამრავმა ადამიანმა დარეკა, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ იყო ხელისუფლების წარმომადგენელი ან ცნობილი თუ გავლენიანი პიროვნება. არადა, რუსი გენერალი ამბობდა: — ამ ბიჭების გმირობის ამბავი სკოლის სახელმძღვანელოში უნდა შეიტანონო... მაშინ მათი ამბით მხოლოდ ახალგაზრდა მსახიობი — **ედმონდ მინაშვილი** დაინტერესდა, რედაქციაში გვესტუმრა, ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია მოისმინა და მითხრა, — მრცხვენია, ომში იმ ბიჭების გვერდით რომ არ ვიდექი, ახლა კი ჩემს გასაკეთებელს აუცილებლად გავაკეთებო, — და პირობა დადო, რომ მათ შესახებ ფილმს გადაიღებდა. პირობა მართლაც, შეასრულა... ის ახლა იმ საინტერესო დეტალების შესახებ მოგვიყვება, რომლებიც ფილმზე მუშაობის დროს გაარკვია.*

— ედმონდ, ეს მხატვრული ფილმი იქნება?

— მხატრულ-დოკუმენტური. გვინდა, საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია მივაწოდოთ — ვინ იყვნენ ეს გმირები და როგორ, რა ვითარებაში მოუწიათ მტერთან შეტაკებამ. მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ საქართველოს გმირები ჰყავდა, ჰყავს და მომავალშიც ეყოლება. ვიცი, რომ აფხაზეთის ომში ქართველები გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ ეს ამბავი რატომღაც, მიაჩუმათეს. მაშინ პატარა ვიყავი და ფიზიკურად ვერ შევძლებდი მათი ამბების გამოძიებას, აგვისტოს ომში დაღუპული ბიჭები კი ჩემი თანატოლები არიან და ახლა, მათ წინაშე მაინც შემიძლია, ჩემი ვალი მოვიხადო. ყველაფერს გავაკეთებ, მათი სახელების უკვდავსაყოფად. კიდევ კარგი, გვერდით ისეთი ადამიანები დამიდგნენ, როგორებიც არიან: ჩვენი კონსულტანტები — რობერტ სტურუა, რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, გიორგი მარგველაშვილი, ჯანსურ ჩარკვიანი, სოსო ჯაჭვლიანი. ეს ადამიანები სრულიად უანგაროდ გვეხმარებიან და ჩვენც უანგაროდ ვმუშაობდით. თითოეული გმირის ოჯახი მოვინახულეთ, მათ მშობლებს, და-ძმებს, მეუღლეებს, საცოლეებს ვესაუბრეთ. მოკლედ, ყოველი მათგანის ბიოგრაფია შევისწავლეთ და ისიც კი ვიცით, ვის რა გატაცება ჰქონდა, ვინ როგორი ხასიათის თუ ფსიქოლოგიის იყო... ამ ინფორმაციის მოსაგროვებლად, 8 ათასი კილომეტრის გავლა მოგვიხდა, თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ: ამ ბიჭებიდან ზოგი აჭარელი იყო, ზოგიც — სვანი, იმერელი, კახელი...

— ფილმის რეჟისორი ვინ არის?

— ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა, დათო ხუბუა. იდეის ავტორი მე გახლავართ, პროდიუსერები — მე და ბექა სონღულაშვილი. თუ ნებას მომცემთ, ჩვენთან ერთად უანგარო შრომისთვის, მადლობას გადავუხდი ოპერატორს — გიორგი ხელაშვილს, ფოტოგრაფს — გიორგი ბარსეგიანს; კახა კუპატაძეს, ნინო მიქიაშვილს და ოლიკო გვენეტაძეს, რომლებიც სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში დაუზარებლად გვეხმარებიან.

— ამ მოგზაურობის შედეგად ახალი ინფორმაცია თუ მოიპოვეთ?

— კი. როგორც გავარკვიეთ, რუსული ასეულის წინააღმდეგ 12 კი არა, 17 ბიჭი იბრძოდა. იმ გმირებს შორის, რომლის შესახებაც თქვენ წერდით, ირაკლი ჯანელიძე, ნიკოლოზ ფორჩხაძე, მარლენ ბარამია, ლევან მელქაძე, შმაგი კუპატაძეც დაიღუპნენ. მებრძოლებიდან ერთ-ერთი — ოთარ კალმახელიძე ცოცხალი გადარჩენილა. ის ადგილობრივმა მოსახლემ, ბადრი ხუციშვილმა, მეტსახელად ახმეტამ ჩუმად გამოიყვანა სამშვიდობოს, რამ-

დენიმე დღე საკუთარ სახლში მალავდა, შემდეგ კი მედპერსონალს ჩააბარა. ოთარი ძალიან მძიმედ იყო, ერთიანად დაცხრილული გახლდათ. მას ისრაელში გაუკეთეს ოპერაცია და დღეს, ღვთის წყლობით, კარგად არის. მასთან შესახვედრად ქუთაისში ჩავედით. თავიდან ჩვენთან საუბარზე უარი თქვა, მაგრამ მერე დავიყოლიეთ.

— მის მიერ მოყოლილი ამბავი თუ ემთხვევა საშა დროზდოვისა და მიშიკო დვალიშვილის მშობლების ნაამბობს?

— ზოგი დეტალი ემთხვევა, ზოგი — არა. მან ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა.

— რით ახსნა ის ფაქტი, რომ „საინჟინრო ბატალიონის ბიჭები“ მტრის პირისპირ მაშინ აღმოჩნდნენ, როდესაც ქართულ არმიას უკვე ცეცხლის შეწყვეტისა და უკან დახევის ბრძანება ჰქონდა მიღებული?

— ყველაფერს დეტალურად გიამბობთ. შეტაკება 11 აგვისტოს, სოფელ შინდისში, დღის ოთხიდან ხუთ საათამდე მომხდარა. ამ დროს ომი დამთავრებული იყო. ქვეითი ბრიგადა სრული შემადგენლობით მანქანებში ჩასხდა და უკან, ბაზაზე ბრუნდებოდა. რაც უნდა წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ, მათ გზად რუსები შეხვედრიან და ერთმანეთს ხელის აწევით მისალმებიან. ქართველები სოფელ შინდისს როგორც კი მიუახლოვდნენ, რუსებმა ცეცხლი გახსნეს, წინ მიმავალი მანქანა ააფეთქეს; შემდეგ, ჩასაფრებულმა სნაიპერებმა სროლა დაიწყეს. ქართველები დაიბნნენ, ზოგი გაიქცა, ზოგი კი მანქანიდან ჩამოხტა და ბრძოლაში ჩაერთო. ფაქტი იყო, რუსებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაარღვიეს და ისიც ცხადია, კარგად იყვნენ ჩასაფრებულები, ზუსტად იცოდნენ, რომ იქ ქართველებს უნდა გაევლოთ.

— როგორც ვიცი, სენაკის ბაზისკენ მიმავალმა ქართველმა ჯარისკაცებმა მარშრუტი მოულოდნელად შეცვალეს. თქვენი ინფორმაციით, რატომ ან ვისი ბრძანებით შეიცვალა მარშრუტი?

— არ ვიცი. ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

— ქართველი ჯარისკაცებისთვის მარშრუტის შეცვლა მოულოდნელი იყო, რუსებმა კი წინასწარ იცოდნენ, სად გაივლიდა ქართული ჯარი. ეს უცნაურად არ გეჩვენებათ?..

— არ მინდა ამაზე ლაპარაკი, პოლიტიკა არ მაინტერესებს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ მსოფლიომ გაიგოს, თუ როგორ გმირულად იბრძოდნენ ჩვენი ბიჭები... თავდასხმის შემდეგ, 17 ბიჭი რკინიგზის სადგურის მხარეს (საიდანაც რუსები ისროდნენ) გადავიდა და პირისპირ ბრძოლაში ჩაება. ბრძოლა ერთი საათი გაგრძელდა. ჩვენ მარტო ოთარის მონათხრობს კი არ ვეყრდნობით, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს, რომ ქართველებმა გმირულად იბრძოლეს, რუსებს სერიოზული ზიანი მიაყენეს; აშკარად, ჩვენები სჯობდნენ, მაგრამ მერე ტყვიები გაუთავდათ...

— ოთარი ალექსანდრე ონიანის მიერ თავის აფეთქების ფაქტს თუ შეესწრო?

— კი, საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი. როგორც ოთარმა გვიამბო, ის დაჭრილი, უმოძრაოდ იწვა, ხელსაც კი ვერ ანძრევდა. მისგან 10 მეტრში მუხლებზე დაჩოქილ ალექსანდრე ონიანს თავისი ნათლული, რომან ზოიძე გულში ჰყოლია ჩაკრული და ღრიალებდა. მის ნაამბობს სიტყვასიტყვით გადმოგცემთ: „ონიანი საერთოდ არ იყო დაჭრილი. რომანი ეხვეწებოდა, — წადი, მე მაინც ვეღარაფერს მიშველი, თავი გადაირჩინეო, ის კი ხელს არ უშვებდა. მერე, თითქოს დაწყნარდა და ხმამაღლა დაიძახა, — ბიჭებო, მამაოსთან დავრეკავ, ზიარებას მოგვცემსო. ვერაფრით დაუკავშირდა და მერე ისღა გვითხრა — ვისაც ჩემი ხმა გესმით, ჩემთან ერთად, „მამაო ჩვენო“ თქვით, მერე კი მტერს ცოცხალი ნუ ჩაჰბარდებითო! ლოცვა დაიწყო... მივხვდი, რასაც აპირებდა, ხელში ერთადერთი „ლიმონკა“ ეჭირა. უკვე რუსები გვიახლოვდებოდნენ. ძალა მოვიკრიბე და ონიანს დავუყვირე, — ბიჭო, წადი, გაიქეცი, ჩვენს საფლავზე მაინც მოხვალ და ჭიქა ღვინოს ასწევ-მეთქი. ერთი დაიღრილა, — არაო, და რუსების მისამართით შეიგინა, — ტყვედ არ ჩაგბარდებით, არც ჩემს ნათლულს დაგანებებთო! — და „ლიმონკა“ „გახსნა“. თვალები დავხუჭე. რომ გავახილე, ვერც ერთი ველარ დავინახე. მერე რუსული ტანკის ლულაც გამოჩნდა. რუსი ჯარისკაცები დახოცილებისა და დაჭრილების მიმართ საკონტროლო გასროლას ახორციელებდნენ. მეც გადამატარეს ფეხებზე ავტომატის ჯერი და გონება დავკარგე“.

— ყველა მათგანის ოჯახში იყავი და თითოეული მათგანის ცხოვრებას

ნიკოლოზ ფორჩხიძე

მიხეილ დვალიშვილი

ემზარ წილოსანი

ირაკლი ჯანელიძე

კახა კოშაძე

რუსლან წულაძე

რომან ზოიძე

შმაგი კუპატაძე

ლევან მელქაძე

ფელიქს კაკურიძე

ალექსანდრე ონიანი

ილია გაბუნია

ილია შეყლაშვილი

ვეფხია ჯიშკარიანი

მარლენ ბარამია

ზვიად კაცაძე

თეიმურაზ ბერიძე

გაეცანი. მათში რაიმე საერთო მახასიათებელი თუ აღმოაჩინე?

— კი, ყველა პატრიოტი, სულითა და ხორცით მებრძოლი იყო. მათი ახლობლები თითქმის ერთნაირ ამბებს გვიყვებოდნენ. ეს ბიჭები ერთიან, ძლიერ საქართველოზე ოცნებობდნენ, ფულის გამო არც ერთი არ იყო ჯარში წასული. ამბობდნენ, რომ მათი ვალი სამშობლოსთვის თავგანწირვა იყო. ალბათ, ღმერთმა შეახვედრა ისინი ერთმანეთს... თქვენ უკვე იცით, რომ მიშიკო ლექსებს წერდა. მისი ჩანაწერებიდან ერთ-ორ ფრაზას შეგახსენებთ. „რა გავაკეთეთ ამ ქვეყანაზე? — არაფერი და ამ არაფერს ცხოვრება გვიშლის“; „მე ვარ მე, ყველა განა კაცია“... რუსლან წულაძე შესანიშნავად ხატავდა — სულ ტანკები და ბრძოლის სცენები აქვს დახატული. ბავშვობიდანვე ამბობდა თურმე, — ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო; ფელიქს კაკაურიძე მუსიკოსი ყოფილა, მაგრამ ბავშვობაში თურმე, სულ „ომობანას“ თამაშობდა. ის ამ ბიჭებს შორის ყველაზე უფროსი იყო; სხვათა შორის, ირაკლი ჯანელიძე და ილია შეყლაშვილი საინჟინრო ბატალიონიდან არ ყოფილან, — ისინი ალყაში მოხვედრილი ბიჭების დასახმარებლად მიბრუნდნენ; ილია გაბუნია 2 მეტრი და 15 სანტიმეტრი სიმაღლის იყო. იმ ადგილას, სადაც ის დაეცა, ბალახი დღემდე არ არის ამოსული; რომ ნახოთ, გაოცდებით: მიწაზე მისი სხეულია ამოტვირფული; მარლენ ბარამიამ პატარა ქალიშვილი დატოვა. ის აფხაზეთიდან დევნილი იყო. პატარაობისას თურმე, ბავშვები დასცინოდნენ: — შე ლტოლვილო! — ის კი ტირილით მივარდებოდა მამამისს და ეკითხებოდა, — მე ხომ ქართველი ვარო?! რომ წამოზრდილა, უთქვამს, — ჯარში წავალ და ჩემს მიწას თავად დავიბრუნებო... ემზარ წილოსანმა ერთი წლის ბიჭი და 20 დღის გოგონა დატოვა. მათ სანახავად რომ მივედით, ბავშვები სამხედრო ფორმაში გამოწყობილები დაგვხვდნენ. სხვათა შორის, ილია გაბუნიას შვილიც ფორმით დაგხვდა. ის უკვე პირველკლასელია და ამბობს, რომ ჯარისკაცი უნდა გამოვიდეს; შმაგი კუპატაძე ომში წასვლის წინ ოჯახის წევრებს განსაკუთრებულად თბილად დამშვიდობებია, ძმისთვის გაცილება უთხოვია და წასვლის წინ გულში ჩაუკრავს. ალბათ, ისიც თავგანწირული ბრძოლისთვის ემზადებოდა... ***თეიმურაზ ბერიძეს ორი პატარა, სუსტი ჯანმრთელობის შვილი დარჩა. მათ მკურნალობას ძალიან დიდი თანხები სჭირდება. თქვენი ჟურნალის საშუალებით, ყველას ვთხოვ, მათ დაეხმაროს. ამ ბავშვების მამამ სიცოცხლე გაიღო ჩვენთვის, აფხაზეთის ომშიც იყო ნამყოფი; სადაც გაუჭირდა საქართველოს, ყველგან იბრძოლა, ჩვენ კი მის შვილებს მინიმალური მაინც გავუკეთოთ.***

— მათ მშობლებთან საუბრისას რა შთაბეჭდილება დაგრჩა — ნანობენ, შვილები ჯარში რომ გაუშვეს?

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არ ნანობენ. ალბათ, ასეთ ვაჟკაც ბიჭებს სხვანაირი — სულიერად მტკიცე და ძლიერი დედები ზრდიან. ერთმა მითხრა, — მეამაყება, ჩემი შვილი ომში გმირულად რომ დაიღუპა, მე შესაცოდებელი არ ვარ, საბრალო — ქურდის, ყაჩაღის და ნარკომანის დედა არისო... სხვათა შორის, რუსლან წულაძის დედა რუსია. ძალიან განიცდის, რომ თანამემამულეებმა შვილი მოუკლეს და ამბობს, რომ ის ქართველი ჯარისკაცის დედაა და თუ კიდევ იქნება ომი, მეორე ბიჭსაც საბრძოლველად გაუშვებს... ამ ბიჭების მამები და ძმები თავად ოცნებობენ ომში წასვლაზე. რომან ზოიძის ძმამ, ფრიდონმა, რომელიც სამხედროა, პირდაპირ მითხრა, — სწორედ ახალ ომს ველოდები, რომ ჩემი ძმის საქმე გავაგრძელო და საქართველოს გაერთიანებაში ჩემი წვლილი შევიტანოო. მეგონა, იქვე მდგომი დედამისი შეიცხადებდა, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ თქვა, — ერთი შვილიღა დამრჩა, მაგრამ თუ ქვეყანას დასჭირდა, ამასაც გავუშვებო. ამ გმირებიდან, ზოგს სახლში მცირეწლოვანი შვილი დარჩა, ზოგს კი — გულმოკლული ცოლი, საცოლე ან შეყვარებული. ლევან მელქაძემ სამშობიაროში დატოვა ცოლი და მხოლოდ ერთხელ მოასწრო შვილის ხელში აყვანა. მისმა მეუღლემ კამერის წინ დაიფიცა, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ლევანის ერთგული დარჩებოდა. მიშიკო დვალიშვილი, ზვიად კაცაძე, შმაგი კუპატაძე და ნიკოლოზ ფორჩხიძე დასაოჯახებლად ემზადებოდნენ. სხვათა შორის, ნიკოლოზის შეყვარებულმა მისი ამბავი რომ გაიგო, ნერვული სტრესი დაემართა. ჩვენ მასთან დალაპარაკება ვერ მოვახერხეთ, გვითხრეს, რომ მისთვის ემოციური დატვირთვა არ შეიძლებოდა.

— როგორ ფიქრობ — ეს ბიჭები სათანადოდ არიან დაფასებულნი?

— არა, რას ამბობთ?! ქართველი ხალხის უმრავლესობამ მათი სახელებიც კი არ იცის. ბოლოს და ბოლოს, რუსებმაც კი აღიარეს ისინი გმირებად და მათ ცხედრებს გაძარცვაც კი ვერ აკადრეს. როდესაც დაღუპული ბიჭები უწმინდესსა და უნეტარესს რუსების მიერ დაკავებული ტერიტორიიდან გამოჰყავდა, მის გამცილებელ რუს სამხედროებს თვალები ცრემლით ჰქონდათ სავსე. ძალიან დამწყდა გული იმის გამო, რომ ვეფხია ჯიშკარიანს, რომელიც ამ ომში დაღუპული ერთადერთი კაპიტანია, დაღუპულად არ ცნობენ, — ის ისევ უგზო-უკვლოდ დაკარგულადაა გამოცხადებული.

— რა მიზეზით?

— მისი ცხედარი ნაპოვნი არ არის. არადა, მისმა მძღოლმა თქვა, — ჩემი თვალით ვნახე, სნაიპერის ტყვიამ მოკლა, მერე კი მანქანას, რომელშიც ის იჯდა, ჭურვი მოხვდა და აფეთქდაო. მისი მეუღლე იხვეწება, გამომიცხადონ ქმარი ომში დაღუპულად, რათა ჩემმა შვილებმა მისით იამაყონო. გაურკვეველია კახა კოშაძის ამბავიც: დედა და ძმა ირწმუნებიან, რომ ცხედარი, რომელიც მათ უჩვენეს, კახასი არ იყო. დედამისს ჯერ კიდევ არ ჩაუცვამს „შავები“ და გამუდმებით შვილის მოლოდინშია. ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, ამ ადამიანების ემოციები ფილმში სრულყოფილად გადმოგვეცა.

— თქვენს ფილმს რა ერქმევა?

— ჯერ კიდევ არ გვაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ შეიძლება, „ახალი აკვნები“ ან „შინდისი“ დავარქვათ: ფილმის ბოლო სცენა სოფელ მუქედში (ჩემი ბიძის სახლში), ერთ დიდ ეზოში გადავიღეთ, სადაც 150 წლის სახლი დგას; ეზოში 17 აკვანი დავდგით და ჩვილები ჩავაწვინეთ... ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოში გმირები კიდევ გაიზრდებიან.

— ფილმის პრეზენტაცია როდის იქნება?

— ჯერჯერობით არ ვიცით. ***მის დასასრულებლად თანხა აღარ გვაქვს, მაგრამ არა უშავს, გამოჩნდება რაღაც. მინიმალური თანხების მოძიებისთვის 7 თვე დაგვჭირდა. ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია, გმირებზე ვიღებთ ფილმს, საპნის ოპერას ხომ არ ვაკეთებთ?! მადლობას ვუხდით იმ კომპანიებს, რომლებმაც ფილმი ამ ეტაპამდე მიგვაყვანინეს და ვიმედოვნებთ, კიდევ გამოჩნდებიან დახმარების მსურველები, რომ საქმე დროზე დავასრულოთ.*** ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო უწმინდესსა და უნეტარესს. ამ საქმის დაწყების წინ სწორედ მისგან მივიღეთ ლოცვა-კურთხევა. მინდა, ისიც გითხრათ, რომ ამ თემაზე მხოლოდ ერთი დოკუმენტური ფილმით არ შემოვიფარგლებით — აკა მორჩილაძე სცენარს დაგვიწერს და მხატრულ ფილმსაც გადავიღებთ. გარდა ამისა, კონსულტაციები მიმდინარეობს რობერტ სტურუასთანაც, რათა ამ თემაზე სპექტაკლი დაიდგას. ძალიან გვინდა, მინიმუმი მაინც გავაკეთოთ ამ გმირებისთვის. ფილმი აგვისტოს ომში დაღუპულ ყველა მეომარს ეძღვნება. მასში თითოეული მათგანის სახელი და გვარი გახმოვანდება. ჩვენ ძმათა სასაფლაოზე მამა გიორგი სანამაშვილს პარაკლისი გადავახდევინეთ და ყველა საფლავზე თითო სანთელი დავანთეთ. ■

„პოპ-არტ ბარათი“ „პოპულისგან“

დააგროვე „პოპულარი“ და საჩუქრების ფართო არჩევანი გაქვს

„პოპულმა“ მომხმარებლებისათვის პლასტიკური დაგროვებითი ბარათი „პოპ-არტი“ შექმნა. ამ ბარათის მფლობელი საჩუქრების, ფასდაკლების და გათამაშების აქციებში მიიღებს მონაწილეობას. „პოპ-არტ ბარათი“, კომპანია „პოპულის“ ახალი სტრატეგიის ნაწილია, რაც მომხმარებლისთვის საუკეთესო პირობების შეთავაზებას გულისხმობს.

„პოპ-არტ ბარათი“ „პოპულის“ შიდა მოხმარების ბარათია, რომელზეც აღირიცხება მომხმარებლის მიერ დაგროვილი ქულები. მაგალითად, „პოპულის“ სავაჭრო ქსელში დახარჯულ ყოველ 10 ლარზე, „პოპ-არტ ბარათის“ მფლობელს ბარათზე დაერიცხება 1 „პოპულარი“. შესაბამისად, ქულების დარიცხვა დაგროვებით ბარათზე მოხდება დახარჯული თანხის პროპორციულად: 5 ლარზე დაერიცხება 0,5 „პოპულარი“, 7 ლარზე — 0,7 „პოპულარი“, 16 ლარზე — 1,6 „პოპულარი“, ხოლო 50 ლარის დახარჯვის შემთხვევაში 5 „პოპულარი“. თუმცა „პოპ-არტ ბარათის“ ყველა მფლობელს ბარათზე ავტომატურად დაერიცხება 1,5 „პოპულარი“.

„პოპ-არტ ბარათთან“ ერთად, მომხმარებელი მიიღებს ცნობილი ბრენდის, „ვილეროი და ბოხის“ საჩუქრების კატალოგს, რათა ბარათზე დაგროვილი ქულებით, შემდგომში სასურველი საჩუქარი აირჩიოს. გარდა ამისა, ბარათზე დაგროვილი „პოპულარებით“, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, „პოპულის“ ქსელში წარმოდგენილი ასორტიმენტიდან, 100-ზე მეტი დასახელების პროდუქტი საჩუქრად მიიღოს. ამისათვის კი საგანგებოდ ისეთი პროდუქტები შეირჩა, რომლის იმპორტს საქართველოში მხოლოდ კომპანია „პოპული“ ახორციელებს.

ბარათზე დაგროვილი „პოპულარის“ რაოდენობა აღირიცხება სალაროს ჩეკზე, ყოველი შესყიდვის და ბარათის ტერმინალში გატარების დროს. დაგროვილი „პოპულარის“ ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება მომხმარებელს ასევე შეეძლება ცხელ ხაზზე: 43-11-22 და კომპანიის კორპორატიულ ვებ-გვერდზე (www.populi.ge).

„პოპ-არტ ბარათის“ დარიგება „პოპულის“ სავაჭრო ქსელში 17 ნოემბრიდან მიმდინარეობს.

ევგენი ფიჩხაია, *„პოპულის“ გენერალური დირექტორი:*

— მოგეხსენებათ, რომ „პოპულის“ საქართველოში მაღაზიების ყველაზე ფართო ქსელი აქვს. აქამდე გვქონდა 40 მაღაზია, რამდენიმე დღეში კი ჩვენს ქსელს კიდევ ერთი სავაჭრო ობიექტი შეემატება, რომელსაც აღმაშენებლის გამზირზე ვხსნით. შესაბამისად, აქამდე ჩვენი მთავარი მიზანი სავაჭრო ქსელის გაფართოება იყო. ამიერიდან კი ზრდის ტენდენციას მომხმარებელზე ზრუნვით ჩავანაცვლებთ. სწორედ ამიტომ შევქმენით დაგროვებითი პლასტიკური ბარათი, რომელსაც დარწმუნებული ვარ, შეიყვარებს ჩვენი მომხმარებელი და აქტიურად მოიხმარს კიდეც. მისი მიღების წესი ძალიან მარტივია და საჭიროა მხოლოდ, მომხმარებელმა „პოპულში“ შეიძინოს 15 ლარის ღირებულების პროდუქცია და წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სამი სხვადასხვა დიზაინის ბარათიდან, მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი. ეს ბარათი შევქმენით როგორც ჩვენი მომხმარებლების ლოიალობის ზრდისთვის, ასევე ახალი მომხმარებლების მოსაზიდად.

სანდრო ლომთაძე, *„პოპულის“ მარკეტინგის დირექტორი:*

— „პოპულისთვის“ ყველაზე ძვირფასი და ღირებული მისი მომხმარებელია, ხოლო ამის დასტური იქნება ის უამრავი აქცია, რომელსაც კომპანია ახლო მომავალში მომხმარებლისთვის გეგმავს. ჩვენი პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით „პოპ-არტ ბარათია“, რომელზეც, დახარჯული თანხის პროპორციულად, აღირიცხება პირობითი ერთეული, ქულა სახელად „პოპულარი“. დაგროვილი „პოპულარით“ მომხმარებელი მიიღებს საჩუქრად „ვილეროი და ბოხის“ პროდუქციას ან „პოპულის“ ასორტიმენტიდან აირჩევს პროდუქტს, რომელზეც ფასთან ერთად მითითებული იქნება მისი ღირებულება „პოპულარში“. „პოპ-არტ ბარათი“ არის უვადო და მისი გამოცვლა, თავიდან მიღება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დაკარგავს ბარათს ან დაუზიანდება.

ლიკა მიქაუტაძე, *„პოპულის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:*

— სპეციალური სასაჩუქრე კატალოგი შეიქმნა იმისთვის, რომ „პოპ-არტის“ მფლობელმა, დაგროვილი „პოპულარის“ შესაბამისად, მარტივად შეძლოს სასურველი პროდუქტის შერჩევა. საჩუქრების გაცემა დაიწყება მიმდინარე წლის 17 დეკემბრიდან, მანამდე კი მომხმარებელმა ბარათზე ქულები უნდა დააგროვოს.

სავაჭრო ქსელი „პოპული“ საცალო და საბითუმო გაყიდვების ბაზარზე 2001 წლიდან არსებობს და ამ დროისთვის 40 მაღაზიას აერთიანებს. ქსელში დასაქმებულია 1500-ზე მეტი თანამშრომელი. დღეისათვის სს „პოპული“ სამ ფორმატში ოპერირებს: „პოპული სუპერმარკეტი“, „პოპული ექსპრესი“ და „პოპული XL“.

„პოპულის“ აქციონერები არიან წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები, ისეთები, როგორიც არის „საქართველოს ბანკი“, ამერიკული საინვესტიციო კომპანია „ფაიარბერდ აურორა ფონდი“, გერმანული საინვესტიციო ჯგუფი „ოსტინვესტორი“ და შვედური საფინანსო ინსტიტუტი „ისტკაპიტალი“. ■

ტელეჟურნალისტები ევროსასამართლოში საჩივლელად მზად არიან

ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი ჟურნალისტები საქართველოს ხელისუფლებას ევროსასამართლოში უჩივიან. საჩივარი 2007 წლის 7 ნოემბერს ტელევიზიის გახმაურებულ დარბევას ეხება. ყველას კარგად ახსოვს, როგორ უშენდნენ რეზინის ტყვიებს ჟურნალისტებს და ისინი გაზით მოწამლულები როგორ გადაჰყავდათ საავადმყოფოებში. ფაქტია — ამდენი ხნის შემდეგაც ამ დარბევისთვის არავინ დასჯილა. ადვოკატი ლია მუხაშავრია, რომელსაც საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, დარწმუნებულია, რომ ამ საქმეებს ევროსასამართლოში მოიგებს.

თეა ხურცილავა

ეს იყო დანაშაულებრივი ქმედება, როგორც საკუთარი საზოგადოების, ისე ჟურნალისტების და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ

ლია მუხაშავრია:

— ჩვენ შევადგინეთ კითხვარი, რომელიც ჟურნალისტებს 7 ნოემბერს ტელევიზიაში მომხდარი მოვლენების აღწერაში დაეხმარება. სტრასბურგში 3 დაზარალებულს ვიცავთ: ინასარიძე, თევდორაშვილი და გიგაშვილი იმ დღეს რიყეზე ფეხში დაჭრეს. მათ წინააღმდეგ ე.წ. „დუმ-დუმის“ ტიპის ტყვიები გამოიყენეს, რომელიც აკრძალულია. სამივეს უმძიმესი ტრავმა ჰქონდა, მრავალი მოტეხილობა, ქსოვილებისა და კუნთების მრავალი დაზიანება, დამწვრობა. ძალიან სერიოზული მკურნალობა გაიარეს, მაგრამ ინასარიძე დღემდე ფეხზე ვერ დგება, მას ოპერაცია სჭირდება, იმ 2 ახალგაზრდას კი — რეაბილიტაცია. აშკარაა მათი სიცოცხლის უფლების ხელყოფა, არაადამიანური მოპყრობა. იმ დღეს დაირღვა შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება... ვიცოდით, რომ სოსო ბარათაშვილი და შალვა შავგულიძე ტელეკომპანია „იმედის“ ადვოკატები იყვნენ. ვინაიდან ამ კომპანიის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ახალმა ხელმძღვანელობამ სტრასბურგში საქმის გასაჩივრებაზე უარი თქვა, აღმოჩნდა, რომ მაშინდელი ჟურნალისტების სარჩელი სტრასბურგში ვეღარ წავიდოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, შეგვეთავაზებინა ჩვენი დახმარება ჟურნალისტებისთვის და წერილით მივმართეთ გიორგი თარგამაძეს. 7 ნოემბერს სახალხო დამცველის ოფისში 17 ჟურნალისტი შეიკრიბა და შევთანხმდით — სარჩელი მომზადდება.

გიორგი თარგამაძე, გიორგი ახვლედიანი, ლევან ვეფხვაძე, მაგდა ანიკაშვილი, თეა სიჭინავა, დიანა ტრაპაიძე და „იმედის“ კიდევ ბევრი ყოფილი ჟურნალისტი თანახმაა, უჩივლოს საქართველოს ხელისუფლებას. უკვე რამდენიმე განაცხადი ოფიციალურად შევიდა ორგანიზაციაში — „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ და იურისტების ჯგუფი ამ საკითხებზე აქტიურად მუშაობს. „თითოეულ ჟურნალისტთან დეტალურად გავივლით კონსულტაციას. საჩივრებს ვამზადებთ, მაგრამ ჯერ შიდა სამართლებრივი ინსტანციები უნდა ამოვწუროთ, მივმართოთ პროკურატურას და ვნახოთ, დღემდე ამ კუთხით რაიმე გააკეთა თუ არა. შემდეგ შევა საჩივარი მთავარ პროკურორთან და უკვე ხელ-ფეხი გახსნილი იქნება ევროსასამართლოსკენ“, — დასძენს ლია მუხაშავრია. მისი თქმით, უკვე შეიტანეს განაცხადი თეა სიჭინავამ, მაგდა ანიკაშვილმა, ირაკლი მოსეშვილმა, ასევე — რადიო „იმედის“ ორმა ჟურნალისტმა.

ლია მუხაშავრია:

— ჟურნალისტებმა თავის დროზე პროკურატურაში წარადგინეს განმარტებები და რეაგირებას ელოდნენ. აღმოჩნდა, რომ არაფერი გამოუძიებიათ... მოქალაქე ინასარიძისა და იმ ორი დაზარალებული ახალგაზრდის საქმე სტრასბურგში ძალიან საინტერესოდ მიდის; 2 კვირის წინ სასამართლოს გავუგზავნეთ დამატებითი ინფორმაციები. იქ აღნიშნულია, რომ ეს 3 ადამიანი დღემდე გამოძიებას დაზარალებულადაც არ უცნია. არადა, უბრალო ადამიანებმა იხსნეს, სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, თორემ ნამდვილად დაიღუპებოდნენ. მათ საქმეებში აქცენტი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე გაკეთდა... რაც შეეხება ჟურნალისტების საქმეებს, სტრასბურგში მათი გაგზავნა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება ურთიერთობა პროკურატურასთან. ვფიქრობთ, ამისთვის მაქსიმუმ 6 თვე დაგვჭირდება, მაგრამ მერწმუნეთ, საქმე ამად ღირს... ვფიქრობ, დაზარალებული ჟურნალისტების რიცხვი გაიზრდება: საქმე მხოლოდ „იმედის“ ჟურნალისტებს როდი ეხება — ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ყველა ჟურნალისტი, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს ქუჩაში მუშაობდა და მოიწამლა ან სხვაგვარად შეეშალა ხელი. სხვებმაც გამოთქვეს სურვილი და ყველას აღმოვუჩენთ საადვოკატო მომსახურებას, მათ შორის, ბათუმის ჟურნალისტებს, — ისინი იქ მომხდარი დარბევისას დაზარალდნენ.

ჯერჯერობით უცნობია — შეიტანს თუ არა საჩივარს ცნობილი ჟურნალისტი ინგა გრიგოლია, რომელიც იმ დღეს საავადმყოფოში მოხვდა. ამჟამად ინგა საქართველოში არ იმყოფება და ამიტომ მისი პოზიციის დაფიქსირება ვერ შევძელით. ყოფილი ჟურნალისტი მაგდა ანიკაშვილი კი ამბობს, რომ ეს აუცილებელია, რათა შემდგომში მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდეს.

მაგდა ანიკაშვილი:

— ყველასთვის ნათელია, რომ ეს იყო დანაშაულებრივი ქმედება, როგორც საკუთარი საზოგადოების, ისე ჟურნალისტების და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ ქრისტიან-დემოკრატები ვფიქრობთ, რომ ასეთი ქმედება, ვის მიერაც უნდა იყოს ჩადენილი, აუცილებელია, დაისაჯოს... პირველ დღეებში დაგვკითხეს ყველა, ვინც მაშინ „იმედში“ ვმუშაობდით. მაშინ ტელეკომპანიას სოსო ბარათაშვილი და შალვა შავგულიძე იცავდნენ. ჩვენ მზად ვიყავით

პროცესისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომპანიის მფლობელთან დაკავშირებით პრობლემა და სრულიად უსამართლო სიტუაცია შეიქმნა და ხელმძღვანელობაც შეიცვალა, ადვოკატები ტელეკომპანიის სახელით ველარ იმოქმედებდნენ. ამიტომ დადგა საკითხი, რომ თითოეულმა ადამიანმა, ვისი უფლებაც შეილახა, თავად მიმართოს სასამართლოს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველა, ვისაც სასამართლოში სარჩელი შეაქვს, ძალიან კარგად აცნობიერებს ამას: ეს არ კეთდება შურისძიების ან მატერიალური მოგების მიზნით. ეს საქმე ძალზე მნიშვნელოვანია პრეცედენტის შექმნის თვალსაზრისით — რომ ამ ქვეყანაში აღარ არღვევდნენ კანონს; სწორედ ამისთვის ვაკეთებთ ამას ყოფილი „იმედელები". გაუგებრობის გამო ბევრი დრო დავკარგეთ — ორი წელი გავიდა. მაგრამ ჩვენ ძალიან მოტივირებული ვართ, რომ უსამართლობისთვის დამნაშავემ პასუხი აგოს. ჩემს კოლეგებს რეზინის ტყვიები, ხელკეტები მოხვდათ; ჟურნალისტ გოგონას, რომელიც პრაქტიკანტი იყო, თავში ხელკეტი ჩაარტყეს; ინგა გრიგოლია მოწამლული იყო; ორსულ დიანა ტრაპაიძეს სირბილმა მოუწია და მადლობა უნდა ვთქვათ, რომ თავში არ ჩაარტყეს... ყველამ იცის, რომ არც ერთი ადამიანი არ დასჯილა. მანიფესტაციაში მონაწილე არც ერთი დაშავებული მოქალაქეც არ უცნიათ დაზარალებულად. ისეთი სიტუაციაა, თითქოს ეს ყველაფერი არც მომხდარა, რაც ცინიზმია. პროკურატურაში არანაირი საქმის წარმოება არ მიმდინარეობს...

ჯერჯერობით უცნობია — მორალური ზიანისთვის ჟურნალისტები სახელმწიფოსგან რა თანხას მოითხოვენ და ისიც, გამონახავს თუ არა რაიმე გზას ხელისუფლება იმისთვის, რომ ეს საქმეები სტრასბურგამდე არ მივიდეს. ნათელია, რომ საერთაშორისო სასამართლოში საქმის წაგების შემთხვევაში ხელისუფლებას საკმაოდ დიდი თანხების გადახდა მოუწევს. ამის მაგალითი მრავლად არსებობს... ■



უცნობია — შეიგანს თუ არა საჩივარს ცნობილი ჟურნალისტი ინგა გრიგოლია, რომელიც იმ დღეს საავადმყოფოში მოხვდა

რას ეძებდა მკვლელი გენერლის სეიფში

თამაზ ნინუას სახლიდან ოქროულობაც წაუღიათ

13 ნოემბერს, თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მეშვიდე სართულზე უშიშროების გენერალი თამაზ ნინუა და მისი მეუღლე ეთერი მოკლულები იპოვეს. შემზარავი ფაქტი წყვილის ქალიშვილმა აღმოაჩინა. ის დილიდან ცდილობდა მშობლებთან დაკავშირებას, მაგრამ ტელეფონზე არავინ უპასუხა. დღის 3 საათზე ბინაში ვაჟიშვილთან ერთად მივიდა და შემზარავი სურათი დახვდა: ბატონი თამაზი სავარძელში იყო ჩაცხრილული, ხოლო მისი მეუღლე საძინებელ ოთახში იპოვეს მოკლული. ცოლ-ქმარს ტყვია თავში აქვს მოხვედრილი. სავარაუდოდ, ისინი მაყუჩიანი იარაღით მოკლეს, რადგან სროლის ხმა მეზობლებს არ გაუგონიათ. ამბობენ, რომ მკვლელმა იშვიათი სახეობის იარაღი გამოიყენა.

თეა ხურცილავა

სავარაუდოდ, ის ოჯახთან დაახლოებული პირი იყო. ეს ეჭვი თავიდანვე გაჩნდა, რადგან ბინის კარი დაზიანებული არ იყო, — ე.ი. დამნაშავეს კარი გაუღეს და შინ შეუშვეს.

მომხდარზე, 2 ადამიანის განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ძალოვნები რამდენიმე საათი შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ და მტკიცებულებების მოპოვებას ცდილობდნენ. ექსპერტიზის საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ ცნობილია, რომ ცოლ-ქმარი ბოროტმოქმედმა თითო ტყვიით მოკლა. ორივეს სასიკვდილო ჭრილობა თავში აქვს.

ძალოვნები მკვლელობის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობენ, მაგრამ ოფიციალური ვერსიები არ ხმაურდება. არაოფიციალურად კი საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა. ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, თამაზ ნინუას მკვლელობა რუსულ სპეცსამსახურებს უკავშირდებოდეს. ამბობენ, მას ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ინფორმაცია ჰქონდა და მისი მკვლელობა პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნასთანაა დაკავშირებულიო; ამ ვერსიის ნაკლებად სჯერათ მის ყოფილ კოლეგებსა და მეგობრებს. მეორე ვერსიით, მკვლელობა შესაძლოა, ნინუას ბიზნესსაქმიანობას უკავშირდებოდეს, მაგრამ როგორც ირკვევა, ის დიდ ბიზნესში არ იყო ჩაბმული. მესამე ვერსიით, შესაძლოა, მომხდარი, უბრალოდ, პირადი ანგარიშსწორების შედეგია. იმედია, ძალოვნები ერთადერთ სწორ ვერსიას საბოლოოდ დაადგენენ.

უშიშროების გენერალი, 67 წლის თამაზ ნინუა ძალოვანი სტრუქტურიდან 2003 წელს პენსიაში გავიდა. 1962 წლიდან, ის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს უშიშროების მაშინდელი მინისტრის, ოთარ ხატიაშვილის მოადგილე იყო, ხოლო ხატიაშვილის გადადგომის შემდეგ, რამდენიმე თვე ასრულებდა მინისტრის მოვალეობას. როგორც ცნობილია, შემდეგ, როცა სამხედრო საბჭო ამოქმედდა, ნინუა თანამდებობიდან გადადგა. წლების მანძილზე უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროებში მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. როგორც ახლობლები ამბობენ, პენსიაზე გასვლის შემდეგ მცირე ბიზნესი ჰქონდა. მისი მეუღლე, ქალბატონი ეთერი 64 წლის გახლდათ. პროფესორი გერმანისტი ქალბატონი უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. ნინუების ქალიშვილი ექიმია და 22 წლის შვილი ჰყავს.

მომხდარით შეწუხებულები არიან მოკლულთა ნათესავები და ახლობლე-

ბი. მათ ვერ აუხსნიათ, ვინ და რატომ გაიმეტა ასე სადისტურად ცოლ-ქმარი.

„თამაზი მთელი სანათესაოს ზურგი იყო, ძალიან კარგი ადამიანი. მასზე განაწყენებული, არა მგონია, ვინმე ყოფილიყო. ვერ აგვიხსნია, რატომ გაიმეტეს ისინი, ასე სადისტურად რატომ მოგვიკლეს. ფაქტია, მკვლელს თამაზი კარგად იცნობდა, რადგან ბინის კარი გაუღო და სახლში შეიყვანა. ჩვენთვის უცნობია, რას ეძებდნენ დამნაშავეები. როგორც ჩანს, თამაზს სეიფის კარი გააღებინეს და იქიდან რაღაც წაიღეს, სავარაუდოდ — საბუთები; თან გაიყოლეს ოჯახის ოქროულობაც, რომელსაც სეიფში ინახავდნენ. იმედია, დანაშაული მალე გაიხსნება“, — *გვითხრა ოჯახის ნათესავმა.*

ჯემალ გახოკიძე

ამბობენ, ყაჩაღობის ვერსია ნაკლებად სარწმუნოა, რადგან სახლიდან სხვა ნივთები წაღებული არ არის.

უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვახტანგ ქუთათელაძე ყოფილი მოადგილის მკვლელობას ვერაფრით ხსნის. ამბობს, რომ თამაზ ნინუას გახმაურებული კონფლიქტი არასდროს ჰქონია. კოკო გამსახურდია კი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ნინუას პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონოდა.

ვერც მეზობლებს აუხსნიათ მომხდარი. ისინი გულისტკივილით იხსენებენ დახოცილებს და დანაშაულის გახსნას ითხოვენ.

„ეს ძალიან დიდი ტრაგედიაა. ვერ აგვიხსნია, რატომ ჩახოცეს უბოროტო ადამიანები, ვერ წარმოგვიდგენია, რომ მათ მტერი ჰყოლოდათ. არც ერთ მეზობელს საეჭვო არაფერი შეუმჩნევია, ოჯახსაც არა აქვს ვერსია“, — *გვითხრა ერთ-ერთმა მეზობელმა.*

მიცკევიჩის ქუჩა გადაჭედილი იყო სამძიმარზე მისული ადამიანებით. მათ შორის, ძალოვანი უწყებების ყოფილი მაღალჩინოსნები იყვნენ — ისინი, ვისაც უამრავი გახმაურებული მკვლელობა თავად გამოუძიებიათ. იდგნენ და მომხდარის ირგვლივ მსჯელობდნენ. იმედოვნებენ, რომ მოქმედი ძალოვნები დამნაშავეს გამოავლენენ და მკვლელობის რეალური მოტივი მალე გაცხადდება.

გენერალი ***ჯემალ გახოკიძე*** *მოკლული თამაზ ნინუას მეგობარი იყო. ისინი წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ.*

— ჩვენ დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს. თამაზი ძალიან კარგი პიროვნება იყო — გაწონასწორებული, საქმის მცოდნე, პროფესიონალი, კარგი მეოჯახე. ვერ ნახავთ ადამიანს, ვინც მასზე ცუდს იტყვის. მის მეგობრებსა და იმ ადამიანებს, ვინც თამაზს იცნობდა, ვერ აგვიხსნია, როგორ შეიძლებოდა, ასე გაემეტებინათ იგი?! მე და თამაზმა ერთად ვიმუშავეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში, მერე ის ჩემზე ადრე გადავიდა უშიშროებაში. ორივე, მინისტრის მოადგილეები ვიყავით. მინისტრი რომ გავხდი, ჩემი მოადგილე გახლდათ. მერე სამეცნიერო საქმიანობას მიჰყო ხელი. კარგა ხანს მუშაობდა ამ სფეროში. ერუდირებული ადამიანი იყო.

— ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა ზვიად გამსახურდიას საქმეს უკავშირდება. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდით და ალბათ შეხება გქონდათ გამსახურდიას მკვლელობის საქმესთან. ყველაზე კარგად თქვენ გეცოდინებათ, რა ინფორმაცია შეიძლებოდა ჰქონოდა თამაზ ნინუას?

— თავიდანვე გეტყვით, რომ ზვიად გამსახურდიას საქმესთან არანაირი შეხება არ მქონია. თამაზის ყველა მეგობარს რატომღაც, ნაკლებად შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს ვერსია რეალური იყოს. მე და თამაზს გამსახურდიას მკვლელობის თემაზე არასდროს გვიმსჯელია.

— მეორე ვერსიით, მკვლელობა ბიზნესს უკავშირდება. ხომ ვერ გვეტყვით, რა ბიზნესი ჰქონდა?

— არ ვიცი. რაღაცას საქმიანობდა, მაგრამ ისეთ ბიზნესში არ ყოფილა, რომ რამით გამორჩეული ყოფილიყო. ერთი რამ ვიცი — მატერიალურად არ ულხინდა. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც სამძიმარზე მოვიდა... არა ვარ დილეტანტი, მაგრამ მართლა ვერ გამიგია, ასე საშინლად რატომ გაიმეტეს. მოტივაცია ჩემთვის გაუგებარია. მერწმუნეთ — თანამდებობის მიუხედავად, თამაზზე განაწყენებულ ადამიანს ძალიან იშვიათად ნახავდით. თუ რაიმე პრობლემა წამოიჭრებოდა, ის ყოველთვის ცდილობდა, სიტუაცია ისე მოეგვარებინა, რომ ვინმე მასზე ნაწყენი არ დარჩენილიყო. უბოროტო კაცი იყო... გამოძიება მაღალ დონეზე ჩატარდება და ეს დანაშაული გაიხსნება. არ შეიძლება, ეს დანაშაული დაიმალოს და დაიფაროს. ძალიან მძიმე დანაშაული მოხდა და უნდა გაიხსნას.

— ძალოვნებთან ხომ არ გქონიათ ამ თემაზე საუბარი? ხომ არ იცით, განსაკუთრებული აქცენტი რომელ ვერსიაზე კეთდება?

— ამით დაინტერესება ჩვენი მხრიდან არ შეიძლება. ვიცი, რომ ყველა ვერსია შემოწმდება, ყველა ვერსიაზე უნდა იმუშაოს გამოძიებამ, ძალიან უმნიშვნელოსაც ალბათ გადაამოწმებენ და საქმე გაიხსნება. კრიმინალისტები დიდხანს მუშაობდნენ შემთხვევის ადგილას და, როგორც ვიცი, ყველა თანამედროვე საშუალება გამოიყენეს. დღეს კრიმინალისტიკა ძალიან მაღალ დონეზეა ასული და ვფიქრობ, ამ დანაშაულის გახსნა არ გაჭირდება.

— მის მეუღლეზე რა შეგიძლიათ, გვითხრათ?

— კარგად ვიცნობდი ქალბატონ ეთერს. ძალიან განათლებული, ინტელექტუალი, პროფესორი ქალბატონი, ცნობილი გერმანისტი იყო. დიდი სიამოვნება იყო მასთან საუბარი...

— ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახეზეა შეკვეთილი მკვლელობა, რადგან ისინი საკონტროლო გასროლით დახოცეს?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო საკონტროლო გასროლა: ორივეს თითო ტყვია აქვს თავში მოხვედრილი, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს წინასწარ გამიზნული მკვლელობა იყო.

P.S. ერთი რამ აშკარაა: დანაშაული პროფესიონალმა ჩაიდინა და მას ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ჰქონდა. არ გასჭირვებია, თითო გასროლით მოეკლა ცოლ-ქმარი და შემთხვევის ადგილიც დაეტოვებინა. ისიც ცნობილია, რომ მაყუჩიანი იარაღის შოვნა ადვილი არ არის. დატოვა თუ არა ბოროტმოქმედმა შემთხვევის ადგილზე ისეთი კვალი, რომელიც გამოძიებას დანაშაულის გახსნაში დაეხმარება, რა მოხდა რეალურად, რატომ ჩახოცეს ცოლ-ქმარი? — იმედია, ამ მთავარ კითხვებს გამოძიება პასუხს მალე გასცემს.

■

MK

სახე

ლალი მოროშკინას მეორე ქმარი მისი პირველი ბიზნესპარტნიორი გახდა

„ის, რომ ჩემი წიგნი, ფაქტობრივად, გამოცემისთანავე ბესტსელერად იქცა, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია“, — ამბობს ლალი მოროშკინა და კვლავაც აქტიურ ცხოვრებას განაგრძობს. მან 18 ნოემბერს, საკუთარ დაბადების დღეს კრეატიული კომპანია — „მოროშკინა და კომპანია“ დააარსა და „ვარდების ბაღში“ პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალიტებს კი, რომელთაც ჩვეულებისამებრ, სკანდალური ინფორმაცია დაახვედრა (მან ახალ საქმეში პარტნიორად, მეორე ქმარი აირჩია), გემრიელი ტორტითაც გაუმასპინძლდა. მაგრამ ლალისთან საუბარი მე მაინც მისი წიგნით დავიწყე.

ლალი ფასია

— ელოდი ასეთ წარმატებას?

— ნამდვილად არა. ადამიანები თურმე ელოდნენ იმ ინფორმაციას, რომელიც წიგნში ჩავდე... გამოგიტყდები, რომ მქონდა შეფარული შიშიც კი, რომ საშუალო ასაკის ქალბატონები წიგნის წაკითხვის შემდეგ გამინაწყენდებოდნენ, რადგანაც ძალიან გაქილიკებული მაქვს ბევრი ქართული ოჯახური ტრადიცია, რომელიც პრაქტიკულად, ჩვენს ყოფას ამძიმებს: ისინი ხშირად, გაუკულმართებულ ფორმას იღებს... მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა — სწორედ იმ ქალბატონებმა, ვისიც მეშინოდა, ეს ნაბიჯი შემიქეს: მთელი ცხოვრება ზუსტად ასე ვფიქრობდით და სიმამაცე არ გვეყო, რომ ეს ხმამაღლა გვეთქვაო... ასე რომ, ქალბატონების გულიც მოვიგე და მამაკაცებიც ძალიან დაინტერესა წიგნში იმ ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებიც საკმაოდ ვრცლად მაქვს აღწერილი. მახარებს ისიც, რომ წიგნთან დაკავშირებით, რუსეთის რამდენიმე ძლიერი საინფორმაციო სააგენტო შემეხმიანა. მათ ერთხმად აღნიშნეს, — სამწუხაროა, რომ დღეს რუსეთში არ არის საიმისო სიტუაცია, რომ პუტინისა და მედვედევის კრიტიკის შემცველი წიგნი გაიყიდოსო... თუმცა შემომთავაზეს, შემეცვალა გარკვეული თავები ომზე და შესაძლოა, წიგნი ბეჭდვაში რუსეთშიც გაეშვათ... როდესაც შენს წიგნს იმის გამო კრძალავენ, რომ შენს პოლიტიკურ შეხედულებებს არ ეთანხმებიან, ესეც ერთგვარი გამარჯვებაა!..

— წიგნში, გარდა ტრადიციებისა, ჩვენი ხელისუფალნიც გყვანან გაქილიკებული...

— მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში არის ხელისუფლების კრიტიკა, კერძოდ — პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, მინისტრების, — წიგნი მაინც იყიდება პარლამენტის ჯიხურში. ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკა მათ მიიღეს...

— მთავარი პერსონაჟები, ვინც წიგნის სათაურში — „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ — ფიგურირებს, არ გამოგეხმაურნენ?

— გიორგი კანდელაკზე შეჩერება არ მინდა, რადგანაც მისგან, ცუდის გარდა, არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა... რაც შეეხება პრეზიდენტს — მის ბოლოდროინდელ გამოსვლებში „ამოვიკითხე“ ფრაზები ჩემი წიგნიდან. მას კარგად ვიცნობ და მიეხვდი, რომ წიგნის ზოგიერთი თავი მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. კერძოდ, თავი ჩეჩნების შესახებ. მას პირდაპირ ციტატები ჰქონდა მოტანილი ჩემი წიგნიდან. ასევე სერიოზულად მიიღო თავი ოკუპაციაზე... თუნდაც ამ დამოკიდებულების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ წიგნი ამ ადამიანმა მიიღო. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა...

— ახალი კრეატიული ჯგუფის — „მოროშკინა და პარტნიორი“ — დაარსება საკუთარ დაბადების დღეს — 18 ნოემბერს რას ნიშნავს?

— მინდოდა, რაღაცნაირად, ანგარიში ჩამებარებინა საზოგადოებისთვის იმის შესახებ, თუ რა გამიკეთებია 40 წლის ასაკისთვის... მე, რომელიც ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ დავცურავ, მინდა, ის კლიშეც დავამსხვრიო, რომ 40 წლის იუბილეს აღნიშვნა არ შეიძლება. რატომაც არა?! ეს ძალიან მნიშვნელოვანი ასაკია!.. ამ დროს შენ მიერ განვლილი წლების გადაფასება-შეფასებას ახდენ. ჰოდა, მეც შევაფასე: მყავს ორი შვილი, დავწერე წიგნი და კიდევ რაღაცის, საინტერესოს გაკეთებაც გადავწყვიტე და ეს გახლავთ კრეატიული კომპანია — „მოროშკინა და პარტნიორი“; ამ კომპანიის მიზანია, ლამაზად „შეფუთოს“ ესა თუ ის დღესასწაული, საზეიმო ცერემონია. ჯგუფის პირველი საპრეზენტაციო ღონისძიება მინდა, 31 დეკემბერს გავმართოთ. ეს იქნება საახალწლო მეჯლისი. ვფიქრობ, რომ ყველას მოგვენატრა დიდი ზეიმი. ალბათ მავანი იტყვის, — რა დროს ზეიმი და გართობაა, როცა ქვეყანაში მთლად საზეიმო სიტუაცია არ არისო?! — მაგრამ თუ საკუთარი თავი არ გავამხნევეთ, არაფერი გამოგვივა. თანაც, ახალი წლის ღამე სწორედ ის გამონაკლისია, როდესაც შეგვიძლია, თავი გავინებივროთ. ამ შემთხვევაში კომპანია მატერიალურ მოგებაზე არ არის ორიენტირებული; პირველ ჯერზე ვეცდები, რომ ფასი მინიმალური და ბევრისთვის ხელმისაწვდომი იყოს. მაგრამ საუბარი აუცილებლად იქნება ხარისხზე. ვისთანაც ვპარტნიორობ, ამ ჯგუფმა თბილისის ზღვაზე ლამაზი „შუშის სასახლე“ ააშენა. ამ კომპანიასა და საერთოდ, იმ ადგილს ჩემი ყოფილი მეუღლე ხელმძღვანელობს...

— რომელი?

— მეორე, რომლისგანაც მყავს შვილი

— გიორგი. გადავწყვიტეთ, გავაერთიანოთ საკუთარი ძალისხმევა და ერთად ვაკეთოთ საქმე. გარდა იმისა, რომ ამ სასახლეში საახალწლო ღონისძიება ჩატარდება, იქ გაიმართება ქორწილები, საზეიმო დაჯილდოებები, მიღებები, პრეზენტაციები — ანუ ნებისმიერი ხასიათის ზეიმი. შენობა მართლაც რომ ლამაზია, მოწყვეტილია ქალაქურ ქაოსს და შეიძლება ითქვას, რომ „ჩაფლულია“ ზღვაში. ვფიქრობ, რომ მართლაც კარგი სანახაობა გამოვა...

— რატომ გადაწყვიტე, რომ ბიზნესპარტნიორი შენი ყოფილი ქმარი ყოფილიყო?

— იმიტომ, რომ ის საქმეში გამოცდილი ადამიანია და ნამდვილად კარგი პარტნიორია.

— ან იქნებ, ეს შენი მორიგი ავანტიურისტული ნაბიჯია?..

— ჩემი ნებისმიერი გადაწყვეტილება რატომღაც, ავანტიურისტულად ინათლება... თუმცა უცნაურს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ყოფილი მეუღლეები საქმეში შეიძლება, კარგი პარტნიორები იყვნენ, თუკი ისინი წინათ საერთო ენას პოულობდნენ... და თუ გაყრილ ცოლ-ქმარს ერთმანეთთან დღეს სადავო არაფერი აქვს, სრულიად შესაძლებელია, ბიზნესში კარგი პარტნიორები აღმოჩდნენ. ჩვენ ხომ ერთმანეთი გაცოცდილი გვყავს ყველანაირ საქმეში, ჭირიცა და ლხინიც ერთად გვაქვს გავლილი.

— ამ გამოწვევაზე ის მაშინვე დაითანხმე?

— ჩვენ დღემდე ბევრ საქმეს ვაკეთებთ ერთად. მიშიკო მონაწილეობდა ჩემი წიგნის პრეზენტაციაში. ის ღვინის კომპანიის დირექტორია და წიგნის პრეზენტაციაზე ღვინოც მომართვა. ვიმეორებ, ის ყველა საქმეში გვერდით მიდგას და ამიტომაც შემიძლია, ამ ადამიანს დავეყრდნო.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საქმეში დაწყებულ პარტნიორობას შესაძლოა, თქვენი ოჯახის აღდგენაც მოჰყვეს?

— ამაზე ფიქრი არ მინდა. გამოგიტყდები, რომ საქმეში ბევრად უკეთესი ვარ, ვიდრე ოჯახში, საქმიანი ურთიერთობა უკეთ გამომდის. ასე რომ, რაც უკეთ გამომდის, იმას გავაკეთებ. მერე რა იქნება, ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. წლების წინ არც ის ვიცოდით, რომ ჩვენი ოჯახი დაინგრეოდა. როგორც ჩინელები ამბობენ, — ყველაფერ ცუდში არის კარგი მარცვალი და — პირიქით. ჰოდა, ჩვენც კარგ მარცვალს ჩავეჭიდეთ და ერთად კარგი საქმის კეთება დავიწყეთ.

მიხეილ ღოთვაძე, *ლალის ყოფილი მეუღლე:*

— მე და ლალი ერთად ვზრდით ორ ბიჭს, რადგანაც ლალის უფროსი ვაჟი — სანდრო არასდროს გამირჩევია ჩემი გიორგისგან. მიგვაჩნია, რომ საერთო ბიზნესში ჩვენი პარტნიორობა შვილებისთვის მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება. ლალის, როგორც პარტნიორსა და საქმიან ადამიანს, ყოველთვის შეიძლება, დავეყრდნო. როგორც პარტნიორი, ის საქმეში არაერთხელ გამომიცდია და ვიცი, ამ შემთხვევაშიც მასთან ერთად გაკეთებული საქმეც გამოგვივა... ■

საგანძური

ფილმი ქართულ საგალობლებზე

რა ხვედრი ელის „ხვედრს“ პრემიერის შემდეგ?

ძველად საგალობელი სიმღერასაც ერქვა და მის ტექსტსაც, ერთიანად კი ქართული საგალობელი დღევანდელი საქართველოს მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. X საუკუნეში ოშკის ტაძარში ცნობილი ქართველი მწერალი მიქაელ მოდრეკილი მოღვაწეობდა. სწორედ მას შეუდგენია საგალობელთა დიდი კრებული, რომელშიც ქართული და ბერძნულიდან ნათარგმნი ჰიმნები შეუტანია და სანოტო ნიშნებიც დაურთავს... ქართული საგალობლის სილამაზე მის მრავალხმიანობაშია, რაც საგალობელს თვითონ შეუთვისებია ხალხური სიმღერისგან, თუმცა ქართულ ეკლესიაში ერთხმიანი საგალობლებიც იგალობება. ქართულ საგალობელზე ბევრი ფილმიც გადაუღიათ, ერთ-ერთ უახლესზე და წინამორბედებისგან განსხვავებულზე კი ახლა გიამბობთ. ფილმის რეჟისორი ნანა ჯანელიძე გახლავთ, პროდიუსერი — ირაკლი ტრიპოლსკი, იდეისა და სცენარის ავტორი კი ჟურნალისტი თემურ ჭკუასელი. ფილმზე სასაუბროდ სწორედ ბატონ თემურს ვეწვიეთ.

ირმა ხარშილაძე

— როგორც ბევრი რამ, ეს ფილმიც საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ და ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსეს. ფილმის გადაღებამდე რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ, მე და პროდიუსერმა ირაკლი ტრიპოლსკიმ ორგანიზაცია „ოთხთა კავშირი“ შევქმენით...

— მეოთხეზე არაფერი გითქვამთ...

— მეოთხე გამოგვეყო, მაგრამ სახელი არ შეგვიცვლია და არც ვაპირებთ შეცვლას — სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არის სიტყვა „სტუქო“, რომელშიც, ალბათ, ოთხი სტიქია იგულისხმება: წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა. და ჩვენი ორგანიზაციის სახელწოდებაშიც სწორედ ამ ოთხი სტიქიის ერთიანობას ვგულისხმობდით. როდესაც ქალბატონ ნანას წასაკითხად სცენარი მივუტანე, — ახლა ცოტათი თავსაც შევიქებ (*იცინის*), — დაიტოვა, მაგრამ თურმე სხვა პროექტზე აპირებდა მუშაობას და მოგვიანებით გამომიტყდა, წაკითხვას კი ვფიქრობდი, მაგრამ მაინც უარის თქმას ვაპირებდიო. რომ წაუკითხავს, ჩანს, ძალიან მოსწონებია, რადგან 40 წუთში დამეთანხმა გადაღებაზე. ჩვენს ფილმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ამბებზეა ლაპარაკი ანუ საქართველოს ცხოვრების იმ პერიოდს ვიხსენებთ, როდესაც მეფის რუსეთმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა (1811 წლიდან) და ტაძრებში ქართული წირვა-ლოცვა და გალობა აკრძალა; მერე დიდი საბჭოთა სოციალისტური რევოლუცია მოხდა და ბოლშევიკებმა ტაძრები სულ დაანგრიეს, გადარჩენილებში კი საერთოდ აკრძალეს წირვა-ლოცვა და გალობა. ფილმს საინფორმაციო ხასიათიც აქვს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტათი დეტექტიური ჟანრისაც არის, ოღონდ წინასწარ დაწვრილებით არაფერს გეტყვით (*იცინის*). კომუნისტების ეპოქაში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, ხალხური შემოქმედების რედაქციაში ვმუშაობდი და კარგად



თემურ ჭკუასელი ფილმის გმირებთან ერთად

რეჟისორი ნანა ჯანელიძე და ოპერატორი გიორგი ბერიძე

მახსოვს, როგორ გვიკრძალავდნენ ეთერით საგალობლების გაშვებას. ისიც მახსოვს, რომ ვეშმაკობდით და აღდგომას საშობაო საგალობელს ვუშვებდით, შობას — სააღდგომოს და როდესაც ინტერესდებოდნენ, თამამად ვპასუხობდით, აღდგომის საგალობელი არ გაგვიშვია, ისეთი სიმღერა გავუშვით, აღდგომას რომ არაფრით უკავშირდება-თქო და — პირიქით. ისინიც იბნეოდნენ და აღარაფერს ამბობდნენ (*იღიმის*).

— **ქართულ საგალობლებზე რამდენიმე ფილმია გადაღებული, მაგრამ „ცოტათი დეტექტიური ჟანრის“, არა მგონია, იყოს...**

— ყველა ფილმი, რომელიც საგალობლებზეა გადაღებული, უფრო „შინაური მოხმარებისაა“. ჩვენს ფილმში კი ბევრი ისეთი ინფორმაციაა თავმოყრილი, ქართველ მაყურებელსაც რომ დააინტერესებს, მაგრამ უფრო მეტად უცხოელებს გააცნობს საქართველოს.

— **ფილმში სხვადასხვა ტიპის საგალობელზეც ისაუბრებთ? ვგულისხმობ მათ პოლიფონიურობას თუ ერთხმიანობას, ან თუნდაც ძველ გურულ საგალობლებს, რომელსაც ანჩისხატის ეკლესიაში გალობენ.**

— არა, ამაზე არ ვლაპარაკობთ, თუმცა ჩემს აზრს მოგახსენებთ: ბევრს, მაგალითად, ძველი გურული საგალობლები არ მოსწონს; ბევრს — ერთხმიანი გალობა. მე ვფიქრობ, ვისაც როგორ ეგალობება, ისე უნდა იგალობოს. მაგალითად, ჩვენი ფილმის გაგრძელებად ანჩისხატის მგალობლებზე სიამოვნებით გადავიღებდი ფილმს იმიტომ, რომ ძველი გურული საგალობლების აღდგენით იმ ბიჭებმა უდიდესი საქმე გააკეთეს და ძალიან ბევრი ულამაზესი საგალობელი შემოგვინახეს... მახსოვს, „ქართული ხმების“ საფრანგეთში გასტროლისას ცნობილმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ საფრანგეთის ერთ-ერთ მონასტერში 11 მგალობლის მიერ შესრულებული ერთხმიანი საგალობლები მოგვასმენინა. წარმოგიდგენიათ? 11 კაცი მღეროდა უნისონში და საოცრად ეფექტური მოსასმენი იყო. იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავზეც მოვისმინეთ ერთხმიანი გალობა, უფრო სწორად, მღეროდა ერთი ბერძენი მგალობელი და სიმღერისას ჩვენც ვენაცვლებოდით. და, რა თქმა უნდა, ჩვენს პოლიფონიურ გალობას, მით უფრო — გურულ საგალობლებს გაცილებით დიდი ეფექტი ჰქონდა... საერთოდ, ამ მხრივ გურულებმა ევროპის მუსიკალურ განვითარებას 10 საუკუნით მაინც გაუსწრეს. რაც მათ შემოიღეს გალობაში, ევროპულ მუსიკაში გაცილებით გვიან შევიდა. გრიგორიანებსაც აქვთ საგალობელთა ნევმები — სანოტო დამწერლობის ნიშნები, რომელიც უკვე გაშიფრეს კიდეც. ჩვენი ნევმები ჯერ გაუშიფრავია, მიქაელ მოდრეკილის მიერ შეკრებილი საგალობლების სანოტო ნიშნები ჯერ კიდევ ამოუკითხავია, თუმცა მუშაობენ. ჩვენს ფილმში გაკვრით ამაზეც ვილაპარაკებთ.

— **ფილმში პერსონაჟებიც გყავთ, შესაბამისად, მათი როლების შემსრულებლებიც გეყოლებათ.**

— ფილმი, ასე ვთქვათ, მხატვრულ-დოკუმენტური იქნება. რასაც მთხრობელი გვიამბობს, ეკრანზე მოქმედებით გაცოცხლდება. ცნობილი მგალობლის, ანტონ დუმბაძის როლში არის გური სიხარულიძე, მასთან ერთად გალობდა ვინმე მოლარიშვილი, რომელსაც ტრისტან სიხარულიძე განასახიერებს. ფილმის ოპერატორია გიორგი ბერიძე. მთხრობელად ავირჩიეთ არა — მსახიობი, რომელიც მხოლოდ მხატვრულად წაიკითხავდა ტექსტს, არამედ ადამიანი, რომელიც თავისი სიტყვებითაც შეძლებდა ამბების გადმოცემას, რაც მეტ ბუნებრიობას მიანიჭებდა ფილმს. და ეს მთხრობელი გახლავთ პოეტი და მოაზროვნე რატი ამაღლობელი.

— **კონსულტანტი არ გყავდათ?**

— არ გვყავდა, რადგან ისტორიულ ფაქტებს ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე გადმოვცემთ. დეტალებს არ ვუღრმავდებით, რადგან ეს მეცნიერული გამოკვლევა არ არის. ვფიქრობ, რომ მეც კარგად გავართვი თავი ამ საქმეს და შემიძლია, სხვას გავუწიო კონსულტაცია. თუმცა მარტო წერილობით ინფორმაციას არ დავჯერებულვართ. ქალბატონი ნანა, მაგალითად, ანჩისხატის მგალობელს, დათო შუღლიაშვილს, ასევე, მაგდა სუხიაშვილს, რომელსაც ამავე თემაზე წიგნი აქვს დაწერილი და კიდევ რამდენიმე ადამიანს ესაუბრა და მოგვიანებით გამომიტყდა, — ყველაფერი ისე მითხრეს, როგორც შენ ამბობდიო (*იღიმის*).

— **რამდენ ენაზე გაახმოვანებთ?**

— ორენოვანი იქნება — ქართულთან ერთად, ინგლისური ავირჩიეთ. თუ ვინმემ შეიძინა ფილმი და გზა გაიკვლია, მერე უკვე იმ ქვეყნის პროგრამტივაა, რა ენას აირჩევს.

— **ახლა რა ეტაპზე ხართ?**

— გადაღება დავასრულეთ და უკვე მონტაჟს ვიწყებთ. ფილმი სრულმეტრაჟიანი იქნება, უცხოურ სტანდარტში უნდა ჩავჯდეთ, ამიტომ, დაახლოებით, 57-წუთიანი იქნება.

— **რა დაარქვით ფილმს?**

— დავარქვით „ხვედრი“, მაგრამ ახლა არ განგიმარტავთ, რატომ — აჯობებს, ფილმის ნახვის შემდეგ თვითონ გამოიცნოთ (*იცინის*). ვფიქრობთ, პრემიერა დეკემბრის ბოლოს კინოთეატრ „რუსთაველის“ დიდ დარბაზში მოეწყობა.

რატი ამაღლობელი, *მთხრობელი:*

— მართალია, ფილმის გადაღება დასრულდა, მაგრამ ვიდრე საბოლოო ვარიანტს არ ვნახავ, მიძნელდება მასზე საუბარი. თვითონ გადაღების პროცესი კი მართლა ძალიან საინტერესო იყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვიღებდით, ფილმს კონკრეტული პერსონაჟები ჰყავდა, ამიტომაც სათამაშო ეპიზოდიც ბევრი იყო.

ხანდახან მსახიობური ოსტატობის გამოვლენა მაინც დამჭირდა

— **თქვენც გიწევდათ თამაში?**

— თამაში ნაკლებად მიწევდა, თუმცა ხანდახან მსახიობური ოსტატობის გამოვლენა მაინც დამჭირდა (*იცინის*). ზოგადად, ფილმის გადაღებას ადრეც დავსწრებივარ, მაგრამ ასეთი მასშტაბის არ ყოფილა. გამაოგნა კინოგადაღების პროცესმა — საოცრად საინტერესო და შრომატევადი საქმე აღმოჩნდა. ■

ჟურნალისტი, რომელსაც მამუკა ღლონტმა ტელეფონი დაუმტვრია და ვის აჩუქა „მაესტროს“ შეფმა ავტომანქანა

ჩემი რესპონდენტი ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელი მამუკა ღლონტი გახლავთ. ის აქტიური ადამიანია და ამბობს, რომ მის ნაცვლად საქმე სხვას არასდროს გაუკეთებია. ვერ იტანს უტვინობასა და ტყუილს, რის გამოც შეიძლება, საშინლად გაბრაზდეს, შემდეგ კი საკუთარი საქციელი ინანოს კიდეც. კარგი ინტუიცია აქვს და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებს. ორიგინალური მოსაზრება აქვს ქალისა და მამაკაცის ღალატს შორის განსხვავებაზე; შემუშავებული აქვს ერის გამრავლების თავისებური მეთოდიც...

ნინო მჭედლიშვილი

— როცა ინტერვიუს აძლევთ, ცდილობთ, რომ იმაზე უკეთესი წარმოჩნდეთ, ვიდრე ხართ?

— გულწრფელად გეტყვით, რომ — არა. ერთადერთი, თუ სატელევიზიო ინტერვიუს დროს წვერგაუპარსავი ვარ ხოლმე, დისკომფორტი მექმნება. იმ დროს, რა თქმა უნდა, მირჩევნია, რომ იმაზე უკეთ გამოვიყურებოდე, ვიდრე იმ დღეს გამოვიყურები.

— რა თვისება მოგყვებათ ბავშვობიდან?

— გადაწყვეტილების სწრაფად მიღება. ერთ მაგალითს გეტყვით, დაახლოებით ათი ავტომობილი მაქვს გამოცვლილი, 5 წუთზე მეტხანს არ მიფიქრია არც ერთ მათგანზე, მეყიდა თუ — არა.

— შედეგი როგორია?

— ყველა მანქანა გამომადგა ანუ ინტუიცია არ მღალატობს.

— როცა საქმე ადამიანებს ეხება?

— დაახლოებით იგივე დამოკიდებულება მაქვს ადამიანების შერჩევისას. მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგი ინტუიცია მაქვს.

— საინტერესოა, ცოლის მოყვანა რამდენ წუთში გადაწყვიტეთ?

— ჩვენი ნაცნობობის 3 თვისთავზე.

— ამ შემთხვევაში, მგონი, დიდხანს გიფიქრიათ.

— ჰო, მართლაც... ჩემთვის დიდი დროა.

— ყველაზე მეტად რის დამალვას ცდილობთ თქვენს ხასიათში?

— არ მომწონს ჩემი სიფიცხე, ოღონდ ყველაფერზე არ ვიშლი ნერვებს, წყობილებიდან უტვინობას და ტყუილს გამოვყავარ. ასეთ შემთხვევაში საშინელი ვხდები, შეიძლება ადამიანს ვეჩხუბო, მაგრამ მერე ჩემს საქციელს ვნანობ.

— უტვინობასა და ტყუილს ხშირად აწყდებით?

— სამწუხაროდ, კი. მაგრამ სიფიცხეს მხოლოდ მეგობართან და ახლობელთან ვიჩენ. ასე უცხოსთან არავითარ შემთხვევაში არ მოვიქცევი. უცხოსთან ტონსაც არ შევიცვლი.

— შეიძლება, ისე გაბრაზდეთ, რომ ტონის შეცვლასთან ერთად ხელში მოხვედრილი ნივთები დაამტვრიოთ?

— კი, ყოფილა ასეთი შემთხვევა. ერთი მეგობარი ჟურნალისტი მყავს, რომელიც მობილურ ტელეფონზე ხშირად ჩემს სატელეფონო ზარს არ პასუხობდა. მიზეზს რომ ვეკითხებოდი, მეუბნებოდა, ცუდი ტელეფონი მაქვს, ზარი არ გამოდისო. ავდექი და საკმაოდ ძვირად ღირებული ტელეფონი ვუყიდე. არც ამან შეცვალა რამე, გავბრაზდი და რომ ვნახე, ვუთხარი, მათხოვე ერთი შენი ტელეფონიმეთქი, მომაწოდა თუ არა, იატაკზე დავანარცხე (*იცინის*). მერე, რა თქმა უნდა, ჩემი საქციელი ვინანე და იმ ჟურნალისტს ახალი ტელეფონი ისევ ვუყიდე.

— თუ თქვენი თანდასწრებით, მამაკაცი ქალს შეურაცხყოფას აყენებს, საქმეში ჩაერევით თუ სიტუაციას გვერდს აუვლით?

— გაგაჩნია, თუ ეს ოჯახური კამათია?..

— თქვენ არც კი იცით, ეს ადამიანები ერთმანეთისთვის ვინ არიან...

— რა თქმა უნდა, ჩავერევი.

— თქვენ თუ მიგიყენებიათ ქალისთვის შეურაცხყოფა?

— შეურაცხყოფის მიყენებად არ მივიჩნევ, თუ ჩემთვის ძალიან ახლობელ ადამიანთან ტონს ავუწევ. ეს ჩვენ შორის „მოსულა“.

— ფიზიკური შეურაცხყოფაც ხომ არ მიგიყენებიათ ქალი მეგობრისთვის?

— რას ლაპარაკობთ?! ჯვარი მწერია!

— ქათინაურებს ხშირად ამბობთ საწინააღმდეგო სქესის მიმართ?

— ხშირად. მსიამოვნებს როცა ამას ვაკეთებ. ძალიან მსიამოვნებს, როცა ქალბატონებს საჩუქარს ვუკეთებ. ჩემი აზრით, ქათინაურიც იგივე საჩუქარია. მაგრამ არ მიყვარს, როცა საჩუქარს მე მიკეთებენ. ამიტომაც არ მიყვარს ჩემი დაბადების დღე. ვერ ვიტან, როცა ჩემს სადღეგრძელოს სვამენ.

— რატომ, თავმდაბალი ხართ?

— დიდი თავმდაბლობით არ გამოვირჩევი, უბრალოდ არ მიყვარს და მორჩა!

— საჩუქრების გაკეთება მიყვარსო, მითხარით, რა გიჩუქნიათ, ყველაზე უცნაური ახლობელი ადამიანისთვის?

— მაგალითად, ავტომანქანა...

— თუ საიდუმლო არ არის, გაგვიმხილეთ, ვის აჩუქეთ ავტომობილი?

— ჩემს ცოლს ვაჩუქე 22 წლის „ნივა“, რომელიც არ „ატორმუზებდა“, მაგრამ ჩვენთვის ეს დიდი კაპიტალი იყო...

— მერე, არ ნერვიულობდით, სახლში მშვიდობით დაბრუნდებოდა თუ არა თქვენი მეუღლე?

— არა, სწორედ ამ ავტომობილის დამსახურებაა, რომ დღეს ჩემს ცოლს კარგად დაჰყავს მანქანა.

— სახალხოდ თუ გიტირიათ?

— კი, როცა რამდენიმე ჩემთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანი გარდამეცვალა.

— როდის წითლდებით?

— როცა მაქებენ, ალბათ...

— სხვის ნაცვლად საქმის გაკეთება გიყვართ?

— კი, ეს ჩემი ყველაზე დიდი მინუსია.

— როცა თქვენ ნაცვლად აკეთებენ?..

— (*მაწყვეტინებს. — ავტ.*) მსგავსი ფაქტი ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა.

— როგორ გგონიათ, რატომ?

— არ ვიცი, ალბათ ძალიან აქტიური ვარ.

— როგორია მამუკა ღლონტი სახლში? როდის ბრაზდებით?

— სანამ მაჭმევენ, მანამდე თუ მისვამენ შეკითხვებს ან რამეს მთხოვენ...

— ესე იგი, ჯერ უნდა დაგაპურონ და შემდეგ დაგელაპარაკონ?

— ჰო, და ამდენი წლის განმავლობაში ეს ვერ ისწავლეს!

— იქნებ იმის ბრალია, რომ სახლში ცოტა დროს ატარებთ?

— სულაც არა, ძალიან ხშირად ვარ სახლში, საკმაოდ ხშირი ურთიერთობა მაქვს ჩემს შვილებთან, დედაჩემთან, მეუღლესთან.

— კერძი თუ არ დაგხვდათ მომზადებული, მაშინ რას შვრებით?

— ამ შემთხვევაში ვარ ჰიტლერ-ფიურერი.

— თუ თქვენს მეუღლეს თვალი სხვა მამაკაცისკენ გაურბის, როგორია თქვენი რეაქცია?

— გააჩნია, რა მიზნით გაურბის...

— მიზანი თვალებზე არ გამოიხატება.

— ამის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს: პირველი — ინტერესი, მეორე — მსუბუქი ყოფაქცევა. პირველ შემთხვევაში პრობლემა არ მაქვს, მეორეს რაც შეეხება — ოოო...

— რატომ მსუბუქი ყოფაქცევა, იქნებ უბრალოდ სილამაზის აღქმის კარგი უნარი აქვს თქვენს მეუღლეს?

— მთავარია, ადამიანმა გონებით არ გიღალატოს, თორემ ფიზიკური ღალატი, ღალატი არ არის...

— თქვენ არ გიღალატიათ ცოლისთვის გონებით?

— ეს ძალიან ინტიმური საკითხია და ამაზე პრესის ფურცლების საშუალებით ლაპარაკს არ ვაპირებ.

— მაშინ ასე გკითხავთ, თქვენ გაგირბით თვალი ლამაზი ქალისკენ?

— ამ შემთხვევაში ჩემი თეორია ასეთია: ქალი და მამაკაცი სხვადასხვანაირად არიან მოწყობილნი. კაცისთვის სექსი და თვალის გაქცევა იგივეა, რაც სიგარეტის მოწევა. ქალისთვის ეს ცოტა მნიშვნელოვანია. თუ დრო გაქვთ აგიხსნით, რატომ.

— სიამოვნებით მოვისმენ თქვენს თეორიას ამასთან დაკავშირებით, დავინტერესდი...

— ბიოლოგიურად მამრი არასდროს არის დარწმუნებული, რომ შვილი, რომელიც მისმა ცოლმა ან საყვარელმა ადამიანმა გააჩინა, მისია. ამიტომ ცდილობს, ბევრი მდედრი გაანაყოფიეროს. ქალი, რომელსაც საკუთარი ორგანიზმით დაჰყავს შვილი, ამაში დარწმუნებულია. ასე რომ, მამრისთვის სექსი არაფერია... ქალისთვის მნიშვნელოვანია, ერთი აირჩიოს და ისეთი, რომ მისი შთამომავლობა გარანტირებული იყოს.

— ასეთ შემთხვევაში მამრს ძალიან ბევრი შვილი რომ აღმოაჩნდეს, რა უნდა ქნას?

— არაფერი, უნდა გაიხაროს. რაც მეტი შვილი გეყოლება, უკეთესია, შენთვისაც და ქვეყნისთვისაც. მე სამი შვილი მყავს და ვნანობ, რატომ არ მყავს 20 ან 30.

— იქნებ გყავთ და არ იცით?

— არა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან ჯერ არავინ მოსულა ბავშვით ხელში (*იცინის*).

— მეუღლისთვის თუ მიგიციათ შენიშვნა, ჩაცმის სტილთან დაკავშირებით?

— იყო ასეთი პერიოდი მაშინ, როცა ახალდაქორწინებულები ვიყავით და ერთიორჯერ, ჩემი აზრით, ძალიან მოკლე კაბა ეცვა... მუხლს საკმაოდ იყო აცილებული. მერე წლები გავიდა, დავბრძენდი და მივხვდი, რომ სისულელეა ამაზე კამათი, მთავარია, ქალმა გონებით არ გიღალატოს...

— შვილებთან როგორი ხართ?

— ლიბერალური. მათთვის ერთხელაც არ მიყვირია.

— რა ასაკისანი არიან თქვენი გოგონები?

— 21-ის, 19-ის და 16-ის.

— სად გაასეირნეთ ბოლოს ცოლ-შვილი?

— ზაფხულში ძალიან კარგი გასეირნება გვქონდა, მანქანით წავედით ანტალიაში და მანქანითვე დავბრუნდით უკან.

— მესაკუთრე თუ ხართ?

— კი. თუმცა, ეს არ ეხება ნივთებს. არ მაქვს ისეთი დამოკიდებულება, რომ ჩემს ნივთებს სხვა არ უნდა შეეხოს. ადამიანების მიმართ კი მესაკუთრე ვარ. სწორედ ამიტომ არის, რომ „მაესტრო“ ამდენი წლის განმავლობაში არ დაიშალა. ჩემი უზარმაზარი დამსახურებაა ის, რომ „მაესტროს“ სახით ოჯახი შევქმენი.

— სად გირჩევნიათ, გაატაროთ თავისუფალი დრო — ოჯახში თუ მეგობრებთან?

— ორივეგან თანაბრად.

— ალკოჰოლთან „მეგობრობთ“?

— ღვინო ჩემთვის საჭმელია.

— როგორია მთვრალი მამუკა ღლონტი?

— ბევრად ეფრო რბილი და საყვარელი, ვიდრე — ფხიზელი. მოკლედ „ბულკი“, რა...

— დავუშვათ, ნაბახუსევზე მეუღლე გიყვებათ, როგორ მღეროდით წინადღეს მერიის წინ „თბილისოს“ და როგორ ითხოვდით მეორე ხმას გიგი უგულავასგან...

— ასეთი რამ ხშირად მომსვლია...

— მართლა?! გიგი უგულავასთან ერთად სიმღერის სურვილი ხშირად გიჩნდებათ?

— არა, არა. აი, ისეთი, დილას თვალს რომ ვახელ და — ვაიმე, ეს რა გავაკეთე გუშინ-მეთქი, რომ ვფიქრობ.

— ყველაზე უცნაური რა ჩაგიდენიათ მთვრალს?

— არა, მაგას ვერ ვიტყვი. ისე, ყოფილა შემთხვევები, რომ წინა დღიდან 2-3 საათი არ მახსოვს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბევრი დავლიე. არის ღვინოები, რომელთაც ასეთი სასწაულის მოხდენა შეუძლია. რაც შეეხება თქვენს სიტუაციას, დიდად არ გავბრაზდები საკუთარ თავზე, სმენა არ მაქვს, მაგრამ მთვრალი კაცისგან უსუფთაოდ ნამღერი „თბილისოც“ ასატანია.

— თქვენი მეუღლის ჩანთაში საქართველოს პრეზიდენტის ფოტო-სურათი რომ აღმოაჩინოთ, რას გაიფიქრებთ?

— გაგიჟებულა-მეთქი, — სხვა რა უნდა ვიფიქრო? ისე კი ვკითხავ, რად გინდა-მეთქი (*იცინის*)?

— დილით მაღვიძარა გაღვიძებთ თუ თავად იღვიძებთ?

— თვითონ ვიღვიძებ. გონებაში მაქვს მაღვიძარა და რომელ საათზეც მინდა, სწორედ იმ საათზე მეღვიძება.

— 20 ათასი დოლარი რომ იპოვოთ, რაში გამოიყენებთ?

— ჯერ გამოვაცხადებ, რომ 20 ათასი დოლარი ვიპოვე. თუ პატრონი გამოუჩნდა, აუცილებლად დავუბრუნებ. თუ არავინ გამოჩნდა, რომელიმე ბავშვთა სახლს გადავცემ.

— ვალი თუ გაქვთ?

— ძალიან ბევრი. ბანკის, მეგობრის და ჩემი თანამშრომლების.

— ვალს ყოველთვის დათქმულ დროს აბრუნებთ?

— კი, და თუ ვიცი, რომ ვერ დავაბრუნებ, მევალეს წანასწარ ვეუბნები ამის შესახებ. მაგალითად, როცა „მაესტროში“ თანამშრომელი ამყავს, ყოველთვის ვეუბნები, რომ აქ ასეთი პირობებია, გინდა, იმუშავე და გინდა — არა-მეთქი.

— ხშირად იგვიანებს თქვენთან ხელფასი?

— პერმანენტულად.

— ბალიშზე თავის დადებისთანავე გეძინებათ თუ ფიქრობთ?

— მაშინვე არ მეძინება, ტელევიზორს ვუყურებ და რაღაც მომენტი მაქვს, ის უნდა „დავიჭირო“, თუ არ გამომივიდა, მერე ვეღარ დავიძინებ...

— ეს ნევროზის ბრალია?

— არ ვიცი, შეიძლება... თუმცა ძირითადად „ვარტყამ“ ხოლმე იმ დროს და ადვილად ვიძინებ. ■

თუ საგელევიზიო ინტერვიუს დროს ზვერგაუპარსავი ვარ ხოლმე, დისკომფორტი მექმნება

„დედაჩემის სურვილების საპირისპიროდ წავედი“...

„მუსიკასთან არანაირი კავშირი არ მაქვს... თუმცა თავიდან დედა ბევრს ეცადა, რომ მუსიკოსი გამოვსულიყავი, ათწლედშიც მატარებდა, ცოტა ხანს ფორტეპიანოზეც ვუკრავდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა... ბოლოს მამამ თავისი კომპეტენტური სიტყვა თქვა — ბავშვს სმენა არა აქვს და თავი დაანებეო“. უცნაურია, მაგრამ ამ სიტყვების ავტორი — მუსიკოსების ოჯახში აღზრდილი მაია ლალიაშვილია... დიახ, ჩემი რესპონდენტის დედა — ქართველი მუსიკოსების მკაცრი შემფასებელი, „ჯეოსტარის“ ჟიურის თავმჯდომარე, მარინა ბერიძე გახლავთ...

რატომ ვერ დაიმორჩილა მარინა ბერიძემ შვილი

ცოტა ხნის წინ ქალბატონ მარინას „რუსთავი 2“-ში საქმიანობის პარალელურად, კიდევ ერთი სამსახური დაემატა — ის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ღონისძიებათა დეპარტამენტის უფროსად დანიშნეს... მე კი მის ქალიშვილთან იმის გარკვევას ვცდილობდი, თუ როგორი დედაა მარინა ბერიძე — არის თუ არა შინ ისეთივე მკაცრი, როგორიც „ჯეოსტარელებთან“? როგორ აფასებს მას საკუთარი შვილი? სწორედ ამ და სხვა საკითხებზე საუბარს დაეთმო მაიასთან ჩემი შეხვედრა...

— მას მერე, რაც მშობლები მიხვდნენ, რომ მუსიკას ვერ გაჰყვებოდი, შენს განათლებასთან დაკავშირებით რა გადაწყვიტეს?

— მაშინ ახალი გახსნილი იყო გერმანული სკოლა და სწავლა იქ გავაგრძელე. სკოლის დამთავრების შემდეგ კი უნივერსიტეტში, აგრეთვე ახალგახსნილ ეკოლოგიის ფაკულტეტზე ჩავბარე (სულ სიახლეებს ვეძებდით). ერთ წელიწადში კი გასაუბრება გავიარე და სასწავლებლად გერმანიაში გავემგზავრე. ეს ის პერიოდია, როცა აქ ცხოვრება ირეოდა (90-იანი წლების დასაწყისი). გერმანიაში ოთხი წელი ვსწავლობდი. ასე რომ, დღეს პროფესიით ეკოლოგი და გერმანისტი გახლავართ... მოკლედ, მარინას სურვილების საპირისპირო მიმართულებით წავედი.

— არ ნანობ, მუსიკას რომ არ გაჰყევი?

— არა. მუსიკა ჩემი საქმე ნამდვილად არ იყო... აქ რომ ჩამოვედი, მუშაობა ერთ-ერთ გერმანულ კომპანიაში დავიწყე და მალევე გავხდი იმავე ფირმის ხელმძღვანელი... შემდეგ გავთხოვდი. დღეს კი უკვე სამი შვილის დედა ვარ.

— ახლა რას საქმიანობ?

— ჩემი მეუღლის სადისტრიბუციო კომპანიაში ერთ-ერთი მიმართულების ხელმძღვანელი გახლავართ. ასევე მე და ჩემს მეგობრებს გვაქვს დაარსებული „ივენთ-კომპანია“ და რაღაც ღონისძიებებს ვაწყობთ ხოლმე. ისე, ამ საქმიანობით მეგობრები უფრო ვერთობით, რადგან ის ჩვენი სერიოზული შემოსავლის წყარო ნამდვილად არ არის.

— როგორც ვიცი, დედისერთა ხარ. თვითონ კი უკვე საკმაოდ ახალგაზრდას, სამი შვილი გაგიჩენია.

— კი, დედისერთა ვარ... დედა ჩემი ყოველი ბავშვის გაჩენას ძალიან მტკივნეულად განიცდიდა... ამიტომ მას ფეხმძიმობის პირველ ეტაპს ყოველთვის ვუმალავდი. მარინას შვილიშვილები ძალიან უყვარს და ძალიანაც უნდა, რომ კიდევ მეტი შვილი მყავდეს, მაგრამ ხომ გითხარი, ვეცოდები...

— ქალბატონ მარინას, როგორც მკაცრ, პრინციპულ და შეუვალ ადამიანს ისე იცნობენ. საინტერესოა, როგორია ის შინ?

— ყოველთვის მკაცრი იყო, მაგრამ მე და მარინას თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. მას ჩემთვის არაფერი აუკრძალავს. ჩვენი ურთიერთობა ნდობაზე იყო აწყობილი და დამყარებული. უბრალოდ, ვიცოდი, რა შეიძლებოდა და რა — არა. უპრეტენზიო ბავშვიც ვიყავი. სკოლიდან რომ მოვიდოდი, ვჯდებოდი და ვმეცადინეობდი... ჩემი თინეიჯერობის პერიოდში მარინა ცდილობდა, ყველა ჩემი მეგობრის ამხანაგიც ყოფილიყო. ხშირად ჩვენთან ერთად იყო და სულ რაღაც დღესასწაულსა და ზეიმს მიწყობდა. ჩემთან არაფერი შეშლია, რადგანაც მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრება აქამდე სწორად წარიმართა, რაც მარინასა და მამაჩემის დამსახურებაა.

— ის პირდაპირობა, რაც ქალბატონ მარინას ახასიათებს და ეკრანიდანაც კარგად ჩანს, დედის ხასიათში თუ მოგწონს?

— მარინას ასეთი პრინციპულობა, ვფიქრობ, რომ შოუს სჭირდება. ამასთან, მას ასეთი შემტევი პოზიცია ცხოვრებაშიც სჭირდება. რადგანაც დღეს თუ ცოტა ძლიერი ადამიანი არ ხარ, დაიჩაგრები. სამწუხაროდ, როგორც კი რაღაცას დათმობ, მაშინვე გადაგივლიან. მარინას გულის ტკენას კი ბევრი ცდილობს. ასე იყო „არტ-იმედის“ პერიოდშიც, როდესაც იქ მთავარ პროდიუსერად მუშაობდა და ასეა ახლაც... ამიტომაც ყველაფერზე აქვს თავისი რეაქცია და პასუხი, მაგრამ სახლში ის აბსოლუტურად სხვანაირია...

— სამზარეულოში ფუსფუსი თუ უყვარს?

— შინ რაც უნდა დაღლილი დაბრუნდეს, სადილსაც გააკეთებს და ყველანაირ საოჯახო საქმესაც მიხედავს, თანაც ყველაფერს რაღაც ადვილად უმკლავდება. კერძებიც გემრიელი გამოსდის (*ღიმება*). მე, ჩემს ოჯახთან ერთად, მშობლებისგან ცალკე ვცხოვრობ. დედაჩემი ჩვენთან რომ მოდის, იქაც უცებ დატრიალდება და უამრავ საქმეს გვიკეთებს... ჩემს შვილებს ძალიან უყვართ მისი მომზადებული კერძები...

— ვინ არის შენი მეუღლე?

— სანდრო ედიბერიძე. ჩვენ კლასელები ვართ. მარინას სიძე ძალიან უყვარს. ისიც მის თვალწინ გაიზარდა, რადგანაც მე და სანდრო მეგობრები ვიყავით.

— მშობლებისგან ცალკე ცხოვრობთო, აღნიშნე. შენი მშობლები სად ცხოვრობენ?

— სოლოლაკში... დედა გიჟდება თავის სახლზე. იგი იქ დაიბადა და გაიზარდა. იმ სახლთან ბევრი კარგი მოგონება აკავშირებს. ასე რომ, მარინასთვის მისი სახლი სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებელი ადგილია... სხვათა შორის, მამა და დედა კურსელები არიან, ერთმანეთი კონსერვატორიაში სწავლისას გაიცნეს. ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი გახლავთ... მთელი ბავშვობა ჩვენს სახლში, მათი წყალობით, სულ მუსიკა ისმოდა. მამა — ზურიკო ლალიაშვილი — ანსამბლ „ივერიის“ წევრი იყო. მას გასტროლებზე ხშირად დავყავდი. შეიძლება ითქვას, რომ კულისებში გავიზარდე. „ივერიელების“ ბავშვები ყველანი ხომ ასე ვიყავით... ბატონი ბუთხუზის გარდაცვალება საოცრად განვიცადე. ეს ადამიანი მუდმივად ჩემს ლამაზ ბავშვობას მაგონებდა... მამასთან ერთად გასტროლებზე სიარული ჩემთვის დღესასწაული იყო. მოკლედ, უდარდელი და ლამაზი ბავშვობა მქონდა.

კარგად მახსოვს ფილმის — „არგონავტები“ გადაღების პერიოდი, როდესაც ჩვენთან რუსი მსახიობები (აბდულოვი, იანკოვსკი) იყვნენ ჩამოსულები. მათი შეხვედრები ქართულ სუფრასთან ჩვენს სახლშიც ბევჯერ გამართულა. მამას სახლში ხმის ჩამწერი სტუდია ჰქონდა, სადაც მუდმივად მუსიკა ისმოდა. სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, შინ ასეთი სურათი მხვდებოდა — მამა სტუდიაში რომელიმე მომღერალთან ერთად მუშაობდა, მარინასთან კი ოპერის მომღერლები გამღერებაზე მოდიოდნენ. ბავშვობაში მუსიკას ისეთი დოზით ვისმენდი, რომ როგორც ჩანს, ამან იმოქმედა, ამ სფეროს რომ აღარ გავყევი. მიმაჩნია, რომ ადამიანმა თავისი საქმე უნდა აკეთოს. მარინაც და მამაჩემიც ბედნიერები არიან, რომ მთელი ცხოვრება მათ საყვარელ სფეროსა და საქმეს — მუსიკას ემსახურებიან.

— ხასიათით მამას ჰგავხარ?

— კი, და არ ვიცი, ცხოვრებაში მარინასნაირ გამტანობას თუ შევძლებ...

— როდესაც დედა კონკურსანტებს საჯაროდ აფასებს, რას განიცდი?

— შოუ რომ მთავრდება, პირველ რიგში, მას ჩემი და მამაჩემის აზრი აინტერესებს. მეც სულ იმას ვცდილობ, გულწრფელად ვუთხრა ის, რასაც ვფიქრობ. მისთვის არაფერი დამიმალავს... შეიძლება, პროფესიონალური თვალსაზრისით ვერ შევუფასო გამომსვლელები, მაგრამ ის, რაც ჩემს ყურს სიამოვნებს და რა დონემდეც შემიძლია რაღაცების დასაბუთება, ამას ყოველთვის ვაკეთებ... ვაღიარებ, რომ მარინას ძალიან ფიცხი ხასიათი აქვს, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ გულში არაფერს იტოვებს. მუდმივად ვაწყნარებ, ვურჩევ, რომ ყოველთვის არ ვარგა პირდაპირობა; სანამ რამეს იტყვი, დაფიქრდი-მეთქი, რადგანაც ყველაფერი ისევ მას უბრუნდება, მაგრამ მეუბნება, — მაია, ვერ შევიცვლები, ასეთი ვარ, სხვანაირად არ შემიძლიაო...

— მამა რას ურჩევს?

— იმავეს... მამასაც რომ მისნაირი ფიცხი ხასიათი ჰქონოდა, ისინი ამდენი წელი ერთად ვერ იქნებოდნენ... ჩემი მშობლები არასდროს ერთმანეთის ჩრდილში არ ყოფილან...

— მარინა ბერიძე მაყურებელმა მასობრივად მაინც პროექტით „ჯეოსტარი“ გაიცნო. იფიქრებდი, რომ დედა ასეთი ცნობილი ადამიანი გახდებოდა?

— ...ნამდვილად არა, ბოლო დროს ქუჩაში რომ გადის, აჩერებენ და ეუბნებიან, ქალბატონო მარინა, გვიყვარხართო. არ დაგიმალავთ და მაგ დროს, მის გვერდით ძალიან ამაყი ვხდები...

— სანამ საუბარს დავიწყებდით, გვერდით მაგიდასთან მჯდომმა დიმ

— დათო დოიაშვილმა *(ჩვენი შეხვედრა ერთ-ერთ კაფეში შედგა. — ავტ.)* **ღიმილით გამოსძახა: — ძნელია მარინა ბერიძის შვილობაო? მოდი, ამ კითხვაზე ჩვენი ჟურნალის საშუალებით დოისაც უპასუხე და საზოგადოებასაც.**

— მარინა ბერიძის შვილობა საერთოდ არ არის ძნელი. სულაც არ ვარ ამ ფაქტით შეწუხებული. ის, რომ პოპულარული დედის შვილი ვარ, სადღაც, გულის სიღრმეში, მსიამოვნებს კიდეც. მაგრამ ასე ფართო მასშტაბებზე თუ გავიდოდა, არ მეგონა. თუმცა ყოველთვის ვიცოდი, რომ რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი კარგად გამოსდიოდა... მარინა ფორტეპიანოზე პაატა ბურჭულაძის აკომპანიატორი გახლდათ, ლონდონში „კოვენ გარდენში“ უკრავდა, მაგრამ მაშინაც ძალიან საინტერესო პერიოდი ჰქონდა; შეეძლო, იმ საქმესაც გაჰყოლოდა. არაჩვეულებრივი კონცერტმაისტერი იყო, მაგრამ როდესაც დადგა საკითხი — ოჯახი ან სამსახური, მან უცხოეთში ხანგრძლივ გასტროლებზე უარი თქვა (მე და მამა ვერ დაგვთმო). არადა, რომ გაჰყოლოდა იმ საქმეს, დღეს წარმატებული კონცერტმაისტერი იქნებოდა... დედას 24 საათში მხოლოდ 5 საათი სძინავს, დანარჩენი დრო სულ საქმეშია...

მამასაც რომ მისნაირი ფიცხი ხასიათი ჰქონოდა, ისინი ამდენი წელი ერთად ვერ იქნებოდნენ...

— „ჯეოსტარიდან“ გამომდინარე, ვინმე განაწყენებულ ადამიანს ხომ არ დაურეკავს შენთვის?

— ასეთი ზარები, „არტ-იმედში“ როცა მუშაობდა, მაშინ უფრო ხშირი იყო. მაგრამ ის ამას ყურადღებას არ აქცევს. ამბობს, რომ უსამართლოდ არავის ვჩაგრავო... ცოტა ხნის წინ, ბაზრობაზე მოხვედრილა და იქიდან თურმე საჩუქრებით დახუნძლული გამოუშვიათ. ხალხი აღფრთოვანებული შემხვდაო...

— ესე იგი, ქალბატონ მარინას თავისი ფანები ჰყავს?..

— ასე გამოდის... ცოტა ხნის წინ მისი ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღე იყო და ქმარმა სიურპრიზი გაუკეთა — ცოლის მეგობრები სიღნაღში მინიბუსით გაუშვა. მათ შორის მარინაც გახლდათ. კახეთში დედა რომ დაუნახავთ, თურმე ყველა თავისთან ეპატიჟებოდა. მისი მეგობრები ჰყვებოდნენ — ჭიშკრები იღებოდა, ხალხი გამოდიოდა და მარინასთან სურათებს იღებდაო. ისიც იდგა და ავტოგრაფებს არიგებდაო. ბოლოს რესტორნიდან რომ გამოვიდა, თურმე გარეთ ელოდებოდნენ და კალათებში ჩაწყობილი სოფლის ნობათი გადასცეს (*იცინის*).

— ცოტა ხნის წინ ქალბატონი მარინა კულტურის სამინისტროში ღონისძიებათა დეპარტამენტის ხე-

მარინა ბერიძე შვილთან და შვილიშვილებთან ერთად

ლმძღვანელად დანიშნეს. რას გვეტყვი ამაზე?

— ცოტას ნერვიულობს, განიცდის, რადგანაც მის ისედაც გადატვირთულ დღის გრაფიკს კიდევ უამრავი საქმე დაემატა, რაც მთავარია, უდიდესი პასუხისმგებლობა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ახალი თანამდებობა თითქოს მისთვის არის გამოწერილი. მის ფუნქციებში შედის მასობრივი ღონისძიებების მოწყობა, ასევე „ჯეოსტარელების“ დაკვალიანება, რომ ისინი კონკურსის დასრულების შემდეგ სწორ გზას დაადგნენ — რესტორნისა და ბარის მომღერლობა კი არ დაიწყონ, არამედ უფრო ფართო მასშტაბით გავიდნენ და ქართულ შოუბიზნესში ადგილი დაიმკვიდრონ. შეიძლება, ამან გამოიწვიოს კიდეც ჩვენს შოუბიზნესში ახალი ტალღის დაძვრა. არადა, მოგეხსენება, რომ ახლა ეს სფერო ფაქტობრივად, უმოქმედოა. მარინას კი ეს საქმე იმიტომ მიანდვეს, რამენაირად იქნებ ეს სფერო აამუშაოს. მის ფუნქციებში შედის ასევე საერთაშორისო ფესტივალების მოწყობაც. ამ მიმართულებით, როგორც ვიცი, კარგი იდეები აქვს. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ზაფხულში, გრანდიოზული მუსიკალური ფესტივალის მომსწრენი გავხდებით. ისე, ბევრი რამ მე არც ვიცი და მის გარეშეც ვერ ვილაპარაკებ...

— ისე, მაინცდამაინც მას რატომ შესთავაზეს ეს თანამდებობა?

— ალბათ იციან, რომ ამ საქმეს კარგად გაუძღვება (*იღიმება*)...

— მან თანამდებობაზე დათო ოქიტაშვილი შეცვალა. იმასაც ამბობენ, მარინასა და დათოს შორის ურთიერთობა დაიძაბაო...

— ამ ხმებმა ჩვენამდეც მოაღწია (*იღიმება*)... დათო თავის საქმეს აკეთებდა, დედაჩემი თავის საქმეს გააკეთებს. მარინას სხვისი დაწყებული საქმეების გაგრძელება არ უყვარს. ამიტომ ის დათოს პროექტებს არ გააგრძელებს.

— ცნობილი ადამიანებისთვის ვარსკვლავების გახსნას გულისხმობ?

— თუნდაც. ეს პროექტი დათოს ეკუთვნის... დათოსა და მარინას არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ. როგორც კი მარინამ ჟურნალისტებისგან შეიტყო იმ მოარული ხმების შესახებ, რაზეც შენც მითხარი, დათოს მაშინვე დაურეკა... არ მინდა, ჩვენს ურთიერთობაში რაიმე ბზარი გაჩნდესო, — უთხრა. მათ შოუბიზნესში დიდი გზა აქვთ გავლილი. წლების განმავლობაში ერთად მუშაობდნენ. რაც შეეხება თავად დათოს, დედა როგორც კი დაინიშნა ახალ თანამდებობაზე, დაურეკა და მიულოცა... რას ვიზამთ, ხანდახან ისე ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთს ენაცვლებიან... პირველი სამი დღე დედა ახალ სამსახურში რომ მივიდა, ძალიან განიცდიდა. გუშინ კი თქვა, რაღაცები უკვე დავალაგეო. ასე რომ, მისგან სერიოზულ სიურპრიზებს უნდა ველოდეთ... ■

„გარეგნულად კი ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ განსხვავებული გემოვნება გვაქვს“

„ჩვენი ოფისის“ მსახიობ ნინო მუმლაძეს უმცროსი და — დეა ჰყავს. დეამ თეატრალური ინსტიტუტი შარშან დაამთავრა. დები გარეგნულად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მათი მსგავსება რამდენიმე წლის წინ უფრო შესამჩნევი იყო, როცა ნინო ცოტათი გამხდარი გახლდათ. დები ბავშვობაში თურმე სულ კამათობდნენ. ახლა კი კარგი მეგობრები არიან. მათთან ინტერვიუმ მხიარულად ჩაიარა.

ფიცხი და რბილი დების მხიარული ამბები

მერი კობიაშვილი

ნინო:

— ოთხი წლისა და ოთხი თვის ვიყავი, როცა მითხრეს, ახლა დედიკოს საავადმყოფოში წავიყვანთ და პატარა ბავშვს მოგიყვანთო. ყველაფერი დეტალურად არ მახსოვს, როგორ მატყუებდნენ, მაგრამ იმ ამბით, რომ პატარა ბავშვი უნდა მოეყვანათ, აღფრთოვანებული ვიყავი. ვამბობდი, გოგო მომიყვანეთ-მეთქი და ერთი სული მქონდა, დაიკოს როდის მომიყვანდნენ. პირველად სახლში პატარა მუთაქა რომ „შემოიტანეს“ (რომელიც ჩხაოდა), აღფრთოვანებამ გადამიარა. შემდეგ რომ გახსნეს და პატარას წითელი დაჭმუჭნილი, გრძელი თითები დავინახე, არ მომეწონა. პროტესტი გამოვთქვი, — ეს ვინ მომიყვანეთ-მეთქი?! ცოტა რომ გაიზარდა და მოპუტკუნდა, შემდეგ უკვე შევეჩვიე.

— დეა, გათამამებდა და გარეგებდა უფროსი და?

— დარიგება არც გამომივიდოდა...

დეა:

— რადგან მე მაინც ჩემს ჭკუაზე დავდიოდი. ისე კი, უფროსი და იყო და რამე თუ გამიჭირდებოდა, მეხმარებოდა. დარიგებით უფრო დედა მარიგებდა.

— ხშირად გიკამათიათ?

— ბევრჯერ. ერთმანეთს გამეტებით ვურტყამდით.

ნინო:

— ძალიან მწარე რაღაცების თქმა ვიცოდი. დეას კი იმდენი ჭკუა არ ჰყოფნიდა, ასევე მწარედ ეპასუხა. რაც ხელში მოხვდებოდა, გამომიქანებდა და თავში მრეხვავდა ხოლმე. დაუნდობელი ცემა იცოდა. მახსოვს, ერთხელ სტუმრად ნათესავის ბინაში ვიყავით. ერთ ოთახში შევიკეტეთ. დედაჩემისთვის ერთ-ერთ სტუმარს უთქვამს, რა წყნარი ბავშვები გყავს, ამდენი ხანია, მათი ხმა არ გაგვიგიაო. დედა მიმხვდარა, რომ საქმე ცუდად იქნებოდა. ოთახში სასწრაფოდ შემოგვაკითხა და აი, რა იხილა: იატაკზე საცოდავად ვეგდე და დეა თოჯინას გამეტებით მირტყამდა. კიდევ კარგი, დედა შემოვიდა, თორემ რითი დამთავრდებოდა ყველაფერი, არ ვიცი.

— უმცროსი და გერეოდა?

— მე სულ იმას მეუბნებოდნენ, პატარაა და არ უნდა დაარტყაო. ამიტომაც ვინდობდი, რასაც ვერ ვიტყვი დეაზე...

დეა:

— ახლაც ვერევი (*იცინის*). ძველებურად არ ვჩხუბობთ, მაგრამ როცა ძალის გამოვლენაა საჭირო, უდავოა, რომ მე მეტი შემიძლია (*იცინის*).

— გარეგნულად ჰგავდით ერთმანეთს?

— კი, ერთმანეთისგან მართლა ვერ გვარჩევდნენ. ჩვენი მსგავსებით ხშირად ვსარგებლობდით კიდეც. თეატრალურ ინსტიტუტში ერთი საშვით შევდიოდით. წლების განმავლობაში მაღაზიის გამყიდველს ერთი და იგივე ვეგონეთ და ერთ დღესაც მაღაზიაში ორივე რომ შევედით, გაგიჟდა...

დეა:

— ყველას ტყუპი ვგონივართ და რომ ვეუბნები, ოთხი წელია ჩვენ შორის განსხვავება-მეთქი, ხუმრობო, — არ სჯერათ.

— თქვენ გარეგნული მსგავსება თუ გამოგიყენებიათ და გამოცდაზე ერთმანეთის ნაცვლად გასულხართ?

ნინო:

— იყო ასეთი შემთხვევაც. დეა თეატრალურ ინსტიტუტში რომ აბარებდა, მის ნაცვლად საბუთები მე მივიტანე და ვერავინ მიხვდა.

დეა:

— ერთმანეთს მთლად ტყუპისცალივით არ ვგავართ, რომ გამოცდა ჩავაბაროთ... რამდენიმე წლის წინ თმა ერთნაირად გვქონდა. მაშინ მართლა ბევრს ვეშლებოდით...

— ხასიათით ჰგავხართ ერთმანეთს?

ნინო:

— არა, ძალიან განვსხვავდებით. მე უფრო რბილი ადამიანი ვარ, დეა — უფრო ფიცხი და ემოციური. ისე, ობიექტურიც... ერთმანეთს კიდევ ხმის ტემბრით გვამსგავსებენ, განსაკუთრებით, როცა ტელეფონზე ვლაპარაკობთ. ხანდახან დედას და დეიდასაც კი ვერევით ერთმანეთში.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ერთი და იგივე ბიჭი მოგწონებიათ და ამაზე გიკამათიათ?

— ასეთი შემთხვევა არასდროს ყოფილა. ამ მხრივ ყოველთვის განსხვავებული გემოვნება გვქონდა. ერთნაირი მხოლოდ წიგნები და ფილმები მოგვწონს. მუსიკალური გემოვნება კი ნამდვილად განსხვავებული გვაქვს.

დეა:

— რაც მთავარია, ასაკი არ გვიწყობს ხელს, რომ ერთი და იგივე ბიჭი მოგვეწონოს...

— დეა, მსახიობობა დის გავლენით გადაწყვიტე?

ნინო:

— თავს იკლავს, არაო, მაგრამ...

დეა:

— ფაქტია, რომ ნინოს დახმარებით გავიგე თეატრალური სამყაროს „გემო“. მსახიობი ოჯახში არავინ გვყოლია.

— ბავშვობაში სპექტაკლების დადგმა თქვენ ერთ-ერთი გასართობი იყო?

ნინო:

— ამ თამაშის ინიციატორი და როლების გამნაწილებელიც მე ვიყავი ხოლმე. ამიტომ, შესაბამისად, ვერ ვთანხმდებოდით. დეას ყოველთვის სხვა როლი უნდოდა. არადა, ვეუბნებოდი, რეჟისორი მე ვარ-მეთქი... მოკლედ ყველაფერი ჩხუბით მთავრდებოდა. დეას მოგვიანებით მიეცა მსახიობობის მუღამი. ერთ გოგოსთან ერთად „დასი“ ჩამოაყალიბა. სპექტაკლებს დგამდნენ. მე მხოლოდ ბილეთების დახატვაში ვეხმარებოდი. მერე ამ ბილეთებს ოჯახის წევრებზე ყიდდნენ და აღებული ფულით ვქეიფობდით.

— არასდროს გნდომებიათ, სპექტაკლში ერთად გეთამაშათ?

— არა მგონია, ეს მთლად მომგებიანი იყოს...

დეა:

— ისე, „ჩვენს ოფისში“ ერთხელ ჩვენი მსგავსება გამოიყენეს. ნუნუკას ბავშვობა ვითამაშე...

ნინო:

— ანი სანაიასაც ჰყავს და, რომელიც მასზე სამი წლით უმცროსია და ისინიც ერთმანეთს ჰგვანან. ჩვენმა რეჟისორმა ეს კარგად გამოიყენა და ჩემი და სანაიას ბავშვობა ჩვენმა დებმა ითამაშეს.

— დეა, არ ნერვიულობდი?

— არა. მანამდეც მაქვს ნათამაშები ეპიზოდური როლები. სანერვიულო არაფერი იყო.

— დები ერთმანეთს აკრიტიკებთ ხოლმე?

— რჩევას ყოველთვის ვაძლევ. ვეუბნები, როგორ ჯობდა თამაში...

ნინო:

— მინდა ვაღიარო, რომ დეას რჩევა ჩემთვის მნიშვნელოვანია. მის ნათქვამს ყოველთვის ობიექტურად მივიჩნევ, რადგან მასზე კარგად არავინ მიცნობს და მის რჩევას ყოველთვის ვითვალისწინებ.

დეა:

— სპექტაკლს როცა ვთამაშობ, აზრს ნინოს აუცილებლად ვეკითხები. თუ მოეწონა, ესე იგი, მართლა კარგად ვითამაშე.

— ვიცი, რომ ორივე კარგად მღერით. დუეტის ჩაწერაზე არ გიფიქრიათ?

ნინო:

— ვოკალურ სასწავლებელში რომ დავდიოდით, დუეტებს ხშირად გვაძლევდნენ. მართალია, ხმის ტემბრი ერთნაირი გვაქვს, მაგრამ დუეტი არასდროს ჩაგვიწერია, რადგან ძალიან დაკავებულები ვართ. ამ საქმეს საკმაოდ დიდი თანხაც უნდა. საქართველოში სიმღერის ჩაწერა ხომ ცოტა რთულია?!.

— რომელი უფრო კარგი დიასახლისი ხართ?

დეა:

— ნინო უკეთესი დიასახლისია.

ნინო:

— სახლის დალაგებაში მას ვერც შევედრები. მე კი სამზარეულოში ტრიალი მიყვარს. დიდი მზარეული ნამდვილად არ ვარ, დეას კი საჭმელების კეთება ეჯავრება. ამ მხრივ ერთმანეთს ვავსებთ. მე გურმანი ვარ. კერძების მომზადებაც მიყვარს და დაგემოვნებაც. მიყვარს ეს სფერო — კულინარია და იმიტომაც მოვიმატე.

— ერთმანეთს რას ურჩევდით?

— ძალიან ემოციური ადამიანია და ვურჩევ, ცოტა დადინჯდეს.

დეა:

— მე კი ნინოს ვურჩევდი, რომ (*ფიქრობს*)...

ნინო:

— იმდენად იდეალური ვარ, რომ არაფრის რჩევა არ მინდა (*იცინიან*).

დეა:

— იდეალური არ ხარ, იდეალურობამდე „გათხოვება გიკლია“.

ნინო:

— დეა 19 წლიდან მიშორებს თავიდან. სულ მეუბნება, წადი, გათხოვდიო. ახლა მას მისი მეგობრებიც დაემატნენ. ცოტა ხნის წინ მეგობრის დაბადების დღეზე ვიღაც ტიპი მოვიდა და გადაწყვიტეს, მასზე „გავესაღებინეთ“. რამდენიმე წლის წინ ფული დავაგროვე და მუსიკალური ცენტრი ვიყიდე. დეა დაქალს ტელეფონზე ელაპარაკებოდა. მან მომიკითხა, როგორ არისო? — ვერ გავათხოვეო, — დეამ უპასუხა. დებილი ხარ, ახლა არ გააგდო, რომ გათხოვდეს, მუსიკალურ ცენტრს თან წაიღებსო. დეა მიხვდა, რომ დაქალი მართალს ეუბნებოდა და მათ ცოტა ხანი გათხოვება აღარ უხსენებიათ... ■

სპექტაკლს როცა ვთამაშობ, აზრს ნინოს აუცილებლად ვეკითხები

განახლებული „მოამბის“ რეპორტიორმა ცოლად კონკურენტი შეირთო

განახლებული „მოამბის“ რეპორტიორი — 28 წლის ნიკა მოლოდინაშვილი ახლახან დაოჯახდა. მან ცოლად ასევე ჟურნალისტი — 27 წლის ქეთი ქაშაკაშვილი შეირთო. ის ფაქტი, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთის კონკურენტ ტელეარხებზე მუშაობს, ოჯახურ იდილიას არ არღვევს. წყვილი სამსახურებრივ თემებს სამსახურშივე „ტოვებს“, უფრო მეტიც — ნიკა ცოლისგან პროფესიულ რჩევებსაც არ იღებს, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ „მოამბის“ ხელმძღვანელობას ენდობა.

ეთო ყორღანაშვილი

ჯვარი ჯვრის მონასტერში დავიწერეთ

ნიკა:

— ჩვენი ურთიერთობის შესახებ ბევრმა არ იცოდა. როცა კოლეგები პირადი ცხოვრების შესახებ მეკითხებოდნენ, ვპასუხობდი — მალე ოჯახის შექმნას ვაპირებ-მეთქი.

ქეთი:

— 31 ოქტომბერს ჯერ ხელი უნდა მოგვეწერა, მერე კი ჯვარი დაგვწერა. მე სალონში ვიყავი, ნიკა — თავის საქმეზე. შენობიდან გამოსულმა ნიკამ აღმოაჩინა, რომ მისი მანქანა ადგილზე არ იყო — თურმე, „სითი პარკმა“ საჯარიმოზე წაიყვანა! მანქანის გარეშე დავრჩით. არადა, 20 წუთში ადგილზე უნდა ვყოფილიყავით. ნიკამ ტელეფონით გადარეკა-გადმორეკა, ჯარიმა გადაიხადა და სახლში წავედით. ტანისამოსი სასწრაფოდ გამოვიცვალეთ. ერთმანეთისთვის არც კი შეგვიხედავს — არ დავინტერესებულვართ, როგორ გამოვიყურებოდით. მანქანაში ჩავსხედით და ხელის მოსაწერად გავემართეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მე პირადობის მოწმობა თან არ მქონდა (*იცინის*)...

— ბოლოს და ბოლოს, დაქორწინება მოახერხეთ?

ნიკა:

— საბედნიეროდ, დავქორწინდით. ჯვარი ჯვრის მონასტერში დავიწერეთ. ვიწრო წრეში პატარა ქორწილიც გადავიხადეთ. მოკლედ, ჩვენი სიყვარული ლამაზად დაგვირგვინდა.

— ორმა ჟურნალისტმა ერთმანეთი სად გაიცანით?

ქეთი:

— ეუთოს ოფისში, მგონი — 3 წლის წინ, ოღონდ ჩვენი გაცნობის შემდეგ დიდი პაუზა იყო: ნიკა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში მირეკავდა და მილოცავდა. ბოლოს 9 მარტს დამირეკა და მითხრა: შენს სანახავად მოვდივარო!

— ნიკა, მაინცდამაინც, 9 მარტს — რატომ? 8 მარტს დაგერეკა...

ნიკა:

— მანამდე ბაკურიანში იყო.

ქეთი:

— 9 მარტს ყველაფერი გავარკვიეთ — გვიანი საღამო იყო, მაგრამ უარის მიუხედავად, ნიკა ჩემს საცხოვრებელ კორპუსთან მაინც მოვიდა (*იცინის*).

ნიკა:

— ქეთი თავიდანვე მომეწონა, მაგრამ ჩვენი შეხვედრა „ფალიაშვილზე“, ერთ-ერთი ღონისძიების გადაღებაზე უფრო დამამახსოვრდა. ჩემი მომავალი მეუღლე გულში ჩამივარდა. მერე გრძნობებში გავერკვიე და მივხვდი — ის, რაც მაწუხებდა, სიყვარული იყო! ამიტომ გადავწყვიტე, ჩვენი ურთიერთობა უფრო აქტიურ ფაზაში გადასულიყო და ერთმანეთს ხშირად შევხვედროდით.

ქეთი თავიდანვე მომეწონა

— დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ხშირად შეხვედრას ახერხებდით?

ქეთი:

— დაახლოებით, დღესაც იმ დოზით ვხვდებით ერთმანეთს, როგორც შეყვარებულობის პერიოდში: დილით ჯერ მე მივყავარ სამსახურში, მერე თავად მიდის. ძალიან თუ აგვიანდება, ზოგჯერ გაჩერებაზე მტოვებს (*იცინის*). შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში ერთმანეთს ვერ ვხვდებით, საღამოს კი შინ დაღლილები ვბრუნდებით.

ნიკა:

— ზოგჯერ შეხვედრა გადაღებებზე გვიწევს — პარლამენტში ან სხვაგან. მოკრძალებულად მივესალმებით ხოლმე ერთმანეთს.

ქეთი:

— ამაზე ჩვენი მეგობრები მაგრად ხალისობენ (*იცინის*). ძნელია, მაგრამ მაგალითად, კინოთეატრში ერთად წასვლას ზოგჯერ მაინც ვახერხებთ.

— დიდი ხანია, რაც ტელეჟურნალისტიკაში საქმიანობთ?

ნიკა:

— ჟურნალისტობა 6 წლის წინ, ტელეკომპანია „კავკასიაში“ დავიწყე — საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ვიყავი. წელიწადი და 3 თვეა, რაც „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ვმუშაობ. ვცდილობ, კარგი სიუჟეტები მოვამზადო — ძალ-ღონეს არ

ვიშურებ. განახლებული „მოამბის“ ეთერში, ვიზუალური ეფექტის გარდა, მაყურებელს ბევრ საინტერესო და სხვა ტელეარხებისგან განსხვავებულ სიახლეს ვთავაზობთ...

ქეთი:

— პროფესიით გერმანისტი ვარ, მაგრამ უკვე 4 წელია, რაც ჟურნალისტად ვმუშაობ. თავიდანვე „იმედში“ მივედი. ჯერ პრაქტიკანტი ვიყავი, შემდეგ ის სულისკვეთება გამოვიჩინე, რაც ჟურნალისტს სჭირდება და შტატში „ჩამსვეს“.

— ნიკა, როგორც ვიცი, პროფესიით არც შენ ხარ ჟურნალისტი.

ნიკა:

— კინორეჟისურის ფაკულტეტი დავამთავრე. მინდა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით (თუნდაც საქართველოში ოსების ჩამოსახლების შესახებ) დოკუმენტური ფილმი გადავიღო. რუსეთთან საინფორმაციო ომის პირობებში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. გარდა ამისა, ბევრი ისტორიული ფაქტი თავად ქართველებმაც არ იციან...

— იმის გამო, რომ ჟურნალისტიკაში პროფესიული განათლება არ მიგიღიათ, სიუჟეტის კეთებისას სირთულე არასოდეს შეგქმნიათ?

ქეთი:

— საწყის ეტაპზე — შესაძლოა, როცა ელემენტარულად, „გადაფარვა“, სინქრონი არ იცი, რადგან უნივერსიტეტში ეს არ გისწავლია, მაგრამ ნელ-ნელა ამ პრობლემას გადალახავ.

ნიკა:

— ნიჭი და „ჟურნალისტური ყნოსვა“ უნდა გქონდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ადამიანს შანსი, რომ სრულფასოვან ჟურნალისტად ჩამოყალიბდეს, თუმცა — დიდი გამოცდილების შედეგად.

— სიუჟეტებთან დაკავშირებით, ერთმანეთს რჩევებს თუ აძლევთ?

ქეთი:

— რჩევებს მე უფრო ხშირად ვაძლევ, მაგრამ ძირითადად, არ ითვალისწინებს — მგონი, ჩემი შენიშვნები არ სიამოვნებს (*იცინის*).

— ნიკა, კრიტიკას ცუდად იღებთ?

ნიკა:

— არა, პირიქით. უბრალოდ, მიუხედავად იმისა, რომ ქეთი ჩემი მეუღლეა, მე მხოლოდ „მოამბის“ ხელმძღვანელების რჩევებს ვითვალისწინებ, რადგან ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან, შესაბამისად — მათი რჩევები ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია.

— რთული არაა, რომ ცოლ-ქმარი სხვადასხვა ტელეარხზე მუშაობთ?

— არა, რადგან დღის უმეტეს ნაწილს სამსახურში ვატარებთ და სახლში მისვლის შემდეგ, სამსახურებრივ თემებზე ლაპარაკის დრო აღარ გვრჩება — ძირითადად, შინ ოჯახურ საკითხებს განვიხილავთ.

— რას მეტყვით — მაყურებელს ინფორმაციას განახლებული „მოამბე“ უფრო ამომწურავად აწვდის, თუ — „ქრონიკა“?

ქეთი:

— ეს ჩვენთვის ძალიან საკამათო თემაა, რადგან ნიკას მიაჩნია, რომ ესაა „მოამბე“, მე კი — „ქრონიკა“. ახლაც ვერ შევთანხმდებით...

ნიკა:

— (*იცინის*) მოდი, მაშინ ასე ვიტყვი: მაყურებელმა გადაწყვიტოს, თუმცა ეს ისედაც ცხადია უკვე. განახლებულ „მოამბეში“ სერიოზული, „შეკრული“ გუნდი მუშაობს, რომელიც იმისკენაა მიმართული, რომ ქართულ საინფორმაციო სივრცეში 1-ელი ადგილი დაიკავოს. რაც მთავარია, საფირმო ფრაზას — „ჩვენ პირველები ვამბობთ“ — ვამართლებთ!

■

კეიტ მოსმა ბავშვებს საიდუმლო გაუმხილა

ლეგენდარულმა ტოპმოდელმა ბავშვებს ნამდვილი ზეიმი აჩუქა. ჯუდ ლოუსა და საიდი ფროსტის ქალიშვილის აირისის დაბადების დღის აღსანიშნავად მოწყობილ წვეულებაზე იუბილარს და მის სტუმრებს მასტერკლასი „როგორ გავხდეთ ტოპ-მოდელი“ თავად კეიტ მოსმა ჩაუტარა. ბავშვები, რომელთა შორის მოდელის ქალიშვილი ლაილაც იყო, აღფრთოვანებულნი დარჩნენ, როდესაც კეიტმა მათ პოდიუმზე გავლა და მისი საფირმო გამოხედვა — „ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობთ ჩემზე“ ასწავლა. სამოდელო ოსტატობის ანბანის გარდა, კეიტ მოსმა ბავშვებს სტილისტიკის რამდენიმე გაკვეთილიც ჩაუტარა. მან უამრავი ტანსაცმელი და აქსესუარი დაახვავა და გოგონებს განუმეორებელი სახეების შექმნაში დაეხმარა.

პატარა პრინცესებს ნამდვილად გაუმართლა. მილიონობით ქალი ყველაფერს მისცემდა, რომ სტილის დედოფალთან წუთით მიახლოებისა და ფასდაუდებელი რჩევების მიღების საშუალება ჰქონოდა. ახლა აირისი და მისი მეგობრები მოდელობაზე ოცნებობენ... ■

ჯენიფერ ლოპესმა ქმარი შერცხვენას გადაარჩინა

ამა წლის ივლისში ჯენიფერ ლოპესმა და მისმა მეუღლემ საფეხბურთო გუნდის Dolphin აქციები შეიძინეს და მას შემდეგ გუნდის ყველა მატჩს რეგულარულად ესწრებიან. ცოტა ხნის წინ, თამაშის დროს ტრიბუნებზე მყოფი ვარსკვლავური წყვილი კამერების ობიექტივის სამიზნე კიდევ ერთხელ გახდა, მაგრამ ამჯერად ისინი ძალზე ცუდად გამოიყურებოდნენ. მწველი მზისა და 30 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის გამო, 41 წლის მარკ ენტონი სტადიონზე გაოფლილი პერანგით მივიდა. სიცხისგან ჯენიფერსაც სახე ულაპლაპებდა, მაგრამ კაცი იფიქრებდა, რომ ეს მხოლოდ ლამაზი კანის ჯანმრთელი ელვარება იყო... ლოპესი მშვენივრად მიხვდა, რომ მეუღლის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიტომ შავ სარაფანში გამოკვართული, გარუჯული ნატიფი სხეული გამოამზეურა და უკლებლივ ყველა ფოტოგრაფის ყურადღება მიიზიდა, მაგრამ დღის სამწუხარო პერიპეტიები ამით არ დასრულებულა: მატჩი მათი საფეხბურთო გუნდის დამარცხებით დასრულდა. ■

მადონას Touring Awards–ის პრემია მიანიჭეს

ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში ჩატარებულ Billboard Touring Awards-ის ყოველწლიური დაჯილდოების მეექვსე ცერემონიაზე მადონამ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. ძალზე წარმატებულმა ტურნემ Sticky & Sweet მომღერალს Top Tour და Top Draw კატეგორიებში პრემიები მოუტანა და შესაბამისად, მისი ტურნე წლის ყველაზე შემოსავლიან გასტროლებად აღიარეს. ამის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ „საუკეთესო მენეჯერის“ წოდება მადონასთან ერთად მომუშავე საკონცერტო ბიზნესის პროფესიონალ გაი ოზირის მიენიჭა. ჟიური Billboard Touring Awards-ის პრემიას Billboard Boxscore-ს სერვერის მონაცემთა საფუძველზე ანიჭებს, რომელიც სხვადასხვა შემსრულებლის კონცერტების წლიურ შემოსავალს (ამ შემთხვევაში 2008 წლის 1-ელი ოქტომბრიდან 2009 წლის 30 სექტემბრამდე) ითვლის. როგორც ცნობილია, მადონას გასულ წელს გამოცემული ალბომის Hard Candy მხარდასაჭერად გამართული ტურნეს Sticky & Sweet შემოსავალმა 408 მილიონი დოლარი შეადგინა. გასტროლები, რომელიც 2008 წლის აგვისტოში დაიწყო და 2009 წლის სექტემბრის დასაწყისში დასრულდა, ყველა დროის ყველაზე წარმატებულ სოლო ტურად იქნა აღიარებული. ამ პერიოდში მომღერალმა მსოფლიოს 32 ქვეყანაში 85 კონცერტი გამართა, რომელსაც 3.5 მილიონი მსმენელი დაესწრო. ■

ემინემი საშინელებათა ფილმზე მუშაობს



ამერიკაში სამგანზომილებიან ფილმზე Shady Talez დაიწყო მუშაობა, რომლის თანაპროდიუსერი და ერთ-ერთი როლის შემსრულებელი ემინემი იქნება. სურათი „ჰიპ-ჰოპის სტილის საშინელებათა ფილმი“ იქნება. გამოცემის Screen International ინფორმაციით, ფილმის თემატიკა ჯორჯ რომეროს ცნობილ ჰოررორ-კომედიას Creep Show და პოპულარულ სატელევიზიო სერიალს The Twilight Zone ეხმაურება. სურათის სცენარის ავტორები კევინ გრევო (რომელსაც მაყურებელი ფილმით Underworld იცნობს) და დალას ჯეკსონი (I'Robot) იქნებიან. აღსანიშნავია, რომ დალას ჯეკსონი ემინემთან ერთად პროდიუსერის ფუნქციებს გაინაწილებს. ცხადია, რომ ფილმის საუნდტრეკს ემინემი შექმნის. სავარაუდოდ, სურათს ოთხი წიგნისგან შემდგარი კომიქსების სერიაც დაემატება. ამ პროექტს გამომცემლობა Marvel Icons განახორციელებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ აქამდე ემინემმა მხოლოდ ერთ ფილმში მიიღო მონაწილეობა. ნახევრად ბიოგრაფიულმა სურათმა 8 Mile მუსიკოსს „ოსკარი“ მოუტანა. მართალია, არა საუკეთესო როლისათვის, არამედ საუკეთესო მუსიკისათვის, მაგრამ „ოსკარი“ მაინც „ოსკარია“... ■

ვიქტორია ბექჰემი სამოდელო სააგენტოს ხსნის

ვიქტორია ბექჰემმა საკუთარი ბიზნეს-იმპერიის გაფართოება გადაწყვიტა. ბრიტანეთის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი საკუთარი სამოდელო სააგენტოს გახსნას აპირებს. ყოფილმა მომღერალმა კვალიფიკაცია შეიცვალა, მოდის დიზაინერი გახდა და ახალი საქმის დეტალებს მენეჯერ სიმონ ფულერთან ერთად განიხილავს, რათა ნიუ-იორკში სამოდელო ბიზნესი წამოიწყოს. „სიმონმა იცის, რომ ვიქტორიას მოდის საქმე კარგად გაეგება“, — ამბობს მისი ერთ-ერთი მეგობარი.

როგორც იცით, ცნობილი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემისა და 35 წლის ვიქტორიას ოჯახში სამი ვაჟიშვილი — ბრუკლინი, რომეო და კრუზი იზრდება. ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

საინტერესო „ბომჟური“ ცხოვრება, დიეტაზე მეოცნებე მათხოვარი და მოწყალების თხოვნა სერიალების შემდეგ

ეს ადამიანები ქუჩაში მოწყალებას ითხოვენ და თავს ამით ირჩენენ, მაგრამ ფოტოების გადაღებისას, კატეგორიულად გამაფრთხილეს, — ჟურნალის ფურცლებზე „მათხოვრის ფორმაში“ გამოჩენა არ გვსურსო! საკუთარ განვლილ ცხოვრებაზე საუბრისას, თვალები უბრწყინავდათ, მერე კი სახის გამომეტყველება მკვეთრად ეცვლებოდათ და ინტერვიუს შეწყვეტას მთხოვდნენ. ალბათ, გულის სიღრმეში დარდის ვინმესთვის გაზიარება სურდათ, რადგან საბოლოოდ, ჩვენი საუბარი მაინც შედგა.

ეთო ყორღანაშვილი

თენგო მაღრაძე:

— დედაჩემი — ვენერა ბახტაძე — „ოქროს ქალი“ იყო — „შემნახველ სალაროში“ მუშაობდა, მამაჩემი კი ერთი „ჟანგიანი“ კაცი გახლდათ — ვაჭარი იყო და ციხეში ხშირად ხვდებოდა. მუსიკოსი ძმა მყავდა, თამაზი ერქვა, მაგრამ — რინგო „ბარაბანშიკს“ ეძახდნენ. საკუთარი მუსიკალური ჯგუფი ჰქონდა. მამამ სურვილი აუხდინა და მაშინდელ ლენინგრადში, ცენტრალურ უბანში ბინა უყიდა. ჩემი ძმა „წამალს“ იკეთებდა და დაიღუპა. მისი ამბავი ძალიან განვიცადე, რის გამოც სასმელს მივეძალე.

— ვიდრე ქუჩაში მოწყალების თხოვნას დაიწყებდით, მანამდე რას საქმიანობდით?

— ერთ დროს პედაგოგადაც ვმუშაობდი — სკოლა-ინტერნატში ობლებს ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი. სამწუხაროდ, მაშინაც ვსვამდი.

— ამ მავნე ჩვევისგან თავის დაღწევა არ გიცდიათ?

— ვცადე, მაგრამ... ისეთი ძმა და მეგობრები დავკარგე, რომ დარდი როგორმე უნდა გამექარვებინა!

— სკოლაში მუშაობას როგორ ახერხებდით?

— ფიზკულტურის მასწავლებელიც ლოთი იყო. ზოგჯერ მე და ნოდარა ერთმანეთს გაკვეთილებს „ვუცვლიდით“ — კარში ჩავდგებოდი ხოლმე და ბავშვებს ფეხბურთს ვათამაშებდი. ერთხელ გაკვეთილზე „სინტაქსს“ ვუხსნიდი. ცარცი გამიტყდა, ძირს დამივარდა და ასაღებად დავიხარე. ჯიბიდან არყის ბოთლი გადმომივარდა და იატაკზე გაგორდა. საშინელება იყო... ბოთლი ავიღე და კლასიდან გამოვიპარე, სამუდამოდ... მერე მოსწავლეები გაიფიცნენ თურმე, — თენგო მასწავლებელი გვინდაო, მაგრამ... შემდეგ ქარხანაშიც ვმუშაობდი.

— ოჯახი გაქვთ?

— კი. ადრე სვანი გოგო მიყვარდა. კომკავშირის მდივანი იყო, სამსახურში სილამაზის გამო მიიღეს. სამწუხაროდ, ცუდ გზას დაადგა... ერთხელ დედამ მითხრა, თანამშრომლებთან ერთად, სვანეთში, ექსკურსიაზე მივდივარ და შენც წამოდიო. გამიხარდა. „ჩემს გოგოს“ ვნახავ-მეთქი. თურმე დედამ მომატყუა და სვანეთის ნაცვლად, ექსკურსიაზე რაჭაში წავედით. ჩემი „კობრა-გიურზაც“ იქ იყო. მაშინ ისიც „შემნახველ სალაროში“ მუშაობდა.



— „კობრა-გიურზა“ ვინაა?

— ასე ჩემს ცოლს დავარქვი, რადგან სულ „იკბინება“ (იღიმება). მოკლედ, ავტობუსში ჩემს მომავალ მეუღლეს გვერდით მივუჯექი და სწორედ იქიდან დაიწყო ჩვენი „ლავსთორი“. მერე დედაჩემი გადამეკიდა, — რადგან შეჰპირდი იმ გოგოს, ცოლად უნდა შეირთოო. ჰოდა, დავოჯახდი. არადა, ის სვანი მიყვარდა... „გიურზას“ ჩემი დედიკო არ მოეწონა და სახლი „დამახურდავებინა“. ბოროტი ცოლი მყავს. თვალებით შემიყვარდა, მოვტყუვდი... უკაცრავად, პაპიკუნა, მაგრამ ხომ საშინელი სუნი ამდის?

— რაღა დაგიმალოთ და — კი.

— ცოლი არ მივლის!

— რომ იბანაოთ, არ გიცდიათ? რა დიდი ამბავი მაგას უნდა?

— ეჰ, ტანსაცმლის რეცხვით უკვე დავიღალე. ბანაობას რაც შეეხება, ადრე ვენები გადავიჭერი — თვითმკვლელობა ვცადე და მას შემდეგ დაბალი წნევა მაწუხებს. იმ დღეს აბანოში შევედი და თავბრუ დამეხვა.

— მათხოვრობთ, თან — დასაბანი დადიხართ. არ გეთაკილებათ?

— მე მოწყალებას კი არ ვითხოვ, ხალხს ფულს ვართმევ!

— რას ნიშნავს — „ვართმევ“?

— ამ ქალაქში ყველა მიცნობს. ხალხს ვეუბნები, რომ დასალევის, სიგარეტისა და პურის საყიდლად 1-2 „კაპიკი“ მომცეს. დღის ბოლოს ჩემი პატარა შვილიშვილისთვის მზესუმზირასაც ვყიდულობ — „სემიჩკის“ გარეშე შინ რომ მივიდე, სახლში არ შემიშვებს (იცინის)! მერე, მთელი ღამის განმავლობაში ვსვამ და ჩემს გარდაცვლილ მეგობარ მხატვარს წარმოსახვაში ვესაუბრები ფერწერაზე, პოეზიაზე... შემდეგ ისევ ახალი დღე იწყება.

— მიგაჩნიათ, რომ საინტერესოდ ცხოვრობთ?

— რა თქმა უნდა! ძალიან საინტერესო, „ჭრელი“ ცხოვრება მაქვს. ახლა ვცდილობ, ინგლისური ენა ვისწავლო — ბავშვობაში „ბითლზის“ გიჟი ვიყავი, ელვის პრესლიც მომწონდა, ფრენკ სინატრაც (*ღიღინებს*)...

ვენერა კარიბოვი:

— ეროვნებით ბერძენი ვარ, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი. მამა წალკელი იყო, დედა — მუხრანელი.

ასაკით პატარა ვიყავი, როცა დედა და მამა ერთმანეთს დაშორდნენ. წლების მერე, მამასთან ურთიერთობა აღვადგინე. ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა ბედნიერი ქალი ვიყავი. მომავალი მეუღლე ცეკვის წრეზე, დარბაზში გავიცანი. მოცეკვავე და მედოლე გახლდათ. სუხიშვილების ანსამბლშიც უკრავდა. მსმელი კაცი იყო და ეტყობა, რეპეტიციაზე მთვრალი მივიდა, რადგან ნინო რამიშვილმა დაუყვირა, — შე, ტილიანო მთიულოო (*იცინის*)! ძალიან ამაყი იყო. შეურაცხყოფა ვერ აიტანა და ანსამბლი მიატოვა. შემდეგ „ელექტრიკად“ მუშაობდა. სიამტკბილობით ვცხოვრობდით. მე სტალინის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობიც გახლდით. ჩემს ცხოვრებაზე პიესა დავწერე, რომლის მიხედვითაც სპექტაკლის დადგმას აპირებდნენ, მაგრამ საბოლოოდ არ გამოვიდა — ქმარმა უარი მითხრა. ხელნაწერებს დიდხანს ვინახავდი, მერე კი გადავყარე. ხელოვნება მივატოვე და მუშაობა მაღაზიაში დავიწყე. მე და ჩემს ქმარს შვილი არ გვიჩნდებოდა და ბიჭუნა ვიშვილეთ. ბიჭმა ცოლი რომ შეირთო, ჩემი უბედურება იქიდან დაიწყო. ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები მქონდა და საავადმყოფოში მოვხვდი. რძალმა ამით ისარგებლა და ჩემი ბინა დააგირავა. საბოლოოდ, უსახლკაროდ დამტოვა. დღეს მე და ჩემი შვილი ნაქირავებში ვცხოვრობთ. ბინის ქირას რომ ვერ ვიხდიდი, სახლის პატრონმა სამათხოვროდ გამომიყვანა, რისთვისაც მადლობას ვუხდი — ამას მე თვითონ ვერ გავბედავდი. ახლახან ძმა დამეღუპა — ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. დედის გვერდით დავკრძალე. მითხრეს, — სასაფლაოს ფული — 95 ლარი უნდა გადაიხადოო. ქვითარი სახლში მაქვს. იმედია, თანხას მოვაგროვებ და გადავიხდი. ჩემი შვილი უმუშევარია...

ჟორა ავეტისოვი:

— ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდა. მამაჩემი მსმელი კაცი იყო და ლოთობამ დაღუპა: სიმთვრალეში ვიღაცას თავში რაღაც ჩაარტყა, დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა. დედამ ვაჭრობა მასწავლა. შოკოლადის გაყიდვა დავიწყე. სკოლაში თითქმის აღარ დავდიოდი, მე-4 კლასიდან კი სწავლას თავი საბოლოოდ დავანებე. როცა გავიზარდე, ცოლად კახელი ქალი შევირთე. ფსიქიკურად ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა, მაგრამ გავუგე. დედაჩემს ხელები უკანკალებდა და საჭმელს ჩემი ხელით ვაჭმევდი ხოლმე. ამის გამო ცოლი ეჭვიანობდა, — დედაშენი უფრო გიყვარს, ვიდრე — მეო. ერთხელ მეუღლემ ქათმის ხორცისგან კერძი მოამზადა და დედამთილი სუფრასთან მიიწვია. დედაჩემმა უთხრა: შენს გაკეთებულს არ შევჭამო. სახლიდან გამოვედი და „ვორონცოვზე“, სახაშეში შევედი. შინ რომ დავბრუნდი, დედა მკვდარი დამხვდა — ჩემს ცოლს მისთვის თავში ცული ჩაურტყამს. გამწარებულმა ცული ავიღე და მეუღლეს დავარტყი. მკვლელობისთვის 15 წელი მომისაჯეს... ციხიდან გამოსვლის შემდეგ, პურის ფულიც არ მქონდა. სახლიდან საოჯახო ნივთები გასაყიდად გავიტანე. მალე მეორედ დავოჯახდი — 2-შვილიანი ქალი შევირთე, გოგო და ბიჭი ჰყავდა. ბიჭი სმას გადაჰყვა, გოგონა კი დედას ჰგავდა — მაგრად „გულაობდა“ და ვიღაცისგან შვილი გააჩინა. ახლა ისიც მათხოვრობით ირჩენს თავს. მეორე ცოლთან 40 წელი ვიცხოვრე. ის ინფარქტით გარდაიცვალა.

— საკუთარი შვილი არ გყავთ?

— მეორე ცოლისგან ერთი ქალიშვილი მყავს, მაგრამ ნამდვილად ჩემი თუა, არ ვიცი: ჩემი შვილი რომ იყოს, ცოტაოდენი ცოდვა-მადლი ექნებოდა, მან კი ფული და ხელოსნისთვის საჭირო იარაღი (ერთ დროს თავს ხელოსნობითაც ვირჩენდი) მომპარა. როგორღა ვიმუშავებდი? ერთი დანგრეული ბინის ამარა დავრჩი.

— ახლა სადაა თქვენი შვილი?

— ვიღაც ბიჭი გაიცნო და მასთანაა. ახალგაზრდებს ხელი ძალით მოვაწერინე.

— ძალით — როგორ?

— სასიძოს 1000 ლარს დავპირდი და დანაპირები შევუსრულე. მინდოდა, მათი ურთიერთობა კანონიერი ყოფილიყო, ვინმეს ჩემს შვილზე რომ არ ეთქვა, — გახრწნილი გოგოაო! ერთი შვილი მყავს და ისიც არ ვარგა — ადამიანს რომ ბედი არ ექნება, რა...

— დიდი ხანია, რაც მათხოვრობით ირჩენთ თავს?

— 1 კვირის განმავლობაში ლოგინში ვიწექი, საშინლად მშიოდა. სიზმარში უფალი (მიმაჩნია, რომ უფალი იყო) გამომეცხადა და მითხრა, რატომ ხარ ლოგინში? მიდი, იმათხოვრე, მერე რა მოხდაო? მაშინ 70 წლის ვიყავი. 5 წელია, რაც მოწყალებას ვითხოვ და თავს ამით ვირჩენ.

— მარტო ცხოვრობთ?

— მარტო — რატომ? 3 ძაღლი და 1 კატა მყავს!

— მათ გამოკვებას ახერხებთ?

— კი, როგორ არა? მათთვის ძეხვი მიმაქვს ხოლმე. ცხოველები ძალიან მიყვარს. ქუჩაში მაწანწალა ძაღლებსა და კატებსაც ხშირად ვკვებავ. 1-2 „კაპიკს“ ვიშოვი, საჭმელს შევჭამ და ლუდს დავაყოლებ — სხვა საფიქრალი მე აღარ მაქვს.

ნინა, *36 წლის:*

— უბრალო ოჯახიდან ვარ. მამაჩემი წინათ საამქროს უფროსი იყო, ახლა მუშაა. ოჯახის წევრებიდან სამსახური მხოლოდ მას აქვს. 190-ე სკოლა დავამთავრე. სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, სამაგიეროდ — მუსიკა ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს! პოპსაც ვუსმენ, კლასიკასაც და ზოგჯერ — ჯაზსაც. აბსოლუტურად ყველა შემსრულებლის შემოქმედებას ვაფასებ.

— მუსიკალური განათლება თუ გაქვთ მიღებული?

— კი, მუსიკალური ათწლედი დავამთავრე, მაგრამ მუსიკის მასწავლებლად მუშაობა არ შემიძლია. ბავშვები რომ ამეცადინო, ამისთვის ფსიქოლოგიურად უნდა იყო განწყობილი. მე შესაბამისი განწყობილება არ მაქვს.

— სხვა სამსახურზე არ გიფიქრიათ?

— სასტუმროში, მიმტანად მუშაობას ვაპირებდი, მაგრამ მომერიდა.

— კი, მაგრამ მიმტანობა გეთაკილებათ და მათხოვრობა — არა?

— ეჰ, ყველაფერმა მიჩვევა იცის. დღესდღეობით, ქურდობა და ყაჩაღობა არაა სირცხვილი და იმის გამო, რომ მოწყალებას ვითხოვ, რატომ უნდა შემრცხვეს?!

— ...ანუ უხერხულობას არ გრძნობთ?

— როგორ არა! პირიქით — შეურაცხყოფილი ვარ, რადგან ბუნებით ამაყი გახლავართ. დედაჩემი ამბობს ხოლმე, — ნეტავ, ის დღე მალე დადგეს, როცა მათხოვრობა აღარ მოგიწევსო. ადრე დედა ფეხსაცმელების ფაბრიკაში მუშაობდა, ახლა უმუშევარია. ჩემი ძმა ნაყინს ჰყიდდა, მაგრამ იმ საქმიდან არაფერი გამოს-

დიოდა და თავი დაანება. მათხოვრობა ძალიან ეთაკილება. ამიტომ შინ უსაქმურადაა. დღის განმავლობაში, 4-5 ლარს ვშოულობ. ამ ფულით პურს, შაქარსა და სხვა პროდუქტებს ვყიდულობ. ზოგჯერ ტანსაცმლის ყიდვასაც ვახერხებ.

— ალბათ, ისეთი დღეებიც არის, როცა პურის ფულსაც ვერ შოულობთ.

— ჰო, მაგრამ — იშვიათად. საბედნიეროდ, ხალხი გულმოწყალებას იჩენს. დილით ერთმა ადამიანმა შედარებით, დიდი თანხა მომცა, ოღონდ რაოდენობას არ გავახმაურებ.

— კარგი. მაშინ ის მითხარით, — რა თანხა გინდათ რომ გქონდეთ და იმ ფულით რას გააკეთებდით?

— მაგალითად, 5000 ლარი რომ მოვიგო, აღარ ვიმათხოვრებდი. ეკონომიურად დავხარჯავდი და თანდათან რამეს მოვიფიქრებდი... რა, კარგი დიეტოლოგის მიერ შერჩეული დიეტა მაწყენდა? წონაშიც დავიკლებდი და მერე კბილებსაც გავიკეთებდი!

— ნინა, შეყვარებული ხართ?

— ოო... ყველას ხომ არ გავუმხელ? თუნდაც ვინმე მომწონდეს, ინიციატივას

ნინა

მე ხომ არ გამოვიჩენ და ძალით ხომ არ მივახტები?! ჯერ მას უნდა მოვეწონო...

— სიმღერის ნიჭს, მოწყალების თხოვნისას თუ იყენებთ?

— კი. ძირითადად, ქართულ სიმღერებს ვმღერი. ინგლისურად ვერ ვიმღერებ, ეს ენა კარგად არ ვიცი და ვერ გავრისკავ!

— ქართულ-ინგლისური წარწერა კი გაგიკეთებიათ, — დამეხმარეთ, კეთილო ხალხოო. მის შედგენაში ვინმე დაგეხმარათ?

— (*იცინის*) ეს ფრაზა მე თვითონ „შევაკოწიწე“. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურად მხოლოდ კითხვა ვიცი — ტყუილი რატომ უნდა ვთქვა?

— ნინა, რითი ერთობით?

— სერიალებით. საუზმესა და სადილს ოჯახის წევრებთან ერთად მივირთმევ. მერე ყავას ვსვამ და სერიალებს ვუყურებ. აბა, რა ვქნა? კონცერტი, თეატრი და კინოთეატრი ჩემთვის არ არსებობს. ჩემი საყვარელი სერიალის დამთავრების შემდეგ, ქუჩაში სამათხოვროდ გამოვდივარ... ■

ჯკივილით გაგრძელებული გზა

ამბავი, რომელიც ქალბატონმა ლიანამ მიამბო, მის უფროს ძმას ეხება. როგორც მან მითხრა, ანდრო (ძმა) დიდი ხნის განმავლობაში იმდენად სასოწარკვეთილი იყო, შეიძლებოდა ცხოვრება თვითმკვლელობით ან სხვისი მკვლელობით დაესრულებინა („როცა სიძულვილს სიყვარული სჯობნის“, „კვირის პალიტრა“ — 2008 წლის 10 მარტი).

მარინა გაბუნაშვილი

ამბავი პირველი
ღალატი

ამონარიდი ლიანას წერილიდან: „ანდრო ჩემზე 9 წლით უფროსია. როცა მშობლები გარდაიცვალნენ, 14 წლის იყო, მე კი 5-ის. დედაჩემის ძმამ ბებია ჩამოგვიყვანა მომხედავად, მაგრამ მოხუცი შვილზე დარდმა ლოგინად ჩააგდო და აქეთ გახდა ჩვენი მოსავლელი. ბიძაჩვენი იძულებული შეიქნა, თავისთან წაეყვანა დედამისი, მე კი ინტერნატში ჩამაბარეს. ანდრო დღისით სკოლაში დადიოდა, ღამე რკინიგზის სადგურზე, მტვირთავად მუშაობდა. დღე არ გავიდოდა, არ მოვენახულებინე. მისი ხნის ბიჭები ადვილად ასცდებიან ხოლმე გზას, მაგრამ ანდრო დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, სხვისი ხელში შემყურე არ ყოფილიყო და ინტერნატიდან მალე წამოვეყვანე. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე ჩააბარა (დაუსწრებელ განყოფილებაზე). დღისით კი ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მუშაობდა. მეოთხე კლასში ვიყავი, როცა სახეგაბრწყინებულმა გამომიცხადა, უფროს ოსტატად დამნიშნეს, ხელფასიც მომემატა და აწი აღარაფრის მეშინიაო. მომკიდა ხელი და შინ წამომიყვანა“.

ლიანა გახარებული იყო. ინტერნატში ყოფნას, რა თქმა უნდა, ძმის გვერდით, საკუთარ სახლში ყოფნა ერჩივნა. კეთილი მეზობლები და ნათესავები ყურადღებას არ აკლებდნენ ობლებს. დრო უცებ გავიდა. ლიანამ სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა, მაგრამ ძმა შეუჩნდა, უმაღლესში უნდა მოგაწყოო და მოამზადა რეპეტიტორებთან. მალე მისი და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტიც გახდა.

ანდრო 30 წლის ასაკში ერთ-ერთი საწარმოს დირექტორად დაინიშნა. ცოტა ხანში დაქორწინდა. რძალ-მული მალე დამეგობრდა. 10 წელი მშვიდად და ბედნიერად იცხოვრეს. ანდრომ ბინა იყიდა, ძველი კი გაარემონტა და დას დაუტოვა; როცა ლიანა გათხოვდა, იმისთანა მზითვი გაუმზადა, ყველას სალაპარაკოდ ჰქონდა. დისშვილებს ზედ ჰყვებოდა, თავის ოჯახშიც ყველა მის მზეს იფიცებდა. მერე ცუდი რამ მოხდა...

ამონარიდი წერილიდან: „ანდრო, მისი მთავარი ინჟინერი და ბუღალტერი დააპატიმრეს. ხომ გახსოვთ, „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ „მარცხენა“ შემოსავალი? — ბრალდებაც ეს იყო. ანდროს 15 წელი მიუსაჯეს. აქეთ გვაწყნარებდა და გვაიმედებდა, არ იდარდოთ, ჩემი ძმაკაცები მოგხედავენ, მე კი 4-5 წელიწადში გამოვალო. მართლაც 5 წელიწადში გათავისუფლდა, მაგრამ...“

...მაგრამ მერე ძნელად დასაჯერებელი რამ მოხდა. ანდროს ერთ-ერთმა უახლოესმა ძმაკაცმა, იოსებმა რომანი გააბა ანდროს ცოლთან.

ადრე თუ გვიან, ყველაფერი მჟღავნდება... თინამ თავად უამბო ანდროს იმის შესახებ, რაც ლიანას კარგა ხანს ჭორი ეგონა. ანდროს ცოლისთვის არაფერი უთქვამს, იოსების მოკვლა კი უნდოდა.

თინა ოჯახში ვეღარ გაჩერდა. შვილების წაყვანა უნდოდა, მაგრამ არც ერთი არ გაჰყვა დედას. უმცროსმა, 10 წლის გოგონამაც კი მამასთან მოისურვა დარჩენა... შვილების ასეთმა დამოკიდებულებამ და დის

გამუდმებულმა მუდარამ ანდროს უკიდურესი რისხვა გაანელა, მაგრამ თბილისში გაჩერება აღარ შეეძლო და რუსეთში წასვლა გადაწყვიტა. იმ წელს, უფროსი შვილი სკოლას ამთავრებდა. ამიტომ შუათანა და უმცროსი თან წაიყვანა.

ამბავი მეორე
დრო ტკივილს აყუჩებს

ანდრო დღესაც რუსეთშია. დიდი ხნის მერე იქაური ქალი შეირთო ცოლად. სადაცაა, 70 წელი შეუსრულდება, მაგრამ როგორც ქალბატონი ლიანა ამბობს, საკმაოდ მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება...

ლიანა: როცა ანდროს მაშინდელი მდგომარეობა მახსენდება, ახლაც ვნერვიულობ და საშინელი განცდა მეუფლება. მას ძალიან უყვარდა თინა, იოსებზე კი დიდი ამაგი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ იოსები მისი თანატოლი იყო, ყოველთვის მამასავით, უფროსი ძმასავით ედგა მხარში. ის ორი უახლოესი ადამიანის ღალატით განადგურებული იყო. მე და მისი შვილები გვერდში რომ არ დავდგომოდით, თავს მოიკლავდა ან იოსებს მოკლავდა. რომ მითხრა, რუსეთში წასვლა მინდაო, მაშინვე დავეთანხმე — ყველაზე კარგი და ოპტიმალური გადაწყვეტილება მიგიღიამეთქი.

— არ უნდა თბილისში დაბრუნება?

— უნდა და მალე დაბრუნდება კიდეც. მას ძალიან კარგი მეუღლე ჰყავს და მისი მადლობელი ვარ. ანდროს შვილებსაც ყოველთვის თბილად ექცეოდა და ქმარი ხომ სიგიჟემდე უყვარს.

— თინა აღარ გიკავშირდებათ? როგორ გაგრძელდა მისი ცხოვრება ანდროსთან დაშორების მერე?

— იგი ვერც იოსებთან გაჩერდა. დღეს თინა მარტოა. შვილები კარგა ხანს არ ეკონტაქტებოდნენ. მერე მე მინახულა, ლამის მუხლებში ჩამივარდა და მთხოვა, შვილებთან შემარიგეო. უმცროსებს მალე მოულბათ გული, უფროს ვაჟს უფრო გაუჭირდა პატიება. მართლაც შესაცოდი იყო თინა. მართალია, ცუდად მოექცა ქმარს, მაგრამ მკაცრადაც დაისაჯა. რაც შეეხება იოსებს, იგი სად არის, დღემდე არ ვიცით და მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს. თურმე, დრო დიდ ტკივილებსაც აყუჩებს. ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ტელ:
899.27.25.61
ან ელფოსტით
babunamarina@yahoo.com

პარალელური ფლოსტები

მარი ჯაფარიძე

მინდა, ერთი საინტერესო და თითქმის ანეკდოტური სიტუაციის შესახებ მოგიყვეთ. ამ ამბის გახსენებისას ყოველთვის შინაგან დისკომფორტს ვგრძნობ და უხერხულობას განვიცდი.

ეს ამბავი გასულ ზაფხულს, ბათუმში დაიწყო...

საღამო ხანს ერთ-ერთ კაფეში შევიარე სავახშმოდ. კაფე სავსე იყო ხალხით და ვინაიდან მაგიდასთან მარტო ვიჯექი, ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა წყვილმა ნებართვა მთხოვა, ჩემს მაგიდასთან დამსხდარიყო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

ერთმანეთი გავიცანით. ნელი და ბესო ცოლ-ქმარი აღმოჩნდნენ. ქალი ძალიან ლამაზი იყო — ტანმაღალი, გამოკვეთილი მკერდით, ჩამოსხმული ფეხებით, წაბლისფერთმიანი და სევდიანი თვალები ჰქონდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ის მხოლოდ ლამაზი კი არა, განათლებულიც იყო — 32 წლის ასაკში, მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახლდათ.

როგორც „მოწინააღმდეგე ბანაკის“ (მამაკაცებს ვგულისხმობ) წარმომადგენლები იტყვიან ხოლმე, იშვიათია სილამაზისა და გონიერების ასეთი შერწყმა...

ამ ქალბატონის მეუღლე არცთუ ისე სიმპათიური მამაკაცი გახლდათ. ხმა ჰქონდა საუცხოოდ დაყენებული და ყველაფერს გამჭოლი და ეჭვიანი მზერით აკვირდებოდა.

წყვილის ურთიერთობას ინტერესით ვადევნებდი თვალყურს.

— დიდი ხანია, ბათუმში ხართ? — მკითხა ქალმა.

— 2 დღის წინ ჩამოვედი, მაგრამ დიდი ხნით ვერ დავრჩები, მალე უნდა წავიდე.

— რატომ? დასვენებისთვის დრო არ გაქვთ? — შეწუხდა.

— რას ეკითხები, ნელი? — საყვედურით სავსე მზერა ესროლა ცოლს. — ადამიანი მთელი თვე ხომ ვერ დაისვენებს? ხანდახან უნდა იმუშაოს კიდეც, სამსახური ადამიანის ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს, ჩემო კარგო.

თითქოს რაღაც ახალი თქვა მამაკაცმა და მედიდურად გადმოგვხედა ჯერ ერთს, მერე — მეორეს. ალბათ აპლოდისმენტებს ელოდა, ასეთი სიტყვებისთვის.

მისმა მონოტონურმა, დამრიგებლურმა ტონმა გამაღიზიანა და საშინლად არ მომწონა, მაგრამ ნელიმ მაშინვე დაუქნია თავი და მის ნათქვამს უსიტყვოდ დაეთანხმა.

— ბესო, — ძალიან რბილად თქვა ქალმა, — ზურგში ხომ არ გიბერავს? ღია კარისკენ ზურგით ზიხარ. ხომ არ დავხურო?

გარეთ საშინელი სიცხე იყო და ძალიან გამიკვირდა.

— არა, ჯერ არ მიბერავს, თუ დამიბერავს, გეტყვი, — რაღაცნაირად, გაზუ-ლუქებული ბავშვივით თქვა მამაკაცმა და თან მედიდური იერი არ მოუშორებია სახიდან.

ამის გაგონებაზე წვენი გადამცდა და სული ძლივს მოვიბრუნე.

„ეს შეუძლებელია, ალბათ მომესმა“, — ვფიქრობდი და ვცდილობდი, ხველა შემეჩერებინა.

— შარშან ზაფხულს გაცივდა და გვეშინია, წელს რაიმე გართულება არ მოჰყვეს, გაცივება სახუმარო საქმე არაა, ხომ იცით, — დამნაშავესავით ჩაიბურტყუნა ქალმა, რადგან როგორც ჩანს, მიხვდა ჩემი „ხრჩობის“ მიზეზს.

მე კი უკვე ლაპარაკიც აღარ შემეძლო. თვალებიდან ცრემლი მდიოდა... „შარშან გაცივდა და წელს გართულების ეშინიათ“, — ვფიქრობდი და ახლა უკვე სიცილით ვიხრჩობოდი. ვიცოდი, რომ არასწორად და უტაქტოდ ვიქცეოდი, მაგრამ ვერ ვჩერდებოდი.

— უკაცრავად, — ბოდიში მოვიხადე, როგორც კი სული მოვითქვი.

შემდეგ მამაკაცი უკბილო და წვერიან ანეკდოტებს ჰყვებოდა, რომელიც სულაც არ იყო სასაცილო, მაგრამ ნელი თვალებში უყურებდა და გულიანად ხითხითებდა ვინ იცის, მერამდენედ მოსმენილ ანეკდოტებზე. ასეთმა იდილიამ ლამის ისტერიკამდე მიმიყვანა. კიდევ ცოტაც და ავფეთქდებოდი.

უეცრად, ბესომ სიტყვა გაწყვიტა და გაჩუმდა. ნელიმ შეშინებულმა შეხედა, მერე მე გადმომხედა, შემდეგ იქაურობას მოავლო თვალი. როგორც ჩანს, მისი „ძვირფასი ქმნილების“ შეშფოთების მიზეზს ეძებდა.

— რა მოხდა, ბესო? — თვალებში მორჩილად ჩახედა ქმარს.

— არ ვიცი, — შუბლი შეიჭმუხნა მამაკაცმა, — მუცელი ამტკივდა, უცებ.

— უჰ, რას ამბობთ? — დამცინავად ვთქვი და თან გაოცებისგან თვალები დავაჭყიტე, რადგან ის საოცრად იმანჭებოდა, მუცელზე ხელს იჭერდა და ცოლს საცოდავი თვალებით უყურებდა.

გეფიცებით, ასეთი რამ არასოდეს

მინახავს... მამაკაცი, რომელიც მუცლის ტკივილის გამო ასე საცოდავად გამოიყურებოდა...

— ძალიან გტკივათ, ალბათ, მაგრამ დღეს მედიცინა წინ წავიდა, აუცილებლად გადარჩებით, — დავამშვიდე ბესო და დამცინავი ღიმილი არ მომიშორებია სახიდან.

ბესომ უკმაყოფილო სახით გადმომხედა და განაგრძო:

— საშინლად მტკივა, მგონი, მოვიწამლე. მიდი და იკითხე, ხორცი ძველი ხომ არ იყო?

ნელი მაშინვე წამოდგა, დახლთან მივიდა და ბარმენს ჰკითხა კერძის ვარგისიანობის შესახებ. რაღა თქმა უნდა, უპასუხეს, რომ ყველაფერი ახალი და უმაღლესი ხარისხის ხორცით იყო დამზადებული.

უკან მობრუნებულმა ნელიმ ქმარს დაწვრილებით ჩაუკაკლა ბარმენის ნათქვამი.

— კარგი, წავიდეთ, — ძლივს წამოდგა ბესო, — თუ მოვიწამლე, მერე მოდი და ეჩხუბე ამ იდიოტებს. ხომ?

— კი, აბა რას ვიზამ, — დააიმედა ნელიმ, ხელკავი გამოსდო და კაფედან გაიყვანა.

ცოტა ხანში მეც გარეთ გამოვედი. მეგონა, მათ აღარასოდეს ვნახავდი, მაგრამ სულ ტყუილად. საღამო ხანს, ბულვარში ნელის გადავაწყდი. მარტო იყო.

— მარი, როგორ ხართ? — ღიმილით გადამიდგა წინ.

— სეირნობთ?

— დიახ, მიყვარს ბულვარში სეირნობა, უამრავი ხალხია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, — რაღაცნაირად, უცნაურად იღიმებოდა ქალი.

ვუყურებდი და ვერ ვცნობდი. ჩემ წინ სულ სხვანაირი ნელი იდგა. სულ არ ჰგავდა იმ ქალს, რომელიც რამდენიმე საათის წინ ჩემს მაგიდასთან იჯდა.

— დღეს ცოტა უხერხულად გამომივიდა, — კიდევ ერთხელ ვცადე ბოდიშის მოხდა.

— კარგი, რა, მარი, ყველაფერი მშვენივრად მესმის, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ...

— სადაა თქვენი...

— ბესო? ვახშმის შემდეგ წამოწოლილია და ისვენებს. არ უყვარს უაზროდ სეირნობა. არადა, რა კარგია აქ...

კარგა ხანს ვისხედით მერხზე და ვინაიდან ერთად მყოფი 2 ქალი ჩუმად დიდხანს ვერ გაძლებს, ცოტა ხანში მის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცოდი: ნელი პროფესორის შვილია, დედა ექიმი ჰყავს, თვითონ კი ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში მათემატიკის კურსს კითხულობს, ბესო მისი მეორე ქმარია. პირველი — 3-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ საყვარელთან ერთად ამერიკაში გაიქცა და ყოფილი ცოლის საგვარეულო ძვირფასეულობაც თან გაიყოლა.

— ბესოზე როგორ გათხოვდით? — ვკითხე და როგორც ჩანს, ჩემს ხმაში თუ ინტონაციაში ნელიმ ისეთი რამ დაიჭირა, რამაც აიძულა, კარგად შევეთვალიერებინე.

— ბესო არ მოგეწონა, ხომ? — „შენობით“ ფორმაზე გადავიდა.

— ვერ გეტყვი, რომ აღვფრთოვანდი მისით, — სიმართლის თქმა ვამჯობინე, — შენ კი ძალიან კარგი ხარ.

ნელი უხერხულად შეიშმუშნა.

— მარი, აბა მითხარი, სხვას ვის ვჭირდები?

გაოცებულმა შევხედე ქალს.

— როგორ თუ ვის სჭირდები?

— იცი, ჩემი პირველი ქმარი ამბობდა, რომ ცხოვრებით ტკბობა არ შემიძლია, რომ ნამდვილი „მუდო“ ვარ და თავი კი არა, ინტეგრალების სქემა მაქვს...

— და ბესო რას ამბობს ამასთან დაკავშირებით? — მისი მეორე ქმრის „კომპეტენტური“ აზრით დავინტერესდი.

— ბესო ამბობს, რომ ცუდი დიასახლისი ვარ და კიდევ უფრო ცუდი ცოლი. მას რომ არ შევცოდებოდი და ცოლად არ მოვეყვანე, ცხოვრების ბოლომდე მარტო დავრჩებოდი...

— ეს შენი აზრია?

— არა, ბესო ასე მეუბნება.

მისი სიტყვების გაგონებაზე გველნაკბენივით წამოვხტი.

— რას ამბობ, მაგას როგორ გეუბნება? ბესო შენი თმის ღერადაც კი არ ღირს, მისი ფასი მარტო თვალები გაქვს, სარკეში არ ჩაგიხედავს? მგონი, საკუთარი თავის ფასი არ იცი...

ნელიმ გაიცინა...

— ჩვენ 5 წლის წინ გავიცანით ერთმანეთი. მაშინ ქმარს 2 წლის გაშორებული ვიყავი. ჩემამდე ოჯახი ჰყავდა, მაგრამ ცოლმა ვერ გაუგო. ჩვენთვის, ორივესთვის ხელსაყრელი იყო ეს ქორწინება. გაცნობიდან 3 თვის შემდეგ დავქორწინდით... უკვე 5 წელია, ერთად ვცხოვრობთ. მე 32 წლის ვარ, ის — 40-ის. მას თავისებურად ვუყვარვარ. შესაძლოა, გარედან არ ჩანს, მაგრამ ასეა...

რატომაა, რომ უცნობ ადამიანთან გულის გადაშლა გაცილებით იოლია? ალბათ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ, მას სხვა დროს აღარ შევხვდებით. ალბათ ნელიმაც ამიტომ გადაწყვიტა, ჩემთან გულახდილი ყოფილიყო.

— მარი, წამოდი ჩემთან სტუმრად, გთხოვ, ბესოსაც გაუხარდება.

— დარწმუნებული ხარ, რომ გაუხარდება? — ჩემი უტაქტო საქციელი გამახსენდა.

— დიახ, მოეწონე. თვითონ მითხრა, რომ მოეწონე. მინდა, წამოხვიდე, გთხოვ... — ისე მთხოვა ნელიმ, უარი ვერ ვუთხარი, — წავიდეთ, ბესო გაიღვიძებდა ალბათ და არ უყვარს, როცა ამ დროს მის გვერდით არ ვარ...

— ჰო, მესმის შენი, წავიდეთ, — თავი დავუქნიე, მაგრამ ქალი წასვლას არ ჩქარობდა.

— შენ მაინც არ მოგწონს ბესო, არა? გგონია, რომ ნამდვილი დესპოტია?

— ალბათ თავად ფიქრობ ასე, რადგან ეგ კითხვა გაგიჩნდა, — ტონი შევარბილე.

— არ ვიცი... მე მარტო დარჩენის მეშინია, — რაღაცნაირად, მოწყენილი ხმით თქვა ქალმა, — ძალიან მინდა, ახლა ჩვენთან წამოხვიდე, ბესო ახლოს გაიცნო და დარწმუნდე, რომ ცუდი ადამიანი სულაც არაა.

— მარი, ოდესმე გყვარებია ვინმე? — მკითხა ნელი ნაბიჯით მომავალმა ნელიმ.

— დიახ, რა თქმა უნდა, — ძალდატანებითი სიმშვიდით ვუპასუხე.

მას აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიღიმა.

— 1 ბოთლი შამპანური მაქვს და ნამცხვარი, იმით გაგიმასპინძლდები, — თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ბესოს გაუხარდება შენი სტუმრობა და მე ის მიხარია, რაც მას გაუხარდება.

— ასეთი რამ არც მინახავს და არც გამიგონია, — ძველ ტალღაზე გადავედი ისევ.

— ჩემთვის მთავარია, ბესო ჩემ გვერდით იყოს და მარტო არ დავრჩე. ამიტომ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ თავი კარგად იგრძნოს, — გამაწყვეტინა ქალმა.

გავჩუმდი და ვცდილობდი, თავი ხელში ამეყვანა, რადგან წინ ბესოსთან შეხვედრა მელოდა და არ მინდოდა, მასთან ისევ უტაქტოდ მოვქცეულიყავი. საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ მისი მისამართით საყვედური არ უნდა დამცდენოდა, რომ ჩემი საქმე სულაც არ იყო ცოლ-ქმრის ურთიერთობა, რომ ხვალიდან მათ საერთოდ აღარასოდეს ვნახავდი, რომ მე არაფერ შუაში ვარ და თუ ნელი თავს კარგად გრძნობს, ისე უნდა იცხოვროს, როგორც თავად სურს... ისიც კი არ ვიცოდი, რა ეპი-

თეტი შემერჩია ბესოსთვის. მეჩვენებოდა, რომ ძალიან სქელკანიანი და ეგოისტი იყო.

წყვილი სასტუმროში ცხოვრობდა და ოროთახიანი ნომერი ჰქონდა დაკავებული. ნელი მისაღებ ოთახში შემიძღვა. იქ არავინ დაგვხვედრია. ცოტა ხანში ქალმა ტკბილეული გამოიტანა და მაგიდაზე დადო. შემდეგ — შამპანური, ჭიქები და თეფშები მოაყოლა.

— რა ხდება, რას ვზეიმობთ? — ვერც გავიგე, ისე დაგვადგა თავზე ბესო.

— არაფერს, ისე... — დანაშაულზე წასწრებულივით იმართლა თავი ქალმა.

ბესოს მისთვის არც შეუხედავს, სუფრასთან დაჯდა და შამპანურის ბოთლს დასწვდა.

— მაპატიე, რომ დავაგვიანე, აი, მარისთან საუბარს შევყევი და...

— კარგი, გაპატიებ, — მედიდურად და დიდსულოვნად უპასუხა ქმარმა და როგორც იქნა, გაიღიმა, — მაგრამ იმედია, ეს აღარ განმეორდება, — დაამატა შემდეგ.

ნელი ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო, რადგან ქმარმა დაგვიანება დიდსულოვნად აპატია...

იმ წუთში ნელის ქმრის მოკვლა მინდოდა. იქვე, იმ ოთახში! მაგიდაზე დადებული, ბლაგვპირიანი დანით! მინდოდა მომეკლა, ზეწარში გამეხვია და მთვარიან ღამეში სადმე, ტრიალ მინდორში ჩამეფლა (ჰოლივუდური კინოს გავლენაა, ალბათ). გონებაში ის ადგილიც კი წარმოვიდგინე... ასეც მოუხდებოდა!

ნელი კი ამ დროს ქმარს თვალებში ღიმილით უყურებდა.

როდესაც მეორე ჭიქა შამპანური დაასხა, ბესომ მკითხა:

— მარი, ქმარი გყავთ?

— არა, რატომ მეკითხებით?

— უბრალოდ, გავიფიქრე, რომ დროა, გათხოვდეთ. ოჯახი ხომ ქვეყნის სიძლიერეა (ღმერთო ჩემო!). აი, ნელი ცოლად რომ არ მომეყვანა, ის მომავლისთვის დაკარგული ადამიანი იქნებოდა. ასე არაა, ნელიკო? — პასუხს არც დალოდებია, ისე განაგრძო: — ყველა ქალს და მათ შორის — შენც, მამაკაცი, მბრძანებელი, პატრონი სჭირდება, რომ წესრიგისკენ მოუწოდოს და ცხოვრება ასწავლოს... მე მგონია, საკუთარ ცხოვრებას უდიერად ექცევი (ამის ჭკუის დარიგებაღა მაკლდა). როდესაც ოჯახში მამაკაცია, იქ ყველაფრი სხვანაირადაა.

მისი მოკვლის სურვილი გამიმძაფრდა და ჩემი გრძნობები რომ არ გამომეხატა, ტუჩები მაგრად მოვკუმე და მხოლოდ თავს ვუქნევდი. საშინლად მაღიზიანებდა ამ კაცის ტონი, საუბრის მანერა და შეხედულებებიც...

— აი, ხედავთ? როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მართალი ვარ, მაგრამ იცით, საქმე რაა? ქალის გადაკეთებას და შენს ტალღაზე მომართვას დიდი შრომა სჭირდება. ქალი მუდამ იმას ცდილობს, ისე მოიქცეს, როგორც თავად სურს!

— თქვენც ნუ შეეცდებით მის გადაკეთებას, მიიღეთ და შეიყვარეთ ისეთი, როგორიც არის და როგორიც თქვენამდე ღმერთმა შექმნა, — ვერ მოვითმინე და მაგიდაზე მუშტი დავცხე.

ბესო დადუმდა. როგორც ჩანს, არ ელოდა ჩემგან ასეთ თავხედურ საქციელს.

— არა, საყვარელო, ეგ ჩემი ცხოვრების სტილი არაა. მე უკვე 40 წლის ვარ და ბევრ ადამიანს შევხვედრივარ. ყოველთვის ყველა ისე იქცეოდა, როგორც მე მსურდა. ყველას ჭკუას ვარიგებდი, ყველას ჩემი შიში ჰქონდა...

— გინდათ, თქვენს ცოლს თქვენი ეშინოდეს? მეც უნდა მეშინოდეს? — ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

ორივემ ერთდროულად გადავხედეთ ნელის. ის დივანის კუთხეში მობუზული იჯდა და ხმას არ იღებდა. თვალებში შიში და კრძალვა ედგა. ძალიან შემეცოდა ქალი...

ჩემი ბოლო შეკითხვა გავიმეორე.

ბესო წამოხტა და შემოსასვლელისკენ გაიქცა. ნელი მთლად დაპატარავდა. უკან დაბრუნებულ ბესოს ხელში ოთახის ფლოსტები ეჭირა. გამარჯვებულის გამომეტყველებით ფლოსტები მაგიდაზე დაყარა.

— ეს რა არის? — გაოცებულმა ვიკითხე.

— ეს ფლოსტებია, ჩვეულებრივი, ოთახის ფლოსტები, როგორიც ალბათ თქვენც გაქვთ.

— მერე რა?

— მერე — რა? რა და ის, რომ უკვე 5 წელია, ნელის ვასწავლი, როგორ უნდა დააწყოს ფლოსტები სწორად.

— ვაა, შეიძლება, რომ ფლოსტები არასწორად ეწყოს? — კიდევ უფრო გაოცებულმა ვიკითხე.

— დიახ, თურმე შეიძლება! — ლამის იყვირა ბესომ.

— ეგ უკვე საინტერესოა, აბა, მითხარით, იქნებ მეც არ ვიცი, როგორ უნდა ეწყოს სწორად ოთახის ფლოსტები და თქვენგან ვისწავლი, — მართალია, ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ძალიან მშვიდი ხმით ვკითხე და ამ დროს თვალებს ისე მიამიტად ვაფახულებდი, რომ ბესო ჩემს გადაგდებულ ანკესს წამოეგო.

— კარგი, ახლავე გეტყვი: წესიერ ოჯახში, სადაც კარგი დიასახლისია, ოთახის ფლოსტები მისთვის განკუთვნილ ადგილზე აწყვია და თანაც, ერთმანეთის პარალელურად! იცი, როგორ იქცევა ნელი, მთელი 5 წლის განმავლობაში?

— როგორ? — მართლა დავინტერესდი.

— ფლოსტებს ერთმანეთის პარალელურად არ აწყობს!

— რას მეუბნებით? აბა, როგორ აწყობს? — ამოვისუნთქე, როგორც იქნა.

— როგორ და — პერპენდიკულარულად! — გამარჯვებული სახით მაუწყა მამაკაცმა და იქვე, მაგიდაზე მოახდინა იმის დემონსტრირება, როგორ აწყობდა ნელი ფლოსტებს.

რაც მე დამემართა, იმას გაოგნება არ ჰქვია. იმას გამოშტერება უფრო ჰქვია. მეტყველებისა და ლოგიკურად აზროვნების უნარი დავკარგე.

თვალებდაჭყეტილი და პირდაღებული ვუყურებდი, როგორ ალაგებდა ნელის ქმარი მაგიდაზე ფლოსტებს ხან პარალელურად, ხან — პერპენდიკულარულად.

შემდეგ ნელის გავხედე. როგორც ჩანს, ჩემი აზრი, ფიქრი, განწყობილება და საერთოდ ყველაფერი, სახეზე მეწერა...

ნელიმ თავი დახარა.

არ ვიცი, ბესოს საქციელის შერცხვა თუ იმის, რომ თურმე 5 წლის განმავლობაში ვერ ისწავლა, როგორ უნდა დაელაგებინა ფლოსტები... ან იქნებ იმის, რომ ჩემი აზრი მისი ქმრის შესახებ, გამართლდა?

ამ დროს ერთი ჩემი ნაცნობი მამაკაცის, სადღეგრძელოს დროს ნათქვამი სიტყვები გამახსენდა: „საწყალო ქალებო, ძალიან მეცოდებით, მაგრამ რა გიშველოთ?“

ჰოდა, ძალიან შემეცოდა ნელიც, ჩემი თავიც და დედამიწაზე მცხოვრები ყველა ქალიც...

რაღაცნაირი, „გლობალური“ გრძნობით შემეცოდა ყველა.

ყველას მაგივრად ტირილი მომინდა, როცა ვუყურებდი, როგორ „ვარჯიშობდა“ ფლოსტებით ეს მონსტრი. ნელის რომ ვუყურებდი, ტირილი მინდოდა, ბესოს რომ ვუყურებდი — მისი მოკვლა.

იმისათვის რომ თავისთვის ზედმეტი უფლება არ მიმეცა და ძალიან ცუდად არ მოვქცეულიყავი, იძულებული გავხდი, ჩამებურტყუნებინა — „უკაცრავად, მაგრამ მეჩქარება, უნდა წავიდე“...

ბესოს ზიზღით გადავხედე, ნელის — თანაგრძნობით და შემოსასვლელი კარი ჩუმად გამოვიხურე.

სიმართლე გითხრათ, შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ გული რაღაცნაირად, დამძიმებული მქონდა.

ზაფხულმა გაიარა... ახლა ნოემბერია...

მე ისევ ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ, თავისუფლად, ლაღად და „უბატონოდ“ და ვფიქრობ, რომ ბედნიერი ვარ, რადგან შემოსასვლელში ფლოსტებს როგორც მინდა, ისე ვყრი... ხან პერპენდიკულარულად, ხან — პარალელურად და ხანაც, შინ დაბრუნებული, ცალ ფლოსტს საერთოდ ვერ ვპოულობ!

თუმცა, როდესაც ფლოსტებს შევხედავ, ყოველთვის ბესო და ნელი მახსენდება...

ჰო, იმის თქმა დამავიწყდა, რომ ამ ამბიდან მეორე დღეს ნელიმ დამირეკა.

— მარი, გუშინდელი დღისთვის ბოდიშს გიხდი... იცი, მე მარტო დარჩენის მეშინია, თანაც, ბესო ძალიან მიყვარს და ამიტომ მირჩევნია, გვერდით მყავდეს მამაკაცი, რომელიც თავის ჭკუაზე მატარებს და ყოველ საღამოს მეჩხუბება იმის გამო, რომ ჩემი ან მისი ფლოსტები ერთმანეთის პარალელურად არ აწყვია...

■

„სამირა ბავშვს ქართულ იავნანას რუსული ტექსტით უმღერის“...

ქართულ-აზერბაიჯანული წყვილის სიყვარულის ამბავი

ბოლო დროს განსაკუთრებით მოხშირდა სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანების შეუღლება. როცა ჭეშმარიტი სიყვარულია, წყვილი ცდილობს, თავისი სიყვარულისთვის იბრძოლოს. მიუხედავად ოჯახის წინააღმდეგობისა, ჩვენმა დღევანდელმა რესპონდენტმა, გიორგი ცქვიტაიამ აზერბაიჯანელი სამირა ალიშანოვა შეირთო ცოლად. როგორ დაიწყო მათი სიყვარულის ამბავი და შემდგომში როგორ განვითარდა მოვლენები, ამის შესახებ თავად წყვილთან საუბრისას შეიტყობთ.

ნათია ჟვანია

გიო:

— სამირა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში ფინანსურ დირექტორად მუშაობს. 2 წლის წინ მეც ამ ორგანიზაციაში სამუშაოდ მივედი და ერთმანეთსაც იქ შევხვდით. მოკლედ, ჩვენი ურთიერთობა სამსახურებრივი რომანით დაიწყო.

სამირა:

— კარგად მახსოვს, როცა გიორგი ჩვენს ოფისში მოვიდა, 2007 წლის 21 მაისი იყო. ისე ელეგანტურად გამოიყურებოდა, მეგონა, რომელიღაც მინისტრი გვეწვია-მეთქი. სიმართლე გითხრათ, მისით, როგორც მამაკაცით თავიდანვე არ დავინტერესებულვარ. მის მიმართ სიმპათია და მოგვიანებით უკვე სიყვარული, გარკვეული ურთიერთობის შემდეგ გამიჩნდა.

— გვიამბეთ, როგორ დაიწყო თქვენი სიყვარული?

გიო:

— ჩვენს ოფისში სიგარეტის მოწევა აკრძალული იყო და ამიტომ მოსაწევად აივანზე გავდიოდით. ჩვენ ძირითადად, ამ აივანზე გვიხდებოდა საუბარი და ერთმანეთი ახლოს სწორედ მაშინ გავიცანით. შემდეგ რაღაც წვეულება გაიმართა, სადაც ჩვენი სამსახურის უფროსობამ ერთ დღეს ბუნებაში გასვლა გადაწყვიტა. იმის გამო, რომ სამირა ჩვენი ერთ-ერთი უფროსი იყო, ისიც, რასაკვირველია, უნდა წასულიყო... ვაკელი ბიჭი ვარ, გარკვეული „ბლატები“ მქონდა და უფროსებთან ერთად იმ პიკნიკზე მეც აღმოვჩნდი... მინდორში კალია დავიჭირე და სამირას მივუგდე. ისეთი საშინელი რეაქცია ჰქონდა, კინაღამ გაგიჟდა. თურმე ამ მწერის საოცრად ეშინოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მის მიმართ სიმპათია სწორედ მაშინ გამიჩნდა... მას შემდეგ სისტემატური შეხვედრები დავიწყეთ. რესტორნებში, კაფეებში, კინოსა და თეატრში დავდიოდით. ვცდილობდი, მისთვის ქართული კულტურა გამეცნო...

სამირა:

— ახლა ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი ძალიან სასიამოვნოდ მახსენდება.

გიო:

— ...2008 წლის 8 მარტს დავქორწინდით.

— ეროვნების გამო, გიორგიზე გათხოვების გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდა?

— ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი ნამდვილად არ იყო.

გიო:

— ჩემი აზრით კი სამირას ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან არ გასჭირვებია, რადგან მას ქართველი, ამბროლაურელი დედა ჰყავდა. თანაც ჩემისთანა ბიჭს მიჰყვებოდა ცოლად და ამის გადაწყვეტა როგორ გაუჭირდებოდა (*იცინის*)?!.

სამირა:

— მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი ამბროლაურიდან იყო, საქართველოში არასოდეს ყოფილა. სამწუხაროდ, არც ქართული ენა იცოდა. მისგან განსხვავებით, მე, ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, საქართველოსა და ქართველებთან კონტაქტი მქონდა, თანაც გიორგი ნამდვილად მიყვარდა, მაგრამ მაინც გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. ჩვენს სიყვარულში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩემი ოჯახი და ნათესავები უნდა მიმეტოვებინა და სამუდამოდ საქართველოში მეცხოვრა. მართალია, იმ პერიოდში თბილისში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, მაგრამ ეს დროებითი იყო. თანაც, მაშინ ხშირად დავდიოდი ბაქოში. იმაზეც ვფიქრობდი, რომ განსხვავებული კულტურისა და რელიგიის მქონე ადამიანები ვართ. მიუხედავად ამისა, სიყვარულმა გაიმარჯვა და როგორც ხედავთ, ახლა გიოს მეუღლე ვარ...

— შენ რომელი რელიგიის მიმდევარი ხარ?

— პროტესტანტი ქრისტიანი ვარ. ჩვენს მიმდინარეობას ჰქვია: „ქრისტეს მეშვიდე დღის მომლოდინეები“. ისე, მუსლიმანი რომ ვყოფილიყავი, ქრისტიანზე გათხოვება ნამდვილად გამიჭირდებოდა.

— როგორც ვიცი, მამა მუსლიმანი გყავს. შენ რატომ აირჩიე განსხვავებული რელიგია?

— ერთხელ, სრულიად შემთხვევით, მე და დედა პროტესტანტების ეკლესიაში მოვხვდით. ძალიან მოგვწონა იქაურობაც, მათი რელიგიაც, ცხოვრების წესიც და გადავწყვიტეთ, ჩვენც პროტესტანტები გავმხდარიყავით. საერთოდ, ხომ ისე ხდება, ბავშვი იბადება და ავტომატურად მუსლიმანი ხდება. მას აზრს არავინ ეკითხება. მე გავიზარდე და მივხვდი, რომ ქრისტიანობა უფრო მეტად მჭირდებოდა. მე და დედა ერთად მოვინათლეთ. მამას ამისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— სამირა, პირველად საქართველოში როდის და როგორ მოხვდი?

— 2004 წელს, როცა ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აქ ახა-

ლი პროგრამა გახსნა. ერთი წლის შემდეგ აზერბაიჯანში დავბრუნდი, მერე კი იმავე პროგრამით სუდანში გავემგზავრე. იქაც ერთი წელი ვიმუშავე და მერე კვლავ საქართველოში დამაბრუნეს. რატომღაც ძალიან გამიხარდა და 2006 წლის შემდეგ სულ თბილისში ვმუშაობ.

გიო:

— ხომ იცი ქართული ანდაზა: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო"; სამირასაც ასე დაემართა.

— გიო, არ გაგიჭირდა აზერბაიჯანელზე დაქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება?

— არა. სიმართლე გითხრა, ქართველის ცოლად მოყვანა ალბათ უფრო გამიჭირდებოდა. როცა მივხვდი, რომ სამირა ნამდვილად მიყვარდა, გადავწყვიტე კიდეც მისი შერთვა.

— თქვენმა ნათესავებმა როგორ მიიღეს თქვენი დაოჯახების ამბავი?

სამირა:

— ჩემი მშობლები ყველა ჩემს სურვილსა და გადაწყვეტილებას ყოველთვის მხარს უჭერდნენ. დედა რამდენიმე წლის წინ გარდამეცვალა, ხოლო როცა მამაჩემმა ჩემი და გიორგის სიყვარულის ამბავი გაიგო, შემეკითხა, დარწმუნებული ვიყავი თუ არა ჩემს გრძნობებში? როცა ჩემგან დადებითი პასუხი მიიღო, მითხრა, რომ ძალიან გაუხარდებოდა, თუ ოჯახს შევქმნიდი და ჩემი მეორე ნახევარი ქართველი იქნებოდა...

გიო:

— ჩემი მხრიდან ოჯახიც, ნათესავებიცა და მეგობრების უმრავლესობაც წინააღმდეგი იყო, რომ აზერბაიჯანელზე დავქორწინებულიყავი. მიუხედავად ამისა, არავის აზრი არ გავითვალისწინე, რადგან სამირას ჩემსავით კარგად არავინ იცნობდა და არ იცოდა, რა კარგი ადამიანია. სწორედ ამიტომაც მაქვს დღეს თბილი და კარგი ოჯახი. გვყავს არაჩვეულებრივი შვილი. მერე, როცა სამირა გაიცნეს, ყველას შეუყვარდა და მოეწონა.

— აზერბაიჯანელმა მოყვრებმა ქართველი სიძე როგორ მიგიღეს?

— ძალიან კარგად. ბაქოში ხშირად ჩავდივართ. სამირას მამა და ძმებიც გვსტუმრობენ ხოლმე. ერთმანეთთან არაჩვეულებრივი დამოკიდებულება გვაქვს.

სამირა:

— პირველად მე და გიორგი ბაქოში ერთად გავემგზავრეთ. მაშინ შეყვარებულები ვიყავით და გიორგის სურდა, მამასთვის ჩემი ხელი ეთხოვა. ჩემმა ოჯახმა ის მაშინვე კარგად მიიღო. მამაჩემმა მხოლოდ ის ჰკითხა — დარწმუნებული ხარ, რომ სამირას ცოლად შერთვა გინდაო?

გიო:

— არა, აი, ასე მკითხა: ასი პროცენტით ხარ დარწმუნებულიო? ვუპასუხე: ასით — არა, ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული-მეთქი. ამ სიტყვებზე ცრემლები წამოუვიდა და მაშინვე დამთანხმდა.

— დაოჯახების შემდეგ როგორ გაგრძელდა ცხოვრება, როგორ შეეწყვეთ ერთმანეთს?

სამირა:

— პირველი წელი ყველა წყვილისთვის ცოტა რთულია და ჩვენთვისაც ასე იყო. თავიდან ერთად ცხოვრებას ვეჩვეოდით და ერთმანეთს უკეთესად ვეცნობოდით. მგონი, ეს აბსოლუტურად ნორმალურია. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანიც და საქართველოც — კავკასიის ნაწილია, თითოეულ ქვეყანას მაინც განსხვავებული მენტალიტეტი და კულტურა აქვს. აქ უმეტესად ქრისტიანები ცხოვრობენ, იქ — მუსლიმანები, მაგრამ თუ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, სხვა დანარჩენი, დროთა განმავლობაში, მეორეხარისხოვანი ხდება. პირველი წელი ურთიერთობის დალაგებას დასჭირდა, ახლა კი უკვე ერთმანეთს ყველაფერში ხელს ვუწყობთ, ვეხმარებით. რაც მთავარია, ურთიერთნდობა გვაქვს.

— სამირა, შენი რელიგიის მიმდევრები საქართველოში თუ არიან?

— რა თქმა უნდა, არიან. ადრე შეკრებებზე ხშირად დავდიოდი, მაგრამ რაც შვილი შეგვეძინა, შეკრებებზე სიარულს თითქმის ვეღარ ვახერხებ. როცა სანდრო გაიზრდება, მერე ერთად ვივლით.

გიო:

— სანდრო ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა. გამიხარდა, პირველი შვილი ბიჭი რომ მეყოლა...

სამირა:

— სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდოდა, პირველი შვილი გოგო მყოლოდა, მაგრამ თურმე ბიჭიც ძალიან საყვარელი ყოფილა. იმედი მაქვს, მეორე ან მესამე შვილი მაინც იქნება გოგო.

— სამირა, ქართულ კულტურას გაეცანი?

გიო:

— ქართულ ეკლესია-მონასტრებში ხშირად დავდივართ. თეატრსა და კინოსაც ვსტუმრობთ... ნელ-ნელა ყველაფერს ვაჩვენებ.

— ქართული ენის სწავლას არ ცდილობს?

— ქართული იმაზე მეტი ესმის, ვიდრე მგონია. საუბრისას ქართულ სიტყვებსაც იყენებს, რომლებსაც რუსული აქცენტით წარმოთქვამს და ძალიან საყვარლად გამოსდის.

— ბავშვი რომელ ენას სწავლობს?

— ორივე ენა ესმის, მაგრამ არც ერთზე არ საუბრობს. „მამას" ამბობს, მაგრამ ვერ გავარკვიეთ, მე მეძახის — ქართულად, თუ დედას — რუსულად. უნდა აღვნიშნო, რომ სამირა ქართულ იავნანას რუსული ტექსტით უმღერის და სანდროს ეს ძალიან მოსწონს... ■

გრაფი თარხანი

გამოცდის შიში

— გამარჯობა, გრაფო. მინდა, ჩემი პრობლემის შესახებ მოგიყვეთ. პირველკურსელი ვარ. 1 თვეში გამოცდები მეწყება, მე კი ძალიან მეშინია, რომ ვერ ჩავაბარებ და ამის გამო ვნერვიულობ. არ გეგონოთ, რომ მთელი წელი არაფერი გამიკეთებია. ყველა ლექციას ვესწრებოდი და ვმეცადინეობდი კიდეც. გამოცდაზე ყოველთვის კანკალით მივდივარ და ხმა ისე მითრთის, შესაძლოა, ლექტორმა ჩემი ბლუყუნი ვერც კი გაიგონოს. ხმა მეხრინწება და სუნთქვაც მიჭირს ხოლმე. სწავლასთან ერთად, ვმუშაობ კიდეც. ერთხელ ჩემი უფროსი მოვიდა და რაღაც მკითხა. ისე ავკანკალდი, თითქოს მოკვლას მიპირებდა. თან ძალიან მრცხვენოდა ამის გამო. ასე მგონია, ჩემი ხასიათის გამო სამსახურში წარმატებას ვერასოდეს მივაღწევ. იქნებ მირჩიოთ, როგორ ავიყვანო თავი ხელში, რომ ეს შიში დავძლიო და თავდაჯერებული გავხდე? მეგობრებთან და ახლობლებთან კონტაქტი არ მიჭირს, მათთან არ ვღელავ.

— უნდა გახსოვდეს, რომ შენი ლექტორები და გამომცდელები ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები არიან, როგორიც შენი მეგობრები და ახლობლები. ამიტომ, მათთანაც ბუნებრივად უნდა მოიქცე. ნუ მიაქცევ ყურადღებას იმას, რომ ისინი რანგით შენზე მაღლა დგანან. გაიღიმე, მოეშვი და ისე ელაპარაკე, როგორც მეგობრებს. კარგ შედეგს გამოიღებს მათთვის იმის გულახდილად თქმაც, რომ ძალიან ღელავ. საუბარი შეგიძლია, სწორედ ამ ფრაზით დაიწყო: „მართალია, გამოცდისთვის მომზადებული მოვედი, მაგრამ მაინც ძალიან ვღელავ, რადგან მინდა, მაღალი ნიშანი მივიღო". ეს ნერვიულობისა და შიშის დაძლევაში დაგეხმარება. ეცადე, იყო ბუნებრივი, უშუალო, ისაუბრე ჩვეულებრივი ფრაზებით და მოერიდე მაღალფარდოვან გამოთქმებს. არ დაგავიწყდეს — არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც გამოცდის წინ არ ღელავს.

უმეგობროდ დარჩენილი

— ახლა ძალიან ცუდი პერიოდი მაქვს. თბილისში გავიზარდე, მაგრამ 1 წლის წინ საცხოვრებლად ქუთაისში გადმოვედი, ვინაიდან სამსახური აქ ვიშოვე, ახლა კი ვნანობ: ვერც ახალ ქალაქს ვეგუები, მეგობრებიც არ მყავს, სამსახურიც არ მომწონს — პატარა კოლექტი-

„უჩინმაჩინი“, მშიშარა და ლიდერობის მოუყვარულ ადამიანთა პრობლემები

ვია და ვერავის გავუგე. ვცადე, ინტერნეტით შემექცია თავი და მეგობრებიც მომეძებნა, მაგრამ უკვე ესეც მომბეზრდა. აქ სახლიც არ მაქვს და ნათესავებთან ვცხოვრობ. იქაც ზედმეტად ვგრძნობ თავს, შინ მისვლა არ მინდა, მაგრამ წასასვლელიც არსად მაქვს. რას მირჩევთ — როგორ მოვიქცე?

— ასეთ სიტუაციაში ყველაზე კარგი გამოსავალი ისაა, რომ მთელი დღის განმავლობაში დაკავებული იყო. კარგი იქნება, თუ მეორე სამსახურსაც მოძებნი. მატერიალურ მდგომარეობასაც გაიუმჯობესებ და შინაც ცოტა დროს გაატარებ. შემოსავალი რომ გაგეზრდება, ბინის დაქირავებისა და ცალკე ცხოვრების შესაძლებლობაც მოგეცემა. რაც შეეხება ინტერნეტს, იქ მეგობრების მოძებნა მართლაც არ ღირს. თუმცა თავშესაქცევად, ინფორმაციის მისაღებად და ახალი ცოდნის შესაძენად საუცხოო საშუალებაა.

„უჩინმაჩინი“

— 10 თვის წინ სწორედ ისეთი სამსახური ვიშოვე, როგორზეც ოცნებობდი. მაგრამ მაშინ მუშაობის გამოცდილება არ მქონდა და არაკომფორტულად ვგრძნობდი თავს, რადგან ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებული არ ვიყავი. ბევრ საქმეს ჩემ მაგივრად სხვები აკეთებდნენ. ვცდილობდი ამეხსნა, რომ მე თვითონ გავერკვეოდი ჩემს მოვალეობებში და დაკისრებულ საქმესაც თვითონ შევასრულებდი, მაგრამ ჩემი არავის ესმოდა. სხვა არაფერი დამრჩენოდა, — წყნარი, მშვიდი და მორჩილი ადამიანის ნიღაბი მოვირგე და ამ როლს ისე შევეგუე, რომ ახლა სამსახურში ვერავინ მამჩნევს. უჩინმაჩინივით ვარ. კოლეგები დაბადების დღეებსა თუ ექსკურსიებზე უჩემოდ დადიან... სამსახურის გარეთ, ყველგან — სასწავლებელში, მეგობრების წრეში — ლიდერი ვარ. ახლა მალე მეორე დიპლომსაც ავიღებ. მატერიალურად არ მიჭირს, საკმაოდ ძლიერი ოჯახის შვილი ვარ და მხიარული გოგოც. მითხარით, როგორ მოვაგვარო ეს პრობლემა და როგორ გავხდე ის, ვინც სინამდვილეში ვარ? აღარ მინდა „უჩინმაჩინობა“... როდესაც ოფისის ზღურბლს გადავაბიჯებ, საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ. მიშველეთ, გრაფო! პატივისცემით, მაიკო.

— ლიდერობის ნეგატიური მხარე სწორედ ის გახლავთ, რომ ის მარცხს ვერ ეგუება. იმ კოლექტივში, სადაც ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ, ლიდერობა ცოტა სხვაგვარად მიიღწევა. თვითონაც მშვენივრად ხვდები, რომ ვიდრე „უჩინმაჩინი“ იქნები, არაფერი გამოგივა. თუმცა არც ის ღირს, რომ ლიდერობისთვის თვალშისაცემი ხერხებით იბრძოლო. ამ შემთხვევაში, კოლეგებს შენზე უარყოფითი აზრი შეექმნებათ. პირველ რიგში, უნდა შეეცადო, ორგანიზებული და საქმის საუკეთესო შემსრულებელი გახდე. ნებისმიერი ხერხი უნდა გამოიყენო, რომ დაკისრებული მოვალეობა „ხუთიანზე“ შეასრულო. თუ ამას მუდმივად გააკეთებ, მალე ყველა დაინახავს შენს უნარიანობას. თუ პროფესიონალად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდი, დროთა განმავლობაში ამას აუცილებლად მიაღწევ

და უფრო თავდაჯერებულიც გახდები.

ასაკობრივი ზღვარი

— გრაფო, 21 წლის ვარ და ჩემზე 18 წლით უფროსი მამაკაცი შემიყვარდა. მასაც ვუყვარვარ და მალე ოჯახის შექმნასაც ვგეგმავთ. რამდენჯერმე ჩემი ასაკის ბიჭი მიყვარდა, მაგრამ ყველაზე კარგად სწორედ უფროსი ასაკის მამაკაცთან ვგრძნობ თავს. დიდი პრობლემის წინაშე ვდგავარ: ყველა ახლობელი ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგია. ჩემი მშობლები რაიონში ცხოვრობენ და იქიდან მითვლიან, რომ თუ ამ კაცს გავყვები ცოლად, ისინი მოკვდებიან, მე მომკლავენ, დამკარგავენ და ა.შ. აქ დასთან ერთად ვცხოვრობ და მასთანაც სულ ვჩხუბობ. არადა, თავის დროზე თვითონ ისე გათხოვდა, არავისთვის არაფერი უკითხავს. იქნებ მირჩიოთ, როგორ დაველაპარაკო მშობლებს, რომ აზრი შევაცვლევინო?

— მე მგონი, პირველ რიგში, ჯობია, დაქორწინება არ დააჩქარო. შეეცადე, როგორმე, შენი რჩეულისა და მშობლების შეხვედრა მოაწყო, გააცნო ერთმანეთი, რათა მშობლებმა მისი დადებითი თვისებები შენიშნონ. თუ მიხვდებიან, რომ შესაფერისი წყვილი ხართ, ვფიქრობ, ქორწინებაზე თანხმობასაც მიიღებთ. მთავარია, შენი მშობლები მიხვდნენ და თვალნათლივ დაინახონ, რომ მას უყვარხარ. მთავარია, დარწმუნდნენ, რომ ეს კავშირი, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ბედნიერებას მოგიტანს. ამას კი თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწევთ, თუ შენც და შენი გულის სწორიც ჭკვიანურ ტაქტიკას აირჩევთ. ისე არ გამიგო, თითქოს სიყალბისა და ლაქუცისკენ მოგიწოდებთ; პირიქით — მთავარია, იყოთ ბუნებრივები, წარ-

მოაჩინოთ თქვენი ურთიერთობის სასიკეთო მხარეები. შენი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ვიტყოდი — გადამწყვეტია: მშობლებსა და ახლობლებს შენი რჩეული მისი საუკეთესო მხარეებით, ასე ვთქვათ, „შენი თვალით“ უნდა დაანახვო და თანდათან სასურველ შედეგს უეჭველად მიაღწევ.

უცხოელი ქმარი

— გრაფო, 9 წლის წინ უცხოელზე გავთხოვდი და საცხოვრებლად ესპანეთში გადავედი. მალე შვილებიც თან წავიყვანე. მაშინ ისინი პატარები იყვნენ და ჩემს ქმარს უხაროდა, რომ ყველანი ერთად ვცხოვრობდით... გავიდა წლები და პრობლემები გამწვავდა: ორივე მივხვდით, რომ ერთად ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო, გამუდმებით მაკონტროლებს, მეჩხუბება და შეურაცხყოფასაც მაყენებს. ვცადე, დავლაპარაკებოდი. ხანდახან მომისმენს, მაგრამ დათმობა არ სურს. ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ. წლების განმავლობაში ყველაფერს ვუთმობდი, ახლა უკვე ვეწინააღმდეგები. მისგან წამოსვლა მინდა, მაგრამ სად წავიდე, არ ვიცი: არც სამსახური მაქვს, არც ისეთი ნაცნობები მყვანან, ვინც დამეხმარებოდა. გარდა ამისა, ქმარს განქორწინება არ სურს და ამ საკითხის წამოჭრაც კი გააგიჟებს. თავს სრულიად მარტო ვგრძნობ და იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე? ნანა მადრიდიდან.

— ვფიქრობ, უპირველესად, თავი უნდა დაიმშვიდო და დროებით ყველაფერი ისე დატოვო, როგორც ახლაა, რადგან შესაძლოა, დაუფიქრებელმა ნაბიჯმა უარყოფითი შედეგი მოგიტანოს. შეეცადე, გარკვეული დროის განმავლობაში ჩვეულებრივად იცხოვრო — თითქოს თქვენ შორის არანაირი კონფლიქტი არ არსებობს. თუ ქმარი მაინც წამოიწყებს ჩხუბს, უთხარი, რომ მის უხეშობას ყურადღებას არ მიაქცევ და არც პასუხს დაუბრუნებ(!), ვიდრე არ დამშვიდდება და პატიებას არ გთხოვს, რადგან ჩხუბი მან წამოიწყო... პატივი ეცი საკუთარ თავს და საკუთარ აზრს. ნურავის მისცემ უფლებას, უხეშად მოგექცეს. ამასთანავე, შეეცადე, დაარწმუნო, რომ თქვენი ურთიერთობის მოგვარება გსურს, რომ როგორც საკუთარ, ისე მის ნერვებს უფრთხილდები და შენთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი — სიმშვიდე და ოჯახური სიმყუდროვეა. ■

სიშტერე ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ

ემა ტუხიაშვილი

ქართველებს ექიმთან მისვლა რომ არ გვიყვარს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ვერ დავიჩემებ, სხვა რომელიმე ერში ექიმთან ვიზიტზე გიჟდებიან-მეთქი, მაგრამ ჩვენში კაცი მანამ სიკვდილის პირას არ მივა, ექიმთან ვერ გაიტყუებ.

ქართველს ოღონდ საავადმყოფოს კარი არ უხსენო და რას არ მოიმიზეზებს?! ხან ექიმთან მისასვლელი ფული არ აქვს, ხან მოუცლელია და ხანაც ჩივის: მტერი ჩავარდა ექიმების ხელშიო! მოკლედ, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, ხან თვითმკურნალობას მიმართავენ და ხანაც ნაცნობ-მეგობრების რჩევას ითვალისწინებენ. მაგრამ თუ ახლობელთა წრეში ვინმე პროფესიით ექიმი აღმოჩნდა, მიაჩნიათ, რომ ძალზე გაუმართლათ და რა მნიშვნელობა აქვს, თუ ეს ახლობელი ექიმი სულ სხვა პროფილით მუშაობს?! ხათრით მაინც, დიაგნოზსაც დასვამს და დანიშნულებასაც არ დაგამადლით...

ნანულის ისე შეუსრულდა ნახევარი საუკუნე, ფრჩხილიც კი არ წამოსტკივებია. ან რა გაუჩენდა სატკივარს?! მშრომელი და მოსიყვარულე ქმარი თავს ევლებოდა, კარგი შვილები გაზარდა და ბორჯომის ხეობაში, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრობდა. ის-ის იყო, სიცოცხლით სავსე, ენერგიულ ნანულის, შვილიშვილების მოვლითა და მათი ცქერით უნდა ეხარა, რომ ნაღვლის ბუშტმა შეაღონა. ტკივილები მუცლის არეში გახშირდა, შემდეგ კი ისეთი გაუსაძლისი გახდა, რომ ქალი საწოლიდან წამოდგომას ვეღარ ახერხებდა. ნაღვლის ბუშტის შეტევისას, ყველასათვის ცნობილ სპაზმოლიტიკს — ნოშპას სვამდა, ტკივილი დროებით უყუჩდებოდა, მაგრამ დროდადრო მაინც ახსენებდა თავს. ვერც ქმარმა და ვერც შვილებმა ექიმთან წასვლაზე ვერაფრით დაიყოლიეს.

90-იანი წლების მიწურულს, როდესაც საქართველოში „ბნელი“ და „უკუნი“ დრო იდგა, მედიკამენტების დეფიციტი რა გასაკვირი იყო?! ერთ დღესაც, მოხდა ისე, რომ ნოშპა აღარც ბორჯომის აფთიაქებში იყიდებოდა და ნანულის ქმარშვილმა ვერც თბილისში იშოვა. ფეხზე დააყენეს მთელი სანათესაო. მართალია, წამალს ვერსად მიაგნეს, მაგრამ ახლობელი ექიმი ნახეს, რომელმაც პაციენტს ზეპირი დანიშნულება მისცა: ავადმყოფს ჰალიდორი დაალევინეთ, ორ-ორი აბი დღეში სამჯერ, ნოშპის შემცვლელიაო.

ეამა ნანულის ახალდანიშნული წამალი, ტკივილიც მოეხსნა და ამდენი ხნის უძილოს, რულიც მოერია. ოჯახის წევრებმაც შვებით ამოისუნთქეს, რადგან საძინებლიდან ავადმყოფის ოხვრა და კვნესა აღარ ესმოდათ. სასწაულმოქმედ აბებს ნანულის, დანიშნულებისამებრ, დღეში სამჯერ აძლევდნენ. მართალია, ქალი ნაღვლის ბუშტის შეტევას აღარ შეუწუხებია, მაგრამ ერთი უცნაურობა შენიშნეს: ან სულ ეძინა, ან გაშტერებული იჯდა და სადღაც სივრცეში იყურებოდა... თავიდან ეს, წამლის გვერდით მოვლენებს მიაწერეს, მაგრამ როდესაც ქოთქოთა და დაუდგრომელი ნანული სრულიად არაკონტაქტური გახდა, ახლობელ ექიმს დაუკავშირდნენ: წამალი ნაღვლის ბუშტზე კი მოუხდა, მაგრამ ქალი გაშტერ-

დაო. ექიმმა პაციენტის მდგომარეობა საეჭვოდ მიიჩნია და მისი მონახულება გადაწყვიტა.

აქამდე ყოველთვის ჭიშკართან თუ შეეგებებოდა ხოლმე მოსულს, ახლა სტუმრის გამოჩენა არც გაუგია ნანულის, — გაშტერებული იჯდა სავარძელში და სადღაც, „შორეთში“ იყურებოდა...

ექიმმა პაციენტი გასინჯა, მაგრამ ეს გაშტერება ვერაფრით ახსნა. ქალს გარეგნულად, თითქოს არაფერი აწუხებდა, არც თავად აწუხებდა ვინმეს. მისი ახლობლები კი შეშფოთებულიყვნენ ნანულის მდგომარეობით. მოულოდნელად, ექიმის მზერა იქვე, ტუმბოზე დადებულ წამლის კოლოფზე გაჩერდა. სხვა ალბათ ვერ შენიშნავდა ამას, მაგრამ გამოცდილმა თვალმა უცებ დაინახა, რომ კოლოფზე მის მიერ დანიშნული ჰალიდორის ნაცვლად, „ჰალოპერიდორი ფორტე“ ეწერა. ეს უკანასკნელი კი, ძლიერი ფსიქიკური აშლილობისა და ჰალუცინაციების დროს ინიშნება. თანაც, ნანული ფაქტობრივად, ოთხმაგ დოზას იღებდა!..

არავინ იცის, ავადმყოფის პატრონს შეეშალა წამლის დასახელება თუ აფთიაქარის შეცდომის გამო გაშტერდა ნანული, მაგრამ მას შემდეგ, ექიმთან მისვლაც ინება და დანიშნულებას ყოველთვის ყურადღებით კითხულობდა. ■

სამყარო

„ოცნებაზე“ შეყვარებული ოსტატის ჯადოსნური სამყარო და თოჯინები, რომლებიც დარდს გაგიქარვებენ

„სიზმრად ნანახი მეფე გიორგი უნდა გამოვძერწო“

ქეთი კახნიაშვილი ხელოვნების სიყვარულმა აიძულა, თოჯინები შეექმნა. ის ახლა ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობს და ყოველდღიური საზრუნავით დატვირთულ ცხოვრებას ილამაზებს. მისი გამოძერწილი თოჯინები ჩვენც გვეპატიჟება ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ამქვეყნიური სადარდებელი გავიწყდება და თითქოს, შენც ერთ-ერთი ზღაპრის გმირი ხდები.

თამუნა კვირკველია

„14 წლის ვიყავი, სამხატვრო სკოლაში რომ მიმიყვანეს, შემდეგ თოიძის სახელობის სასწავლებელში ვსწავლობდი. მინდოდა, სამხატვრო აკადემიაშიც ჩამებარებინა, მაგრამ იმ დროს „ჩაწყობები“ იყო და ვერ მოვხვდი“, — მითხრა ქალბატონმა ქეთიმ, რომელიც პროფესიით გერმანისტია და ამჟამად მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მუშაობს. ხელოვნების სიყვარულმა თავისი ქნა — ხატვას და ძერწვას ვერ შეეშვა, უფრო მეტიც, ამ საქმის სიყვარულმა პოპულარულ ქალბატონად აქცია. სხვათა შორის, ხელოვან ქალბატონს ლექსების კრებულიც აქვს გამოცემული.



— მე ნამდვილად ვიპოვე საყვარელი საქმე და მადლობას ვწირავ უფალს, ასეთი ნიჭი რომ მარგუნა. როცა განგება განსაკუთრებული ნიჭით გაჯილდოებს, თითქოს, უფლისა და ადამიანების წინაშე მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ. შინაგანი მოთხოვნილება მაქვს, რომ ხელოვნებას ვემსახურო. სხვათა შორის, ჩემი საქმიანობა ბავშვობაში მაბრუნებს, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

— თოჯინას შესაქმნელად მუზა გჭირდებათ?

— მუზას ნამდვილად არ ველოდები. იდეები გამუდმებით, დღის ნებისმიერ დროს — დილას, საღამოს თუ შუაღამით მომდის და მეც, მონახაზის გასაკეთებლად ფეხზე წამოდგომა არასდროს მეზარება.

„ბარბარე“

მე ნამდვილად ვიპოვე საყვარელი საქმე

— თოჯინებს რა მასალისგან ძერწავთ?

„მეღვინე“

„თოვლის დედოფალი“

„ოცნება“

„აღმოსავლელი ქალი“

— იტალიურ თიხას ვყიდულობ. ამ თიხას ღუმელში გამოწვა არ სჭირდება და 3 საათში შრება. მომავალში ფაიფურისგანაც ვაპირებ თოჯინების შექმნას. მათ ძირითადად, ხელოვნურ თმას ვუკეთებ, ზოგიერთს კი ნამდვილი თმაც აქვს. სხვათა შორის, თოჯინების დამზადებისას სამხატვრო იარაღებს არ ვიყენებ, სამედიცინო იარაღებით ვმუშაობ.

— **თოჯინას შექმნას დაახლოებით, რამდენი ხანი სჭირდება?**

— ძალიან სწრაფად ვძერწავ, მაგრამ ტანსაცმლის შექმნა ცოტათი რთულია. ერთი ლექტორი მეუბნებოდა: მამაკაცურად დახატეო — ანუ ჩვენ, ქალები ყველაფერში ძალიან ვწვრილმანდებით და ეს ხელოვნებაში არაა საჭირო, ხელოვანი წვრილმანებისგან თავისუფალი უნდა იყოს... მე ვქმნი ადამიანებს, თავისი ხასიათითა და იერით. არის ცხოვრებაში მომენტები, როცა სრულიად მარტო რჩები საკუთარ ტკივილთან და ამ დროს გჭირდება ისეთი საქმე, რომელიც დარდს გაგიქარვებს. მე ვიპოვე ასეთი საქმე და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

— **თქვენი ნამუშევრებიდან განსაკუთრებულად, რომელი გიყვართ?**

— განსაკუთრებით, „ოცნება“ მიყვარს. რამდენიმე თოჯინას გადაკეთებაზე უკვე ვფიქრობ, „ოცნება“ კი ერთადერთი ნამუშევარია, რომელსაც არასდროს შევცვლი. ჩემი აზრით, ის სრულყოფილია. ძალიან მომწონს „თოვლის დედოფალიც“, რომელსაც ოდნავ მკაცრი სახე აქვს.

— **თქვენი პირველი ნამუშევარი თუ გახსოვთ?**

— პირველად „ბარბარე“ დავამზადე. ამ თოჯინაზე მუშაობას 17 დეკემბერს მოვრჩი და მამამ მას „ბარბარე“ დაარქვა. ძალიან მინდა, შევქმნა ნადირობის ქალღმერთის, დალის სახე. თუ ამ ჩანაფიქრს განვახორციელებ, მას აუცილებლად, ძალიან გრძელი ქერა თმა ექნება; ასევე ვგეგმავ „დიდოსტატის მარჯვენის“ გმირების — შორენას და მეფე გიორგის სახეების შექმნას. მათ გამოძერწვას განსაკუთრებით ძვირფასი მასალით ვაპირებ. ერთხელ მეფე გიორგი მესიზმრა: კიბეზე ავდიოდი, კიბის თავში კი ის იდგა. შუა გზაზე შემაჩერა და მითხრა, — აწი აღარ ამოხვიდე, ჩემთან ამოსვლა არ შეიძლებაო. ზუსტად სიზმრად ნანახი მეფე გიორგი უნდა გამოვძერწო, ის ძალიან ჰგავდა ოთარ მელვინეთუხუცესს.

— **მუშაობისას სიმშვიდე, მარტოობა გჭირდებათ?**

— არა, მარტოობა არც მუშაობის პროცესში მიყვარს. რემარკს აქვს ასეთი გამონათქვამი: „ადამიანი მუდამ მარტოა, მაგრამ არასდროს არ არის მარტო“. მაშინაც, როცა მარტო ვარ და ვმუშაობ, ვგრძნობ, რომ ჩემ გვერდით გამუდმებითაა ვიღაც.

— **ეგ როგორ?**

— სამყარო იმდენად დიდია, იმდენად მრავალფეროვანია და იმდენ რამეზე გვიწევს ფიქრი, რომ მარტო ვერასდროს ვიქნებით.

— **ქალბატონო ქეთი, თქვენი ნამუშევრების გამოფენის მოწყობაზე არასდროს გიფიქრიათ?**

— „კოპალაში“ მქონდა გამოფენა, მაგრამ ასე მგონია, ამ გამოფენას რაღაც დავაკელი...

— **დაბოლოს, საინტერესოა, რაზე ოცნებობს ზღაპრების სამყაროში ჩაძირული ადამიანი?**

— იცით, ძალიან ვნანობ, რომ ბევრი დრო დავკარგე უქმად, წლები ძალიან სწრაფად გავიდა და მე მას ხელი ვერ ჩავჭიდე. ვოცნებობ, რომ ჩემი თოჯინები სხვასთანაც იყვნენ, სხვასაც მიანიჭონ სიამოვნება და ძალიან მინდა, ისინი მეტად პოპულარულები გახდნენ.

■

„ბალერინა“

„ჭორიკანები“

„სევდა“

გოეთეს ინსტიტუტების სამწლიანი პროგრამა და „ბიბლუსისა“ და „პალიტრა L-“ის წარმომადგენელი ფრანკფურტში

ამ ცოტა ხნის წინ, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მოქმედი გოეთეს ინსტიტუტების პროგრამით — „კულტურა და განვითარება“, ფრანკფურტში წიგნების საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. წიგნის მესვეურთა ამ ფორუმში საქართველოს წარმომადგენელი — ირმა ბაძრაძეც მონაწილეობდა და იქიდან მრავალგვარი შთაბეჭდილებით დატვირთული დაბრუნდა...

თავდაპირველად, ირმა, როგორც წიგნების მაღაზიათა ქსელის, „ბიბლუსისა“ და გამომცემლობა „პალიტრა L-“ის წარმომადგენელი, გერმანელების მიერ თბილისში გამართულ ორდღიან სემინარს ესწრებოდა, ერთი კვირის შემდეგ კი ფრანკფურტიდან მოულოდნელი და სასიამოვნო მიწვევა მიიღო...

ეთო ყორღანაშვილი

— საქართველოში მოქმედ გოეთეს ინსტიტუტს გერმანელები (მათ შორის — „მედიიკამპუსის“ დირექტორი) ესტუმრნენ და ორდღიანი სემინარი ჩაატარეს. დასასწრებად მიგვიწვიეს ყველა, ვინც წიგნის საქმეში ვართ ჩაბმული.

— სემინარს მხოლოდ ქართული გამომცემლობების წარმომადგენლები ესწრებოდით?

— არა, ქართველების გარდა, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. სემინარის დასრულებიდან ზუსტად ერთ კვირაში გერმანიიდან მიწვევა მივიღე — საგამომცემლო საქმეში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მეპატიჟებოდნენ. პროგრამაში სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, უზბეკეთი და უკრაინა მონაწილეობდნენ — სულ 18 წარმომადგენელი; საქართველოდან კი — მხოლოდ მე. ეს ჩემთვის დიდი და სასიამოვნო მოულოდნელობა იყო!.. ამ სფეროში ახალბედა ვარ — ჩემ გარდა, საქართველოს წარმომადგენლებიდან ფრანკფურტში თითქმის ყველა ნამყოფი იყო, ოღონდ სხვა პროგრამით... 3 დღის განმავლობაში

ფრანკფურტში სტუმრობისას, საგამომცემლო საქმეში კარგად გავერკვეე

სემინარებს ვესწრებოდით, მომდევნო 3 დღე კი — წიგნების ბაზრობაზე ვიმყოფებოდით, რომელიც ფრანკფურტში ყოველწლიურად იმართება. ვიდრე ბაზრობა დაიწყებოდა, წიგნების გამოფენაზე დასასწრებად, სპეციალური მოსაწვევები დაგვირიგეს. გახსნაზე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მოვიდა, რომელმაც ყველა გამომცემელს წარმატება უსურვა.

— ქალაქის დასათვალიერებლად თუ მოიცალეთ?

— სამუშაო დღეს დილის 7 საათზე ვიწყებდით: 8-ზე სემინარზე მივდიოდით და საღამომდე ვესწრებოდით (პატარ-პატარა შესვენებები გვქონდა). სემინარების შემდეგ კი ქალაქს გვათვალიერებინებდნენ, რამდენჯერმე წვეულებაზეც მიგვიპატიჟეს...

— ცხადია, სემინარებზე საგამომცემლო საქმეში არსებულ პრობლემებზე საუბრობდით. ყველაზე მეტად რა აწუხებთ აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ამ სფეროში დაკავებულ ადამიანებს?

— თბილისში, სემინარების შემდეგ, იმართებოდა დებატები, სადაც ასევე ვბჭობდით იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ-ჩვენს ქვეყნებში მწვავედ დგას. შემდეგ, ფრანკფურტშიც იგივე ხდებოდა. გაირკვა, რომ ბევრისთვის ყველაზე მთავარი პრობლემა — წიგნის მაღაზიის მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციაა. ამის თაობაზე გერმანიაში იმსჯელეს და დაგვპირდნენ, რომ გაისად გამოგვიზავნიან სპეციალისტებს, რომლებიც მაღაზიის გამყიდველ გოგონებს ტრენინგებს ჩაუტარებენ.

— გერმანიაში საგამომცემლო სახლებს თუ ესტუმრეთ?

— კი, ერთ-ერთ გამომცემლობაში ვიყავით, რომელიც მხოლოდ არქეოლოგიაზე მუშაობს. გვაჩვენეს ყველაფერი, რაც ამ საქმეში შეიძლება, ისწავლო. როგორც მითხრეს, იქ ერთ წიგნზე 8 რედაქტორი მუშაობს. საქართველოში არა მგონია, ასე იყოს (*იცინის*)... იქ ცოტა სხვანაირადაა ყველაფერი: უფრო მობილიზებული არიან, სხვადასხვა ქვეყანაში აგენტები ჰყავთ, რომ გაიგონ — როგორია ბაზრის მოთხოვნა, რამდენად კარგად იყიდება წიგნები და კონკრეტულად, რა ჟანრის ლიტერატურა... იქაური სტატისტიკის მიხედვით, ყოველი 5 გერმანელიდან 3, წიგნს აქტიურად კითხულობს, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია... ფრანკფურტში სტუმრობისას, საგამომცემლო საქმეში კარგად გავერკვეე; პროგრამის მონაწილეებს სერტიფიკატებიც მოგვცეს. მართალია, ჩემი საქმიანობა გამომცემლობას არ უკავშირდება — „ბიბლუსის“ გაყიდვების მენეჯერი გახლავართ, მაგრამ რომელიმე წიგნზე მეც სიამოვნებით ვიმუშავებდი!

— კიდევ რა პროექტებს ითვალისწინებს გოეთეს ინსტიტუტების პროგრამა და თუ გაქვთ პროგრამაში მეორედ მონაწილეობის უფლება?

— პროგრამა სამწლიანია. ის ითვალისწინებს პროექტების ციკლს — „კულტურა და განვითარება“. პირველი წელი გაცნობითი (საინფორმაციო) ხასიათის გახლდათ. სურდათ, გაერკვიათ — საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს რა მოთხოვნები აქვთ. კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი იგეგმება და, როგორც ვიცი, მასში მონაწილეობის უფლება მეც ისევე მაქვს, როგორც საგამომცემლო საქმეში ჩაბმულ ნებისმიერ სხვა მსურველს.

■

3 დღის განმავლობაში სემინარებს ვესწრებოდით, მომდევნო 3 დღე კი – წიგნების ბაზრობაზე ვიმყოფებოდით

აღდგომის კუნძულის ქანდაკებები

ევროპელთაგან პირველად, აღდგომის კუნძულზე (რაპანუი) ნიდერლანდელმა მეზღვაურებმა დადგეს ფეხი და სწორედ მათგან გახდა ცნობილი, რომ იქ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ შავკანიანი, წითელკანიანი და თეთრკანიანი ადამიანები. კუნძულს უჩვეულო ქვის ქანდაკებები ამშვენებს, რომლებსაც ადგილობრივები მოაის ეძახიან. მათი სიმაღლე 4-დან 10 მეტრამდეა და ზოგიერთის წონა 90 ტონას აღწევს. ქანდაკებებს დიდი თავი, წამოწეული ნიკაპი და გრძელი ყურები აქვთ. ზოგიერთ მათგანს წითელი ქვის ქუდი ახურავს და ადგილობრივების აზრით, ისინი ტომის ბელადები უნდა ყოფილიყვნენ. აღსანიშნავია, რომ არც ერთ ქანდაკებას არა აქვს ფეხები... კუნძულის მოსახლეობა ეთაყვანება ღვთაებას, რომელსაც მაკ-მაკის ეძახიან. რაპანუიზე აღმოჩენილი ხის ფირფიტების უმრავლესობა, რომელზეც წარწერები იყო, ევროპელებმა დაწვეს, მაგრამ ზოგიერთი ფირფიტა ცეცხლს გადაურჩა და მათზე წარწერები შესრულებულია ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ, შემდეგ კი პირიქით — მარცხნიდან მარჯვნივ. მათი მნიშვნელობა დღემდე ამოუცნობია.

აბორიგენებმა მოგზაურ ჯეიმს კუკს უამბეს, რომ პირველი ადამიანი კუნძულზე ბელადმა ხოტუ მატუამ მიიყვანა და მას შემდეგ იქ 22 თაობა გაიზარდა. მათი ვარაუდით, ისინი ინდოეთიდან, ეგვიპტიდან, კავკასიიდან, სკანდინავიიდან და ატლანტიდიდან უნდა ყოფილიყვნენ.

ზოგიერთი მკვლევარი კუნძულის მოსახლეობად პერუელებს მიიჩნევს, რადგანაც იქ პერუსთვის დამახასიათებელი პირამიდებია აღმოჩენილი. პერუელთა (ისინი ტიკის ანუ — მზის შვილს ეთაყვანებოდნენ) ლეგენდებში აღწერილია, როგორ მოვიდნენ ჩრდილოეთიდან თეთრი ადამიანები და მთებში გიგანტური პირამიდების მშენებლობა დაიწყეს, მოგვიანებით კი ტბა ტიტიკაკას გამო ინკებთან კონფლიქტი მოუვიდათ და ბელად კონ-ტიკისთან ერთად გაუჩინარდნენ.

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, მკვლევარმა ჰეიერდალმა მეგობრებთან ერთად სწორედ ისეთი ნავი ააგო, როგორიც პერუს მოსახლეობას ჰქონდა და 1947 წლის 28 აპრილს იმავე მარშრუტით გაემგზავრა, რომელიც წესით, ჩრდილოელ თეთრ ადამიანებს უნდა გაევლოთ. „პონტიკი“ დანიშნულების ადგილზე 7 აგვისტოს მივიდა. ჰეიერდალი საკუთარ მოსაზრებას არ ღალატობს და მიაჩნია, რომ ძველ პერუელებსაც შეეძლოთ 4300 საზღვაო მილის (დაახლოებით, 8000 კმ) გავლა და კუნძულზე დასახლება. ჰეიერდალისა და სხვა მკვლევრების მოსაზრება (მათ მიაჩნიათ, რომ კუნძულზე აზიური წარმოშობის ხალხი დასახლდა) დაუსაბუთებელია და უამრავ ამოუხსნელ ამოცანას შობს.

■

ბუნების საოცრება

ეს ბირმის ერთ-ერთ ტბაში არეკლილი კლდის გამოსახულებაა. მისი ნახვა მხოლოდ იმ დღეებში შეიძლება, როცა მზე ერთი კონკრეტული წერტილიდან ანათებს.

■





ლევიტაცია – „აფრენის“ ხელოვნება

მრავალ ინდურ ღმერთს, აგრეთვე იოგებს, ბრაჰმანებს, წმინდანებსა და ჩვეულებრივ ადამიანებსაც შეუძლიათ ჰაერში აწევა. ლევიტაცია არ არის რაიმე განსაკუთრებული სასწაული, იგი რელიგიური რიტუალის მოხერხებულად ჩატარებისთვისაა აუცილებელი.

ინდუსების გარდა, ჰაერში აფრენა ტიბეტელ ბერებსაც შეუძლიათ. არსებობს ისტორია, რომლის მიხედვითაც, შაოლინის ტაძარში მისულმა ძენ-ბუდიზმის მიმდევარმა ბოდხიდხარმა ბერებს სხეულის ენერგიის მართვა და ჰაერში აწევა ასწავლა. ინდოეთსა და ტიბეთში ლევიტაციას დღესაც მიმართავენ. მრავალი მკვლევარი-აღმოსავლეთმცოდნე აღწერს „მფრინავ ლამათა“ ფენომენს.

ლევიტაცია ევროპაშიც ოდითგანვე გავრცელებული იყო, მაგრამ მას სპეციალურად არ სწავლობდნენ — ჰაერში რელიგიური ექსტაზის დროს აიწეოდნენ ხოლმე. ერთხელ წმინდა ტერეზას ლევიტაციას 230 კათოლიკე მღვდელი ადევნებდა თვალს. საკუთარი „ნიჭი“ წმინდანმა ავტობიოგრაფიაშიც აღწერა.

ყველაზე „მფრინავი“ ადამიანი იტალიელი იოსეფ დეზა (1603-1663) იყო. ერთხელ ის ჰაერში პაპ ურბან VIII-ის თანდასწრებითაც აიწია. მის ლევიტაციას მაშინდელი მეცნიერები იკვლევდნენ.

XIX საუკუნეში სახელი გაითქვა დენიელ დუგლს ჰიუმ, რომელსაც ჰაერში ნავარდი საკუთარი სურვილისამებრ შეეძლო. მის ლევიტაციას მარკ ტვენი, ნაპოლეონ III, მედიკოსები და მეცნიერები აკვირდებოდნენ.

უფრო ხშირად, ლევიტაციას იოგები მიმართავენ. თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი იოგი — მახარაშ მახეში ამბობდა: ლევიტაცია თითოეულ ადამიანს შეუძლია, მაგრამ მთავარია, მისი გამოყენება ისწავლოო. მახარაშმა 1971 წელს, ფილადელფიაში საკუთარი უნივერსიტეტი გახსნა, სადაც სხვადასხვა აღმოსავლურ საგანთან ერთად ლევიტაციაც ისწავლებოდა. 1986 წელს ვაშინგტონში „მფრინავი იოგების“ შეჯიბრება მოეწყო, ხოლო 1993 წელს მსგავსი შეჯიბრება ჰააგაშიც ჩატარდა. მაშინ გამარჯვებულად დასახელდა სუბხა ჩანდრა, რომელიც მიწას 90 სმ-ით მოსწყდა, ჰორიზონტალურად 187 სმ-ით გადაადგილდა და ჰაერში 3-4 წუთი გაჩერდა.

მეცნიერებს ლევიტაცია ადამიანების ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1991 წელს სამეცნიერო ჟურნალ „ნეიჩერში“ ლევიტაციაზე სენსაციური ფოტო და სტატია დაიბეჭდა, მათ აზრი შეიცვალეს და ახლა მის ამოხსნას ცდილობენ. ■

რას მოასწავებს იუდას სიმბოლოს – მორიელის „მეფობა“



მორიელის არა მარტო დანახვა, მისი ხსენებაც კი ადამიანებში შიშსა და ზიზღს იწვევს. თუმცა, იგი არც ისეთი საშიში არსებაა, როგორიც გგონიათ. სახმელეთო მორიელის წინაპარი — წყლის მორიელები დაახლოებით, 440-405 მლნ წლის წინ არსებობდნენ. დროთა განმავლობაში მათი აგებულება შეიცვალა და დაახლოებით, 300 მლნ წლიდან მხოლოდ ხმელეთის მორიელები არსებობენ. მორიელი ჯუხერხემლო ცხოველების ანუ ობობასნაირთა არაქნიდების კლასს მიეკუთვნება. ცნობილია მისი 1550 სახეობა. მორიელებს შორის ყველაზე დიდი, „იმპერატორი“ 20 სმ-მდე იზრდება, ყველაზე ციცქნა, ე.წ. აფრიკული მიკრობუტუსი — 1,5 სმ-მდე. მორიელი ტყეში, უდაბნოში, ზღვის ნაპირზე, მთაში, ზღვის დონიდან 3-6 კმ-ზეც კი ბინადრობს. მას 12 პატარა თვალი აქვს, მაგრამ თითქმის ვერაფერს ხედავს, მხოლოდ დღისა და ღამის გარჩევა შეუძლია. ის წითელ ფერზე საერთოდ არ რეაგირებს, სანადიროდ მხოლოდ ღამით გამოდის, რადგან დღისით მცხუნვარე მზეს ემალება. მორიელი ძირითადად, ცოცხალ მსხვერპლს, იშვიათად — მკვდარს ჭამს და 6-7 თვეში ერთხელ იკვებება. ერთხელ ფრანგი მეცნიერის, ფაბრის ლაბორატორიაში მორიელზე დაკვირვებებს აწარმოებდნენ და ცხოველმა საკვების გარეშე 6 წელი გაძლო.

მცდარია აზრი, რომ მორიელებს სითბო უყვართ — 40 გრადუსი ტემპერატურა მათთვის დამღუპველია; ისიც არ შეესაბამება სიმართლეს, რომ თითქოს იგი მძინარე ადამიანს ესხმის თავს. მორიელი შხამს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ანთხევს. არსებობს 24 სახეობის შხამიანი მორიელი, მათ შორის ყველაზე საშიში პალესტინური ყვითელი გეიურისია — მისი შხამი კობრას გესლზეც ძლიერია. მორიელს ზღარბი, ხვლიკი, გველი, ჩიტი (ძირითადად, ბუ), ღამურა, ბაბუინი (მაიმუნის ჯიში) ემტერება.

ბიბლიაში მორიელი, გველის მსგავსად, დემონის ეპითეტად და იუდას სიმბოლოდაა მიჩნეული. ძველად ჯადოქრები და ექიმბაშები მორიელის შხამისგან საწამლავსა და ამულეტს ამზადებდნენ, თანამედროვე მედიცინაში კი მას წამლებისა და მალამოების დასამზადებლად იყენებენ.

მეცნიერები დღემდე იკვლევენ მორიელის ფენომენს. საჰარის უდაბნოში ფრანგული ატომური ბომბის გამოცდისას ერთადერთი ცოცხალი არსება — მორიელი გადარჩა.

მორიელი ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანიცაა. ძველბერძნული ლეგენდის თანახმად, არტემიდეს სათაყვანებელმა მონადირემ, ორიონმა ჰერას საყვარელი ხარი მოკლა. ჰერამ მორიელს ორიონი მოაკვლევინა და ცაში აიყვანა. ორიონიც ცის ბინადარი გახდა, მაგრამ ეს ორი თანავარსკვლავედი ერთდროულად არასდროს ჩნდება. მორიელს მკვლელის სახელი შეერქვა. მიაჩნიათ, რომ მისი „მეფობის“ დროს იწყება ომები და სტიქიური უბედურებები. ■

რუბრიკა მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**

ფერის გავლენა ადამიანის ქცევაზე

ფსიქოლოგებმა ხანგრძლივი გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ფერები მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის კულტურასთან, მის ფიზიკურ მდგომარეობასთან, ცნობიერებასა და ქვეცნობიერებასთან.

წითელი ფერი ნერვული სისტემის სტიმულაციას განაპირობებს. ასევე კუნთებსა და ღვიძლს ენერგიით ამარაგებს, სისხლის წნევას ამაღლებს, მაჯისცემას აძლიერებს და სუნთქვით ვარჯიშებს ზრდის.

წითელი ფერი მამაკაცის აქტიურ საწყისთან, ცეცხლთან, სისხლთან, სიყვარულსა და ვნებასთანაა გაიგივებული. იგი ხშირად შფოთვას, მოუსვენრობას იწვევს და ნერვულ დაძაბულობას აძლიერებს. ეს ფერი ადამიანს ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვაში, გამბედაობის მოკრებასა და ამტანიანობის მომატებაში ეხმარება.

ყვითელი, წითლის მსგავსად, სისხლის წნევასა და ადამიანის ტვინის აქტივობას აძლიერებს, გარე სამყაროს მიმართ ინტელექტუალურ ინტერესს იწვევს, მხედველობითი აღქმის გაძლიერებას უწყობს ხელს და გულისცემას არეგულირებს. ეს ფერი, ასევე შედარებით ნაკლები ინტენსივობითა და სტაბილურობით, გრძნობების გამჟღავნებასა და მის „აწყვეტამდე“ გამოვლენას იწვევს.

ყვითელი — მზის სითბოსთან, სიხარულთან, მხიარულებასა და ბედნიერებასთან ასოცირდება. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება პიროვნების ისეთ მახასიათებლებზე მეტყველებს, როგორიცაა: კონფლიქტისგან თავის დაღწევის სურვილი, დამოუკიდებლობისკენ ლტოლვა, ბედნიერების იმედი და მოლოდინი, სიახლისკენ სწრაფვა და ავტორიტეტის მოპოვება.

მწვანე ადამიანის მიზანსწრაფულობასა და შეუპოვრობას, სიმტკიცეს, მუდმივობას, ცვლილებათა მიმართ წინააღმდეგობას შეესაბამება. ამ ფერის ემოციური მდგომარეობა სიამაყეა. ადამიანი კი, რომელიც უპირატესობას მწვანეს ანიჭებს, თავისი შეხედულებებისა და მრწამსის გამარჯვებისკენ, საზოგადოებრივი აღიარებისა და პოზიციების შენარჩუნებისკენ ისწრაფვის.

მწვანე ფერი ახალი სიცოცხლის საწყისთან, სიყმაწვილესა და იმედთან ასოცირდება. ეს ფერი სისხლისა და თვალის წნევის რეგულირებას, სუნთქვის სტაბილიზაციას, მხედველობის გაძლიერებას, ყურადღების კონცენტრაციას, ინტელექტუალური შრომისუნარიანობის ამაღლებას, სიმშვიდის განცდას, დადებითი ემოციების გამოვლენას, ჰიპოზურ და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას უწყობს ხელს.

ლურჯი შინაგანად მელანქოლიურ ტიპს შეესაბამება და სიმშვიდისა და კმაყოფილების განცდას იწვევს. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება სიწყნარის მოთხოვნილებას, დასვენების აუცილებლობასა და ძალთა აღდგენის სურვილს ადასტურებს. ლურჯი აზრსა და სამყაროსთან, ღვთიურ სიბრძნესა და ერთგულებასთან ასოცირდება. ამ ფერის ტანსაცმლის ხანგრძლივად ტარება დაღლილობასა და დეპრესიას იწვევს. ღრმა განცდების შემთხვევაში კი ძალთა აღდგენას უწყობს ხელს.

ნაცრისფერი, შეიძლება ითქვას, ნატურალური ფერია და ადამიანზე არანაირ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას არ ახდენს: არც აწყნარებს და არც აღაგზნებს. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება მეტყველებს ადამიანის სურვილზე — ჩაიკეტოს და გაემიჯნოს სამყაროს; ხოლო მის უარმყოფლებს ცნობისმოყვარეობა ახასიათებს. ამ ფერს აღიარებენ ისინიც, ვისაც საკუთარი ღირსებების გამოვლენა არ სურთ.

იისფერი წითელი და ლურჯი ფერების ნაზავს წარმოადგენს და შესაბამისად, მათ თვისებებს მოიცავს. ამ ფერს უპირატესობას ბავშვები, მოზარდები, ინტელექტუალურად და ემოციურად ჩამოუყალიბებელი ადამიანები, ხშირად სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებიც ანიჭებენ. ამ ფერის „აღიარება“ წარმოადგენს შთაგონებისკენ მიდრეკილებას, მოთხოვნილებას — სწორად გაუგოს პარტნიორმა; სურვილს, მოხიბლოს და მოაჯადოოს ადამიანი ისე, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს.

იისფერი ადამიანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ხანდახან მას ინტელექტს უქვეითებს და დეპრესიულ მდგომარეობაშიც კი აგდებს.

ცისფერი ადამიანს ამშვიდებს, ადუნებს, სისხლის წნევასა და სუნთქვის სიხშირეს ამცირებს.

მუქი ცისფრისთვის უპირატესობის მინიჭება სიჯიუტეზე, ქედმაღლობასა და პიროვნების სისასტიკეზე მეტყველებს. ამ ფერს „ტკივილგამაყუჩებელი“ თვისებაც

აქვს, თუმცა მისი ხანგრძლივი ზემოქმედება დაღლას იწვევს.

ყავისფერი ყვითელ-წითელი ფერების ნაზავია. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება დისკომფორტისგან გათავისუფლების სურვილს გამოხატავს. აღნიშნული ფერი წმინდა მიწიერ ფერს წარმოადგენს.

ყავისფრის პერიოდულად ზემოქმედება იმ ადამიანებისთვისაა კარგი, რომლებიც ინტელექტუალურ საქმიანობას ეწევიან და მოდუნებასა და დასვენებას საჭიროებენ.

ნარინჯისფერი სითბოს აღქმასთან უშუალო კავშირშია და ადამიანში სასიამოვნო აღგზნებასა და კეთილდღეობის შეგრძნებას იწვევს.

ეს ფერი ცეცხლის ალთან, ბედნიერებასთან, სიამოვნებასთან ასოცირდება.

შავი ფერი გაუჩინარების იდეას, სრული განდგომის სურვილს გამოხატავს. ამ ფერისათვის უპირატესობის მინიჭება მეტყველებს ადამიანის სურვილზე, გაემიჯნოს სამყაროს, წინ აღუდგეს თავის ბედს და საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, გაბედულად, დამანგრევლად და აგრესიულად იმოქმედოს. ამ ფერის უარყოფა კი საკუთარი ქცევისა და გადაწყვეტილების გაკონტროლების სურვილზე მეტყველებს.

შავი ფერის ტანსაცმელს ძირითადად აგრესიულად განწყობილი მამაკაცები პროტესტის ნიშნად ატარებენ. ამავე დროს, ეს ფერი ძალზე პოპულარულია ქალებში. ■

მოხდენილი

გარეგნობის ხუთი საიდუმლო

1. კიტრის მწნილი — იდეალური დიეტური პროდუქტი. ადვილად კლავს შიმშილის გრძნობას, ამასთან თითქმის არ შეიცავს კალორიებს.

2. ჭამის წინ კბილების მენთოლიანი პასტით გახეხა გემოს შეგრძნებას აქვეითებს. შესაბამისად, ჭამისგან სიამოვნებასაც ნაკლებად მიიღებთ.

3. საკვების ნელ-ნელა ღეჭვა შიმშილის გრძნობას ადვილად „ატყუებს“. 20 წუთის შემდეგ ტვინი იღებს სიგნალს, რომ კუჭი დანაყრებულია.

4. წყლით გაზავებული ვაშლის ძმარი აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს და აჩქარებს ცხიმების წვას.

5. დაბალკალორიული დიეტა ნიშნავს — ჭამო ბევრი და არ გასუქდე! ■

მარილიანი ყინული კანს ასუფთავებს

ახალგაზრდა გოგონების უპირატესობა ბუნებრივად ახალგაზრდა კანია. საერთოდ, კანს პრობლემას ცხიმოვანი ჯირკვლების აქტიური მუშაობა უქმნის, რის შედეგადაც გამონაყარი და ფერიმჭამელები ჩნდება. საუკეთესო გამოსავალი ექიმ-დერმატოლოგის კონსულტაციაა, მაგრამ ვიდრე სპეციალისტს მიმართავთ, შეგიძლიათ, მარტივი ხერხი გამოიყენოთ.

ფერიმჭამელების მოსაშორებლად კარგია სახის მარილიანი ყინულით გაწმენდა. ამისათვის 1 ს/კ მარილი 1 ჩ/ჭ ადუღებულ წყალში გახსენით. მიღებული ხსნარი გააგრილეთ, ყინულის ფორმებში ჩაასხით და საყინულეში შედგით. ყინულით სახე მანამ იზილეთ, ვიდრე არ გადნება. დაელოდეთ, სანამ კანი სითხეს შეიწოვს და შემდეგ სახე ანადუღარი წყლით ჩამოიბანეთ.

ნიღაბი

ხაჭო და ნაკლებცხიმიანი არაჟანი აურიეთ ერთმანეთში ფაფისებური მასის მიღებამდე. წაისვით სახესა და დეკოლტეს მიდამოზე და 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ. კანი ხავერდოვანი და გლუვი გახდება.

მკვდარი უჯრედების მოსაშორებლად კვირაში ერთხელ შეგიძლიათ, შემდეგ ხერხს მიმართოთ:

გამომშრალი შავი პურის ნაჭერი დაფხვენით, შეურიეთ 0,5 ს/კ სოდა და სუფრის მარილი. დაუმატეთ 1 ს/კ ამჟავებული რძე. სანამ გაწმენდას დაიწყებდეთ, სახე დაისველეთ, მიღებული ნაზავი წაისვით სახეზე. თითებით მანამ იზილეთ კანი, სანამ მასა თავისუფლად არ იმოძრავებს. სახე ჯერ ცხელი, შემდეგ კი გრილი წყლით ჩამოიბანეთ. ■

სპაგეტი მილანურად



მასალად საჭიროა:

300 გ სპაგეტი;
მარილი, წიწაკა — გემოვნებით;
2 ს/კ კარაქი;
1 თავი ხახვი;
2 ს/კ ფქვილი;
1 ჩ/ჭ წყალი;
3 ს/კ ტომატის პასტა;
1/4 ჩ/კ ხმელი სუნელები;
200 გ სოკო.

მომზადების წესი:

სპაგეტი მარილიან წყალში მოხარშეთ, წყალი გადაწურეთ. ტაფაზე გაადნეთ კარაქი, დააყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ოდნავ მოშუშეთ და დაუმატეთ ფქვილი. კარგად აურიეთ და კიდევ 2-3 წუთი შუშეთ. ტაფა ცეცხლიდან გადმოდგით და ნელ-ნელა — წყალი, შემდეგ კი ტომატი და ხმელი სუნელები დაუმატეთ, აურიეთ და ტაფა კვლავ ცეცხლზე შემოდგით. მიღებული მასა მიიყვანეთ ადუღებამდე, თან ურიეთ, ვიდრე არ შესქელდება. ეს მასა დაასხით თეფშზე მოთავსებულ სპაგეტის და სუფრასთან ისე მიიტანეთ. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

კაცი, რომელსაც სასწაულების სჯეროდა

ამერიკაში ლოხნესის ურჩხულის მთავარი სპეციალისტი გარდაიცვალა

3 ნოემბერს, ბოსტონში, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა რობერტ რაინსი — ადამიანი, რომელიც ერთდროულად, გამომგონებელიც იყო, ფიზიკოსიც, იურისტიც, კომპოზიტორიც და თვით იმ ურჩხულის მთავარი სპეციალისტიც, რომელიც ვითომდა, შოტლანდიის ლოხნესის ტბაში უნდა ბინადრობდეს...

რობერტს მთელი ცხოვრება სჯეროდა, რომ იდუმალი არსება ნამდვილად არსებობს და ამის დამტკიცებას ყველანაირად ცდილობდა

„იოცნებეთ და გააკეთეთ ყველაფერი საკუთარი ოცნებების ხორცშესასხმელად; იმუშავეთ და გჯეროდეთ იმის, რისთვისაც თქვენ ამას აკეთებთ; ნუ გაიმეტებთ შვილებს მარტოობისთვის მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ, მათი მშობლები, იურისტები გახდით. იყავით ბედნიერნი!“ — ეს უბრალო სიტყვები რობერტ რაინსმა 2004 წელს, მის მიერ დაარსებული იურიდიული კოლეჯის საზეიმო კრებაზე გამოსვლისას წარმოთქვა. მას კურსდამთავრებულთა ასე დამოძღვრის სრული მორალური უფლება ჰქონდა, რადგან თავადაც ყოველთვის ამ წესების შესატყვისად ცხოვრობდა.

რობერტ რაინსი 1922 წელს, ბოსტონში, მასაჩუსეტსის შტატში დაიბადა და მთელი ცხოვრება გამოგონებით იყო დაკავებული. მან პირველი პატენტი კინაღამ, 6 წლის ასაკში აიღო. ერთხელაც, მენის შტატის საზაფხულო ბანაკში დის სანახავად მყოფმა პატარა რობერტმა თავის ჯიბის დანას დახედა და იკითხა: რატომ უწევთ ადამიანებს დანის, ჩანგლის, კოვზისა და მაკრატლის ცალ-ცალკე ტარება, როცა ყველა ამ საგნის ერთ ჯიბის დანაში თავმოყრა შეიძლებაო?! საპატენტო ბიუროში მომუშავე რობერტის მამა ამ იდეამ აღაფრთოვანა, მაგრამ ვაშინგტონის

საზაფხულო ბანაკში ყოფნისას, მან თვით ალბერტ აინშტაინთან დუეტში დაკვრაც მოახერხა

საპატენტო უწყებაში შვილთან ერთად მისულმა აღმოაჩინა, რომ მსგავსი გამოგონება უკვე დაპატენტებული იყო. მაგრამ თავად პატარა რობერტმა მხოლოდ ამ საქმეში როდი გამოიჩინა თავი — მომავალ მკვლევარს 4 წლის ასაკიდან ვიოლინოზე დაკვრასაც ასწავლიდნენ და 11 წლისამ უკვე სცენაზე გამოსვლა დაიწყო. იმავე მენის შტატის საზაფხულო ბანაკში ყოფნისას, მან თვით ალბერტ აინშტაინთან დუეტში დაკვრაც მოახერხა. მოსწავლეობისას რობერტი მის მიერ დაარსებული მუსიკალური ჯგუფისთვის — „ექვსი ასი“ მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც თავად იგონებდა. მოგვიანებით კი ჰარვარდში, მუსიკალური კომპოზიციის კლასში მეცადინეობებზე დასწრების უფლებაც მოიპოვა.

1942 წელს, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ფიზიკის შესწავლისას, რობერტმა ბაკალავრის ხარისხი მიიღო და იმავდროულად, საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ მუსიკალური სუიტაც დაწერა (მოგვიანებით, ამ სუიტის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი ნიუ-იორკის ლინკოლნის ცენტრის სცენაზე დაიდგა). სხვათა შორის, რობერტ რაინსს ბევრი სხვა მუსიკალური ნაწარმოებიც ჰქონდა, რომელთაგან 10 ბროდვეიზე დაიდგა. 1987 წელს, სპექტაკლისთვის — His Honor the Mayor — რობერტ რაინსს პრემია „ემი“ მიანიჭეს; საკუთარი მეუღლისადმი მიძღვნილი ირლანდიური ბალადა კი ფილმს — „ირლანდიური თვალები“ დაედო საფუძვლად. რაინსის შემოქმედება ჰოლივუდის პროდიუსერებს ძალიან მოსწონდათ და მას ფილმებისთვის მუსიკის დაწერასაც ხშირად სთხოვდნენ.

II მსოფლიო ომის დროს, ოფიცერმა რაინსმა მიკროტალღური მოდულაციისა და სკანირების ტექნოლოგია გამოიგონა, რომელიც სარაკეტო შეტევის ადრეული გაფრთხილების ზესაიდუმლო ამერიკული სისტემის შესაქმნელად გამოიყენეს, კარგა ხნის შემდეგ კი მისი გამოგონების ბაზაზე რაკეტა Patriot-ის (ეს რაკეტები პირველად 1991 წელს, სპარსეთის ყურეში ომის დროს გამოჩნდა) მიკროტალღური დამიზნების ტექნოლოგიაც შეიქმნა.

II მსოფლიო ომის შემდეგ რაინსი საპატენტო ბიუროში მუშაობდა, პარალელურად კი იურისპრუდენციაში სამეცნიერო ხარისხიც მიიღო და სამუშაოდ მამის იურიდიულ კომპანიაში გადავიდა. დოქტორის ხარისხი მას ტაივანში, ჩაო-ტუნის უნივერსიტეტში მიანიჭეს. 1963 წელს რაინსმა მასაჩუსეტსში გამოყენებითი მეცნიერებების აკადემია, ნიუ-ჰემპშირში კი არასამთავრობო ორგანიზაცია დააარსა. ეს უკანასკნელი, ძირითადად, ახალგაზრდა გამომგონებლების დახმარებით იყო დაკავებული. რაინსი სიამოვნებით ასწავლიდა ახალგაზრდა მეცნიერებს ბიუროკრატიული დაბრკოლებების გვერდის ავლისა და კვლევებისთვის საჭირო ფინანსების მიღების გზებს. 1973 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო სისტემის შენარჩუნებისა და იურიდიული განათლების სრულყოფის მიზნით, რაინსმა დააარსა ფრანკლინ პირსის იურიდიული ცენტრი, რომელიც ერთდროულად, კვლევითი დაწესებულებაც იყო და კოლეჯიც.

თუმცა რობერტ რაინსმა ყველაზე მეტად სახელი გამომგონებლობით ანდა კომპოზიტორობით კი არა, არამედ იმ ურჩხულის შესწავლით გაითქვა, რომელიც ვითომდა შოტლანდიურ ტბა ლოხნესში უნდა ბინადრობდეს. რობერტს მთელი ცხოვრება სჯეროდა, რომ იდუმალი არსება, რომელსაც ჟურნალისტებმა „ნესი“ შეარქვეს, ნამდვილად არსებობს და ამის დამტკიცებას ყველანაირად ცდილობდა.

1971 წელს რაინსმა, გამოყენებითი მეცნიერებების აკადემიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ

ეს არსება პლეზიოზავრების — მეზოზოური ერის დიდი ხვლიკების რიგს მიაკუთვნეს

ჯგუფთან ერთად და მის მიერვე გამოგონებული მოწყობილობის დახმარებით, გაურკვეველი არსების რომბისებური ფარფლის, თავისა და სხეულის ზედა ნაწილის გამოსახულების მიღება მოახერხა. მისი აზრით, ეს ცხოველი ნესი იყო. 1975 წელს ფარფლის გამოსახულება გამოქვეყნდა და სენსაციაც მოახდინა. წარმატებით კმაყოფილმა რობერტ რაინსმა და ინგლისელმა მეცნიერმა პიტერ სკოტმა ბიოლოგიური სახეობების ოფიციალურ კლასიფიკაციაში ამ არსების Nessiteras rhombopteryx-ის სახელით (რაც ბერძნულად „რომბისებურფარფლიან სასწაულებრივ ნესის“ ნიშნავს) შეყვანა დაბეჯითებით მოითხოვეს.

მეცნიერებმა ეს არსება პლეზიოზავრების — მეზოზოური ერის დიდი ხვლიკების რიგს მიაკუთვნეს. ამ ნამარხ ცხოველებს კასრისებური სხეული, ოთხი ფარფლ-ფეხი, გრძელი კისერი და დიდი თავი (ანდა მოკლე კისერი და ძალიან დიდი თავი) ჰქონდათ. პლეზიოზავრები უპირატესად, წყალსაცავების ფსკერზე ბინადრობდნენ, საიდანაც ძალზე იშვიათად, ჰაერის ჩასაყლაპავად თუ ამოყვინთავდნენ ხოლმე.

მრავალრიცხოვანმა სკეპტიკოსებმა რაინსის ხმოვანი და ფოტოგრაფიული გამოკვლევების მონაცემების დამუშავების ხარისხი მაშინვე ეჭვქვეშ დააყენეს და თვით ნესის სამეცნიერო სახელწოდებაშიც კი ანაგრამა Monster hoax by Sir Peter S („სერ პიტერის საშინელი ნაყალბევი“) დაინახეს. მიუხედავად ამისა, რობერტ რაინსმა კვლევები მაინც განაგრძო და ტბის ფსკერზე პატარა ბატისკაფით ჩასვლაც სცადა.

სამწუხაროდ, ამ კვლევებს მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია. მკაფიო გამოსახულების მიღება ვერ მოხერხდა, მაგრამ ფსკერზე დაშვებისას ბატისკაფი მძლავრმა ბიძგმა ლამის გადააბრუნა. რაინსმა, რომლის ღრმა რწმენითაც ბატისკაფს მხარი ცნობისმოყვარე ნესიმ გაჰკრა, კვლევები განაგრძო. 1997 წელს რაინსის ექსპედიციას მისი ვაჟი, ჯასტინიც შეუერთდა. მამა-შვილი პერიოდულად ერთად ჩადიოდა ლოხნესის ტბაზე და მისი სიღრმეების სკანირებას ახდენდა.

2001 წელს რობერტ რაინსმა მორიგი სენსაციური განცხადება, — ნესი მოკვდაო — გააკეთა. მეცნიერის აზრით, ტბის ხანგრძლივმა დაკვირვებამ და ფსკერისა და წყლის ფენების სკანირებამ უჩვენა, რომ ბოლო დროს ცხოველი არანაირ აქტიურობას აღარ იჩენდა. რაინსმა და ლოხნესელი ურჩხულის სხვა თაყვანისმცემლებმა ამაში ტბის ნაპირზე განლაგებული ის საწარმოები დაადანაშაულეს, რომლებიც წყალში საწარმოო ნარჩენებს ყრიდნენ.

2007 წელს, მოყვარულმა მკვლევარმა გორდონ ჰოლმსმა ტბაში მიკროფონები განათავსა და სიღრმეებიდან წამოსული ხმოვანი სიგნალები გამოიკვლია. მან მოახერხა იმ ვარაუდის დოკუმენტურად დასაბუთება, რომ 15 მეტრის სიგრძის რაღაც არსება ტბაში საათში 10 კილომეტრის სიჩქარით გადაადგილდებოდა. ამრიგად, ყველას, ვისაც ნესის არსებობის სჯეროდა, იმედი ჩაესახა, რომ ეს ცხოველი არ მომკვდარა. განსაკუთრებით გაიხარეს შოტლანდიური სასტუმროების მეპატრონეებმა, რომელთა სტუმრების უმეტესობა იქ უძველესი ცხოველის ადგილსამყოფლის დასათვალიერებლად ჩადიოდა.

როგორც ჩანს, რობერტ რაინსი იმის ღრმა რწმენით გარდაიცვალა, რომ ლეგენდარული ცხოველი, რომლის ძებნასაც მან საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი შეალია, ნამდვილად არსებობს და ამიტომაც, შთამომავლების მახსოვრობაშიც იმ ადამიანად დარჩება, რომელსაც სასწაულების სჯეროდა და საკუთარი რწმენის მთელი სამყაროსთვის გასაზიარებლად ყველაფერს აკეთებდა...

■

მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ



ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შეშეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. თბილისის ოპერა 1874 წელს დაიწვა.
2. ბრიუს ლი სან-ფრანცისკოში დაიბადა.
3. დიეგო ველასკესი რაინდული ორდენის კავალერი იყო.
4. მაორები მისალმებისას ერთმანეთს ცხვირით ეხახუნებიან.
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი დიმიტრი შევარდნაძის შექმნილია.
6. ახლო აღმოსავლეთში მებრძოლ ამერიკელ ჯარისკაცებს არაბები ჯვაროსნებს ეძახიან.
7. დაუბანელი იერის გამო, ბინ ლადენს ამერიკელებმა უსახლკარო სანტა-კლაუსი შეარქვეს.
8. ფულისადმი დამოკიდებულება რუსეთში ყოველთვის ამგვარი იყო: „ბეზ ნიხ ნიკაკ, ა სნიმი ეშჩო ხუჟე“.
9. არც ერთ ქართველ პოეტს არ ჰყოლია იმდენი თაყვანისმცემელი ქალი, რამდენიც აკაკი წერეთელს.
10. 1953 წლის 11 იანვარს გარდაცვლილი ნოე ჟორდანია პარიზის მახლობლად, ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს.

11. „გენიოსები ყოველთვის ზარავენ საკუთარ ეპოქას“, — წერდა ავგუსტ როდენის შესახებ მისი ბიოგრაფი, ჯოზეფ რილკე.
12. გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და უკრაინა — ყველა ამ სახელმწიფოში მდინარე დუნაი ჩამოედინება.
13. „მან ნეკნი ამოიღო რომის იმპერიიდან და ახალ ცივილიზაციას ჩაუყარა სათავე“, — წერენ ისტორიკოსები მეფე კარლოს დიდის შესახებ.
14. ნათურის სანათი ძაფისათვის ტომას ედისონმა 6 ათასი სხვადასხვა მასალა მოსინჯა. თავდაპირველად, ამისთვის სამკერვალო ძაფს იყენებდნენ, რომელიც ნახშირით იყო დაფარული. ასეთი ნათურა მხოლოდ 12 საათს ძლებდა.
15. ფლორენციის დატოვებისას ფაშისტებმა მიქელანჯელოს, რაფაელის, ბოტიჩელისა და სხვა ცნობილ მხატვართა ტილოები გააყოლეს ხელს. შედევრებს სატვირთო მანქანების ღია ძარაზე ტვირთავდნენ, ზემოდან ჩალას აფარებდნენ და ისე მიჰქონდათ. ამგვარი ტრანსპორტირების გამო, ბევრი ტილო საგრძნობლად დაზიანდა, ხოლო ფლორენციის გალერეის ექსპონატთა ნახევარზე მეტი სრულებით განადგურდა.

„რენოს“ ელექტროავტო

კომპანია Renault სერიულად 2 ელექტრომობილს გამოუშვებს, რომელიც კონცეპტუალური, ზეკომპაქტური Twizy ZE-ს მოტივებზე აიწყობა. პირველი მათგანის წარმოება 2011 წელს, ქალაქ ვალიადოლიდში (ესპანეთი) მდებარე ქარხანაში დაიწყება, ხოლო მეორისა — ერთი წლით გვიან, საფრანგეთში. როგორც მოსალოდნელია, ფრანგულ ფლენში მდებარე Renault-ის ქარხანა კომპაქტური ელექტროავტოების პროგრამის განვითარების ერთგვარ ცენტრად იქცევა. ამ წარმოებაში თავს მოიყრის ელექტრომანქანების საკვანძო მოდელები და განხორციელდება აკუმულატორების აწყობა. „რენოს“ მესვეურების ვარაუდით, ევროპულ ბაზარზე არსებული ელექტროავტომობილების 2/3-ს მოდელი Zoe დაიკავებს. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, კონცეპტ-ავტო — Renault Zoe Z. — 95 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტრომოტორითაა აღჭურვილი, რომელიც ენერგიას ლითიუმ-იონური ბატარეებით იღებს. ასეთი აკუმულატორები ავტომობილს 160 კმ-ზე გადაადგილების საშუალებას აძლევს, ხოლო ჩვეულებრივი დენის წყაროდან მისი დატენისთვის 4-8 საათი იქნება საჭირო. კომპაქტური Twizi Z.E 20 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტრომოტორით იყო დაკომპლექტებული და მისი სვლის თადარიგი დაახლოებით, 100 კმ-ს შეადგენდა. ასეთი პროტოტიპის მაქსიმალური სიჩქარე კი 75 კმ/სთ გახლდათ. ■

„შკოდა“ სედანს გამოუშვებს

2012 წლისთვის კომპანია „შკოდა“ იაფფასიანი სედანის შექმნას გეგმავს, რომელიც განვითარებად ბაზრებზე Renault Logan-ს გაუწევს კონკურენციას. მომავალი მოდელი შეიძლება გაიყიდოს არა მხოლოდ ჩინეთში, ინდოეთში ან აზიაში, არამედ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. ეს სიახლე მოდელებს — Fabia და Octavia — შორის არსებულ ნიშას დაიკავებს. იაფფასიანი სედანის საორიენტაციო ფასი ევროპაში დაახლოებით, 10-12 ათასი ევრო იქნება, რაც რა თქმა უნდა, უფრო ძვირია, ვიდრე Renault/Dacia Logan. ევროპულ ბაზარზე საბაზო „ლოგანის“ ღირებულება 7.300 ევროდან იწყება. პირველი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „შკოდა“ აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ბაზრებისთვის საბიუჯეტო მოდელს ამზადებს, ჯერ კიდევ 2007 წელს გავრცელდა. მაშინ იუწყებოდნენ, რომ მანქანა დაახლოებით, 8.000 ევრო ეღირებოდა, ხოლო მისი გამოშვება რუსულ კალუგაში მდებარე VW-ის ქარხანაში იგეგმებოდა. მოგვიანებით, გეგმა შეიცვალა, რადგან VW-მა VW Polo-ს ბაზაზე საკუთარი საბიუჯეტო სედანის გამოშვება გადაწყვიტა, რომლის წარმოებაც რუსეთში უკვე 2010 წლიდან დაიწყება. არც ისაა გამორიცხული, რომ VW-მა ეს ავტომობილი „შკოდას“ საბიუჯეტო სედანის საფუძვლად აიღოს. ■

BMW-ს სატრეკო კუპე

კომპანია BMW-მ კუპეს — M3 — შემსუბუქებული სატრეკო ვერსია წარმოადგინა, რომელსაც GTS ეწოდება. როგორც ოფიციალურ პრესრელიზშია ნათქვამი, ავტომობილს ახალი 8-ცილინდრიანი, 4,4-ლიტრიანი, 450 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა დაუმონტაჟდა, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 7-საფეხურიანი რობოტიზებული კოლოფით იმუშავებს. გარდა ამისა, სიახლეს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები აქვს. უკანა სავარძლებზე, კონდიციონერსა და აუდიოსისტემაზე უარის თქმის ხარჯზე და უკანა მინების ნახევრად კარბონულით შეცვლის შედეგად, სატრეკო BMW M3-ის მასა 1675 კგ-დან 1490 კგ-მდე შემცირდა. ამასთან, კომპანიის — BMW — სპორტული განყოფილების ინჟინრებმა კუპესთვის რეგულირებული წინა სპლიტერი და უკანა სპოილერი, ახალი ზამბარები, ტიტანის ხმისჩამხშობიანი გამწოვი სისტემა, სალონის უკანა ნაწილში უსაფრთხოების კარკასი, წინა სავარძლების უკან მოთავსებული ცეცხლჩამქრობი და მასის გამომრთველი შეიმუშავეს. გარდა ამისა, სიახლეს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები, 19-დუიმიანი, ალუმინის შენადნობისაგან დამზადებული ექსკლუზიური დისკები აქვს, რომლებზეც წინ 225/35, ხოლო უკან 285/30 ზომის საბურავები აყენია. სატრეკო BMW M3 GTS მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთებით აიწყობა, ხოლო პირველ ასეთ მანქანას კლიენტს მომავალი წლის მაისში შესთავაზებენ. გერმანიაში ავტომობილის ფასი 115 ათასი ევრო იქნება. ■

ავარიები ჰიბრიდული მანქანების გამო

„ფეხით მოსიარულეთა მიზეზით ჰიბრიდული მანქანები უფრო ხშირად ხვდებიან ავტოავარიაში, ვიდრე ჩვეულებრივი ავტომობილები, რომლებიც შიგაწვის ძრავათი არიან აღჭურვილი“, — ასეთი დასკვნა აშშ-ის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ეროვნულმა ადმინისტრაციამ (NHTSA) ამერიკაში ავარიულობის სტატისტიკის ანალიზის შედეგად გააკეთა. ექსპერტების აზრით, ჰიბრიდების ავარიათა სიმრავლე იმითაა განპირობებული, რომ ფეხით მოსიარულეებსა და ველოსიპედისტებს მოახლოებული ავტომობილის ხმა არ ესმით, ვინაიდან ასეთი მანქანები, ქალაქის რეჟიმში, ძირითადად, ელექტროგაწევით მოძრაობენ. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ორგანიზაცია გამოვიდა წინადადებით, რომ ამგვარი ავტომობილები სპეციალური ხმის გამომცემი დანადგარებით აღიჭურვოს. ამჟამად, აშშ-ში, იაპონიასა თუ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში შესაბამისი კანონპროექტები უკვე მუშავდება. ■

რუბრიკა მოამზადა ***ალექსი რეხვიაშვილმა***

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

16. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიო მშენებლობათა ერთი მეხუთედი ჩინეთზე მოდის, ამ მეხუთედის ნახევარი კი — ქალაქ შანხაიზე. ურბანიზაციის მასშტაბებით, შანხაი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

17. პუგაჩოვის აჯანყების ჩასახშობად ეკატერინე შეგნებულად არ იწვევდა სუვოროვს, რადგან არ სურდა, ევროპელებს იმ შიდა არეულობის მასშტაბები გაეგოთ, რომელიც რუსეთში ტრიალებდა.

18. ტაილანდში ძალზე პოპულარულია ბავშვების კიგ-ბოქსინგი. მაყურებელი, რომელიც გატაცებით ადევნებს თვალს, თუ როგორ ალილავებენ ერთმანეთს 6 წლის გოგონები, შეჯიბრების დროს პირდაპირ მინიატიურულ რინგზე ჩამოდის სანაძლეო თანხას.



19. ბერლინის ფესტივალზე მაიკლ ჩიმინოს ფილმის — „ირმებზე მონადირენის“ ჩვენებისას საბჭოთა კავშირის დელეგაციამ დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი და სხვა დელეგაციებისგანაც იგივე მოითხოვა. მათ რუმინეთის, ინდოეთის და რამდენიმე სხვა დელეგაციამაც მიჰბაძა. ამგვარმა პროტესტმა უფრო გააცხოველა ფილმისადმი ინტერესი და საბოლოოდ, ამ სურათმა გაიმარჯვა კიდეც.

20. ფაშისტურ გერმანიაში მფრინავგამანადგურებლები ლამის სახალხო გმირებად შერაცხეს და უბრალო ხალხმა მათი გვარები ზეპირად იცოდა. რაც შეეხება ინგლისს, იქ მთავრობა პრესას იმის უფლებასაც არ აძლევდა, დაესახელებინა თანამემამულე მფრინავთა სახელები, რომლებსაც დიდი რაოდენობით მტრის თვითმფრინავი ჰქონდათ ჩამოგდებული. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გუნდური შედეგი პერსონალურ წარმატებაზე მნიშვნელოვანი იყო.

21. შექსპირის ტრაგედიების უბადლო მთარგმნელს, ივანე მაჩაბელს ერთი საოცარი უნარი ჰქონდა — შეეძლო, დილით აეღო წიგნი, წაეკითხა და საღამომდე რაიმე დარგის სპეციალისტი გამხდარიყო. მრავალ პროფესიას შორის, რომელსაც იგი ფლობდა, იყო მევენახეობაც, რომელიც პარიზში ყოფნისას შეისწავლა. მაჩაბელი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა საოცარი ნიჭით. მან იცოდა ნუსხური, ხუცური, სულ პატარამ წაიკითხა და ზეპირად ისწავლა „დავითნი“. ხალხი მის მოსასმენად ეკლესიაში მთელი ქართლიდან მიდიოდა და ბევრმა ქართველმა მოღვაწემ იგი ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო, როცა 5-6 წლის იყო.

მონოფიზიტობის ერესი
და მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება

V საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი მწვალებლური მიმდინარეობა — მონოფიზიტობის სახით, რაც გახდა უმთავრესი მიზეზი მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევისა. ამჯერად სწორედ მონოფიზიტობის ერესსა და მეოთხე მსოფლიო კრებას შევეხებით.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე): — მონოფიზიტობის ერესის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მამამთავარი იყო კონსტანტინოპოლელი ბერი ევტიქი. მისი სწავლებით, მას შემდეგ, რაც მაცხოვარი განკაცდა, მისმა ღვთაებრივმა ბუნებამ მთლიანად მოიცვა ადამიანური ბუნება და ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ქრისტეს ჰქონდა ადამიანური ბუნებაც ანუ — ევტიქის ცრუმოძღვრების თანახმად, მაცხოვარი იყო ერთბუნებოვანი, მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების მქონე და მან ამ ცრუსწავლების ხმამაღლა ქადაგება დაიწყო. მოგვიანებით ამ მოძღვრებას მონოფიზიტობა ანუ ერთბუნებოვნება უწოდეს.

რამდენიმე ეპისკოპოსმა ევტიქის ერეტიკული შეხედულებების შესახებ კონსტანტინოპოლის პატრიარქს — ფლაბიანეს აუწყა. თან სთხოვეს, ეს საკითხი კონსტანტინოპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე განეხილათ, რომელიც სწორედ იმ დროს მიმდინარეობდა. ფლაბიანემ ევტიქი დაიბარა და შეეცადა, თავისი შეხედულებებისა და სწავლების სიცრუეში დაერწმუნებინა. ის ცდილობდა, ეკლესიაში ახალი შფოთის წამოწყება თავიდან აეცილებინა, მაგრამ ამაოდ, ამიტომ იძულებული გახდა, საჩივარი მიეღო. ევტიქი კრებაზე არ გამოცხადდა. პატრიარქმა ფლაბიანემ კვლავ სცადა ევტიქის შეგონება და შეუთვალა: — არაფრის შეგეშინდეს, ცდომილებისგან დაზღვეული არავინაა, მთავარია, ადამიანს ამის აღიარების არ შერცხვესო. მესამე გამოძახების შემდეგ ევტიქი კრებაზე შეიარაღებულ მცველებთან ერთად გამოცხადდა და ეპისკოპოსების მიერ დასმულ კითხვებს ორაზროვნად პასუხობდა, პატრიარქ ფლაბიანეს კი დამცინავად ექცეოდა. კრებამ ევტიქი ერესში ამხილა და ეკლესიიდან განკვეთა. მწვალებელი ადგილობრივი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და საქმის ხელახალი განხილვა მოითხოვა. მან წერილი მისწერა რამდენიმე ეპისკოპოსსა და რომის პაპს — ლეონ დიდს. ევტიქი პატრიარქ ფლაბიანეს ნესტორის ერესის მხარდაჭერაში სდებდა ბრალს. პაპმა ლეონმა საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ პატრიარქ ფლაბიანესგან შეიტყო და ჭეშმარიტი სარწმუნოების დასაცავად წერილები დაგზავნა — მათში გადმოსცემდა ეკლესიის სწავლებას ქრისტეში ორი — ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების არსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ევტიქს მხარდამჭერებიც გამოუჩნდა — მას მფარველობდნენ და მხარს უჭერდნენ დედოფალი ევდოქსია და იმპერატორ თეოდოსის საყვარელი ჯარისკაცი, რომელსაც პატრიარქი სძულდა იმის გამო, რომ მან ქრთამი — ხელდასხმის ფული არ გადაუხადა, როდესაც კონსტანტინოპოლის მღვდელმთავარი გახდა და ასეთი პასუხი გასცა: ეკლესიის ფული მის საჭიროებასა და ღატაკებს უნდა მოხმარდესო!.. ევტიქს კიდევ ერთი მხარდამჭერი და მოკავშირე ჰყავდა — ალექსანდრიის იმჟამინდელი პატრიარქი დიოსკორე, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა მონოფიზიტობის ერესის გავრცელებაში. დიოსკორეს პირადი ინტერესი ამოძრავებდა — სურდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე ზეგავლენა ჰქონოდა და იქ ისეთი მართლმადიდებელი მღვდელმთავრის ყოფნა, როგორიც წმინდა ფლაბიანე იყო, ხელს არ აძლევდა. ევტიქმა და დიოსკორემ პატრიარქ ფლაბიანეს ერეტიკოსობაში დასდეს ბრალი, მერე კი ეფესოში კრების მოწვევაზე (რომელიც 449 წელს შედგა) იმპერატორი თეოდოსიც დაითანხმეს.

კრებას დიოსკორე უძღვებოდა. მას კრებაზე მიყვანილი ათასამდე ბერის გარდა, შეიარაღებულ მეომართა რაზმიც ემორჩილებოდა. ევტიქმა და დიოსკორემ ხმა გაავრცელეს, რომ პატრიარქი ფლაბიანე და მისი მომხრეები ერთ უფალს — იესო ქრისტეს ორად ყოფდნენ. ზოგიერთმა ეპისკოპოსმა რომის პაპის წერილის წაკითხვა ითხოვა, რაზეც დიოსკორემ უარი განაცხადა. კრებამ, რომელსაც წმინდა ეკლესიის მიერ სამართლიანად ეწოდა ავაზაკთა კრება, წმინდა ფლაბიანე ერეტიკოსად შერაცხა და განკვეთა.

როდესაც ფლაბიანემ ამ უკანონობის წინააღმდეგ ხმის ამოღება დაიაპირა, დიოსკორემ მეომრებს უხმო, რომლებმაც პატრიარქს რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენეს და ის რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

კრების მსვლელობის შესახებ იმპერატორ თეოდოსს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და მან კრების უკანონო დადგენილებები დაამტკიცა, მაგრამ ეს საკითხი ამით არ დასრულებულა — ბევრი ეპისკოპოსი ხმამაღლა ჩიოდა, რომ კრება იყო ტენდენციური, რომ მათ აზრს არ ითვალისწინებდნენ და ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც დიოსკორეს და ევტიქს სურდათ. პაპმა ლეონმა,

რამდენიმე ეპისკოპოსთან ერთად, იმპერატორი თეოდოსი დაარწმუნა, რომ მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა აუცილებელი იყო.

კრებისთვის მზადება დაიწყო, მაგრამ 450 წელს იმპერატორი თეოდოსი გარდაიცვალა და ტახტზე მისი უფროსი და, პლუქერია ავიდა, რომელმაც სამეფო ხელისუფლება თავის მეუღლეს — მარკიანეს გაუყო. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანატოლიმ გვირგვინის კურთხევა საეკლესიო წესით შეასრულა ანუ მარკიანე იყო ეკლესიის მიერ ხელდასხმული პირველი იმპერატორი და სწორედ აქედან დაედო სათავე დასავლეთის, რომის ეკლესიაში მეფეებისა და ბერების ხელდასხმას. იმპერატორმა მარკიანემ და რომის პაპმა ლეონმა მსოფლიო საეკლესიო კრების გამართვის შესახებ მოლაპარაკება დაიწყეს. იმპერატორის ბრძანებით მეოთხე მსოფლიო კრება, რომელსაც 630 ეპისკოპოსი ესწრებოდა, ქალაქ ქალკედონში გაიმართა. სხდომებს იმპერატორი და დედოფალიც ესწრებოდნენ. ცხადია, კრების განხილვის უმთავრეს საკითხს ევტიქის მწვალებლური მოძღვრება წარმოადგენდა, რომელსაც მონოფიზიტობა ანუ ერთბუნებოვნება ეწოდა. სხდომებზე დიდი ყურადღება დაეთმო ეკლესიის უდიდესი მოძღვრების: ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველის, იოანე ოქროპირის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა თხზულებებიდან იმ ადგილების წაკითხვას, სადაც იესო ქრისტეს ღვთაებრივ და ადამიანურ ბუნებათა შესახებაა ლაპარაკი. მათ ნააზრევთა საფუძველზე, წმინდა მამებმა ფორმულირებული სახე მისცეს დოგმატურ სწავლებას იესო ქრისტეს ბუნებათა შესახებ — რომ იესო ქრისტე არის ერთი ჰიპოსტასი ორი ბუნებით — სრულყოფილი ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებით, ის არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი. დოგმატზე 630-მა წმინდა მამამ მოაწერა ხელი, ევტიქი, დიოსკორე და მათი მიმდევრები კი ეკლესიიდან განკვეთეს.

— თუმცა, ამის შემდეგ მონოფიზიტობას არსებობა არ შეუწყვეტია. მეტიც, წინა მწვალებლურ მიმდინარეობათაგან განსხვავებით, მან ფართო გავრცელება პოვა. ყველაზე მეტად რომელ ტერიტორიებზე გავრცელდა მონოფიზიტური ერესი და რატომ გახდა ადამიანებისთვის მონოფიზიტური სწავლა-მოძღვრება უფრო მისაღები?

— ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება არ მიიღეს ეგვიპტის ალექსანდრიის, სირიის, პალესტინისა და სომხეთის ეკლესიებმა. პალესტინაში იყო ბერმონაზონთა დიდი რაოდენობა, რომელთა გარკვეული ნაწილი ერეტიკოსთა მომხრე აღმოჩნდა. დაახლოებით 10 ათასი ბერი იერუსალიმშიც კი შეიჭრა და მართლმადიდებელი ქრისტიანები დაარბია, ზოგი — მოკლა კიდეც; შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი იუბენალი ტახტიდან გადმოაგდეს და მღვდელმთავრად ერთ-ერთი თავიანთი მეთაური აირჩიეს, მაგრამ ამის შესახებ მალევე ეუწყა იმპერატორს. ვიდრე მის მიერ გაგზავნილი ჯარი იერუსალიმში შევიდოდა, განდგომილმა ბერებმა იქაურობა დატოვეს და თავი ბიზანტიის საზღვრებს გარეთ შეაფარეს, სადაც შემდგომში მონოფიზიტობის გავრცელებას შეუწყვეს ხელი. მონოფიზიტობა ყველაზე მეტად ეგვიპტეში, სირიასა და სომხეთში გავრცელდა. ქალკედონის კრების დადგენილებას განსაკუთრებული წინააღმდეგობა ეგვიპტის — ალექსანდრიის ეკლესიამ გაუწია, რადგან დიოსკორე ალექსანდრიის მღვდელმთავარი იყო. ეგვიპტეში, სირიასა და სომხეთში მონოფიზიტობის ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო იმ პერიოდში არსებულმა ვითარებამ: ეს ტერიტორიები ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ისინი დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ და ბიზანტიის სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდნენ. ეგვიპტის, სირიისა და სომხეთის ეკლესიებმა ხრიკს მიმართეს და მონოფიზიტური სწავლება ეროვნულ ნიადაგზე ააგეს — ის მიმართეს „ბიზანტიის სარწმუნოების“ ანუ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რათა ამ ტერიტორიების მცხოვრებნი ბიზანტიის სახელმწიფოსთვის დაეპირისპირებინათ. თანაც, მონოფიზიტური მწვალებლობის მიმდევრებს არ იწყნარებდა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება, რადგანაც მათ რამდენიმე მართლმადიდებელი მღვდელმთავარი მოკლეს, არბევდნენ მართლმადიდებლურ მონასტრებს, ავიწროებდნენ მართლმადიდებლებს. ბიზანტიის სახელმწიფოს ცენტრალური ტერიტორიებიდან გაძევებულმა მონოფიზიტებმა სწორედ ამ ტერიტორიებზე პოვეს თავშესაფარი და სწორედ ამ ქვეყნებში, ამ ტერიტორიებზე დაიწყეს თავიანთი ცრუსწავლების გავრცელება.

მონოფიზიტობის გავრცელებას ხელი შეუწყო სპარსეთის სახელმწიფომაც, რომელსაც ზეგავლენა ჰქონდა ამ ტერიტორიების გარკვეულ ნაწილზე. სპარსეთი ხელს უწყობდა მონოფიზიტებს თავიანთი სარწმუნოების გავრცელებაში, რათა ამით ადგილობრივი მოსახლეობა დაეპირისპირებინა ბიზანტიის იმპერიისთვის და აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლობისთვის. ამ ყველაფრის შედეგად ეთიოპიის, კოპტური ანუ ძველი ალექსანდრიის და სომხური ეკლესიები მონოფიზიტობის გზით წავიდა და დღემდე ამ ერესში იმყოფება.


სომხური ეკლესია

მონოფიზიტურ ეკლესიებს შორის დღესაც არ არის დოგმატური ერთობა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევენ. ამ ერესმა თავიდანვე სხვადასხვა მიმართულებით პოვა გავრცელება. მაგალითად: სომხებს ერთ-ერთი საგალობელი: „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ“, ასეთნაირად აქვთ შეცვლილი: „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, რომელი ჯვარს ეცვი ჩვენთვის, შეგვიწყალენ ჩვენ“ — ე.ი. მაცხოვარი ღვთაებრივი ბუნებით ეცვა ჯვარს, ღმერთმა ივნო. ეს სწავლება მხოლოდ სომხურ და ეგვიპტურ ეკლესიებში იყო გავრცელებული... ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

მეტყველების დეფექტები და მისი გამომწვევი მიზეზები

ვარჯიში – ენაბლუობის გამოსასწორებლად

დედამიწის ზრდასრული მოსახლეობის ერთ და ბავშვების ოთხ პროცენტს მეტყველების სხვადასხვა ტიპის დარღვევა აღენიშნება. რისი ბრალია მეტყველების დარღვევა და როგორ შეიძლება დღეს მსგავსი დეფექტების აღმოფხვრა? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს მეტყველების კორექციის ექიმი, ეკა ჟავჟავაძე გასცემს.



— ქალბატონო ეკა, რა იწვევს მეტყველების დარღვევას?

— მეტყველების დარღვევის მიზეზის შესახებ უამრავი თეორია არსებობს, რომელიც სავსებით ან ნაწილობრივ ხსნის ენის ბორძიკის პირველად მიზეზებს. ამ თეორიათა მიხედვით, მეტყველების მოშლა შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: შიში და ემოციური სტრესი (67,5%); მოტეხილობა და ტრავმა (27,5%); ინფექციური დაავადებები. არსებობს მეტყველების დარღვევის წინასწარგანმსაზღვრელი მიზეზებიც, მათ შორის — ასაკი (პაციენტთა უმრავლესობას მეტყველების დარღვევა 2-დან 5 წლამდე ასაკში ეწყება) და მემკვიდრეობა. დაბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მეტყველების დეფექტი ხშირად უყალიბდებათ იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც ოჯახში ორ ან მეტ ენაზე ლაპარაკობენ.

— რა იგულისხმება მეტყველების დარღვევებში?

— თავისუფალი მეტყველების ტემპისა და რიტმის დარღვევა, რის გამოც, ადამიანი გარკვეულ ბგერებსა და მარცვლებზე იძულებით ჩერდება ან იმეორებს. არსებობს მეტყველების ე.წ. ფიზიოლოგიური დეფექტები. მაგალითად, 2-დან 5-წლამდე ასაკის ბავშვთა 80%, მეტყველების სრულ ფორმირებამდე, გარკვეული ხარვეზებით ლაპარაკობს იმიტომ, რომ ადრეულ ასაკში პატარების აზროვნება ასწრებს მათი მეტყველების უნარს. მათ სულ უფრო და უფრო მეტის შეცნობა უნდათ, ერთგვარ მაღალ ემოციურ ფონზე ურთიერთობენ, მეტყველებენ შესვენებებით, პაუზებით, ბორძიკით. ყოველივე ეს კი აღმზრდელებისა და მშობლების დახმარებით უნდა გამოსწორდეს. ფიზიოლოგიური მეტყველების დარღვევა დაახლოებით, რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე გრძელდება და ამ პერიოდში პატარას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რათა ყველაფერი თავადვე გამოასწოროს.

— როდის სჭირდება ბავშვს სპეციალისტის დახმარება?

— მეტყველების დარღვევა საგანგაშო ხასიათს მაშინ იძენს, თუ ბავშვი 5 წლის შემდეგაც გარკვეული სიტყვების წინ ზედმეტ ბგერებს ან სიტყვის პირველ მარცვლებს იმეორებს, იძულებით ჩერდება სიტყვის ან ფრაზის შუაში, გარკვეულ სიძნელეებს აწყდება ლაპარაკის დაწყებისას.

— რას ურჩევთ მშობელს, რომელიც შვილს ასეთ სიმპტომებს შეამჩნევს?

— თუ პატარას პირველად შეამჩნიეთ მეტყველების კრუნჩხვითი ან სპაზმისმაგვარი დამუხრუჭება და ამის დადგენიდან მხოლოდ რამდენიმე დღეა გასული (არა უმეტეს 2-3 კვირისა), დეფექტი პირველადად მიიჩნევა და მის გადასალახავად მშობლებს ვურჩევ: ნუ გაამახვილებთ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ბავშვი ფრაზებს ან მარცვლებს იძულებით იმეორებს, ან სულაც ჩერდება. ნურც იმას ურჩევთ, ნელა და უფრო გარკვევით ილაპარაკოს. უმჯობესია, დარწმუნდეთ, რომ პატარას ნორმალური დღის რეჟიმი აქვს. ოჯახში კონფლიქტურ სიტუაციებს მოერიდეთ; დაარწმუნეთ პატარა, რომ ის ისეთი გიყვართ, როგორიც არის; ნუ გააჩუმებთ, როდესაც დაუსრულებლად ლაპარაკობს. თუ ცაციაა, მარჯვენა ხელის გამოყენებას ნუ დააძალებთ; პირველადი დეფექტისას პატარას განსაკუთრებით სჭირდება სიმშვიდე. ამ პერიოდში ერიდეთ სტუმრად წასვლას და სტუმრების მიღებას, ლაშქრობასა თუ ექსკურსიაზე სიარულს; ბავშვის თანდასწრებით მეტყველების დეფექტებსა და მსგავს თემებზე ლაპარაკი კატეგორიულად იკრძალება; შვილი პედიატრს უჩვენეთ, რათა მან ნევროლოგთან ერთად გადაწყვიტოს, ესაჭიროება თუ არა ბავშვს დამამშვიდებელი ან რაიმე სხვა მედიკამენტი. შეგიძლიათ პატარას თავადვე ჩაუტაროთ რამდენიმე ვარჯიში სამეტყველო კუნთების გასამაგრებლად. თითოეული მათგანი 3-4-ჯერ უნდა შესრულდეს:

ვარჯიში 1: წარმოიდგინეთ, რომ მეგობარმა ისეთი მოულოდნელი ამბავი შეგატყობინათ, თვალები შუბლზე აგივიდათ — ასწიეთ წარბები, გააფართოეთ თვალები და დაჭიმეთ შუბლის კუნთები 3-4 წამით, შემდეგ მოადუნეთ და თავისუფლად დაუშვით წარბები;

ვარჯიში 2: წარმოიდგინეთ, რომ ბნელი შენობიდან მზიან ადგილზე გახვედით. დახუჭეთ თვალები მაგრად — 3-4 წამით, შემდეგ მოადუნეთ წარბები და თვალებს 2-3 წამი ნუ გაახელთ;

ვარჯიში 3: ტუჩები 3-4 წამით ისე მოკუმეთ, თითქოს ვიღაც პირიდან რაღაცას გართმევთ და არ აძლევთ, შემდეგ კი მოდუნდით და დაუშვით ყბები;

ვარჯიში 4: დაჭიმეთ ენა და მისი წვერი მიაბჯინეთ სასას — 3-4 წამით, შემდეგ კი მოდუნდით;

ვარჯიში 5: დადექით, ხელები გასწიეთ წინ, მომუჭეთ და ერთდროულად დაჭიმეთ მტევნის, წინამხრისა

და მხრის კუნთები 3-4 წამით, შემდეგ მოდუნდით, დაუშვით ხელები ისე, რომ მათ საქანელისებური მოძრაობა შეასრულოს;

ვარჯიში 6: დადექით, თავი დახარეთ, ხელები ასწიეთ ზევით, მუჭები შეკარით და ერთდროულად დაჭიმეთ მტევნის, წინამხრისა და მხრის კუნთები 3-4 წამით. შემდეგ მოდუნდით, დაუშვით ხელები ისე, რომ მათ საქანელისებური მოძრაობა შეასრულოს.

— თუ მსგავსი რეკომენდაციები უშედეგო აღმოჩნდება, როგორ უნდა მოიქცეს მშობელი?

— ასეთ შემთხვევაში, მას სამკურნალო-პედაგოგიურ ღონისძიებათა კომპლექსი ესაჭიროება, რომელიც ნერვულ სისტემაზე, სამეტყველო მოტორიკასა და ზოგადად, მთელ ორგანიზმზე, პიროვნებაზე ზემოქმედებას ითვალისწინებს, რაც ლოგოპედის, ფსიქონევროლოგისა და მშობელთა შეთანხმებული ქმედებებით ხორციელდება.

— როდის ჯობს მეტყველების დარღვევათა მკურნალობა?

— მეტყველების დეფექტების აღმოფხვრა მისი აღმოცენებისთანავეა საჭირო, რადგან დასაწყისში დეფექტი ჩვეულებრივ, მსუბუქია და მისი ლიკვიდაციაც ადვილია. შედარებით რთული და ნაკლებეფექტიანია მეტყველების დარღვევათა მკურნალობა ე.წ. გარდატეხის ასაკში.

— როგორ უნდა დაადგინოს მშობელმა, თუ რომელი ბგერის წარმოთქმა უჭირს ბავშვს?

— ამის დადგენაში ეს სავარჯიშო დაგვეხმარება: სთხოვეთ პატარას, რომ ნელა, აუღელვებლად, ხმამაღლა წარმოთქვას მარცვლები ამ თანამიმდევრობით, თანაც, ყოველი ოთხი მარცვლის წარმოთქმის შემდეგ ღრმად ამოისუნთქოს და შემდეგ გააგრძელოს: ზიზ ზუზ ზეზ ზაზ; ჟიჟ ჟუჟ ჟეჟ ჟაჟ; შიშ შუშ შეშ შაშ; ნინ ნუნ ნენ ნან; ვივ ვუვ ვევ ვავ; ფიფ ფუფ ფეფ ფავ; რირ რურ რერ რარ; ლილ ლულ ლელ ლალ; მიმ მუმ მემ მამ; ტრი ტრე ტრა ტრუ; კრი კრე კრა კრუ; პრი პრე პრა პრუ; ჩიჩ ჩუჩ ჩეჩ ჩაჩ; ქიქ ქუქ ქექ ქაქ; ხიხ ხუხ ხეხ ხახ.

— ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი მკითხველი გვწერს, რომ მისი 5 წლის შვილი არასწორად წარმოთქვამს ბგერა ს-ს და ხან ც-ს ამბობს, ხან — თ-ს, ხანაც — სტვენისმაგვარ ხმას გამოსცემს...

— ამ შემთხვევაში საჭიროა ვარჯიში, რომელიც მარცვლებში ბგერა ს-ს ავტომატიზაციას ისახავს მიზნად. ვარჯიშის დაწყების წინ ბავშვს სთხოვეთ, რამდენჯერმე წარმოთქვას ბგერა ს, შემდეგ კი რამდენადაც შეუძლია, ნელა, აუჩქარებლად, აქცენტირებით და გარკვევით წარმოთქვას პირდაპირი მარცვლები: ს-ს-ს-ა, სა-სა-სა, სა-სო-სუ-სი; ს-ს-ს-ი, სი-სი-სი, სო-სა-სი-სუ; ს-ს-ს-ო, სო-სო-სო, სუ-სა-სო-სი; ს-ს-ს-უ, სუ-სუ-სუ, სი-სა-სუ-სო; შემდეგ საჭიროა ბგერა ს-ს ავტომატიზაცია შებრუნებით მარცვლებში: ა-ა-ა-ს, ას-ას-ას, ას-ის-ეს-უს; ი-ს-ს-ს, ის-ის-ის, ოს-ას-ის-უს; ო-ს-ს-ს, ოს-ოს-ოს, ის-ას-უს-ეს; უ-ს-ს-ს; უს-უს-უს, ას-ეს-ის-უს: შემდეგ გადავდივართ ბგერა ს-ს ავტომატიზაციაზე ინტერვოკალურ პოზიციაში: ასა-ასა-ასა, ასა-ოსა-უსა, ესა-უსა-ისა; ისი-ისი-ისი, ასე-ოსე-უსე, ესო-უსო-ისო; ოსო-ოსო-ოსო, ასო-ოსო-უსო; უსუ-უსუ-უსუ, ასი-ოსი-ოსუ; დასკვნითი ეტაპია ბგერა ს-ს ავტომატიზაცია თანხმოვნებთან ერთად მარცვალში: ბსა-ბსი-ბსო-ბსუ, ტსა-ტსი-ტსო-ტსუ, სვა-სვი-სვო-სვუ; პსა-პსი-პსო-პსუ, გსა-გსი-გსო-გსუ, მსა-მსი-მსო-მსუ; კსა-კსი-კსო-კსუ, სმა-სმი-სმო-სმუ, დსა-დსი-დსო-დსუ; სპა-სპი-სპო-სპუ, სბა-სბი-სბო-სბუ. პატარას ეს ვარჯიში რომ არ მოსწყინდეს, გადადით თამაშზე: დაუსახელეთ ს-თი დაწყებული სიტყვის პირველი მარცვალი და სთხოვეთ, დააბოლოოს იგი. მაგალითად: სა-თამაშო, სა-ბანი, სა-კრავი, სა-მარილე; სი-ნათლე, სი-რბილი, სი-არული, სი-მაღლე.

— მეტყველების დეფექტი ხშირად გვხვდება მოზრდილებშიც. რამდენად შესაძლებელია მათი აღმოფხვრა ზრდასრულ ასაკში?

— ისეთი დეფექტის აღმოფხვრა, როგორიცაა: ენის დაბმა, ენის ბორძიკი, ენაბრგვილობა და ა.შ. თანამედროვე სამკურნალო მეთოდების წყალობით, ნებისმიერ ასაკშია შესაძლებელი, თუმცა, რა თქმა უნდა, პატარებისგან განსხვავებით, მოზრდილების მკურნალობა გაცილებით ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. მათ ვურჩევ, თერაპიის დაწყებამდე მიიღონ მტკიცე გადაწყვეტილება, რათა საბოლოოდ გათავისუფლდნენ მეტყველების დეფექტისა და ზედმეტი დაძაბულობისგან, დასაწყისშივე დასძლიონ შიში; მოიცილონ ნებისმიერი უჩვეულო ჟესტი და მიმიკა, რომელსაც მეტყველებისას დამხმარე საშუალებად იყენებენ; სამკურნალო ღონისძიებათა პარალელურად, უნდა შეეცადონ, ილაპარაკონ თავისუფლად და სიტყვები მკაფიოდ გამოთქვან. ლაპარაკისას ბევრი არიდებს თავს იმ ბგერის წარმოთქმას, რომლის გამოთქმაც უჭირს, ეს კი დაუშვებელია! — მოსაუბრეს თვალებში უყურეთ და იმ სიტყვის პირველი ბგერა, რომლის წარმოთქმისაც გეშინიათ, რაც შეიძლება გაწელეთ; ნუ შეცვლით საუბრისას რთულ სიტყვებს მარტივით; ილაპარაკეთ ისეთი ინტონაციით, რომ ხმაში მელოდიურობა და სიმტკიცე იგრძნობოდეს; ილაპარაკეთ რაც შეიძლება მეტი; დაუკვირდით საკუთარ თავს მაშინ, როცა ენა გებმით და დაადგინეთ, რა ემართება თქვენს სამეტყველო აპარატს. ამისთვის გამოიყენეთ სარკე, მაგნიტოფონი; მეტყველების კორექცია უდიდეს ნებისყოფას მოითხოვს, ამიტომ აუცილებელია, გამოამჟღავნოთ ენერგიულობა და ყურადღების მაქსიმალური კონცენტრირება. თერაპიის მსვლელობასა და შედეგზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ოჯახის წევრების, ახლობელი ადამიანების სიყვარულსა და თანადგომას. ■

მხედველობისთვის სასარგებლო პროდუქტები

ბრიტანელი მეცნიერების აზრით, მხედველობის სიმახვილის შესანარჩუნებლად აუცილებელია, კვების რაციონის C ვიტამინით და ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავებით გამდიდრება. სპეციალისტებმა დაასახელეს ექვსი ძირითადი პროდუქტი, რომელიც თვალს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემებისგან იცავს. ეს პროდუქტებია: კომბოსტო (დღეში 100 გ); კვერცხი (დღეში 2-3); მოცვი (ყოველ დილით, რამდენიმე ცალი); ცხიმიანი თევზი (კვირაში რამდენიმე ულუფა); ნიგოზი (ყოველდღე); ახალი ხილი (რამდენიმე ცალი დღეში). ■

P.S. **ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

იყიდეთ ძველი და ძველი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

B და C ჰეპატიტები

C ჰეპატიტის ნეგატიური ფაქტორია [illegible] C ჰეპატიტის ნეგატიური ფაქტორია [illegible] 1 ფაქტორის ნეგატიური ფაქტორია 48-60%-ია, ხოლო II და III ფაქტორის ნეგატიურ ფაქტორებში – 80-85%.

ინფრაბალა ჰეპატიტები

B და C ჰეპატიტი ფიზიკურ [illegible] B ჰეპატიტის ფიზიკურ [illegible]

ბაბალეს ნაბეღლარაბაბალის ოჯახური

[illegible]



ადამიანი

„ლადოს ჭადართან“ თვალში გაყრილი თვალი და პირველი „შეხვედრა“ მამასთან

„გაუმარჯოს ზღვას, სიცოცხლეს, პოეზიას და სიყვარულს. გაუმარჯოს ულამაზეს ქვეყანას — საქართველოს. ნახვამდის“. — 26 წლისა გარდაიცვალა და ვინ იცის, რამდენჯერ 26 წელიწადი დაიტია... მაინც ყველას დააკლდა. მას კი — ყველაზე მეტად. და მაინც, ლამის მთელი საქართველო ეცილება მის სიყვარულში... დღეს „ქართველი პოეტის“, ლადო ასათიანის ქალიშვილის, ქალბატონი მანანა ასათიანის ოჯახის სტუმრები ვართ.

ანიკო

ლადო

ირმა ხარშილაძე

— მამა რომ გარდაიცვალა, 3 წლისაც არ ვიყავი, ამიტომ არაფერი მახსოვს. დედის — ანიკო ვაჩნაძის მონათხრობით ვიცი, რომ ბოლოს ძალიან ცუდად იყო, ხან დედაჩემის დედასთან, ხან — სასტუმრო „ორიენტში“, ბოლოს კი ძერჟინსკის 3 ნომერში, ნაქირავებ ვიწრო, პატარა უფანჯრო ოთახში ცხოვრობდა, მხოლოდ ოთახის კარს ჰქონდა შუშა. დედას რომ მივყავდი, მამა თურმე შიგნიდან ფარდას გადასწევდა ხოლმე და ხელს მიქნევდა. იმ ოთახში გარდაცვლილა. სულ მამამისის ნახვას ნატრობდა, უკანასკნელად „მა“ წარმოუთქვამს, მაგრამ დედა ვერ მიმხვდარა, მამას გულისხმობდა თუ მანანას. სულიც ამოსვლია და ბაბუაც მისულა. მამას სხეული ჯერ კიდევ არ გასცივებოდა... ბებია-ბაბუა პედაგოგები იყვნენ, ქუთაისში ჰქონდათ გიმნაზია დამთავრებული. ბაბუა — მელქისედეკი (მექი) რუსულის მასწავლებელი იყო, ბებია — ლიდა ცქიტიშვილი-ასათიანი ქართულსა და გეოგრაფიას ასწავლიდა. განათლებული ადამიანები იყვნენ და შვილებსაც კარგი განათლება მისცეს. ლადომ საშუალო სკოლაში სწავლის შემდეგ ჯერ ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. ბაბუა პოეტური კაცი იყო. ძალიან უყვარდა გრიგოლ ორბელიანი, შვილებსაც ხშირად უკითხავდა მის ლექსებს — ალბათ ამანაც დიდი ზეგავლენა იქონია ლადოზე. სოფელში რომ ჩავდიოდი, ყოველთვის მირჩევდა საკითხავ ლიტერატურას. ბებია ძალიან კარგად ქსოვდა, ქარგავდა. მისი ნიჭი მამიდა მედიკოსაც გამოჰყვა და მეც. მამიდას შეკერილი ტანსაცმლის წყალობით ყოველთვის გამორჩეულად მეცვა, მერე კი ჩემი ნაქსოვებით ვაოცებდი ყველას. სამწუხაროდ, ახლა ვეღარც ვქსოვ და ვეღარც ვკერავ... ბაბუასგან ვიცი, რომ ლადო ფიცხი ყოფილა, გოგიტა და მედიკო — შედარებით მშვიდები. ბიძია გოგიტაც ადრე გარდაიცვალა, 19 წლისა — ფეხი უტკენია, ძალიან გართულებია და ვერ გადაარჩინეს. არც ის მახსოვს. ერთადერთი, მისგან სამახსოვროდ მხოლოდ წიგნი „სიმღერა როლანდზე“ დამრჩა. ესეც ბედნიერი შემთხვევის წყალობით „დამიბრუნდა“. როდესაც მამა თბილისში ჩამოვიდა და დედაზე დაქორწინდა, მწერალთა კავშირმა ბინა თავისუფლების მოედანზე მისცა. თავისი წიგნები სასწრაფოდ გადაუტანია იქ, თუმცა მეორე დღეს უთქვამთ, ეს ბინა სასწრაფოდ უნდა დაცალოო, ბინაში მისულს კი წიგნები აღარ დახვედრია. მხოლოდ ბამბუკის თაროზე შემოდებული 40-მდე წიგნი გადარჩა, მათ შორის აღმოჩნდა „როლანდის სიმღერაც“, რომელზეც გოგიტა ბიძიას წაუწერია: „ჩემს მანანას! დაასაფლავეს შენი მამა, ჩემო მანანიკო. რომ გაიზრდები დიდი ქალი, არ დაივიწყო შენი მამიკო. შენი ბიძია გიორგი ასათიანი. 1943 წელი. 26 ივნისი. შაბათი. დილის 10 საათი. თბილისი“... მათი დედა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ყველაფერს იღონებდა, შვილების გადასარჩენად. ბებია 1937 წელს გადაასახლეს და მალევე გარდაცვლილა, ბაბუაც დაუპატიმრებიათ, მაგრამ გამოუშვიათ. ეს ღვთისმშობლის ხატი (*მიჩვენებს. — ავტ.*) ლადოს ნაქონია, ეს მძივები კი ბებიას გადასახლებიდან გამოუგზავნია... ბედნიერი ვარ, რომ მედიკო მამიდა ცოცხალია. ის 84 წლისაა, თბილისში ცხოვრობს, წლების განმავლობაში გამომცემლობა „განათლებაში“ მუშაობდა. ამჟამად ბარდნალაშია. მართალია, ლადოს მუზეუმის სტუმრებს ექსკურსიამძღოლობას ვეღარ უწევს, ამიტომ ჩვენმა შორეულმა ნათესავმა იტვირთა ეს საქმე, მამიდას მაინც არ სურს ბარდნალიდან ჩამოსვლა. ამბობს, აქ საუკეთესოდ ვგრძნობ თავსო. ახლახან სოფელში ლადოს პოეზიის საღამოც გაიმართა, მაგრამ სამწუხაროდ, მე ვერ

წავედი...

— ლექსი „სასაფლაო“, ფაქტობრივად, თქვენთვის მამის ანდერძივითაა. მამა თქვენც მისი ლექსებით, წერილებითა და სხვა ადამიანების — ოჯახის წევრების თუ ნაცნობ-მეგობრების მოგონებებით გაიცანით...

— მამა მეგობრობდა მწერალ ნიკა აგიაშვილთან, რომლის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ძირითადად, სწორედ ლადოს შესახებაა. ეს უძველესი „ვეფხისტყაოსანი“ კი (*იქვე მიჩვენებს. — ავტ.*) 1938 წელს მამას ნიკას დისთვის — გოგუცასთვის უჩუქებია და ზედ წაუწერია: „ვეფხისტყაოსანს“ გაჩუქებ, მას ვერ გაგატან მზითევად, ბნელში გადაშლი — აშუქებს, იფრქვევა მარგალიტებად. გმირობის გამომხატველმა აგასიმღეროს, ვარდო, მან, — ასე დასწერა ქართველმა ასათიანმა ლადომან“ (*იცინის*)... მერე, მწერალთა კავშირში მოწყობილ ლადოს საღამოზე მომიტანა გოგუცამ, — შენ გქონდესო. ნიკა აგიაშვილის ოჯახთან, მის 94 წლის მეუღლესთან დღემდე ვმეგობრობ.

ეკა და მაკა
ბაბუა მექისთან ერთად

— ლადო ასათიანის შვილობა საამაყო იყო, მაგრამ იოლი სატარებელი არ იქნებოდა.

— ეს დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობა იყო. ვინც გაიგებდა, ლადოს შვილი ვიყავი, ყველა მოწიწებით მექცეოდა. მახსოვს, უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე რომ ჩავაბარე და ვარლამ თოფურიას ლექციაზე პირველად შევედი, მოსალმებისა და სიის ამოკითხვის შემდეგ ბატონი ვარლამი ჩემით დაინტერესდა, — შენ, ბაბუ, რომელი ასათიანის შვილი ხარო? ჩემი ჯგუფელი თამაზ კვაჭანტირაძე წამოხტა და, — ლადო ასათიანის შვილიაო, — სასწრაფოდ მოახსენა. მოხვალ, შენ, ბაბუ, ლექციების შემდეგ ჩემთანო, — მითხრა. და მართლაც მივედი. მომეფერა, — კარგი მამის შვილი ხარ და აბა, შენ იციო. ვიცოდი, დიდი მეცნიერი მამას კარგად იცნობდა ქუთაისიდან, მის ნიჭსაც ძალიან აფასებდა და ხშირად რჩევასაც აძლევდა. ლადოც ხშირად აღნიშნავდა თურმე, რომ ქართული ენა ვარლამ თოფურიამ შეასწავლა: ოთხი წლის განმავლობაში ვისმენდი მის ლექციებს და თუ რამ სწორად დამიწერია, სწორედ მას უნდა ვუმადლოდე. ვარლამი ყოველთვის გვანათებდა და გვანათლებდაო. სხვათა შორის, დედას ეგონა, მეც ლექსის წერას დავიწყებდი... უფრო — სურდა, ალბათ, მაგრამ... 7-8 წლისამ თოვლის ბაბუასა თუ ნაძვის ხეზე მართლა დავწერე ლექსი და დედამ ცნობილ პოეტთან, მარიჯანთან მიმიყვანა. მარიჯანმა ჩემი ლექსი წაიკითხა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: ნუ გეშინია, მანანა, რომ გაიზრდები, კარგ ლექსებს დაწერო. მას შემდეგ ლექსი აღარ დამიწერია (*იცინის*). მეც ხომ მივხვდი, რომ ლექსების წერა ჩემი საქმე არ იყო. უბრალოდ, ძალიან მიყვარს პოეზია და კარგი შემფასებელიც ვარ.

მურმანი, ანა, მანანა

— ალბათ, პოეტებთანაც მეგობრობდით...

— მურმან ლებანიძე „შვილიკოს“ მეძახდა. ლექსიც მომიძღვნა: „მანანა, იფრინე, შვილო, მამაშენის მსუბუქი ფრთებით. ის ქართულ მიწას არ ამძიმებდა“... ახლა გამორჩეულად მურმანის მეუღლესთან, ლენასთან ვმეგობრობ... ლადო გუდიაშვილმა არა მარტო მამას პორტრეტები შეასრულა, მეც დამხატა ჩემს ტყუპ ქალიშვილთან ერთად... მამას გამო ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვიყავი...

— დედა რას გიამბობდათ მამაზე, მათ სიყვარულზე?

— საოცარი სიყვარული ჰქონიათ... იცით, როგორ გაიცნეს ერთმანეთი? დედა მწერალთა კავშირში მუშაობდა, მამა კი ახალი ჩამოსული იყო ქუთაისიდან თბილისში. ერთხელაც დედა სამსახურიდან შინ რომ ბრუნდებოდა, რუსთაველზე, მწერალთა თავშეყრის ადგილას — ჭადართან, რომელსაც მერე „ლადოს ჭადარი“ უწოდეს, ლადო დაუნახავს. ერთმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ და რაღაც მნიშვნელოვანი ვიგრძენითო, — მიამბობდა დედა. მეორე დღეს, ამხანაგთან ერთად კვლავ იმ გზით წამოსულს (ჭავჭავაძის ქუჩის ზემოთ ცხოვრობდა და რუსთაველიდან უნდა აეხვია), იმავე ჭადართან ნიკა აგიაშვილი და ლადო შეუნიშნავს. ნიკა დედას იცნობდა, მისალმებია და, — ანიკო, გაიცანი, ეს ქუთაისიდან ჩამოსული ჩემი მეგობარი, ახალგაზრდა პოეტი ლადო ასათიანიაო, — წარუდგენია. დედას კი საპასუხოდ ლადო თავისი ამხანაგისთვის წარუდგენია: გაიცანი, ეს ქუთაისიდან ჩამოსული ახალგაზრდა პოეტი ლადო ასათიანი ყოფილაო (*იცინის*). შინ დაბრუნებულისთვის დედამისს ანუ ჩემს ბებიას უთქვამს, — ერთი, შენი თავი გამათხოვებინაო. თუ გინდა, ხვალვე მოგიყვან სასიძოს, თუ მოგეწონება, ცოლადაც გავყვებიო, — სიცილით უპასუხია დედას. იმ დღეს, ბებიასთან საუბრამდე, თურმე, დედას ლადოსგან სასიყვარულო ბარათიც მიუღია და დაუხევია. არადა, ძალიან ლამაზი წერილი ყოფილა და სიკვდილამდე ნანობდა თავის საქციელს. ლადო და ანიკო „თვალის თვალში გაყრიდან“ მალევე დაქორწინებულან.

— სად მოუწერიათ ხელი ან ქორწილი თუ ჰქონიათ?

— ხელი თბილისის ერთ-ერთ მმაჩის ბიუროში მოუწერიათ. ბუნებრივია, ჯვარს ვერ დაიწერდნენ. ქორწილის კი რა მოგახსენოთ — გაჭირვებული ცხოვრება იყო, ბებიას პატარა სუფრა გაუშლია შინ და ასე მოკრძალებულად აღუნიშნავთ.

— შეუღლებამდე რომელი ლექსი მიუძღვნა ქალბატონ ანიკოს?

— „ისე გავიდა ეს გაზაფხული... მე ერთი სიტყვაც არ მახსოვს შენი. მე — სიყვარულით ვარ დაზაფრული, კიდეც რომ გსურდეს, ვეღარ მიშველი...“ და ამას მოჰყვა შემდეგ „რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს...“ დედას მართლაც ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა. მაგალითად, ლექსში „სასაფლაო“ მამას თავიდან „მანანაო, ტანხატულა“ დაუწერია და მერე „თვალხატულად“ გადაუსწორებია — ჩანს, მიხვდა, ტანხატულაზე მეტად, დედასავით თვალხატულა გამოვიდოდი (*იცინის*)... ძალიან დიდი სიყვარული ჰქონდათ ანიკოს და ლადოს. უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ — ან დედა იყო აბასთუმანში, ან ლადო გამორბოდა აბასთუმნიდან თბილისში. მასთან ერთად აბასთუმანში სამკურნალოდ მყოფ ოთარ ბათიაშვილს, რომელსაც მერე ძალიან დავუმეგობრდი, ნათქვამი აქვს, — ლადო ავად იყო თბილისით და არა — ჭლექით. ჩვენ აქ წლობით ვცხოვრობდით, ის კი წამდაუწუმ დარბოდა თბილისშიო. იქნებ, ხანგრძლივად და საფუძ-

ვლიანად რომ ემკურნალა, დღეს ცოცხალიც ყოფილიყო... საოცარი ადამიანი აღმოჩნდა — სიკვდილი უახლოვდებოდა და ერთხელაც არ დაუწუწუნია (*ჩაფიქრდა*)...

— მართლაც საოცარი ყოფილა — ამდენი ადამიანის — მხოლოდ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს არ ვგულისხმობ — სიყვარული და სითბო გაჰყვა.

— იცით, დიდუბეში, მისი საფლავის გვერდით ენათმეცნიერ ვარლამ თოფურიას ვაჟია დასაფლავებული, — საოცარი დამთხვევაა, არა? — და მის მეუღლეს რამდენჯერ უთქვამს: გაგიჟდები, იმდენი ხალხი მოდის ლადოს საფლავზეო. ძალიან ხშირად დადის თურმე ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც პირადად არ ვიცნობ, მაგრამ სახელი და გვარი გავიგე — რომან ქართველიშვილია, რომელიც მამას ერთტომეულით ხელში საათობით ზის საფლავზე. ასევე, ხშირად დაჰყავთ ლადოს საფლავზე ბავშვები...

— მამას ანდერძს უსრულებთ? — „მოცქრიალდი ჩემს საფლავთან, ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი... და, ყვავილთა დედოფალო, მოიგონე მამაშენი...“

— ვერ ვუსრულებ — ვერ მივცქრიალებ და ვერც ვიცინი... მამის საფლავზე არ მიყვარს გასვლა, მიძნელდება, ყოველთვის ძალიან განვიცდი. ნიკა აგიაშვილის შვილი — მერაბი ჰპატრონობს, მეც მას დავყავარ ხოლმე. მამიდა კი თბილისში ყოფნისას, ყოველ კვირას დადიოდა... გული მწყდება, რომ მამას საკადრისი საფლავი ვერ გავუკეთეთ. 1968 წლის 24 აპრილს გადმოვასვენეთ ვაკის სასაფლაოდან ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. იმხანად 28 წლის ვიყავი და იმ დღის განცდა არასდროს დამავიწყდება — ბევრ ხალხს რომ არ მოეყარა თავი, ეს ამბავი არ გაუხმაურებიათ და გადმოსვენებას მე, დედა, ბიძა — ზაქარია ვაჩნაძე და მამიდა მედიკო დავესწარით. დედას და მამიდას თითქოს თავიდან გაეხსნათ იარა, თითქოს ყველაფერი თავიდან განიცადეს. ჩემთვისაც ძალიან მტკივნეული იყო... და ძალიან ამაღლებულიც. დაკრძალვის შემდეგ შინ გაჩერება ვერ შევძელი და ჩემს მეუღლეს, აწ გარდაცვლილ გივი ჯანიკაშვილს, ნიკა აგიაშვილს, ლადო სულაბერიძესა და მამია ასათიანს „თეთრ დუქანში“ წავყევი. ჩვენი პატარა მაგიდის გვერდით დიდი სუფრა იყო გაშლილი და ოცამდე კაცი ქეიფობდა. ბევრი მათგანი შევიცანით კიდეც. მამიას, მამას გახსენებაზე ცრემლები წამოუვიდა. მერე გვერდით მოქეიფეთა სუფრის თამადას მისწერა: დღეს ლადო ასათიანი დიდუბის პანთეონში გადავასვენეთო. ადგა ის თამადა და ხმამაღლა გამოაცხადა: დღეს ჩვენი სუფრის თამადა ლადო ასათიანიაო. და ამას მოჰყვა ლადოს პოეზიის საღამო. გავოგნდი, ერთ-ერთმა „ბასიანის ბრძოლა“ თავიდან ბოლომდე ზეპირად რომ წაიკითხა... და იმ დღეს პირისპირ პირველად შევხვდი მამას! რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მას რომ ეცოცხლა და ჩემ გვერდით ყოფილიყო!

— თუმცა სულიერად ის მაინც ყოველთვის თქვენთან იქნებოდა... ქალბატონო მანანა, ოდესმე დამდგარხართ სარკის წინ, დაჰკვირვებიხართ თქვენს გარეგნობას და შეგიდარებიათ მამის მიერ ლექსებში აღწერილი მანანასთვის?

— თქვენ წარმოიდგინეთ — არა. საერთოდ კი ძალიან გამიხარდა, რომ „ტანხატულა“ წაშალა ლექსში, „თვალხატულა“ კი მართლაც ვიყავი — დედასაც და მამასაც ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდათ, თან ყველა მამას მამსგავსებდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერი ვიქნებოდი?! დედა ყოველთვის „მამაილას“ მეძახდა, — თურმე, ბუნებითაც ძალიან ვგავდი მამას (*იცინის*).

— თვითონ როგორ ცხოვრობთ, თქვენც ისევე შეგიყვარდათ, როგორც დედ-მამას — თვალის თვალში გაყრით?

— მე — არა. ჩემი მეუღლე ჩემზე ბევრად უფროსი იყო. როდესაც დედამ მასზე გამომკითხა, მაშინვე გვარი დაუწუნა: ჯანიკაშვილი რა გვარიაო! მერე კი ძალიან დამეგობრდნენ. განიცადა გივის გარდაცვალება. თვითონაც ერთ წელიწადში გარდაიცვალა. გივის პოეზია არ უყვარდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა? — ნელ-ნელა შეიყვარა (*იცინის*). ტყუპი შეგვეძინა — ეკა და მაკა. ეკა სულ კითხულობდა, რომ გავიზრდები, ეკატერინე ვიქნებიო? მერე მაკამ მაკატერინობა მოინდომა... ეკამაც დაწერა ლექსი, მაგრამ ჩემსავით დაემართა და ამ საქმეს შეეშვა. მაკამ ერთხელ, ჟურნალისტთან ბავშვობის გახსენებისას თქვა: ბავშვობაში თუკი ვინმე იტყოდა, ეს ლადო ასათიანის შვილიშვილიაო, საშინლად ვლიზიანდებოდი იმიტომ, რომ შემდეგ აუცილებლად მისი ლექსის თქმას მთხოვდნენ, მე კი ისე ვიბნეოდი, ლექსს ვეღარ ვამბობდიო (*იცინის*)... გაიზარდნენ გოგონები, ორივემ დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი დაამთავრა, ინგლისური ენის სპეციალობით. დათხოვდნენ. მაკას ერთი

ლადოს ხატი და ლედის მძივი

ვაჟი ჰყავს — გიორგი. ახლა ამერიკაში, სიეტლში ცხოვრობენ. მაკა ამერიკის მოქალაქეა. ეკას ორი შვილი ჰყავს: ანა და ლადო, დიდი ბებია-ბაბუის სახელები დავარქვით. თუმცა ასათიანები არ არიან, მათი გვარი უკლებაა. მახსოვს, 5 წლის ლადომ ერთ ჟურნალისტს უთხრა: მე ვარ ლადო ასათიანი, ეგ არის მანანა უკლება, მე პოეტებს ვწერო (*იცინის*). ახლა ბულგარეთში ცხოვრობენ, ლადო უკვე 10 წლისაა, ყოველდღე მირეკავს და მეხვეწება, — ბები, ჩვენთან ჩამოდიო. ანა 15 წლისაა და ბულგარეთამდე ჩინეთში ცხოვრებამ (ჩემი სიძე მიხეილ უკლება ჩინეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ, ახლა კი იმავე მისიით ბულგარეთის რესპუბლიკაშია წარგზავნილი) ჩინური ძალიან შეაყვარა. მედლებიც კი აქვს წარჩინებული სწავლისთვის ჩინეთში მიღებული. ახლა ბულგარეთშიც განაგრძობს ჩინურის შესწავლას... ასე რომ, ბედნიერი ქალი ვარ — ძალიან კარგი შვილები და შვილიშვილები მყავს...

p.s. დამშვიდობებისას ჩემს მასპინძელს ჩავეკითხე: თქვენი ასაკის ლადო ასათიანი წარმოგიდგენიათ, როგორი იქნებოდა-მეთქი? დაუყოვნებლივ მიპასუხა: ვერა, ვერ წარმომიდგენია. ის მართლა ჭაბუკად დარჩაო.

■

ანა



ლადო

„3-4 წუთის განმავლობაში შეიძლია, ზეპირად, 10 მილიონის ფარგლებში კუბური ფესვი ამოვილო“



თუ გაგვიმართლა, გინესის რეკორდების წიგნში კიდევ ერთი ქართველი შევა. 58 წლის ვლადიმერ მისაბიშვილი ფენომენური მათემატიკური ნიჭით გამოირჩევა და 3-4 წუთში 10 მილიარდის ფარგლებში ზეპირად შეუძლია კუბური ფესვის ამოყვანა. ბატონი ვლადიმერი წარმოშობით სოხუმელია, ამიტომ ჩვენი საუბარი აფხაზეთის გახსენებით დავიწყეთ.

ემა ტუხიაშვილი

— მამაჩემსაც ჩემსავით, ვლადიმერი ერქვა. ჟურნალისტი იყო, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა. დედა პროფესიით ინიჟინერ-მშენებელი იყო, მაგრამ არასდროს უმუშავია. სამი ძმა ვართ და ჩვენი აღზრდით იყო დაკავებული. ჩვენ აფხაზეთში ძირეული ქართველების ერთ-ერთი შტო ვიყავით და მამის წყალობით, ყველა გვიცნობდა. სკოლა სოხუმში დავამთავრე, შემდეგ სწავლა თბილისში, მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განვაგრძე. ინსტიტუტის შემდეგ სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში ვმუშაობდი. ტექნიკუმის თანამშრომლების 80% ქართველები ვიყავით და იქ 14 წელი ვიმუშავე. 1987-88 წლებში, ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ, მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. სოხუმში შეიქმნა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომლის მთავარი მიზანი აფხაზეთის ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული ენის პოპულარიზაცია იყო. პერიოდულად ეწყობოდა გამოსვლები, რომლებსაც ესწრებოდნენ: მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები. ასეთმა გამოსვლებმა გარკვეულწილად, აფხაზების გაღიზიანებაც გამოიწვია. „მალე დაინგრევა საბჭოთა კავშირი, ჩვენ ვიქნებით დამოუკიდებელი სახელმწიფო, აფხაზეთი ჩვენია“, — ისმოდა ხოლმე მიტინგებზე. ფარულად, თურმე რუსებიც ემზადებოდნენ აფხაზეთის ხელში ჩასაგდებად.

— როდის დატოვეთ სოხუმი?

— საომარი მოქმედებების დროსაც კი არ დამიტოვებია სოხუმი, მისი დაცემის შემდეგაც იქ ვიყავი. მეზობელი მყავდა აფხაზი, 35 წელი ერთად ვიცხოვრეთ, ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, რომ ომის დროს მან შემიფარა და დამიცვა აფხაზებისგან. ომი რომ დაიწყო, ვერ წამოვედით, რადგან მამაჩემი შეუძლოდ იყო და სოხუმიდან წასვლაზე უარს ამბობდა. ომში ცოლისძმა დავკარგე. არც მან დატოვა აფხაზეთი და სოხუმის დაცემამდე ერთი კვირით ადრე ბრძოლისას დაიღუპა. ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ სხვებთან ერთად დივერსანტებისგან ვიცავდი ქუჩას, რომელზეც ვცხოვრობდით. საკუთარი სახლი მქონდა, მანდარინის ბაღით. მეზობელმა ჩემი სახლის ჭიშკარს წითელი ლენტი შეაბა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ სახლი (ვითომ) აფხაზებს ჰქონდათ დაკავებული. ამასთან ერთად, ჩემი და მეზობლის ღობეები გავაერთიანე და ფაქტობრივად, ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. ვიდრე ვითარება შედარებით არ დამშვიდდებოდა, ქუჩაში გამოსვლა და სოხუმის დატოვება, ფაქტობრივად, სიკვდილს ნიშნავდა. ქალაქი იბომბებოდა, როგორც ავიაციის მიერ, ისე ხმელეთიდან. აფხაზებს არაფერი ჰქონდათ, მთელი სამხედრო ტექნიკა რუსებს ეკუთვნოდა. 2 თვის შემდეგ დავტოვეთ იქაურობა. ნათესავები გვყვანან მოსკოვში და მათთან ჩავედით.

— როგორ გახსენდებათ ის 2 თვე, რომელიც დაპყრობილ სოხუმში მალულად გაატარეთ?

— სახლიდან თითქმის არ გამოვდიოდი. არ მინდოდა, ვინმეს დავენახე. გვესმოდა, როგორ დაძრწოდნენ ქუჩებში მაროდიორები, ძარცვავდნენ სახლებს, მიჰყავდათ ავტომობილები... ყველაზე მძიმე კი სოხუმის დაცემის დღე იყო. მთელი ღამის განმავლობაში სროლა გვესმოდა და ვიცოდით, რომ ყოველ გასროლას კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. ქართველებთან ერთად, იმ ღამეს ის აფხაზებიც დახვრიტეს, ვინც ქართველების მხარეს იდგა. იყო ასეთი კაცი, გვარად ეშბა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ჟიული შარტავას მოადგილე იყო და ამის გამო დახვრიტეს. შარტავას კიდევ ერთი მოადგილე, გვარად სააკიანიც იმ ღამეს დახვრიტეს. ბერძნებიც გამოასალმეს სიცოცხლეს. იმ ღამეს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მივიღეთ. მეზობელი მყავდა, გვარად ბურჯანაძე. სოხუმის დაცემის მეორე დღეს, ქალაქში თავისი ავტომობილით გამოვიდა. გადმოიყვანეს მანქანიდან აფხაზებმა და იქვე დახვრიტეს... ძალიან ბევრი ქართველი დაიღუპა ამ ომში.

— როგორ მოახერხეთ სოხუმიდან უვნებლად გამოსვლა?

— ჩემი მეუღლე ექიმი-გინეკოლოგი გახლავთ. ბევრი სოხუმელი ქალბატონი მისი პაციენტი იყო და მეგობრობდა კიდეც მასთან. სწორედ მისმა აფხაზმა პაციენტებმა გაგვაცილეს ადლერამდე, იქიდან კი მატარებლით მოსკოვში ჩავედით.

— საქართველოში როდის დაბრუნდით?

— 3 წელია, რაც რუსთავში ვცხოვრობთ. მას შემდეგ, რაც მოსკოვში ქართველების დევნა დაიწყო, მივხვდი, იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. მილიცია კარდაკარ დადიოდა და ქართველებს ეძებდა. მართალია, ჩემი დეპორტაცია არ მოუხდენიათ, მაგრამ სამსახურში მითხრეს: ჩვენთან ვეღარ გაგაჩერებთო. სხვათა შორის, ვმუშაობდი საწარმოში, რომლის ხელმძღვანელიც ქართველი იყო.

— სოხუმში თქვენს სახლში ახლა ვინ ცხოვრობს?

— ჩემი აფხაზი მეზობლის ნათესავები ცხოვრობენ. მირჩევნია, ვიღაც ცხოვრობდეს, ვიდრე მიტოვებული და გაპარტახებული იყოს.

— თუ გაქვთ ურთიერთობა სოხუმელ ნაცნობ-მეგობრებთან, მეზობლებთან?

— რამდენჯერმე დავრეკეთ სოხუმში. ბევრია შერეული ოჯახი, ზოგი გათხოვილია აფხაზზე, ზოგს ცოლი ჰყავს აფხაზი. სოხუმში მცხოვრებ

ნაზი მასწავლებლის უჩვეულო სტუმარი

და მოულოდნელი ჯილდო პრეზიდენტისგან

თურმე ძნელი ყოფილა, საკუთარ მასწავლებელზე დაწერო რამე, თუნდაც კარგი და სასიამოვნო... 14 სექტემბერს ქართულმა ტელეარხებმა გააშუქეს, თუ როგორ ეწვია პრეზიდენტი სახლში მხცოვან მასწავლებელს, ქალბატონ ნაზი წიკლაურს და მანქანით სკოლაში წაიყვანა. სკოლა კი გარდაბნის რაიონში, სოფელ ვახტანგისში მდებარეობს... თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც ამ მხცოვან ქალბატონში ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ვიცანი... ცრემლი მომერია... როგორ შეცვლილა-მეთქი ჩემი ლამაზი ნაზი მასწავლებელი...

მარი ჯაფარიძე

ბავშვობაში, მეზობელ ბავშვებთან ერთად „მასწავლებლობანა“ ალბათ ბევრს გითამაშიათ. მე ყოველთვის „მასწავლებელი“ ვიყავი და ჩემი ნაზი მასწავლებლის დგომის, სიარულისა თუ გაკვეთილის ახსნის მანერებს აქტიურად ვიყენებდი. ის ფაქტობრივად, ჩემთვის მასწავლებლის ეტალონი გახლდათ. მუდამ მშვიდი და აუღელვებელი იყო, 7 წლის მანძილზე გვასწავლიდა და ამ ხნის განმავლობაში მისი ერთი გაკვეთილიც კი არ გაგვიცდენია. არ არსებობდა მიზეზი, რომლის გამოც ის არათუ სკოლაში არ გამოცხადებულიყო, არამედ გაკვეთილზე დაეგვიანა. გასულ კვირას, გვიან საღამოს, ნაზი მასწავლებელს შინ გაუფრთხილებლად ვეწვიე. ძალიან ვღელავდი...

თვალებითა და სიცილით გიცანიო...

საუბარი ცოტა შორიდან დავიწყეთ...

იყალთოში ცხოვრობდა... იქ დაიბადა და გაიზარდა... სკოლა რომ დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილი გაუჩნდა, დედინაცვალმა უარი უთხრა... ამის მიუხედავად, თელავის პედაგოგიურ სასწავლებელში მაინც ჩააბარა და იქ სიარული ხშირად იყალთოდან ფეხით უწევდა.

— ტანისამოსი მოვქსოვე, ჩემს დედინაცვალს თბილისში გასაყიდად გავატანე და იმ ფულით „ლუქსის“, ძალიან ლამაზი ფეხსაცმელი ვიყიდე. თუმცა, ვინაიდან იყალთოდან ხშირად ფეხით მიწევდა თელავში ჩასვლა, ოღროჩოღრო და ტალახიან გზაზე ფეხსაცმელს გასაფუჭებლად ვერ ვიმეტებდი. გზაში ძველ ფეხსაცმელს ვიცვამდი, თელავის შესასვლელთან კი გამოვიცვლიდი ხოლმე და გამოპრანჭული მიგბაკუნდებოდი სასწავლებელში. მაინც ყველაზე ადრე მივდიოდი და არც ლექციებს ვაცდენდი. შემდეგ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე და მუშაობაც დავიწყე.

— **მუშაობა რომელ წელს დაიწყეთ?**

— 1948 წელს. მაშინ თითქმის ყველა ახალგაზრდა პედაგოგობაზე ოცნებობდა. ახლა კი რატომღაც ეს პროფესია „მოდაში“ აღარ არის. ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვსაყვედურობ, რომ პედაგოგობის სურვილი არ აქვთ... ახლა რომ ვიწყებდე ცხოვრებას, ისევ ამ გზას ავირჩევდი. სკოლის გარეშე არ შემიძლია, ვერ გავძლებ... სულ იმის შიში მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს მუშაობა რომ ვეღარ შევძლო და რა მეშველება? ძალიან გამიჭირდება. თუ ბავშვი არ გიყვარს, მასწავლებელი ვერ იქნები. საოცარი სიამოვნებაა, როდესაც ახალი სასწავლო წელი იწყება, ზაფხულში, არდადეგებზე წასულ მოსწავლეებს სკოლაში ხელახლა ეგებები და ხედავ, როგორი გაზრდილები არიან... თავიდანვე ასეთი განწყობილებით დავიწყე მუშაობა და ამიტომაცაა, რომ ბავშვებთან ურთიერთობა არ მიჭირს. წლების განმავლობაში ჩემი მოსწავლე იყავი და თუ გაიხსენებ შემთხვევას, როცა მე გაკვეთილზე წესრიგის დამყარება დამჭირვებია ან დისციპლინაზე საუბარი?

— **არა, მსგავსი რამ არ მახსენდება, გაკვეთილზე ყოველთვის ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა...**

პრეზიდენტის კორტეჟი ჩემს სახლთან რომ მოვიდა, ხალხი გაოცებული უყურებდა, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა

— ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელიც სწორედ თქვენს კლასში მოხდა... განათლების განყოფილებიდან დამსწრე გვყავდა. დირექტორმა ის ჩემს გაკვეთილზე შემოიყვანა. ქალბატონი უკანა მერხზე დაჯდა. თემაც კი მახსოვს — მამათა და შვილთა ბრძოლის ეპიზოდს ვხსნიდი. ერთი მოსწავლე არ მისმენდა. რამდენჯერმე შენიშვნა მივეცი — გია, მომისმინე-მეთქი. წყნარად კი იჯდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ წრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა. დამსწრე გაგიჟდა, გაკვეთილი რომ დამთავრდა, გიას მიუბრუნდა და უთხრა, ამ გაკვეთილს რომ არ უსმენდი, სხვას სულ არ მოუსმენ, ეს ნამდვილად არ გეპატიება, ამიერიდან სამინისტროდან პირადად გავაკონტროლებ შენი სწავლა-განათლების საკითხსო...

— **მგონი, გიას პრობლემა არ შეჰქმნია...**

— მართალია, რადგან არც სკოლამ გასწირა და არც — სამინისტრომ. მახსოვს, ერთხელ, 1-ელ სექტემბერს, სკოლის შენობაში შევდიოდი. კიბეზე პირველკლასელი ბავშვი ჩამორბოდა, — ჰოპაა, გამატარე! — დაიძახა, ხელი მკრა და ისე მიმაგდო გვერდით, რომ არც დაფიქრებულა, რას აკეთებდა. — ამას რას მოვესწარი-მეთქი, — გამიკვირდა, მაგრამ გამელიმა კიდეც. ის ჯერ 1 დღის მოსული იყო სკოლაში და ქცევის წესები არ იცოდა. ამის გამო მასზე გაბრაზება როგორ შეიძლება?! დაუშვებელია, ცელქ ბავშვს უთხრა, რომ ის კარგია და ამით „მოისყიდო“ იმისთვის, რომ გაკვეთილზე არ იხმაუროს. რადგანაც მან კარგად იცის, რომ ის სულაც არაა კარგი და ხვდება, რომ ატყუებ. ამის გამო ნდობას კარგავ. მასწავლებლობა რთულია... თუ ბავშვის ფსიქოლოგიაში ვერ ერკვევი, არაფერი გამოგივა... სკოლაში 61 წელი გავლიე. ყოველთვის ვგრძნობდი ბავშვების სიყვარულს და მეც იმავე გრძნობით ვპასუხობდი.

— **ახლა ვახტანგისში ქართულ სკოლაში ასწავლით?**

— დიახ, ამ სოფელში ძირითადად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, ქართველები ძალიან ცოტანი არიან, მაგრამ ქართული სკოლა მაინც გაიხსნა. ეს აზერბაიჯანულ სამყაროში ერთი პატარა, ქართული კერა გახლავთ. ბოლო დროს, ისეთი ტენდენცია გაჩნდა, რომ დაბალ კლასებში, ძირითადად, აზერბაიჯანელი მოსწავლეები გვყავს. მიხვდნენ, რომ საქართველოში წარმატებას ქართული განათლებისა და ქართული ენის ცოდნის გარეშე ვერ მიაღწევენ. სკოლაში რომ შემოდიან, ქართულად ლაპარაკიც კი არ იციან, სამაგიეროდ, ზედა კლასებში უკვე გამართულად ლაპარაკობენ. ბევრი კარგი მოსწავლე მყავს. საუკეთესო გოგონები ადრიანად მოგვტაცეს (გათხოვდნენ) და სწავლა ვეღარ გააგრძელეს. გული მწყდება, მაგრამ... რას ვიზამ? სხვათა შორის, პრეზიდენტსაც მოვუყევი, გოგონები რომ „მომტაცეს“ და გულიანად იცინა...

— **მოდი, მომიყევით, პრეზ**

„ამ ქვეყანას ველარ ველევი — მეტი მინდა ვიარო, ვიშრომო, საყვარელ ადამიანებს ვუცქირო...“

როცა 94 წლის სოფიო აგულაძესთან სალაპარაკოდ მივედი, ნალიაში არაყს ხდიდა. მხრებში მოხრილი, მუჭისხელად ქცეული, საოცრად სათნო სახით ოჯდა კვამლიან ფიცრულში და უშველებელ არყის ქვაბს შეშას უკეთებდა... უცნობი სტუმრის დანახვაზე, სათვალე ჩამოიწია, თბილად გაიღიმა და გულში ჩამიხუტა.

ლალი პაპასკირი

„— გამარჯობა, სონა ბებო, როგორ ხართ? — ვკითხე მოხუცს და მის მიერ შემოთავაზებულ კუნძზე ჩამოვჯექი. — არა მიშავს, ბებო, რა ვიცი, ვარ... დედამიწას ვამძიმებ უკვე, მაგრამ კიდევ მინდა ეს ოხერი სიცოცხლე, სული ტკბილი ყოფილა, ბებო, — მითხრა მოხუცმა, აკანკალებული ხელით წინსაფრიდან ჩირი ამოიღო და მომაწოდა: — აქ ჩამოჯექი, ბებო, და დამელაპარაკე ერთი, შენს გაზრდას!“ — ტკბილი ხმით მითხრა და ბნელ კუთხეში მდგარ, დაბალ ხის სკამზე მიმითითა. თითქმის საუკუნეს მიტანებულ ქალს გაოცებული შევცქეროდი: რა კარგი მხედველობა გაქვთ-მეთქი! — რაზეც დაბალი ხმითა და თბილი ღიმილით მიპასუხა: ჩემი ასაკის ქალისთვის, სმენაც კარგი მაქვს, მაგრამ ხანდახან კარგად არ მეყურებაო...

— რას არ მოვესწარი, შვილო! პატარა ვიყავი, მაგრამ ცხადად მახსოვს, თუ როგორი დაუნდობლები იყვნენ „ბელშევიკები“ — ისინი ნადირებივით სდევნიდნენ შეძლებულ ადამიანებს. მახსოვს, სახლში ჭრაქი არ უნდა აგვენთო, მაშინვე შემოგვიცვივდებოდნენ იარაღიანი კაცები: თუ სახლში ვინმეს არ მალავთ, შუაღამისას რატომ არ გძინავთო?!. ვინც მათ რისხვას გაასწრო, ტყეს შეაფარა თავი, „ბელშევიკები“ კი კარდაკარ დადიოდნენ და გლეხებს აფრთხილებდნენ: არ გაბედოთ და ვინმე არ შეიფაროთ, თორემ ვაი, თქვენი ბრალიო!..

— თქვენი სოფლის ბატონები რა გვარები იყვნენ?

— ჩივაძეები... ყველას გლეხის „ტყავზე“ უნდოდა ცხოვრება. ხალხს ისინი არ უყვარდა... ერთხელ სოფლის შუაგულში ბავშვები ლატს ვთამაშობდით. 10-მდე გოგობიჭი ვიყავით, სულ ერთმანეთის ნათესავები. უეცრად ვიღაც ცხენიანმა კაცმა ყიჟინით ჩაგვიქროლა და ტყეში შევარდა. გაქცეულს ფეხდაფეხ მოჰყვნენ იარაღიანი მდევრები და კინაღამ გაგვსრისეს. ბავშვები წიწილებივით გავიფანტეთ. ჩვენს წიოკზე დედაჩემი სახლიდან გამოვარდა, დაგვავლო ხელი და იქვე ახლოს ბატონის ნასახლარში შეგვყარა. ცხენოსნები მობრუნდნენ და სახლში შემოცვივდნენ, დედაჩემი კრუხივით გადაგვეფარა. წინკარში ვისხედით. ბნელოდა, მაგრამ ერთ-ერთმა მაინც შეგვამჩნია და დედას ტყვია ესროლა. შიშისგან ყველას ენა ჩაგვივარდა... მერე კი ნახეს, რომ უდანაშაულო ქალს ესროლეს, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს: ყველანი გარეთ გამოგვყარეს და სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

— დედათქვენი გადარჩა?

— კი, ტყვია მხარში მოხვდა. მისი ამოღება ვერ მოხერხდა და ტყვია სიკვდილამდე ატარა... მერე იმ „ბელშევიკებმა“ თავად მოიყვანეს ექიმი, მაგრამ რაღა დროს იყო?!. საღამოს შინ დაბრუნებულმა მამამ ეს ამბავი რომ გაიგო, გადაირია, მაგრამ ხმის ამოღებას როგორ გაბედავდა?! მაშინ ადამიანის გასაციმბირებლად, პატარა მიზეზიც საკმარისი იყო... ყოველღამე, სოფლის ორღობეში ცხენების თქარათქური ისმოდა, „ბელშევიკები“ დიდგვაროვნებს სახლებში უცვივდებოდნენ, ნახევრად მძინარეები გორში მიჰყავდათ და ხვრეტდნენ. ყველამ იცოდა, „გორში წაყვანა“ რასაც ნიშნავდა, მაგრამ სიმართლის გამხელას ერთმანეთსაც ვერ ვუბედავდით, გვეშინოდა... ასე „გაასუფთავეს“ კასპის რაიონი დიდგვაროვნებისგან, მათი უმეტესობა დახოცეს, ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი, ზოგი კი უცხოეთში გაიქცა. გლეხები მათზე აღარც ვლაპარაკობდით, ორი თავი ვის ჰქონდა?!. მერე „კოლექტივიზაცია“ დაიწყო და ხალხს იმდენი საქმე ჰქონდა, საჭორაოდ კი არა, თავის მოსაფხანად არ გვეცალა. ბავშვები სკოლის შემდეგ, პირდაპირ ყანაში მივდიოდით და დიდებივით ვშრომობდით...

— ოჯახი რომ შექმენით, რამდენი წლის იყავით?

— 15 წლისა გამათხოვეს... ჩემი ქმარი ჩემი დის მაზლის ნათლული იყო, სოფელ წინარეხში ცხოვრობდა და ერთმანეთი იქ ვნახეთ. კარგი ყმაწვილი იყო, ბებო, თვალწარბდახატული. ეზოში ცხენით რომ შემოჯირითდა, მე „ბალკონზე“ ვიდექი და გული მუხლებში გამიფრინდა. მაშინდელი გოგოები სხვანაირები ვიყავით, უცხოსთვის თვალებში შეხედვის გვეშინოდა... ჩემს ქმარს თვალებში პირველად მაშინ შევხედე, ცოლად რომ გავყევი.

— აბა, როგორ ნახეთ, რომ თვალწარბდახატული იყო?

— ჩუმ-ჩუმად ვაპარებდი თვალს, მაგრამ თვალებში შეხედვას როგორ გავუბედავდი?!. მაშინვე გულში ჩამივარდა. ის ღამე მასზე ფიქრში გავატარე. ასე მოსვლია თვითონაც, ამაში მერე გამომიტყდა... კავთისხევში რომ მომიყვანეს, ერთი ფიცრული სახლი დამხვდა: ქვევით საქონელი ჰყავდათ დაბინავებული, მეორე სართულზე კი ჩემი ქმრის ჯალაბი ცხოვრობდა. ჩემი დედამთილი დიდი, გოროზი ქალი იყო. მე და ჩემს ქმარს ოთახ-ნახევარი მოგვცა და ამით დამთავრდა ჩვენი ქონება. კიდევ კარგი, მამაჩემმა გამამზითვა — „კრაატიც“ მომცა, „შიფონერიც“... მერე დედამთილმა მხოლოდ ორი სკამი დამიმატა, მაგრამ არც თეფში მქონდა და არც — ჭიქა. პირველი ბალღი რომ შემეძინა, წვალებით ვზრდიდი, მე თვითონაც ბავშვი ვიყავი, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი და დასახმარებლად ვინმეს როგორ შევაწუხებდი?! ახლანდელი გოგონები რომ არიან, მთასა და ბარს შეაწრიალებენ, — ღამეებს ვათევთო!.. აბა, როგორ უნდათ? გათხოვება და ბალღის გაჩენა თუ იცი, გაზრდაც უნდა შეგეძლოს!.. ჩემი ქმარი ძალიან თბილი და მოსიყვარულე კაცი იყო, თან მყვებოდა, სულ თვალებში მიყურებდა და ცდილობდა, როგორმე ჩემთვის მძიმე ყოფა შეემსუბუქებინა. დღესა და ღამეს ასწორებდა,

რომ როგორმე წელში გავმართულიყავით... ასევე მძიმედ მახსენდება „განკულაკება“. „ბელშევიკებისა“ და „მენშევიკების“ დაპირისპირების გამო ერთმანეთს ოჯახის წევრებიც კი დაუპირისპირდნენ, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა... მიწა ჩვენც ჩამოგვართვეს. ცხადად მახსოვს, 16 მაისი იყო. მე და ჩემი ქმარი გათენებამდე ვბარავდით, ვფიქრობდით, — დამუშავებულ მიწას რომ ნახავენ, იქნება, არ წაგვართვან-თქო, — მაგრამ კანონი იყო ასეთი... მერე, შუაღამისას „რევიზიასავით“ ჩამოიაირეს. 8 კამეჩი და 10-მდე ძროხა მყავდა, მარტო ერთი ძროხა დამიტოვეს, ჭირნახულიც კი წაგვართვეს, ცოტა დაგვიტოვეს, — ზომიერად უნდა გქონდეთო, — და ჩვენი ნაამაგარი „კოლექტივს“ მიაბარეს... ერთ ან ორ სულზე მეტი საქონლის ყოლის უფლება არ გვქონდა ანუ იმის მიხედვით, თუ რამდენი წევრი იყო ოჯახში. თავლებს გვიმოწმებდნენ: თუ გვიჭირს, ერთნაირად უნდა გვიჭირდესო, — ამბობდნენ. მთავრობამ იძალავა და ყველა „კოლექტივში“ შეგვრეკა... ცოტა ხანში ცხოვრება ბევრად გაგვიადვილდა... ის იყო, ცოტა ამოვისუნთქეთ, რომ მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და სხვებთან ერთად, ჩემი ქმარიც გაიწვიეს...

— შვილები გყავდათ?

— ამ დროს უკვე 3 შვილი გვყავდა... ომს ისევ შიმშილი და უბედურება მოჰყვა. მარტო ქალები, ბავშვები და მოხუცები დავრჩით. ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ სოფელს დიზენტერია დაერია და ჩემს სამივე შვილს შეეყარა. სად იყო მაშინ სოფლის ექიმი და წამლები?! ფონს გასვლას ხალხური მედიცინით ვცდილობდით. ისედაც დაცლილ სოფელში ყოველდღე ვიღაც კვდებოდა, უფრო — ბავშვები და მოხუცები. მაშინ ჩვენს სოფელსა და კასპს შორის გზა არც იყო და გადაადგილება ბორნით გვიწევდა. კასპში ჩასვლას მთელი დღე ვუნდებოდით: დილას რომ გავიდოდით, იქამდე საღამოსთვის თუ ჩავაღწევდით... კასპის საავადმყოფოში ჯერ უფროსი, 7 წლის ბიჭი დამეღუპა და მისი ცხედარი სახლში მარტომ მოვასვენე, ორი კვირის შემდეგ ის საშინელი სენი პატარასაც შეეყარა. 2 წლის იყო და ვერაფერი ვუშველეთ... ღვთის მადლით, გოგონამ გადაიტანა, რომელიც შუათანა იყო. ჩვენი უბედურების ამბავი ჩემს ქმარს ფრონტზე მივწერე. უფროსი შვილის დატირება შეძლო — ფრონტიდან რამდენიმე დღით გამოუშვეს, — მეორისა — ვერა, რადგან მეორე უბედურება ორი კვირის შემდეგ დამატყდა თავს... დეპეშა გამომიგზავნა: როგორმე გაუძელი, გაჭირვებამ არ დაგაჩაჩანაკოს და კერა არ ჩამომინგრიოო... მაშინდელი ყოფა დიდი წვალება იყო, შვილო. ახლა ახალგაზრდები რომ ამბობენ, აქ ცხოვრების პირობები არ არის და აქედან იმიტომ გავრბივართო, გული მიკვდება: ჩვენ ბევრად უარესი გვინახავს...

— მაშინ სხვა დრო იყო...

— ვიცი, მაგრამ ქართველმა კაცმა მიწის მადლი თუ დაივიწყა, სიკეთეს ვერ ეწევა... რაც უფრო მეტად შეიძულებენ სოფელს, მეტად გადაგვარდებიან, შთამომავლობაც დაივიწყებს წინაპრის ფესვებს. სამწუხაროა, რომ გლეხ კაცს მიწაზე მუშაობას, ბაზარში დგომა ურჩევნია, — ასე უფრო ადვილია თავის გატანაო. წუწუნი არ მიყვარს, მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ამდენ გაჭირვებასთან ერთად, კარგი დღეებიც მარგუნა... ომის დროს ქმარი ფრონტზე იცავდა თავის სამშობლოს (მაშინ ასე იყო), მე კი აქ, ჩემს მიწაზე ვიცავდი ჩემს ოჯახს, მისთვის ჩამორღვეული ღობეც არ დამიხვედრებია. მამაკაცივით ვშრომობდი, სახლის გარეთ კარმიდამოს ვუვლიდი, „კოლექტივში“ ვმუშაობდი, საქონელიც მყავდა, იქიდან მობრუნებული საშინაო საქმეებს ვუვლიდი. თონეს დღეში სამჯერ ვახურებდი. ლობიოც მქონდა, ყველიც, ერბოც, მაწონიც... 1945 წელს ომი რომ დამთავრდა და ჩემი ქმარი რომ დაბრუნდა, გადახურული სახლი დავახვედრე.

— ქმარი ჯანმრთელი დაგიბრუნდათ?

— არა, შვილო. ბერლინის მისადგომებთან დაიჭრა, სისხლი ფეხებში ჩაუგუბდა, სანგარში მყოფს ყინვამაც მოუსწრო და ორივე ფეხის თითები მოეყინა. აქ როცა ჩამოვიდა ორივე ფეხზე თითები გადაჭრილი ჰქონდა, ტერფებით დადიოდა, მაგრამ ერთს არ დაიწუწუნებდა... რახან კაცი ცოცხალი დამიბრუნდა, მის ჯანმრთელობას რაღას დავეძებდი?! სიარულიც რომ არ შესძლებოდა, ჩემთვის მაინც დიდი იმედი იყო... „კოლექტივში“ დაიწყო მუშაობა, ტრაქტორისტი იყო. „კოლექტივის“ გარდა სხვა საქმეებზეც ამუშავებდნენ — გორიდან მცხეთამდე გზის დაგებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ტრაქტორს დილიდან საღამომდე აგუგუნებდა, სახლში მხოლოდ კვირაში ორჯერ მოდიოდა... მერე კიდევ ორი შვილი შემეძინა, ბიჭები. როგორც კი წამოიზარდნენ, ორივემ ქალაქს მიაშურა. თბილისში ცხოვრობდნენ. სანამ შეგვეძლო, მე და ჩემი ქმარი ყველაფერს ვაკეთებდით და ჯალაბს აქედან ვეხმარებოდით. მერე, როცა ჩემი კაცი გარდაიცვალა, ბიჭმა მარტო არ დამტოვა. არც მე წავედი თბილისში და ახლა შვილი და რძალი ჩემთან ცხოვრობენ... თქვენს თაობას მიწა არ უყვარს, შვილო, და გული მტკივა, ამას რომ ვხედავ. ახლა მშიერი რომ არ დარჩე, მარტო ხელის განძრევაა საჭირო, მაშინ კი ერთი ხელი საგარეო ტანსაცმელი მქონდა და ერთი ხელი — საშინაო. ღამით, დაწოლის წინ რომ გავრეცხავდი, დილას მშრალი მხვდებოდა და ვიცვამდი. ახლა იმდენი რამე მოაქვთ ჩემს შვილიშვილებს, ისედაც დღე-ნახევარი დამრჩენია და სად უნდა მოვასწრო ამდენი რამის ჩაცმა?.. რაც უფრო ნაკლები დამრჩა ეს ცხოვრება, უფრო გაუმაძღარი გავხდი, — მეტი მინდა ვიარო, ვიშრომო, მზესა და ჩემს საყვარელ ადამიანებს ვუცქირო. არ ვიცი, იმ ქვეყნად რა დამხვდება, მაგრამ ამ ქვეყანას ვეღარ ველევი... ფეხს ვითრევ, ისე კი ვიცი, მალე მომიწევს „მიქელასთან“ შეხვედრა. ზოგჯერ ვფიქრობ ჩემს განვლილ დღეებზე, კარგიც ბევრი მქონია, მაგრამ უფრო მეტი ცუდი მარგუნა ბედმა. მარტო მე კი არა, ბებო, ჩემი თაობის ადამიანებს, ბევრი უვარგისის მოსწრებამ მოგვიწია. ჩვენი ბრალი არ იყო, მაშინდელი ყოფა იყო დამნაშავე... ■

„ძონძოვანია“, ბაგრატა, ბუტიკი თუ ინდივიდუალური შეკვეთა

ანუ სად იმოსავენ მოზარდები

ბევრჯერ გამიგონია მოზარდების მისამართით ნათქვამი ასეთი სიტყვები: „მართლა თინეიჯერულად აცვია“, „სად ყიდულობენ ამ აჩაჩულ ტანსაცმელს?“, „რა უბედურებაა ასეთი ჩაცმულობა?“, „ამათი დიზაინერი მაცემინა და...“ შევეცადე გამერკვია, თუ ვინ ზრუნავს მოზარდების ასეთ უცნაურ ჩაცმულობაზე და სად ყიდულობენ ისინი სამოსს.

ლიკა ქაჯაია

გამოკითხულ მოზარდთა უმეტესობამ აღიარა, რომ ისინი მსოფლიო მოდას აყოლილები არიან და ის აცვიათ, რაც ახალგაზრდულია; ზოგიერთმა კი თქვა, რომ არ ესმის, რას ნიშნავს „თინეიჯერული ჩაცმულობა“ და რატომ ასოცირდება უცნაური სამოსი თინეიჯერულ ტანსაცმელთან. გამოკითხულთა უმრავლესობა (სულ 30 მოზარდი) ტანისამოსს ბაზრობაზე ყიდულობს, ზოგიერთი მოზარდი ფულს მაღაზიებშიც სიამოვნებით ფლანგავს, დიზაინერს რჩევისთვის მხოლოდ ორი მათგანი მიმართავს და ასევე ორმა გამოკითხულმა აღიარა, რომ „ძონძოარმანშიც“ ხშირად ყიდულობს სამოსს.

მარინკულა, *16 წლის:*

— დიდი ხანია, ჩაცმა დამოუკიდებლად დავიწყე და იმას ვყიდულობ, რაც მომწონს. მართალია, ზოგჯერ დედა მიბრაზდება, ეს რა უბედურება გიყიდიაო, მაგრამ მისი აზრი დიდად არ მადარდებს — ის ზრდასრულია და ჩემი არ ესმის.

— მაგალითად, რა იყიდე ისეთი, რის გამოც დედა გაგიბრაზდა?

— რამდენიმე დღის წინ ვიყიდე ჩაჩაჩული შარვალი, რომელსაც უბე დაახლოებით, მუხლთან აქვს. როცა ვუჩვენე, ლამის გადაირია, მერე მამაჩემს უფრიალა ცხვირწინ და უთხრა: შენი შვილი სულ გაგიჟდაო.

— შენს ჩაცმულობაში მამაც ერევა?

— ჰო. მამამ მითხრა: ასეთ შარვალში გამოპრანჭულ გოგონებს როცა ვხედავ, მათ ვაგინებ და ახლა შენც ასე რომ გახვიდე ქუჩაში, თავს მოვიკლავ; თუ გინდა, ძალიან მოკლე კაბა ჩაიცვი, მაგრამ შენს ტანზე ეს შარვალი არ დამანახვო, გარეთ სულელი გოგოსავით ნუ გახვალო. პრინციპში, მესმის მათი — ისინი ძველმოდურები არიან, მათ დროს სულ სხვანაირად ეცვათ და ახლა ჰგონიათ, რომ „ჩაჩები“ საშინელებაა.

— თუმცა, მე მინახავს დაახლოებით, დედაშენის ასაკის ქალებიც, რომელთაც ისეთივე „ჩაჩები“ აცვიათ, როგორიც თქვენ.

— ჰო, მაგრამ ალბათ, იმაშიც დამეთანხმები, რომ ძალით გათინეიჯერებული ქალი არც ისე მიმზიდველია...

— მარი, სამოსს ძირითადად, სად ყიდულობ ხოლმე?

— ბაზრობაზე დავდივარ, აბა, სხვაგან სად უნდა ვიყიდო? იმის საშულება ნამდვილად არ აქვს ჩემს ოჯახს, რომ მაღაზიებში ვიბორიალო და რაც მომინდება, ვიყიდო.

— „სეილების“ დროსაც არ შედიხარ მაღაზიაში?

— შესვლით ყოველთვის შევდივარ, მაგრამ ამით მხოლოდ თვალს ვალევინებ წყალს, საკუთარ ჭიას კი ვერ ვახარებ. „სეილს“ რა მნიშვნელობა აქვს?

— როცა მაღაზიას გარედან აწერია: 50%-იანი ფასდაკლება, იქ შარვალი მინიმუმ, 50 ლარი მაინც ეღირება, ბაზრობაზე კი მსგავსი შარვლის ყიდვა 30 ლარადაც შეიძლება.

— მაგრამ ხარისხში ხომ არის განსხვავება?

— რა ვიცი, იქ ნაყიდი სამოსიც იხევა და ბაზრობაზე შეძენილიც. ასე რომ, მათ შორის განსხვავებას ვერ ვხედავ.

— ზოგჯერ, ამა თუ იმ მაღაზიაში ძალიან დაბალ ფასში შეგიძლია შეიძინო სამოსი...

— ასეთ მაღაზიებში, როგორც წესი, ისეთი საქონელი აქვთ, რომელიც ბაზრობაზეცაა გამოფენილი. ჰოდა, რატომ შევიწუხო იქ სიარულით თავი, როდესაც „სეილების“ დროსაც კი იმაზე ძვირად ყიდიან ყველაფერს, ვიდრე ის გამყიდველები, რომელთა მუდმივ კლიენტადაც მე მივიჩნევი?!.

— ძირითადად, სპორტულად იცვამ?

— ხან როგორ, ხან — როგორ, მაგრამ მაღალქუსლიანებზე მაშინაც ვერ ვდგები, როცა კლასიკურად ვიცვამ და წვეულებაზე მივდივარ.

— თინეიჯერები უპირატესობას კედს ანიჭებთ...

— ეგ ჩემნაირები იცვამენ კედს, თორემ ზოგიერთი ჩემი ასაკის გოგონა ისეთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დადის, მეშინია, არ ჩამოვარდეს.

— სკოლაშიც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დადიან?

— კი, რა პრობლემაა?! ჩვენს ჩაცმულობას არავინ აკონტროლებს.

ნანაკო, *19 წლის:*

— უკვე სტუდენტი ვარ, მაგრამ ისე მაინც ვერ ვიცვამ, როგორც თავად მსურს — დედაჩემი ჩემს ჩაცმულობაში ერევა და არ მაძლევს უფლებას, საყიდლებზე მარტო წავიდე. ამას ხშირად ვაპროტესტებ, მაგრამ ვინ მიგდებს ყურს? მამაც მის მხარესაა: შენ რომ გაგიშვათ, ისეთ რაღაცებს იყიდი, მერე აუცილებლად დაგიჭრიო.

— ასე რატომ გეუბნებიან?

— ერთხელ დაბადების დღეზე ბიძაჩემმა 100 დოლარი მაჩუქა. მეორე დღესვე ერთ-ერთ ბუტიკში გავიქეცი და ის მაისური და შარვალი შევიძინე, რომელზეც თვალი დიდი ხნის წინ მქონდა დადგმული. ტანსაცმელი სახლში რომ მოვიტანე, ჯერ დედა აკივლდა, — ეს რა გიყიდიაო, მერე მამამ მკაცრად მითხრა: ამას არ ჩაიცვამ, ასე გამოწყობილი სახლიდან ვერ გახვა-

ლო! ბევრი ვიტირე, ერთი ვაი-უშველებელი ავტეხე, მაგრამ ვერაფერს გავხდი — მშობლებმა წინააღმდეგობა გამიწიეს და ბუზღუნს რომ არ მოვრჩი, ის შარვალი და მაისური სადღაც გადაკარგეს. სხვათა შორის, მათ ასავალ-დასავალს დღემდე ვერ მივაგენი.

— ტანსაცმელს მაღაზიებში ყიდულობ?

— „სეილების“ დროს მაღაზიაში დავდივართ, უფრო ხშირად კი სამოსს ბაზრობაზე ვარჩევთ. იშვიათად მივდივართ მკერავთან, რომელიც უცხო ქსოვილებისგან შეკერილ სამოსს გვთავაზობს.

— რომელიმე ცნობილ დიზაინერთან დადიხართ?

— არა, ის სახელგანთქმული არაა და მას არც დიზაინერად მოიხსენიებს ვინმე, უბრალო მკერავია. ისე, მინდა გითხრა, რომ სამოსის შეკერვას და „პრიმერკებზე“ წოწიალს სჯობია, მზა ტანსაცმელი იყიდო და ტანზე მოირგო.

— ე.წ. „ძონძოარმანში“ არასდროს შესულხარ?

— არა, იქ რა მინდა? ვიღაცის გამონაცვალი რატომ უნდა ჩავიცვა? მე რა ვიცი, ის ვის ეცვა და რა დაავადება ჰქონდა? მირჩევნია, შიშველმა ვიარო, ვიდრე სუნიანი სამოსი ჩავიცვა.

— როგორც ამბობენ, იქ ნახმარი, მაგრამ ხარისხიანი საქონელი აქვთ...

— შესაძლოა, მართლაც ხარისხიანი ქსოვილისგანაა შეკერილი, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ნახმარია!..

სოფი, *17 წლის:*

— ჩვენს ოჯახს ძონძებშიც ბევრრამ გვიყიდია და სხვათა შორის, ისეთი გოგონები მეკითხებიან ხოლმე, — ეს მაისური ან კაბა სად იყიდეო? — რომ ყველაფერზე ცხვირს იბზუებენ და სამოსს მარკების მიხედვით ყიდულობენ. სხვათა შორის, იქ კარგი ფეხსაცმლის ყიდვაც შეიძლება, მაგრამ არჩევა უნდა.

— მერე არ გეშინია, რაიმე დაავადება რომ „აიკიდო“?

— რა სისულელეა? ჯერ ერთი, ვიდრე საზღვარგარეთიდან ჩვენამდე ჩამოიტანენ, ტანსაცმელს სპეციალურ „პარში“ ატარებენ, რომლის დროსაც ბაქტერიები იხოცება; სახლში მოტანილს კი კარგად ვრეცხავ, ვაუთოებ და მერე ვიცვამ. ზოგიერთი ბაზრობაზე რომ ყიდულობს ახალ სამოსს და მას გაურეცხავად იცვამს, საინტერესოა, რა გარანტია აქვს, რომ რამეს არ „აიკიდებს“? სხვათა შორის, ერთ ამბავს გაგიმხელთ — მამიდაჩემი „კიდობანში“ მუშაობს. მას მდიდარი კლიენტები ჰყავს, რომლებიც თავს იკლავენ, უაზრო თანხებს ხარჯავენ არა თურქეთიდან ჩამოტანილ საქონელზე, არამედ ძონძებში აღმოჩენილ, კარგად ნახმარ, გასუფთავებულ და გაუთოებულ ტანსაცმელზე, რომელსაც მარკას თავად მამიდაჩემი აკრავს. მოკლედ, მდიდრები მაგრად „თოხლაობენ“, რა, მერე კი თავს იწონებენ ვიღაცის მიერ ნახმარ სამოსში და რადგან მსგავს საქონელს სხვაგან ვერ პოულობენ, ბედნიერები არიან.

— ალბათ, ეს ყველაფერი რომ იცი, ამიტომაც არ წყალობ ბაზრობასა თუ მაღაზიებს...

— ზოგჯერ ბაზრობაზეც დავდივარ და სამოსს იქაც ვყიდულობ, მაგრამ მერწმუნეთ, „მეორადებში“ ბევრად კარგი რაღაცის პოვნა შეიძლება. სხვათა შორის, ბაზრობაზე ნაყიდი ტანსაცმელი უფრო ხშირად იხევა, ვიდრე ე.წ. ძონძებში შეძენილი.

ლილია, *20 წლის:*

— საქართველოში მხოლოდ ერთეულებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დიზაინერთან იარონ და მათი გემოვნების მიხედვით ჩაიცვან. როცა წვეულებაზე მივდივარ, ძალიან მინდა, რომელიმე ცნობილი ბრენდის სამოსი მეცვას, მაგრამ ჩემს ოჯახს იმის საშუალება არა აქვს, რომ ჩემი მოთხოვნები დააკმაყოფილოს და ამიტომაც, ტანსაცმელს ბაზრობაზე ან ბუტიკში ვყიდულობ. მერწმუნეთ, „მეორადებში“ ერთი ცხვირსახოცი არასდროს მიყიდია.

— რატომ?

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვიღაცის ნაცვამია და მეორეც — საშინელი სუნი აქვს. ერთხელ დედაჩემმა რაღაც კაბა მომიტანა. მართლა ლამაზი იყო, სულ ახალი გეგონებოდათ, მაგრამ სამჯერ გარეცხვის შემდეგაც არ გაუვიდა სუნი და იმას ჩავიცვამდი?

— ბევრი დადის „მეორადებში“ ნაყიდი სამოსით, მაგრამ ის სუნი, რომელზეც შენ ლაპარაკობ, არასდროს მიგრძნია...

— აშკარად, ცუდი ყნოსვა გაქვს!.. ახლა ქურთუკის ყიდვა მინდა და „სეილებს“ ველოდები.

— როგორც ვიცი, ქურთუკზე „სეილი“ მაღაზიებში ზამთრის მიწურულს დაიწყება...

— მერე რა, მომავალ წელს მაინც გამომადგება!..

ღიმილით დატოვებული „ბრძოლის ველი“

ფორუმებზე დიდი ხანია, „ჯეოსტარის“ უკვე ყოფილი მონაწილის, გურული მამუკას შესაძლებლობებს განიხილავენ და ჟიურის თავმჯდომარეს, ქალბატონ მარინა ბერიძეს ამ დამწყები მომღერლისადმი „ხელის კვრაში“ ადანაშაულებენ. მოგეხსენებთ, მაყურებელთა გადაწყვეტილებით, მამუკამ პროექტი უკვე დატოვა, მაგრამ სცენიდან საოცრად ამაყად გავიდა — მას ხომ ხალხური სიმღერების ოსტატი, გიორგი უშიკიშვილი შეჰპირდა, ჩემთან წაგიყვანო.

GV@NTS:

„არ მინდა ვიფიქრო, რომ საქართველოში ხალხი დაყრუვდა“.

ქართული:

„კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — ქალბატონი მარინა ბერიძე. გილოცავთ, ქალბატონო მარინა, წინსვლას. ჩვენ გვჯერა თქვენი... ისე, წინა კონცერტზე ის გოგო რატომ გავარდა? მაკამ (ქართლიდან) მართლა ძალიან მაგრად იმღერა. ვაა, სად არის სამართალი?“

ლაკი:

„გაგეგზავნა მტშ-ები და არ გავარდებოდა. ჰოდა, სამართალიც პურს შეჭამდა... შენს დროს უმაღლესში პაპიკოს ყრუ და კრეტინი შვილები არ ეწყობოდნენ?“

GV@NTS:

„ეჰჰ, გული მეც დამწყდა, მართლა კარგად იმღერა მაკამ. ჟიური მაგარს დემაგოგობს — შეცდომა არ დაუშვათ, ქართველებოო...“

ლაკი:

„ამ გოგომ ჟიურისაგან სამჯერ მიიღო მწარე საყვედური და სამივეჯერ აუტსაიდერებში მოხვდა, მაგრამ გავარდნას გადაურჩა. ბოლოს, როგორც იქნა, შეაქეს და... გავარდა. „ირონია სუდბი“, რა“.

ვარე:

„ნეტავ, იმ გურულს ამდენი ნათესაობა ჰყავს თუ ხალხს ელემენტარული სმენა არ აქვს? ასეთი უსამართლობა ძალიან მწყვეტს გულს“.

მანტინელი:

„იმ გურულმა გუშინ მართლა კარგად იმღერა და ყველა, ვინც მარინას კომენტარი მოისმინა, გაოგნებულია. არ გეჩვენება, რომ განგებ აკეთებს ეს ქალი ამას? რაც მეტს ლანძღავს, მეტად აღიზიანებს ხალხს. ცუდი ისაა, რომ მამუკას უკლავს სიმღერის სურვილს...“

თამა:

„ჰოდა, მე ვარ იმ გურულის ფანი და დაე, ვიყო ყრუ! აი, ასე!“

ლაკი:

„მოვკვდი ღიმილით :))“.

თამა:

„მოვალ პანაშვიდზე“.

ლანამინდელი:

„არა, გურული ვერ მღერის, რა, და უკაცრავად მის გულშემატკივრებთან. ყვე-

ლაზე კარგები, ჩემი აზრით, ბედია, ტატიშვილი და მანია არიან, დანარჩენები კი ნნუ, ვერ ქაჩავენ.

თამა:

„ჟიური რომ ტენდენციურია... არ ვამბობ, რომ მამუკა მწვერვალი და გადასარევია, მაგრამ ის, რაც გუშინ მარინამ გააკეთა, უსამართლობა იყო. ერთს თათხავ და მეორეს — უფრო ცუდ ნამღერში აქებ? შედეგი — უკურეაქცია მიიღო ხალხისგან...“

ლანამინდელი:

„კი, მაგაში გეთანხმები, რომ ბერიძე ცინიკოსია და ათვალწუნებული ჰყავს ეგ ბიჭი“.

თამა:

„ერთი შენ ამოგიჩემონ და გლანძღონ ყოველ კონცერტზე და რას იმღერებ, დავინახავ... მარინა ხვდება მამუკას სუსტ

წერტილს და მიდიიი, გადაუარაა. გუშინ მაკა მართლა მომეწონა და ლამის ვიტირე, რომ გავარდა. მარინამ მანია რომ აქო და ადიდა, უკაცრავად, მაგრამ წინა ტურებთან შედარებით, ეს ის ვაჟა თუ იყო, ვერ მიხვდებოდი. ყველაზე მეტად იმაზე ვიხალისე, მამუკას რომ დაუწყო: უსუფთაო, უსუფთაოაო, მერე ნინი გამოვიდა, მისი ხმა სულ არ ისმოდა და მიხვდნენ, რომ მიკროფონის ბრალი იყო ყველაფერი და კონცერტი სასწრაფოდ, „რეკლამით“ გაჭრეს. ჰოდა, დაფაცურდა მთელი ტექპერსონალი, ვინ რომელ მიკროფონს და დინამიკს ასწორებდა, ვერ მიხვდებოდი“.

ლანამინდელი:

„გეთანხმები, მანიამ ვერ იმღერა. აი, ტატიშვილი და ბედია ყოველთვის კარგად მღერიან. ნინიც ვერ მღერის და რატომ მოხვდა მაგ კონკურსში, არ ვიცი. ნუ, ერთხელ გამოუვიდა და იმღერა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ მაკამ აჯობა. ცუდი ისაა, რომ ხელოვნების შეფასება „ესემესებით“ ხდება. ბერიძის აზრს რაც შეეხება, უბრალოდ, ერთ ყურში უნდა შეუშვა და მეორედან გამოუშვა“.

თამა:

„არაა ასე, ლანა, არა. ვინმემ ეგრე რომ მთათხოს, სულ დამეკარგება სიცოცხლის ხალისი. დააკვირდი ერთ მომენტს? — მარინას კომენტარზე არა მხოლოდ მამუკას ფანებს, არამედ მთელ დარბაზს ჰქონდა რეაქცია. ერთი დეტალია კიდევ — მამუკას გამოსვლის შემდეგ თავად ეცემა ხოლმე მიკროფონს, აქაოდა, ჭოლამ და ბუბამ არ დამასწრონ, რამე კარგი არ წამოსცდეთო... ნუ, რას იზამ, ფაქტია, მამუკა კი არა, გუშინ ხალხი დარჩა გაოგნებული“.

ლაკი:

„ხალხნო, რა იმღერა იმ გურულმა გუშინ ასეთი, მეც გამაგებინეთ. ნუ, ახლა, ყანწით ხელში კი მოუხდება სუფრას, მაგრამ სასცენო მომღერალი ნაღდად არაა“.

თამა:

„გუშინ მამუკას ისე არ უმღერია, რომ ასე გაელანძღა მარინას და გეცინა შენ“.

ლაკი:

„აუუჰ, შენ წასული მეგონე“.

თამა:

„ვერ მოგართვი“.

თამა:

„მამუკა მართლა დასახვწი ბავშვია. თანაც, აბსოლუტურად გამოუცდელი — პირველად დგას ამხელა სცენაზე. არც კლუბრესტორნებში მღერის, არც რომელიმე ანსამბლში. ბავშვობის მერე არ უმღერია. ერთი წელია, სიმღერაში მეცადინეობს. ამიტომ ვამბობ: ან ნუ აიყვანდნენ, ან თუ აიყვანეს, მისცენ საშუალება, გაიზარდოს. გავარდება და გავარდეს, ჭიპი კი არა აქვს მოჭრილი და არც ზედმეტი პრეტენზია აქვს, უბრალოდ, ხალხს ის მართლა მოსწონს. როცა უყურებ, მასზე უფრო „უსუფთაოს“ როგორ აქებენ, ორმაგად დამცირებული რჩები. თორემ ახლა სოფო, დათუნა და ნოდიკო რომ მომწონს, მაგას არც ვმალავ. კიდევ, შოთა მიყვარს ძალიან, მაგრამ სიმღერის გამო კი არა, უბრალოდ, კარგი ტიპია“.

ლაკი:

„ჟიური არ წყვეტს მონაწილეთა ბედს. ასე რომ, აიღეთ მობილურები და გადაარჩინეთ თქვენი ფავორიტი, მიუხედავად იმისა, ყრუა იგი, ბლუკუნა თუ მომავალი პროფესიონალი მუსიკოსი. P.S. ისე, წურწუმიასა და ჯოხაძეზე უკეთესი რავა არ გახდებიან?..“

ლანამინდელი:

„ანრი ცოცხლად მღერის, სხვებისგან განსხვავებით“.

ვარე:

„ხალხმა რომ ობიექტურად ამესიჯოს, ფინალში ბედია და ტატიშვილი უნდა ვიხილოთ. შეიძლება, ჯოხაძე პიროვნულად არ მოგწონდეს, მაგრამ მისი მუსიკალური შესაძლებლობების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ვის გაუგონია?“

მანტინელი:

„ჰო, ვაღიარებ, რომ ყრუ და ბლუ ვარ; ვაღიარებ, რომ ვერც „ჯეოსტარს“ ვუყურებ; ვაღიარებ, რომ აზრზე არა ვარ, ვინაა მარინა..... მარაა, გურული ვარ და ქე ვარ დაღუპული ეგოისტი... მევისპო მე... ჰოდაა, ქე დუუჭერ მხარს იმ გურულ ბაღანას... აი, ხომ ვაღიარე ყოლიფერი? ისე, თლა ყრუ კარ ვარ... რომ დამიძახებენ, ქე მესმის“.

მედი:

„ნინი და მამუკა აშკარა აუტსაიდერები არიან. კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ მარინას კრიტიკა ლანძღვაში გადაუვიდა, რაც დაუშვებელია!..“

სერპიკო:

„მე რომ გურული ვიყო, ჩემს ახლობლებს ვთხოვდი, ნუღარ მიიღებდნენ ჩემი ტანჯვის გახანგრძლივებაში აქტიურ მონაწილეობას. ვაჟა ერთფეროვანია და ვოკალი დასამუშავებელი აქვს, იმ საკრავზეც ბევრი ვერაფერი ქნა. თუმცა, მე მაინც მას ვგულშემატკივრობ. სოფო ბედია შეუდარებელია, ძალიან თავდაჯერებულია, სუფთა ხმა აქვს, ელეგანტურია, მაგრამ წინა ტურს თავი ვერ გაართვა... ნოდარ ტატიშვილი ყველაზე სტაბილური მომღერალია, მაგრამ სცენაზე ნაკლებად ეფექტურია. საერთოდ, მონაწილეები ისეთ სიმღერებს მღერიან, რომელსაც არავინ უსმენს. მგონი, ეს მუსიკალურ მოდას ჩამორჩენილი ჟიურის დამსახურებაა. დშნ, დშნ, დშნ“.

მანიი:

„ბოლო კონცერტზე მამუკა რომ გამოვიდა, ბავშვებს ვუთხარი: ნეტა ისე კარგად იმღეროს, რომ მარინას თავი შეაქებინოს-მეთქი და მართლა მომეწონა. მან უჩვენა თავისი შესაძლებლობები და წავიდა კიდეც. და კიდევ, თუ უშიკიშვილი თავისთან მართლა წაიყვანს, ძალიან გამიხარდება... ბოლო ტური მომეწონა, მართლა ვისიამოვნე. ძალიან კარგი იყო დათუნა, ვაჟაზე კი „ვხოხავდი“ — ნუ, აფხაზური ენის და სიმღერის გათვალისწინებით, ნამდვილად არ იყო ცუდი ნომერი“.

თამა:

„არ დამავიწყდება სოფო და დათუნა, მათი მამუკასადმი თანადგომა. შოთა კიდევ, გადასარევი ადამიანია. ნახევარი გურია დათუნას უმესიჯებს, ნახევარი — სოფოს, მე ორივეს დავუმესიჯებ“.

GV@NTS:

„ვაჟას მიერ შესრულებული აფხაზური რომელიღაც ტომის სარიტუალო სიმღერას უფრო ჰგავდა... მანიას ინდივიდუალიზმი აკლია, სულ ცოტა, 3 მომღერალს მაინც ჰბაძავს. ეს სუხიტაშვილიც ვერ მღერის და რა ქნას?“

მანიი:

„ჩემი აზრით, ეს ტური ძალიან კარგი იყო, ნომერი არავის ჩაუგდია. კიდევ ერთხელ გამოვყოფ დათუნას“.

GV@NTS:

„ყოჩაღ, მამუკა! ბრავო და წარმატებები!“

თამა:

„ეს ტური მართლა გადასარევი იყო. დავისვენე, რა“.

მანტინელი:

„მაშ, გამარჯვებულს ღიმილით დაუტოვებია ბრძოლის ველი... გულით ვულოცავ“.

გულო:

„რა ბედნიერი წავიდა სცენიდან!..“

თამა:

„მაგარია! ასეთი ბედნიერი მაშინ არ იქნებოდა, „ჯეოსტარი“ რომ გამხდარიყო. ასე ერთ დღეში სურვილები სრულდებოდეს, მართლა იშვიათია“. ■

წვეთი პოეზია

იმ სილამაზეს წარსულს

მ. მ-ს

ჩემი ბავშვობის სახლთან
ვხვდებოდი ფერმკრთალ ასულს
და შენ მაგონებ ახლა
იმ სილამაზეს წარსულს.
სხვა რამ, შაირის გარდა,
როგორ გაჯადრო, აბა?
რარიგ გიხდება და გრთავს
ეს შინდისფერი ჯაბა!
ხედავ? ზამთარი ქრება,
ყვავილებს გაშლის ნუში;
ყველგან ხალისი, სევდა
მხოლოდ პოეტის გულში.
წუხილს წაიღებს ქნარი
და სტრიქონებად დაქსოვს.
სალამო იყო წყნარი,
თქვენთან ვიყავი, მახსოვს...

ლადო ასათიანი

პატარა ლექსიკონი

წამდაუწუმ გვესმის და ვკითხულობთ:

გადაწყვეტილებას ღებულობდა, აზრს გებულობს,

არადა, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში გარკვევით წერია:

გებულობ(ს), ღებულობ(ს) კი არა, არამედ

იგებს, იღებს



მე - ფსიქოლოგი

ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-46

სალამო მედიკოსთან...

...სასმლის გარდა ცხელი ხაჭაპურებიც ვიყიდე კაფეში და პირდაპირ მედიკოს მივადექი: ძალიან მინდა ლაპარაკი საკუთარ თავზე პირველ რიგში: რა აქიმი დასნეულდესო... ისეთი რალაც მჭირდა აშკარად. მედიკო კი, მართალია პროფესიით არა, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებით ჩემზე არანაკლები ფსიქოლოგია. ისე, ის მეზობლებს არ უყვართ და ვიცი, მასზე ბევრსაც ჭორაობენ, მაგრამ — ეჭვიც არ მეპარება, მეზობლებს არც მე ვეყვარები, რადგან არც მე ვცხოვრობ მათსავით. ან რას ვაშავებ, მაგრამ რადგან განსხვავებული ცხოვრების წესი მაქვს, ე.ი. ცუდი ვარ მათ მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით. ეს კი ყველაზე ნაკლებად მაღელვებს. როგორც ფსიქოლოგი, კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ ყველას მოსაწონი მაინც ვერ იქნები. სხვები კი მაინც შეგიძულებენ და სხვა მიზეზი რომ ვერ მოგიძებნონ, ბედნიერებას არ გაპატიებენ. იმას, რომ პრობლემების გამო, მათგან განსხვავებით თავს არ იკლავ და ცხოვრებასაც ჩვეულებრივად აგრძელებ...

...მედიკო მელოდა. უგემრიელესი კატლეტები შეეწვა. იცის, რომ მიყვარს. ხაჭაპურიც რომ მივამატეთ, მართლა მეფური სუფრა გაიშალა...

— მედო, სააბაზანოში შევალ, რა... პირდაპირ შენთან მოვედი, ხელებიც არ დამიბანია...

— სუფთა პირსახოცი აიღე. ზედა თარო გამოაღე! — გამომძახა სამზარეულოდან.

საქმიანად მოფუსფუსე მედიკო არასოდეს მინახავს. რამდენი შემოვსულვარ, ანთებული სიგარეტით ხელში ან ტელევიზორის წინ ზის, ან კომპიუტერთან, ანდა ტელეფონზე ჭორაობს. სახლში მაინც იდეალური სისუფთავე აქვს ყოველთვის. მართლა მიკვირს როდის და როგორ ასწრებს ამას... პირსახოცებიც კი ისე აქვს გარეცხილი, ახალთახალი გეგონება — უხმარივით ფუმფულაა ყველა...

რა ვქნა, მე ასეთი ქალის დამფასებელი უფრო ვარ, ვიდრე იმ დიასახლისების, სულ თავწაკრულები და ჭუჭყიანი წინსაფრით რომ დადიან საქმიანი იერით, არადა, სახლი წესრიგში არასოდეს აქვთ...

რომ შევედი, მედიკო სასმელს ასხამდა ჭიქებში:

— შენ გაგიმარჯოს, ეკუშ!.. არც ჩემს შვილებს ვუჩივი, ისინიც ჭკვიანები გამოვიდნენ, მაგრამ შენ უფრო მგონიხარ ზოგჯერ ჩემი გაზრდილი და ყველაფერს ვფიცავ, ჩემი მესამე შვილივით მიყვარხარ...

— აბა, დედაჩემს ჰკითხე! — ხელი ჩავიქნიე. — მგონი, ერჩივნა, საერთოდ არ გავჩენოდი... თქვენ გაგიმარჯოთ!.. მე დედად ვერ აღგიქვამ, მედიკო... ზოგჯერ ჩემზე ახალგაზრდაც მგონიხარ და მართლა მიხარია შენნაირი მეზობლის ყოლა! — ჭიქა ჭიქაზე მივუჭახუნე და ერთბაშად გადავკარი. რატომღაც დათრობაზეც არ ვიტყოდი უარს.

— ჩვენ გაგვიმარჯოს! — გაეცინა მედიკოს და მომბაძა, იმანაც ერთბაშად გადაკრა კონიაკი. — ოჰო-ჰო-ჰო... კარგია, უცებ მოძებნა გული...

ცოტა ხანს უხმოდ ვილუკმეობოდით. ფანჯრიდან ჩვენს კიდევ ერთ მეზობელს — გულიკოს მოვკარი თვალი. სახლში ორი უმუშევარი მუტრუკი შვილი ჰყავს, არც მათი ცოლები მუშაობენ და ყველა ამ ერთ ქალს შეჰყურებს ხელებში. ჰოდა, ნერვებადაცაა ქცეული, სულ მისი „ყეფის“ ხმა გამოდის ბინიდან...

— ვის უყურებ?! — ჩამეკითხა მედიკო.

— მეორე სართულის გულოა... ზოგჯერ ვკვდები მისი საცოდაობით. ვირს მეტად შეიბრალებს ალბათ ნამუსიანი პატრონი...

— უთავმოყვარეოა და ახია მაგაზე, რაც სჭირს! — სულაც არ შესცოდებია მედიკოს გულო. — მე კარგა ხნის წინ გავყრიდი ასეთ შვილებს სახლიდან. ან მათი ცოლების პატრონები რას ფიქრობენ — ვის ატანდნენ შვილებს, არ უნდა ეკითხათ?! გულიკო რომ არ ეყოლებათ, მერე იმათ გაიგდებენ ფეხქვეშ. გატუტუცებული კაცის გამოსწორება არ იქნება...

— კიდევ რას ვფიქრობ ხოლმე, იცი — რატომაა, რომ თუ ქალი ოჯახის ერთგულია, კაცი ტუტუცდება და თუ კაცია დამთმობი და ტკბილი — ქალი აღმოჩნდება კახპა და უვარგისი... არ სჯობია, ორი უვარგისი შეყაროს ბედმა ერთად — დაჭამონ თუნდაც ერთმანეთი...

— ო-ო, ეგ რთული საკითხია, ჩემო კარგო. სადღაც წავიკითხე — ღმერთს დაუსვეს იგივე კითხვა და საკმაოდ ლოგიკური პასუხი მისცა ცნობისმოყვარეს: ორი გლახა რომ ერთად დავაწყვილო, ხომ დამიქციეს ეს სიმწრით შექმნილი ქვეყანაო!.. მოკლედ, ასეა, რა. მაგრამ... მე შენზე მინდა მომიყვე. თან, ვგრძნობ — არც შენ შეგიძლია დუმილი...

...კიდევ მჭირდებოდა დალევა, რომ ყველა კომპლექსისგან გავთავისუფლებულიყავი. ჭიქები შევავსე:

— უფლის ნებას გაუმარჯოს, მედო!..

— დიდება უფალს! — მოკლედ გამომეხმაურა ქალი და ისევ ერთბაშად გადაკრა სასმელი.

...მე მოვხსენი გუდას პირი და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე — ვაჟაზე, ნიკაზე, საკუთარ განცდებზე... არც ოთარ ბერძენიშვილი დამვიწყებია...

რომ გავჩუმდი, მედიკოს კარგა ხანს არ ამოუღია ხმა. ღია ფანჯარასთან იდგა ზურგშექცევით და სიგარეტს ეწეოდა.

— მამტყუნებ, ასე რომ მოვიქეცი?! — ჩავეკითხე დამფრთხალი.

მედიკომ ჩამქრალი სიგარეტი ფანჯრიდან მოისროლა და წინ დამიჯდა:

— შენ არაფერი გაქვს არც გასამტყუნებელი და არც განსასჯელი, ჩემო გოგონა... მე ვაჟაზე უფრო გავცოფდი. ისედაც არასოდეს მყვარებია და ახლა ორმაგად მძულს ეგ იდიოტი... შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ შენს ადგილზე სიახლოვესაც არ გავიკარებდი. ასეთი კაცის არც მეგობრობა გინდოდეს და არც არაფერი... ცოლს ხომ ამცირებს და ტანჯავს, იქით, ფაქტობრივად მეორე ცოლი ჰყავს და არ მგონია, ან ის ჰყავდეს ბედნიერი — იმასაც სათავისოდ იყენებს და იმ შემთხვევაში მიდის მასთან, თუ ისევ თავად იგრძნობს სიმშვიდის და სიმყუდროვის მოთხოვნილებას. შენც იმისთვის სჭირდები ალბათ, რომ თავი ღირებულ კაცად წარმოიდგინოს. შენ ხომ ჩვეულებრივი, მისი ცოლებივით მორჩილი ქალი არ ხარ და რადგან მასზე შეაჩერე არჩევანი, თავადაც გამორჩეული ჰგონია თავი... ამ დროს კი ერთი გაცვეთილი კაცია და თავად გიბიძგა იმ პატარა ბიჭისკენ. სხვათა შორის, გაგიმართლა, რომ იმას შეხვდი, თორემ შეიძლება, ვაჟას ხელში ისე დაბერებულიყავი, ვერც მისგან გაგეგო კაცის გემო და არც სხვა კაცთან დაახლოების სურვილი გაგჩენოდა, რადგან ვერც წარმოიდგენდი, თუ რა სიხარულია სქესთა ჰარმონიაში...

— შენ იცი, მედიკო, რაა სქესთა ჰარმონია?

— საბედნიეროდ, კი და ამას მანამდე მივხვდი, სანამ გავთხოვდებოდი...

— ქალწული არ გათხოვილხარ?

— არა... გათხოვებამდე რამდენიმე წელიწადი მქონდა ურთიერთობა ჩემს მათემატიკის მასწავლებელთან. ჩვენს სოფელში ჩამოვიდა განაწილებით და ჩვენს სახლში იქირავა ბინა. ჰოდა, სანახევროდ ერთად გვეძინა...

— არ გეშინოდა, რომ ოჯახის წევრები მიგიხვდებოდნენ? — გამაკვირვა მისმა გაბედულებამ.

— ეჰ, ჩემო ეკა, გოგომ თუ აიწყვიტაა... რომ მომენდომებინა, ცოლადაც გავყვებოდი, მაგრამ ძალიან ბებერი მომეჩვენა, 16 წლის გოგოს 27 წლის მასწავლებელი. არც გამიპროტესტებია, როცა ჩვენი სკოლის ქართულის მასწავლებელზე დაქორწინდა. კარგადაც მოვილხინე მათ ქორწილში. სხვათა შორის, შვილი არ ეყოლათ. მერე ბავშვი იშვილეს და გაზარდეს და დარწმუნებული ვარ, კაცი იყო უშვილო, თორემ თითქმის სამი წელი დავძვრებოდი მასთან და მეც დავფეხმძიმდებოდი, რაც ბევრ რამეს შეცვლიდა ალბათ...

— ლოგინში მაგარი იყო? — რატომღაც მოურიდებლად დავუსვი შეკითხვა დედისტოლა ქალს.

— მერე მივხვდი, რომ დიდი არაფერი იყო, თუმცა ჩემს ორივე ქმარს სჯობდა და ამიტომაც ვერ გავუჩერდი ვერც ერთს... რაც შეეხება „სქესთა ჰარმონიას“ — მოგვიანებით გავიგე, რა ბედნიერებაც ყოფილა. მყავდა, რა, ერთი — მკვდარია ახლა და არ მინდა მასზე ლაპარაკი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მასთან ერთად მართლა „მიფრენია“ კიდეც და ვთვლი, რომ ბედნიერი ქალიც ვიყავი... ამიტომ, თუ დამიჯერებ, იმ ნიკას არ უნდა შეელიო ასე იოლად და ნუ ჯიუტობ... მერე რა, რომ უმცროსია და შესაძლებელია, ბოლომდე ვერ შეინარჩუნო — უსასრულოდ არც არაფერი გრძელდება, მით უმეტეს, სიხარული და ყველანი წამიერი გაელვებისთვის ვცხოვრობთ...

ავდექი და მოვეხვიე მედიკოს:

— ძალიან, ძალიან მიყვარხარ, მედო... შენ მართლა დედაჩემი უნდა ყოფილიყავი!..

დაიხარა და ხელზე მაკოცა. თქმით კი აღარაფერი უთქვამს.

მდუმარე ტელეფონი და „გარდაქმნილი“ ნატა

სახლში შევედი თუ არა, უჯრას ვეცი და ძველი სიმბარათი მოვძებნე — ის ნომერი, რომელიც ნიკამ იცოდა და ტელეფონში ჩავდე. მერე კი ლამის თეთრად გავათენე ღამე იმის მოლოდინში, რომ აუცილებლად დამირეკავდა. მაგრამ სულ ამაო აღმოჩნდა ჩემი მოლოდინი, ღამით ტელეფონს არ დაურეკავს. დღისით კი წკრიალებდა, მაგრამ ნიკას გარდა, ყველამ მომიკითხა მგონი, ვინც ჩემი ახალი ნომერი არ იცოდა.

გაღიზიანდი და ლამის კედელს შევანარცხე ტელეფონი. ეჭვიანობამ და ცნობისმოყვარეობამ გამაგიჟა, მით უმეტს, რომ არც მეორე და მესამე ღამეს დამირეკა ნიკამ. კვირისთავზე კი ლამის ვიტირე და ნინუცას შევჩივლე:

— მეგონა, მართლა ვუყვარდი, ვენატრებოდი და ვუღირდი რამედ... იმან კი უცებ დამივიწყა...

— რამდენ ხანს გქონდა გამორთული ის ნომერი?

— თითქმის ორი კვირა.

— ჭკვიანია ეგ შენი ნიკა... მის ადგილზე მეც ას მოვიქცეოდი. რა სჭირს შენი შესახვეწი და რას ეთამაშებოდი, ასე თუ გაგიჟებდა მისი სურვილი?! — ცეცხლზე ნავთი დაასხა მეგობარმა.

— მეგონა, ჩემთვისაც ასე აჯობებდა და იმისთვისაც... როგორც ჩანს, მისთვის უფრო ჯობდა ასე. ეტყობა, ახალი „გასართობი“ იპოვა ბიჭმა. თავად ვარ მოწმე, 18 წლის გოგოები რომ ეკიდებოდნენ კისერზე...

— შეარგოს გამჩენმა, ალალია მასზე! — ისევ გამომწევად მითხრა ნინუცამ და მთელი ბოღმა მასზე გადმოვანთხიე:

— რა გინდა ჩემგან?! ვიცი, რომ ჩემზე ჭკვიანი და გამოცდილი ხარ და ასეთ შეცდომებსაც არ უშვებ... რა ვქნა, ტაში დაგიკრა?! შენც მეგობარი ხარ, რა!..

ორი დღე სახლში ჩაკეტილმა გავატარე. საწოლში მიგდებულს ტელეფონი გვერდზე მედო და წამითაც არ ვიშორებდი. მესამე დღეს მივხვდი, რომ ეს სიგიჟე იყო. მე უკვე ფსიქოლოგიც ვეღარ მიშველიდა თუ ასე გავაგრძელებდი, ფსიქიატრი უფრო დამჭირდებოდა...

ავდექი და მოვწესრიგდი. იმ დღეს ნატა წერეთელი უნდა მენახა და ვერაფრით ჩავუშლიდი სეანსს.

მასთან მისული სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი: აივანზე ტრენაჟორი დაედგა და ვარჯიშობდა, თუმცა ანთებული სიგარეტი მაინც ხელში ეჭირა. თმაც შეეჭრა და შეეღება, 10 წლით გაახალგაზრდავებულიყო თითქოს. შორიდანვე დავანახვე, მოწონების ნიშნად, ზეაწეული ცერა თითი. გაეცინა, ტრენაჟორი გამორთო და რომ მომიახლოვდა, მომეხვია:

— ჩემი ქმარიც ისეთი კმაყოფილია ჩემი სახეცვლილებით, შენზე ამბობდა პრემია უნდა გამოვუწერო, მკვდარი ცოლი გამიცოცხლაო!..

— ახლა მე ვკვდები, მგონი!.. — ვერ დავმალე უგუნებობა, მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს დავწვდი და ხარბად გავაბოლე — მგონი, ნიკამ „დამიკიდა“...

— რაო?..

დაწვრილებით მოვუყევი ამ დღეებში მომხდარის შესახებ.

— მდა-ა! — გაწელა ნატამ. — ისე, შენი ბრალია, რაც ხდება! — მანაც მე დამადანაშაულა. — სასურველი კაცი იპოვე და რა დროს კუკუდამალობანას თამაში იყო!..

— აბა, რა მექნა — კისერზე ჩამოვკიდებოდი და შევხვეწოდი, რომ არ მივეტოვებინე?..

— რატომ უნდა შეხვეწოდი?! — ჯერ ერთი, ის კაცი სულ არ აპირებდა შენს მიტოვებას და თუ დააპირებდა, შენ შეაჩერებდი, თუნდაც მუხლებზე მოხვეოდი?!

— შენ იმაზე მეტად ჭკვიანი ყოფილხარ, ვიდრე წარმომედგინა! — ცოტა უხეშად წამომცდა სიმართლე, მაგრამ ნატას არ სწყენია:

— ჭკვიანი რომ ვარ, ჩემო ეკა, იმიტომ ვიტანჯები და ლამის თვითმკვლელობამდე მივედი. თორემ ცოტა ქერქეტა ქალი იმ ქერის ორმოში, მე რომ ჩამაგდო ბედისწერამ, ჭრიჭინასავით უზრუნველად იჭრიჭინ-იფარფატებდა... დღეს რა დღეა?

— ხუთშაბათი.

— მოდი და, შაბათს დილით წავიდეთ ბათუმში, ნუღარ გადავდებთ ზაფხულამდე ამ მცირე გასეირნებას. შენ, ვითომ შემთხვევით შეხვდები იმ შენს ნიკას, მეც თვალს წყალს დავალევინებ.

— ქმარი გამოგიშვებს?

— შენთან ერთად, არაფერზე მეტყვის უარს. ვეტყვით, რომ ეს მკურნალობის კურსის შემადგენელი ნაწილია. ოღონდ შენი მანქანით წავიდეთ, რა. ვერ ვიტანჩემი იდიოტი ქმრის მძღოლებს. ბენზინის ფულს მოვაცემინებ და ჰაიდა-ა...

შაბათს დილით უკვე ბათუმისკენ მიმავალ გზას ვადექით. სასტუმროს ეზოში შესულს უკვე ისე მიცემდა გული, ლამის ამომიხტა საგულედან. ფოიეში შესულს ბარგი ჩამოგვართვეს. ვიღაცები ვიცანი კიდეც, მაგრამ ნიკა არსად ჩანდა. ერთი სული მქონდა, მეკითხა, მაგრამ...

მე და ნატა ცალ-ცალკე ნომრებში დავბინავდით. მე ისევ ის მინდოდა, რომელშიც მაშინ ვცხოვრობდი, მაგრამ ის ნომერი დაკავებული დამხვდა.

ნატა კმაყოფილი იყო. რესტორანში დამპატიჟა. ისე გამოპრანჭულიყო, გამაოცა. ისიც კი ვიფიქრე, რომ ეს 2 უკიდურესობაც — ლოგინში მწოლიარე ქალსა და საღამოს კაბაში გამოწყობილ ლამაზმანს შორის — გამწვანებული ნევროზის გამოხატულება იყო. მაგრამ ახლა ნატას პრობლემებზე ფიქრისთვის აღარ მეცალა, ჩემი გასაჭირი მქონდა.

რესტორანში მაშინვე მივიპყარით საკ-

მაოდ სიმპათიური მამაკაცების ყურადღება. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ უცხოელები იყვნენ — ალბათ თურქები ან არაბები. ცოტა ხანში ოფიციანტმა მათ მიერ გამოგზავნილი ძვირფასი სასმელი მოგვართვა. ნატამ მათი მაგიდისკენ გაიხედა, გამომწვევად გაუღიმა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა.

გაგრძელება იხ. გვ. 76

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

„მოლოტოვი-რიბენტროპის პაქტად" ცნობილი ხელშეკრულების საიდუმლო ოქმში შეტანილი იყო პუნქტი: „რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, საბჭოთა მხარემ ბესარაბიით დაინტერესება გამოხატა. გერმანულმა მხარემ განაცხადა, რომ ამ ტერიტორიებით დაინტერესებული არ არის".

დასაწყისი იხ. „გზა", №27-46

ბესარაბია და ბალტიისპირეთი

შეთანხმების ამ პუნქტის განხორციელებას სტალინი მისი დადებიდან ერთ წელიწადში — 1940 წლის ივნისში შეუდგა. ბუნებრივია, მას სურდა, ბესარაბიის შემოერთების გეგმა მშვიდობიანი გზით განხორციელებულიყო, მაგრამ რადგან არ იყო დარწმუნებული, რომ რუმინეთი ნებაყოფლობით დათმობდა ტერიტორიას, ჯარსაც ამზადებდა.

ოლქის მმართველობის ბაზაზე, სამხრეთის ფრონტის საველე სამმართველო ჩამოყალიბდა. ამავე ფრონტის შემადგენლობაში, კიევის სამხედრო ოლქის ნაწილების გარდა, ოდესის სამხედრო ოლქის ბევრი ქვედანაყოფი შევიდა. სამხრეთის ფრონტის სარდლად გიორგი ჟუკოვი დანიშნეს.

ამავე დროს, მოლოტოვსა და მოსკოვში გერმანიის ელჩს, ფონ შულენბურგს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. 26 ივნისს მინისტრმა ელჩს აცნობა: საბჭოთა მთავრობა რუმინულ მთავრობას წაუყენებს მოთხოვნას და უახლოეს დღეებში დაელოდება იმას, რომ გერმანიამ ურჩიოს რუმინეთს, გადაუდებლად დაემორჩილოს ამ მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ომი გარდაუვალი იქნება.

სტალინი ძალიან ჩქარობდა. ამიტომაც, არა რამდენიმე დღის შემდეგ, არამედ იმავე დღეს — 26 ივნისს მოლოტოვმა გამოიძახა რუმინეთის დესპანი დავიდესკუ და განუცხადა: „1918 წელს რუმინეთმა ისარგებლა რუსეთის სამხედრო სისუსტით და ძალადობის გზით ჩამოაშორა საბჭოთა კავშირს (რუსეთს) მისი ტერიტორიის ნაწილი — ბესარაბია. საბჭოთა კავშირი არასდროს შეჰგუებია ბესარაბიის ძალადობრივი წართმევის ფაქტს და ამის შესახებ არაერთხელ დაუფარავად განუცხადებია მსოფლიოს წინაშე. ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის სამხედრო სისუსტე წარსულს ჩაჰბარდა, ხოლო შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გადაწყდეს წარსულის მემკვიდრეობით მიღებული გადაუჭრელი საკითხები და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნებს შორის მყარი მშვიდობა დამკვიდრდეს, საბჭოთა კავშირი აუცილებლობად მიიჩნევს, აღდგეს სამართლიანობა და რუმინეთთან ერთად, გადაუდებლად გადაწყდეს საბჭოთა კავშირისთვის ბესარაბიის დაბრუნების საკითხი. საბჭოთა მთავრობას აგრეთვე მიაჩნია, რომ მისთვის ბესარაბიის დაბრუნების საკითხი ორგანულად ებმის საბჭოთა კავშირისთვის ბუკოვინის იმ ნაწილის გადაცემის საკითხსაც, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია საბჭოთა უკრაინასთან — როგორც საერთო ისტორიული ბედით, ასევე ენისა და ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით".

მოლოტოვმა მოითხოვა, რომ რუმინეთს ერთ დღეში — ე.ი. უკვე 27 ივნისს გაეცა პასუხი ამ მოთხოვნაზე.

დესპანთან შეხვედრის შემდეგ, მოლოტოვმა ამ საუბრის შესახებ შულენბურგს აცნობა. ელჩმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა დეპეშა თავის მინისტრს, რიბენტროპს, რომელმაც ასევე დაუყოვნებლივ დარეკა ბუქარესტში და გერმანელ დესპანს ასეთი მითითება მისცა:

„გადაუდებლად უნდა შეხვდეთ საგარეო საქმეთა მინისტრს და გადასცეთ: საბჭოთა მთავრობამ გვაცნობა, რომ რუმინული მთავრობისგან ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის გადმოცემას მოითხოვს. რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ომის თავიდან აცილების მიზნით, ვურჩევთ რუმინეთის მთავრობას, შეასრულოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნა..."

როგორც ცნობილია, ბესარაბიის დაბრუნება უსისხლოდ განხორციელდა. ამ ქვეყნის არმიამ მთავრობისგან მიიღო ბრძანება, ორგანიზებულად დაეტოვებინა აღნიშნული ტერიტორია. მაგრამ ალბათ იმის გამო, რომ ეს აქცია ჰიტლერთან ჩვენი ხელმძღვანელობის საიდუმლო შეთანხმების შედეგად განხორციელდა, საბჭოთა პრესაში წითელი არმიის შესვლის შესახებ თითქმის არაფერი ქვეყნდებოდა. წლების შემდეგაც კი, როცა ჟუკოვის მემუარების წიგნი გამოსაცემად მზადდებოდა, ხელნაწერიდან ამოიღეს ის გვერდები, რომელშიც ამ უსისხლო ოპერაციაში მარშლის მონაწილეობის შესახებ იყო მოთხრობილი...

მაშ, რატომ ჩქარობდა ასე ძლიერ ბესარაბიის დაბრუნებას სტალინი?.. მას შემდეგ, რაც კაპიტულაცია გამოაცხადა საფრანგეთმა და კონტინენტზე არც ერთი ინგლისელი ჯარისკაცი აღარ რჩებოდა, ძნელი მისახვედრი არ გახლდათ, რომ ომი ევროპაში მთავრდებოდა და ჰიტლერს იქ მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა. ამიტომაც ჩქარობდა სტალინი — მას ესმოდა, რომ კონტინენტზე ომის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმა, მიუხედავად მათ შორის არსებული ხელშეკრულებისა, გაცილებით რეალური ხდებოდა. ჰოდა, სტალინს სურდა, რაც შეიძლება სწრაფად განეხორციელებინა თავისი სტრატეგიული გეგმა — დასავლეთისკენ საზღვრების გადაწევა.

ბესარაბიის საკითხი ძალზე მოკლე ხანში გადაიჭრა. მაგრამ საიდუმლო ოქმში გათვალისწინებული იყო აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში ბალტიისპირეთიც უნდა მოქცეულიყო. აი, რა ეწერა იქ ამ საკითხთან დაკავშირებით: „ბალტიისპირეთის სახელმწიფოების (ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) შემადგენლობაში შემავალი ოლქების ტერიტორიულ-პოლიტიკური სახეცვლილების შემთხვევაში, ლიტვის ჩრდილოეთი საზღვარი ამავდროულად, გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ინტერესთა სფეროებს შორის საზღვრად უნდა იქცეს. ამასთან, ვილენის ოლქის მიმართ ლიტვის ინტერესს ორივე მხარე გაითვალისწინებს".

საგარეო საქმეთა სამინისტროში 1940 წლის 11 ივლისს გაგზავნილ წერილში ელჩი ფონ შულენბურგი აღნიშნავდა: „მოსკოვის პოლიტიკური ინტერესები ახლა მთლიანად ბალტიისპირეთის სახელმწიფოებსა და თურქეთთან და ირანთან ურთიერთობაზეა კონცენტრირებული. დასავლელ დიპლომატთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ 3 ბალტიისპირა სახელმწიფო მთლიანად გარდაიქმნება მოსკოვზე დამოკიდებულ ორგანიზმებად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიყვანენ. მოსკოვში მოქმედი, ამ ქვეყნების დიპლომატიური მისიები ალბათ უახლოეს მომა-

ვალში არსებობას შეწყვეტს“...

1939 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირმა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მთავრობებს ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა. ეს ხელშეკრულებები იმავე წლის სექტემბერსა და ოქტომბერში დაიდო. საბჭოთა მხარე ამ ქვეყნებს, მათზე თავდასხმის შემთხვევაში, ყოველგვარ, მათ შორის სამხედრო დახმარებას აღუთქვამდა. ამ ვალდებულების შესასრულებლად, საბჭოთა კავშირს ბალტიისპირეთის ქვეყნებში თავისი ჯარის, სამხედრო საზღვაო და საჰაერო ბაზების განლაგების უფლება ეძლეოდა.

...1940 წლის 21 ივლისს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ახალარჩეულმა საკანონმდებლო ორგანოებმა ეს სახელმწიფოები საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გამოაცხადეს და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მათი შესვლის დეკლარაციები მიიღეს.

ამ დროს, ამავე სახელმწიფოების ელჩებმა გერმანიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართეს ნოტებით, რომლებშიც გერმანიას აღნიშნული უკანონობისგან დაცვას სთხოვდნენ. მაგრამ როგორც ვიცით, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის საიდუმლო შეთანხმება უკვე დადებული იყო, ამიტომ მან არაფერი იღონა ბალტიელთა დასახმარებლად. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ამის შესახებ ოფიციალურად აცნობა ელჩებს. 1940 წლის 24 ივლისს მომზადებულ განცხადებაში ნათქვამი იყო: „დღეს მეგობრულად დავუბრუნე ლიტვისა და ლატვიის ელჩებს მათი ნოტები, რომლებშიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მათი ქვეყნების შესვლასთან დაკავშირებით პროტესტია გამოთქმული და ვაცნობე, რომ ჩვენ მხოლოდ იმ ნოტების მიღება შეგვიძლია, რომელსაც დესპანები მათი მთავრობების სახელით გადმოგვცემენ. ესტონეთის დესპანსაც სურდა, დღეს ჩემთვის ანალოგიური ნოტის გადმოცემა, მაგრამ იმავე მიზეზის გამო, ვთხოვე, ამ ნაბიჯისგან თავი შეეკავებინა...“

ასე და ამგვარად, ბერლინმა თავის ცოტა ხნის წინანდელ მეგობრებს არაორაზროვნად უთხრა, რომ ისინი არანაირ მთავრობებს აღარ წარმოადგენდნენ. გერმანია და საბჭოთა კავშირი თავიანთი პრობლემების ფარულად გადაწყვეტას განაგრძობდნენ.

მოსკოვი–ბერლინი, 1940 წელი

1940 წლის დამლევისთვის, გერმანიას ევროპის ქვეყნების უმეტესობა ოკუპირებული ჰყავდა და არსებითად, უკვე თავისი მთავარი დიდი ომის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების მოსამზადებლად იღვწოდა. ამ გეგმის განსახორციელებლად, ბოლო დიდ აქციას პაქტი — ბერლინი-რომი-ტოკიო — წარმოადგენდა: ის ანტისაბჭოთა ძალებს აერთიანებდა და საბჭოთა კავშირს, როგორც დასავლეთიდან, ასევე აღმოსავლეთიდან საფრთხეს უქმნიდა.

ჰიტლერი, რომელიც ყველა დიდ აქციას პოლიტიკურ-იდეოლოგიურ და დიპლომატიურ მომზადებას უმძღვარებდა წინ, მოქმედების ახალ ეტაპზე გადადიოდა. დარტყმის შენიღბვის მიზნით, მას უნდა გადაედგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც საბჭოთა მთავრობას დაარწმუნებდა, რომ გერმანიისგან საფრთხე არ ემუქრებოდა. სწორედ ასეთი თამაში დაიწყო ფიურერმა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრის, რიბენტროპის მეშვეობით.

1940 წლის 13 ოქტომბერს მინისტრმა სტალინს ვრცელი წერილი გაუგზავნა. აი, რამდენიმე ამონარიდი ამ ბარათიდან:

„ძვირფასო ბატონო სტალინ!

წელიწადზე მეტი ხანი გავიდა, რაც თქვენი და ფიურერის გადაწყვეტილებით, გადაიხედა და სრულიად ახალი საფუძველი შეიძინა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობამ. ვფიქრობ, გადაწყვეტილება — გვეპოვა საერთო ენა — ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო აღმოჩნდა: ჩვენ დავინახეთ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სივრცეები შეიძლება, ისე განისაზღვროს, რომ ურთიერთპრეტენზიები არ გაჩნდეს, ასევე — შესაძლებელია, პრაქტიკულად განისაზღვროს გავლენის სფეროები, რაც ნათლად დაადასტურა გერმანულ-საბჭოთა პაქტმა მეგობრობისა და საზღვრის შესახებ“... ამ ნაწილის შემდგომ, რიბენტროპის წერილში ჩამოყალიბებულია მთავარი სათქმელი, რომლითაც ის სტალინს მიმართავდა:

„დასასრულ, მინდა, ფიურერის შეხედულებების შესაბამისად, განვაცხადო: ოთხი დიდი სახელმწიფოს ისტორიულ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ერთმანეთს შეუთანხმონ შორს მიმავალი პოლიტიკური მიზნები და, მსოფლიო მასშტაბით ინტერესთა სფეროების გამიჯვნის შემდგომ, სწორი მიმართულებით წარმართონ ერების მომავალი ცხოვრება...“

დანამაულებრივი პაქტის ხელმოწერისას

დაუფარავ, არადიპლომატიურ ენაზე „თარგმნის“ შედეგად შეგვიძლია ვთქვათ — გერმანია საბჭოთა კავშირს სთავაზობდა იმ სახელმწიფოებთან კავშირში შესვლას, რომლებმაც შექმნეს სამკუთხედი — ბერლინი-რომი-ტოკიო, ეს სამკუთხედი ოთხკუთხედად გადაექციათ და, თუ მსოფლიო მასშტაბით არა, ევროპასა და აზიაში გავლენის სფეროების დანაწილებაზე შეთანხმებულიყვნენ.

წერილის დასკვნით ნაწილში რიბენტროპი სთავაზობდა სტალინს, მიევლინა ბერლინში მოლოტოვი ყველა საკითხის კონკრეტულად განსახილველად; ასევე გამოთქვამდა მზადყოფნას, თავად ჩამოსულიყო მოსკოვში და მოლოტოვთან და თავად სტალინთან ერთად განეხილა აღნიშნული პერსპექტივა; ხოლო თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, შემდგომ, ერთობლივი პოლიტიკის საფუძვლების შესამუშავებლად, იაპონიისა და იტალიის წარმომადგენლებიც ჩაერთოთ.

სტალინმა 22 ოქტომბერს უპასუხა:

„ძვირფასო ბატონო რიბენტროპ!

თქვენი წერილი მივიღე. გულწრფელ მადლობას გიხდით ნდობისათვის, აგრეთვე — ცოტა ხნის წინანდელი მოვლენების თქვენეული სასარგებლო ანალიზის მოწოდებისთვის. გეთანხმებით იმაში, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ბოლოდროინდელი გაუმჯობესება მხოლოდ ერთმანეთის ინტერესთა გამიჯვნითაა შესაძლებელი. ბატონი მოლოტოვი ეთანხმება იმას, რომ ვალდებულია, თქვენი ვიზიტის საპასუხოდ, ბერლინს ეწვიოს, ამიტომ თქვენს მიწვევას იღებს. საჭიროა, მხოლოდ თარიღზე შევთანხმდეთ. ბატონი მოლოტოვისთვის 10-12 ნოემბრამდე პერიოდი იქნება მოსახერხებელი. თუ გერმანული მთავრობისთვის მისაღებია, შეგვიძლია, საკითხი გადაწყვეტილად მივიჩნიოთ.

მივესალმები თქვენს სურვილს, მოსკოვს ეწვიოთ, რათა განვაგრძოთ შარშან დაწყებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და იმედი მაქვს, ეს სურვილი, ბერლინში მოლოტოვის ვიზიტის შემდეგ ასრულდება.

რაც შეეხება იაპონიასა და იტალიასთან ერთად პრობლემათა რიგის განხილვას: პრინციპულად, არ უარვყოფ ამ იდეას, მაგრამ ვფიქრობ, ეს საკითხი წინასწარი განხილვის შემდეგ უნდა გადაწყდეს.

დიდი პატივისცემით, თქვენი ერთგული სტალინი“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-46

გოჩა მანველიძე

გოგას სიტყვებს ჭიჭეზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მშვიდად ასწია არყის ბოთლი, რათა ისევ დაელია, მაგრამ გოგამ ამის საშუალება არ მისცა. ბრაზით ატანილმა, მკერდში უბიძგა. ჭიჭემ წონასწორობა დაკარგა, გვერდზე გადაქანდა და ბოთლი ხელიდან გაუვარდა.

გაისმა შუშის მტვრევის ხმა. ბოთლის ნამსხვრევები მიწაზე მიმოიფანტა. ჭიჭემ წამით დახედა შუშის ნამსხვრევებსა და მიწაზე დაღვრილ არაყს. შემდეგ კი გააფთრებული, ყვირილით ეცა გოგას.

— თავს გაგიხეთქავ, ნაბიჭვარო!..

— ენა დაიმოკლე! — გოგა ყელში სწვდა და ძლიერად შეანჯღია.

მაგრამ გაჩუმების მაგივრად ჭიჭემ უფრო უმატა ყვირილს.

— ააა!.. ხალხო, მიშველეთ, ვიღაც გიჟია!.. არაყი დამიღვარა და მოკვლას მიპირებს!..

მოჩხუბართა გარშემო სწრაფად შეიკრა ცნობისმოყვარეთა წრე. მათი გაშველება არავის უფიქრია. ყველა ინტერესით ელოდა, რით დამთავრდებოდა დავა. ამ დროს ჩხუბის ადგილას მურთაზი მოვარდა. ჭიჭეს ხელი ჰკრა, მერე გოგას მხარში ჩააფრინდა და უკან გაათრია. მაგრამ არყის დაკარგვით გაშმაგებული მაწანწალა, ამანაც არ დააშოშმინა. ისევ აგრძელებდა ყვირილს. მერე კი ქვის სროლაზეც გადავიდა. ერთი ქვა სახეში მოხვდა მურთაზს. მან გოგას მაშინვე შეუშვა ხელი, მაწანწალას ეცა, მიწაზე წააქცია და ცემა დაუწყო.

— თავი დაანებე! — უყვირა რომანმა და ადგილიდან დაიძრა. მაგრამ მურთაზის გაკავება ვეღარ მოასწრო — სწორედ ამ დროს სასადილოს სიახლოვეს 3 პოლიციელი გამოჩნდა.

— რა ამბავია?! რა ხდება აქ?! — პოლიციელებმა სწრაფად გაარღვიეს ცნობისმოყვარეთა წრე და მურთაზი მაწანწალას მოაშორეს.

— თანამშრომელი ვარ, — ამ სიტყვებთან ერთად, მურთაზმა პირადობის მოწმობა უჩვენა პოლიციელებს, — ამ ნაბიჭვარმა ქვა მესროლა.

— შენი დედაც, ჭიჭე! გაეთრიე აქედან! — ერთ-ერთმა პოლიციელმა წიხლი უთავაზა მიწაზე წაქცეულ მაწანწალას.

— ეგ არაფერ შუაშია! — აღშფოთებულები ახმაურდნენ ირგვლივ მდგომი ცნობისმოყვარენი. — ვიღაც ბიჭმა არყის ბოთლი დაუმტვრია და მაგასაც მეტი რა უნდოდა?! ჩხუბიც მაგის მერე დაიწყო.

— რომელმა ბიჭმა? — პოლიციელებმა აქეთ-იქით მიმოიხედეს.

მაგრამ გოგას ვეღარავინ მოჰკრა თვალი. პოლიციელების გამოჩენისთანავე, ის ხალხს შეერია. მერე კი შებრუნდა და სირბილით გაეცალა იქაურობას.

სახეში ქვის მოხვედრის მიუხედავად, მურთაზი მაინც კმაყოფილი იყო: გოგა პოლიციას რომ აეყვანა, საქმე ბევრად უფრო ცუდად იქნებოდა. მაშინ ნამდვილად მოუწევდა პოლიციისთვის იმის განმარტება, თუ როგორ მოხვდა ზუგდიდის ბაზარში იმ პიროვნებასთან ერთად, რომელსაც თბილისის პოლიციის სამმართველო ეძებდა. საბედნიეროდ, გოგამ დროულად შენიშნა პოლიციელები და იქაურობას გაეცალა. იგივე მოიმოქმედა რომანმაც, რომლის გამოჩენაც ასევე არ სურდა მურთაზს. მხოლოდ ერთი რამ ვერ შენიშნა — ერთად წავიდნენ გოგა და რომანი თუ ცალ-ცალკე. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ პოლიციასთან მარტოს მოუწევდა საუბარი. უსახლკარო მაწანწალას გულისთვის კი ზედმეტ კითხვებს არავინ დაუსვამდა. ბოლოს და ბოლოს, ერთ ბოთლ არაყს უყიდდა და ამით მოიცილებდა თავიდან.

მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. საუბედუროდ, პოლიციელებს ადრევე მოეკრათ თვალი რომანისთვის და არც ის გამოჰპარვიათ, თუ როგორ საუბრობდნენ ისინი ჩხუბის დაწყებამდე. თანაც, მათ შორის ზუგდიდის პოლიციის სამძებროს უფროსის მოადგილე, ჯამლეთ ნოდიაც იმყოფებოდა.

უსიამოვნო საუბარი ცნობისმოყვარეთა დაშლისთანავე დაიწყო.

— აბა, რა მოხდა აქ? — მურთაზს ჰკითხა ჯამლეთმა.

— არაფერი, ძმაო. ვერ ხედავ, ვისთან გაქვთ საქმე?! დარეხვილი „ბომჟია“. ოფოფებმა წამოუარა და ქვის სროლა დაიწყო.

— ეგ ვინც არის, ჩვენ არ გვესწავლება, მაგრამ შენ რა გესაქმებოდა მასთან? — განაგრძეს პოლიციელებმა.

— რა საქმე უნდა მქონდეს მაგ „ბომჟთან“?! — გაიკვირვა მურთაზმა. — ბიჭი შემთხვევით დაეჯახა და არყის ბოთლი ხელიდან გააგდებინა. ამან კიდევ, ბღავილი მორთო და იმ ბიჭს კობრასავით დაეძგერა. პოლიციელი ვარ, გვერდზე ხომ არ ჩავუვლიდი?! ვიფიქრე, გავაშველებ, რამე უბედურება რომ არ მოხდეს-მეთქი. მაგრამ ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა — გამშველებელს უფრო მეტი ხვდებაო!.. მეც ზუსტად ეგრე დამემართა — ეს დარეხვილი იმ ბიჭს შეეშვა და სახეში ქვა მგლიჯა.

— შენი ძმაკაცი რატომ არ მოგეშველა? — ირონიით თქვა ჯამლეთმა. — ერთად ნაღდად მოარჯულებდით ჭიჭეს და ქვაც აღარ მოგხვდებოდა.

— რომელი ძმაკაცი?

— რომან გერგედავა! — ცივად მიუგო ჯამლეთმა.

— არა, ძმაო, რაღაც გეშლება, — უხალისოდ უპასუხა მურთაზმა.

— გინდა თქვა, რომ გერგედავას არ იცნობ?

მურთაზი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. მისთვის უკვე გასაგები იყო, რომ პოლიციელებმა რომანთან საუბრის დროს მოჰკრეს თვალი და ახლა ამის უარყოფა უფრო მეტად დააეჭვებდათ.

— კარგი, რა, ხალხო. რა ამბავი ამიტეხეთ ამ შეშლილის გამო?! — თქვა მცირე ხნის შემდეგ.

— მე გეკითხები: იცნობ თუ არა გერგედავას? — შეუვალი სახით გაიმ-

ეორა ჯამლეთმა.

— შენ თუ იცნობ?

— რომ ვიცნობ, იმიტომაც გეკითხები!

— ეე... თქვენ ვინა ყოფილხართ?! — ბრაზით წამოიძახა მურთაზმა. — ჰო, ვიცნობ. ბავშვობის ძმაკაცია. ერთი სკოლა გვაქვს დამთავრებული. ბაზარში შემთხვევით შემხვდა და დავილაპარაკეთ. თქვენ რა, ასე არ იქცევით?! თუ ნაცნობებს გამარჯობას აღარ ეუბნებით?!

— ჰოდა, შენთან შეხვედრით „გახარებული“ გერგედავა მაშინ აითესა აქედან, როცა მაწანწალამ ქვები დაგიშინა?! — დამცინავად ჰკითხა ჯამლეთმა.

— არ ვიცი, რა მოხდა აქ და ვინ საით წავიდა.

— კარგი... გერგედავაზე მერე ვილაპარაკოთ. შენს მეორე ძმაკაცზე რაღას იტყვი? ის რატომღა გაიქცა?

— ხომ გითხარით, იმ ბიჭს არ ვიცნობ!

— ესე იგი, მურთაზი გქვია და თბილისში მუშაობ... — პოლიციელმა მის პირადობის მოწმობაში ჩაიხედა.

— მანდ სხვა რამე წერია?..

— აქ ისიც წერია, რომ პოლიციელი ხარ!

მურთაზმა გაოცებით შეხედა. ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ჯამლეთი.

— ჰოდა, რახან პოლიციელი ხარ, ისე მოიქეცი, როგორც თანამშრომელს შეეფერება. რისთვის ეხვევი შარში? ვიღაც არაკაცების გულისთვის! საკუთარი თვალით რომ არ დამენახე, ვერაფერს გეტყოდი. მაგრამ არ გაგიმართლა, ძმაო. აი, იქიდან გიყურებდით, — ჯამლეთმა ბაზრის დახლების ბოლოსკენ გაიშვირა ხელი. — შენ, გერგედავა და ის ბიჭი ერთად იდექით. ბიჭი სასადილოსკენ წავიდა. შენ და გერგედავა ადგილზე დარჩით. მერე ჩხუბი ატყდა. ვიდრე თქვენამდე მოვაღწევდით, შენი ძმაკაცები გაიქცნენ. ახლა რაღას იტყვი? ვისი ნაცნობი იყო ის ბიჭი — შენი თუ გერგედავასი?

— იმ ბიჭს არც მე ვიცნობ და არც — რომანი. ბაზარში შეგვხვდა. აქაური არ იყო. რაღაც გვკითხა. ალბათ იმ დროს დაგვინახეთ.

— არა, ძმაო, შენთან კაცური სიტყვა არ ჭრის... წამოიყვანეთ! — თანამშრომლებს უბრძანა სამძებროს უფროსის მოადგილემ და მურთაზის პირადობის მოწმობა ჯიბეში ჩაიდო.

— რას აკეთებ?! — ბრაზით წამოიძახა მურთაზმა. — დამიბრუნე საბუთი! მაგრამ პოლიციელებს ყურადღება აღარ მიუქცევიათ მისთვის. აქეთ-იქიდან ჩაავლეს ხელი და ბაზრის გასასვლელისკენ წაიყვანეს.



მურთაზი პოლიციაში მიყვანისთანავე მიხვდა, რომ საქმე ცუდად ჰქონდა. პოლიციელებმა დაკითხვის ოთახში შეიყვანეს და მაშინვე საქმეზე გადავიდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ხელბორკილი მოარგო და სკამზე დასვა. მეორემ სეიფიდან აირწინაღი და ხელკეტი გამოიღო. ამასობაში კი ჯამლეთი მის პირისპირ მაგიდაზე ჩამოჯდა, სახეში ჩააცქერდა და დამცინავად ჰკითხა:

— ახლა როგორ მოვიქცეთ? შენ თვითონ იტყვი ყველაფერს თუ ისევ ტრაკის თამაშს დაიწყებ?!

— რად გინდათ ესენი?! — მურთაზმა შიშით გახედა აირწინაღსა და ხელკეტს, რომელსაც პოლიციელი ხელში ათამაშებდა.

— ევროპულად ვმუშაობთ, ძმაო, — გაიცინა პოლიციელმა, — ძველი დრო ხომ არ გგონია, წიხლითა და მუშტით გპრესოთ?!. ჩაგრთავთ სიცრუის დეტექტორზე და წყნარად და მშვიდად მოვისმენთ შენს აღსარებას.

— თქვენ რა, თანამშრომელსა და „პრისტუპნიკს“ ერთმანეთისგან ვეღარ არჩევთ?! — გაბრაზდა მურთაზი.

— რომელ თანამშრომლობაზე ბაზრობ?! — ხმას აუწია ჯამლეთმა. — რა დაგიშავეს სენაკელმა თანამშრომლებმა, ასე ბოზურად რომ მოექეცი?! თუ თბილისში გადაბარგებამ გაგიცხელა „კრიშა“ და ზევიდან უყურებ პროვინციალებს?!

— რა შუაში არიან სენაკელი თანამშრომლები? — დაიბნა მურთაზი.

ჯამლეთი მაგიდას მოშორდა, სეიფიდან რაღაც დოკუმენტი გამოიღო, მურთაზს გაუწოდა და თქვა:

— სისტემაში ნამუშევარი კაცი ხარ და კარგად გეცოდინება, რაც არის „სვოდკა“. ეგ „სვოდკა“ ორი დღის წინ მოვიდა თბილისიდან. წაიკითხე და მერე მითხარი — რამე ხომ არ გეცნობა?

მურთაზს დოკუმენტზე თვალის ერთი შევლება ეყო. კითხვა აღარ დაუწყია — ისედაც გასაგები იყო, რასაც გულისხმობდა სამძებროს უფროსის მოადგილე. მას ხელში ეჭირა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული შეტყობინება, რომელშიც მის სახლში მომხდარი შემთხვევა იყო აღწერილი.

— არიფივით მოიქეცი. სახელმა გაგშიფრა, — ლაპარაკი განაგრძო ჯამლეთმა. — გერგედავა რომ არა, საერთოდ არ მოგაქცევდით ყურადღებას. მაგრამ მაგან მეც და შენც ერთნაირად გაგვიფუჭა საქმე: გერგედავას თვალთვალში, იმ ბიჭისთვის საერთოდ აღარ მიმიქცევია ყურადღება. მაშინ დავეჭვდი, როცა ორივემ „ტექნიკურად“ მოხია. მერე კი შენ პირადობის მოწმობა ამიფრიალე... თხუთმეტი წელი სამძებროში მაქვს ნამუშევარი, როგორ დამავიწყდებოდა გვარი, რომელიც ორი დღის წინ ოპერატიულ „სვოდკაში“ მქონდა წაკითხული?! არც ეს სახე დამვიწყნია! — ამ სიტყვებთან ერთად, სამძებროს უფროსის მოადგილემ გოგას სურათს მიაბჯინა თითი, რომელიც ოპერატიულ ცნობაში იყო. — მაგრამ ამას ძალიან გვიან მივხვდი. შენმა გვარმა შემახსენა „სვოდკაცა“ და ის ნაბიჭვარიც... ახლა კი ამიხსენი — როგორ მოხვდი ზუგდიდში „პრისტუპნიკთან“ ერთად, რომელიც ძებნაში ჰყავს გადაცემული თბილისის სამმართველოს და რომელიც ცოტა ხნის წინ შენი სახლიდან გაექცა სენაკის პოლიციას?

— სიგარეტი მომაწევინე, — ყრუდ ჩაილაპარაკა მურთაზმა.

სამძებროს უფროსის მოადგილემ მაგიდაზე სიგარეტის კოლოფი და სანთებელა დაუდო და თქვა:

— „ბივში გაიშნიკისგან“ ნაღდად არ მესწავლება, როგორ უნდა მოვექცე თანამშრომელს, მაგრამ გაფრთხილებ, მურთაზ, ეს შენი ბოლო შანსია: ტრაკის თამაში თუ გააგრძელე, ბოლომდე მოგაწვები. ჯერ მაგრად დაგლეწავ და მერე „პოლნი კატუშკით“ გაგიშვებ „სროკზე“.

მურთაზმა ჩამქრალი მზერა მიაპყრო, მერე სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ალაპარაკდა...

რამდენიმე დღის შემდეგ, მურთაზი ისევ გამოიძახეს ზუგდიდის პოლიციაში. ამჯერად მას თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულ გიორგისთან მოუწია საუბარმა,

რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მისი ბედი.

მურთაზი დაძაბული შევიდა კაბინეტში, იქვე შედგა და მზერა იატაკს მიაპყრო. მომხდარის შემდეგ თბილისელი გამომძიებლისგან დანდობის იმედი აღარ ჰქონდა.

— დაჯექი, — ცივად თქვა გიორგიმ.

მურთაზი მძიმედ დაეშვა სკამზე.

გიორგი მცირე ხანი კიდევ ათვალიერებდა საქმის მასალებს. მერე საქაღალდე გვერდზე გადადო, გამჭოლი მზერა მიაპყრო და ჰკითხა:

— როგორ გგონია — რას იმსახურებ ამისთვის?

მურთაზმა დუმილით უპასუხა.

— „სასროკე“ საქმეა. რომ მოვინდომო, ყველაზე ცოტა, ორ მუხლს მაინც მოგიყენებ, — განაგრძო გიორგიმ.

— მაგის გულისთვის ნუ გამწირავთ. სამი წელი დამრჩა პენსიამდე. რამეს ხომ არ ვამბობ — დამნაშავე ვარ, შევცდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, კაცი ხომ არ მომიკლავს, — გაუბედავად უპასუხა მურთაზმა.

— თავი გყვარებია. მაგრამ შენს ყოფილ თანამშრომლებს რა პასუხს გასცემ? ისინი რომ გაეყარათ სამსახურიდან, შენ მისცემდი ხელფასსა და პენსიას?..

— სენაკს ნუღარ გამახსენებთ... — ამოიხრა მურთაზმა.

— მოგხვდა?

— მომხვდა რომელია?! ქუჩაში აღარ გამომესვლება.

— გიყურებ და მიკვირს: პატარა ბიჭი არა ხარ, ოც წელზე მეტი გაატარე „პაგონებში“ და ასე ჩაიჭერი... მაინც, რით შეგაბა კილაძემ?

— კაცმა სიკვდილს თუ არა, დაყაჩაღებასა და მაგარ ცემას მაინც გადამარჩინა და მეც ვეღარ გავიმეტე. თანაც ვგრძნობდი, რომ „პრისტუპნიკი“ არ არის, — უპასუხა მურთაზმა.

— ესე იგი, ყაჩაღობის ფაქტი არ შეგილამაზებია?

— კაცობას გეფიცებით — ყველაფერი ისე იყო, როგორც გითხარით.

— მაინც, რით დაგიმტკიცა კილაძემ, რომ „პრისტუპნიკი“ არ არის? — განაგრძო გიორგიმ.

— ნდობით!

— რას გულისხმობ ნდობაში?

— როცა ოთახში შევედი, ის უკვე ფანჯარასთან იდგა. „პრისტუპნიკი“ ეგრევე გადაეშვებოდა და გაიქცეოდა. ის კი მენდო. დაიჯერა, რომ არ ჩავუშვებდი, როცა სხვენში დამალვა შევთავაზე.

— ესე იგი, იმ დროს, როცა შენს დასაკითხავად ვიყავი ჩამოსული, კილაძე შენს სახლში იმალებოდა?!

— ასე იყო, — თავი ჩაქინდრა მურთაზმა.

— ზუგდიდში რისთვის წახვედით?

— წესიერად არც ვიცი. ვიღაცის მოძებნა უნდოდა. მე კი მარტო არ გავუშვი.

— და ის ვიღაც — მაწანწალა აღმოჩნდა?

— ჰო... მეც ვერაფერი გამიგია... ძალიან უცნაური ბიჭი ჩანს. სენაკში ისეთ კაცს ჩამოაკითხა, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა. მერე იმ „ბომჟის“ ძებნა დაიწყო. მთელი ეს დრო ხომ მის გვერდით გავატარე, მაგრამ აზრზე არა ვარ, ვის და რისთვის დაეძებს!

— დიდავა დაჰკითხეთ? — ჯამლეთს მიუბრუნდა გიორგი.

— ჭიჭე?! — გაიკვირვა მან. — რა აზრი აქვს მაგის დაკითხვას?! თუ მთვრალი არ არის, მურტალ „პახმელიაზეა“. არაყმა ისე გამოამტერა, რომ მაინც ვერაფერზე გვიპასუხებდა!

— დიდავა აუცილებლად უნდა დაიკითხოს, — თქვა გიორგიმ და ისევ მურთაზს გახედა. — სად შეიძლება, იყოს კილაძე?

— წარმოდგენა არა მაქვს. სენაკსა და ზუგდიდში არავის იცნობს.

— გერგედავა?..

— გამორიცხულია, — სწრაფად უპასუხა მურთაზმა, — გოგა იმ დღეს პირველად შეხვდა რომანს და ბაზრიდან გაქცევის შემდეგ, მას აღარ მიაკითხავდა.

— საქმეში გერგედავას დაკითხვის ოქმი დევს, — ჩაურთო სამძებროს უფროსის მოადგილემ, — ისიც იმავეს ადასტურებს.

— ეგეთი ჩვენება ცოტა ხნის წინ ამანაც მომცა, — მურთაზზე მიანიშნა გიორგიმ, — ახლა კი ირკვევა, რომ ძებნილს თავის სახლში მალავდა.

— დამიჯერეთ, — აღელდა მურთაზი, — რომანი არაფერ შუაშია. ჩემ გამო გაეხვია შარში.

— მაგას მე გადავწყვეტ, — ცივად მიუგო გიორგიმ და სამძებროს უფროსის მოადგილეს გახედა, — ამის თაობაზე რა გადაწყვეტილება მიიღეთ?

— არავითარი. თქვენ გელოდებოდით. შემთხვევიდან სამი დღე გავიდა. ჯერჯერობით მხოლოდ მოწმედ გვყავს დაკითხული და ბრალი არ წაგვიყენებია.

— ესე იგი, მე უნდა გადავწყვიტო? — ჩაფიქრდა გიორგი.

— ჰო... კილაძეს თქვენ ეძებთ და ჩვენ რისთვის უნდა აღვძრათ ახალი სისხლის სამართლის საქმე?! მასალებს თქვენ გადმოგცემთ. საქმეები გააერთიანეთ და ბრალიც თქვენ წაუყენეთ.

— მაშინ ასე მოვიქცევით: ყველაფერს ისე დავტოვებთ, როგორც აქამდე იყო.

— როგორ?! — წამოიყვირა გაოცებულმა მურთაზმა.

— არ გახსოვს, როგორ მაბოლებდი პირველი შეხვედრისას?! კილაძე შემთხვევით მოხვდა ჩემს ოჯახში და პოლიციელების გამოჩენისთანავე გაიქცაო... — ამ სიტყვებთან ერთად, გიორგიმ ფურცელი და კალამი დაუდო წინ. — მიდი, დაიწყე.

— ზუგდიდის ბაზარი?.. — ფრთხილად ჰკითხა მურთაზმა.

— დაწერე, რომ ზუგდიდში პირად საქმეზე ჩამოხვედი; შეიარე ბაზარში და შემთხვევით გადააწყდი კილაძეს, რომელიც მაწანწალას ეჩხუბებოდა. შენ, როგორც პატიოსანმა და თავდადებულმა სამართალდამცველმა, გადაწყვიტე მისი დაკავება, მაგრამ მაწანწალის ნასროლი ქვა მოგხვდა სახეში. ამან ხელი შეგიშალა და ძებნილი გაიქცა.

— მაგას ვინ დაიჯერებს?!

— მთავარია, მე „დამაჯერო“. სხვა კი არავინ მოგკითხავს მაგ საქმეს... — გიორგიმ პაუზა გააკეთა და მერე მისი სიტყვები დაამატა: — ბოლოს და ბოლოს, რა დააშავე?! კაცი ხომ არ მოგიკლავს!

პოლიციელების გასაოცრად, ჭიჭე ბაზარში არ აღმოჩნდა. მისი ბუდრუგუნაც ვიღაცას დაერბია. მუყაოს ყუთების ნაგლეჯები სასადილოს უკან

იყო მიმოფანტული.

ვითარების გასარკვევად, პოლიციელებმა სასადილოს მზარეულს გარეთ გამოსვლა სთხოვეს.

— სად გაქრა შენი მეზობელი? ახალი ბინა ხომ არ მიიღო?.. — ჰკითხა ჯამლეთმა, როგორც კი კარს თეთრ ხალათში გამოწყობილი ჩასუქებული მამაკაცი გამოსცდა.

— თქვენ რა, არაფერი გაგიგიათ?

— არა.

— პოლიციაც ამას ჰქვია!.. — გაეცინა მზარეულს. — ჩემგან იგებს ახალ-ახალ ამბებს...

— მე პოლიციაში ვმუშაობ და არა „ინჭორბიუროში“! — შეუბღვირა ჯამლეთმა.

— ჭორისა რა გითხრა?.. გუშინ კი ისეთი ამბავი იყო აქ, რომ კარგა ხანი, ბაზრის დაცვაც ვერ ბედავდა სასადილოსთან მოსვლას.

— მაინც, რა მოხდა?

— ვიღაცამ ჭიჭე მაგრად სცემა. მისი წივილ-კივილი არავის გაჰკვირვებია. მაგის „ბუდკაში“ მაწანწალები ხშირად იკრიბებიან დასალევად, მერე კი ჩხუბობენ. გუშინ ხმაური რომ ატყდა, დაცვამ იფიქრა, ისევ „ბომჟების“ „სხადნიაკიო“ და ყურადღება აღარ მიუქცევია. დილით კი ჭიჭე მაგარი ნაცემი იპოვეს.

— ახლა სად არის?

— სად უნდა იყოს?.. საავადმყოფოშია. ვიღაც მადლიანი გამოჩნდა — არ იუკადრისა მანქანაში მისი ჩასმა და საავადმყოფოში წაყვანა. ასე რომ, ჭიჭეს ახალი მისამართი — ზუგდიდის კლინიკური საავადმყოფოა. ახლა იქ „აბირჟავებს“, — დაასრულა მზარეულმა და კარისკენ მიბრუნდა.

ოთახს, რომელშიც გიორგიმ და პოლიციელებმა ჭიჭეს მიაგნეს, საავადმყოფოს პალატა არ ეთქმოდა, — ეს, ბეტონის იატაკიანი, უფანჯრებო მცირე სათავსი იყო. ამ სათავსში ჟანგმოდებული საწოლი იდგა, საწოლზე — დაგლეჯილი და ლაქებით დაფარული ლეიბი, რომელზეც ჭიჭე მოკუნტულიყო. თავთ ხის ტაბურეტი ედგა, რომელზეც ტოლჩა წყალი და რამდენიმე აბი ელაგა.

— რა სჭირს? — ჰკითხა გიორგიმ ექიმს, რომელმაც ჭიჭეს ადგილსამყოფელი უჩვენა.

— ნაცემია. უფრო მეტიც — ვიღაცამ მოსაკლავად გაიმეტა: ყბის ძვალი აქვს გაბზარული და ორი თუ სამი ნეკნი — მოტეხილი.

— პოლიციას რატომ არ აცნობეთ მომხდარის შესახებ?

— მოცლილები ყოფილხართ, ამის საქმის გამოძიებას თუ აპირებთ... — ჩაიცინა ექიმმა.

— მე გკითხეთ — რატომ არ აცნობეთ პოლიციას?! — ბრაზით გაიმეორა გიორგიმ.

— ეგ მიმღებში გაარკვიეთ. მე მკურნალი ექიმი ვარ და დილით სამსახურში მოსულს, ეს კაცი აქ დამხვდა! — ცივად უპასუხა ექიმმა და დერეფანში გავიდა.

გიორგი საწოლს მიუახლოვდა, დაიხარა და იკითხა:

— გესმით ჩემი?

ჭიჭემ მძიმედ აზიდა ქუთუთოები და ცერად შეხედა.

— მე თბილისის პოლიციის სამმართველოს გამომძიებელი ვარ. შეგიძლიათ მითხრათ, რა შეგემთხვათ?

— მცემეს... — გაჭირვებით თქვა ჭიჭემ.

— ვინ? — განაგრძო გიორგიმ.

— იმ დამპალმა.

— ამან? — ამ სიტყვებთან ერთად, გიორგიმ გოგას ფოტოსურათი უჩვენა.

— არა... მაგას არ ვუცემივარ.

— მაშინ, ვინ და რატომ გცემა? — ჰკითხა გიორგიმ.

— სიპომ მცემა... ფულის წართმევა უნდოდა... არ ვაძლევდი და მცემა....

— ვინაა სიპო? — ჩაეძია გიორგი.

— მაგისნაირი „ბომჟია“, — განუმარტა ჯამლეთმა, — ვერსად წამივა. ისიც ბაზარში ტრიალებს.

— ეს ის პიროვნებაა, რომელმაც არყის ბოთლი გაგიტეხა? — ისევ გოგას ფოტოსურათზე ანიშნა გიორგიმ.

— ჰო.

— რისთვის მოვიდა შენთან?

ჭიჭე დიდხანს დუმდა. მერე ძალა მოიკრიბა და უპასუხა:

— თავისი ძმის ვინაობის გარკვევა და დედის საფლავის ნახვა უნდოდა.

— ესე იგი, ძმა ჰყავს!

— ჰო... ტყუპისცალი ძმა ჰყავს, — დაუდასტურა ჭიჭემ.

— მერედა, შენთან რატომ მოვიდა მისი ვინაობის დასადგენად?

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... — ჭიჭემ გამხმარ ტუჩებზე ენა მოისვა და კანკალით დაასრულა: — იმიტომ, რომ მე მაგათი მამა ვარ.

— მამა?! — დაიბნა გიორგი.

— მამა, — გაიმეორა ჭიჭემ და თვალები დახუჭა.

— ვინაა მისი ძმა? სახელი, გვარი, მისამართი! — სწრაფად ჩასძახა გიორგიმ. მაგრამ ჭიჭეს აღარაფერი უთქვამს. მხოლოდ მძიმედ ამოიხვნეშა და უეცრად მოეშვა.

გიორგი მხრებში სწვდა, შეანჯღრია და ისევ გაიმეორა:

— სახელი, გვარი, მისამართი!

მაგრამ ჭიჭე არ პასუხობდა.

— ექიმი!.. სასწრაფოდ მოიყვანეთ ექიმი! — უბრძანა გიორგიმ პოლიციელებს და ჭიჭეს ჯანჯღარი განაგრძო.

ამ დროს ოთახში ექიმი შემოვიდა. ის სწრაფად მიუახლოვდა ჭიჭეს და საძილე არტერია მოუსინჯა. მერე კი გიორგის გახედა და თქვა:

— მორჩა... გათავდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 68

— ბოზები ვეგონებით. მაგათ მეტი კი არ უნდათ!.. — ვუსაყვედურე მსუბუქად.

— აი, დარდი! — ჩაილაპარაკა გულგრილად.

— აბა, მე მკითხე! — ისევ ჩემი სადარდებელი გამახსენდა.

— ტელეფონის ნომერი ხომ იცი? დაურეკე და უთხარი, რომ აქ ხარ და მისი ნახვა გინდა...

— არ შემიძლია... არ მინდა მიხვდეს, რომ ასე განვიცდი მის უყურადღებობას და უნახაობას...

— რა დროს თავმოყვარეობაზე ფიქრია?! შენ ცოტა ვერა ხარ, რა! — უკმაყოფილოდ შემომხედა ნატამ და მიხვდი, მართალი იყო... ტელეფონს დავწვდი და ნიკას ნომერი ავკრიბე: „ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან!“ — ლამის გამაცოფა ოპერატორის გულგრილმა ხმამ.

კიდევ მოვსინჯე მეორედ... მესამედ... მეასედ...

ატირებას აღარაფერი მაკლდა.

ამ დროს უცხოელებმა ჩვენს სუფრასთან დაჯდომის ნებართვა ითხოვეს. ნატა ჩინებულად ლაპარაკობს ინგლისურად. სპეციალისტია, თუმცა მუშაობით არასოდეს შეუწუხებია თავი.

...უცებ გამონახა საერთო ენა იმ მამაკაცებთან. ინგლისური მეც ვიცი ცოტა, მაგრამ ახლა არ მქონდა მათი მოსმენის თავი. ის მაინც დავაფიქსირე, რომ სირიიდან იყვნენ და ბათუმში რაღაც ბინზესპროექტებით ჩამოსულიყვნენ. ახლა ეჩქარებოდათ და საღამოსთვის ვახშმად დაგვპატიჟეს.

...არა და არ მპასუხობდა ნიკას ტელეფონი. მოთმინების ძაფი გამიწყდა და როცა ნომერში შეკვეთილი ვახშამი მომიტანეს, ბიჭს ვკითხე, ნიკას შესახებ რა იცოდა და სად შეიძლებოდა მისი ნახვა?

— ვერაფერს გეტყვით, ქალბატონო... მე მასთან არ ვმეგობრობ... ის ვიცი, რომ დაახლოებით ხუთი დღის წინ უფასო შვებულება აიღო. როდის დაბრუნდება, არ ვიცი.

— დაბრუნდება კი საერთოდ?.. — თითქოს საკუთარ თავს ვკითხე.

— აბა, რა გითხრათ?!. — მხრები აიჩეჩა ბიჭმა და ოთახიდან გავიდა.

ტირილის ხასიათზე დავდექი. ლამის ამოვაყირავე სუფრა — რა ჭამა, რის სმა?!.

ცოტა ხანში ნატამ შემომაკითხა და ისევ სცადა არაბების მიწვევას დავთანხმებოდი, მაგრამ სასტიკი უარი ვუთხარი და იქით ვთხოვდი, არ წასულიყო:

— რა იცი, რა ჯიშის და ჯურის ხალხია?!. ყელი არ გამოგჭრან ! — მაგრამ არ დაიშალა: დილამდე არც მომძებნოო! — ხელი დამიქნია და წავიდა.

მე კი ის დისკოთეკა გამახსენდა, რომელზეც ნიკასთან ერთად ვიყავი და უცებ იქ წასვლა გადავწყვიტე: ხომ შეიძლებოდა, იქ გადავყროდი!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 8(99).71.89.39.

ჩინური ეშმაკობა

მარი ჯაფარიძე

ფანჯარასთან დგახარ და სიგარეტს ეწევი... გარეთ ბნელა... უკუნი სიბნელეა და აქა-იქ გამოჩენილი მანქანების ფარების სინათლე თუ გაანათებს არემარეს. შენს გულშიც სიბნელეა და საამისოდ მიზეზიც გაქვს: შუაღამეა და ქმარი სამსახურიდან ჯერ არ დაბრუნებულა...

სიტყვა „სამსახურის“ გაგონებაზე სარკასტულად ჩაიცინებ ხოლმე: მას საინტერესო, შემოქმედებითად დატვირთული სამსახური აქვს, მაგრამ...

ახლა კი იმისთვის ელოდები, რომ რასაც ფიქრობ, ყველაფერი პირში მიახალო და შესაძლოა, ბროლის ვაზაც კი დაუშვა თავში.

ამისთვის ხომ მთელი დღის განმავლობაში ემზადებოდი...

კარგა ხანია ითმენ, ახლა კი გადაწყვიტე, თვალისმომჭრელად გამოიყურებოდე, მაგრამ ამავდროულად — მკაცრი გამომეტყველება შეინარჩუნო.

თმა წითლად შეიღებე, ფრჩხილებზეც წითელი ლაქი წაისვი და ძალიან ლამაზად გამოიყურები... გაცრეცილი სახით ელი მას, რომ სასამართლო მოუწყო და ანგარიში გაუსწორო...

მაგრამ... იცოდე, რომ სწორად არ იქცევი!

...ჩემი ქმარი 4 წლის ნაშენები და ნალოლიავები ოჯახის დანგრევას რომ აპირებდა, ამას მალევე მივხვდი. ლამის გული გამიჩერდა, როდესაც სააბაზანოდან მისი ღიღინი შემომესმა. ბოლოს მისი ღიღინი 2 წლის წინ მოვისმინე. მივხვდი, რომ ჩემი ქმრის გულში გაზაფხული დადგა... ამის დასტური ისიც იყო, რომ ამ ბოლო დროს ჩემ მიმართ ძალზე ყურადღებიანი გახდა და რაზეც ადრე წუწუნებდა, ახლა იმ საქმის გაკეთებაზე უარს არ ამბობს. მაგალითად, თუ ვთხოვ, რომ მაღაზიიდან პური ამოიტანოს, თავპირისმტვრევით გარბის... საღამოობით იმ გადაცემების ყურების საშუალებას მაძლევს, რომელიც მიყვარს და ამის გამო აღარ მეკამათება... ის კი არა და, კედელზე სურათისთვის ლურსმანი სამჯერ მიაჭედა — ერთი და იგივე ლურსმანი, რადგან პირველად და მეორედ წესიერად ვერ მიაჭედა და ლურსმანი ვარდებოდა.

მისმა ასეთმა ენერგიულობამ შემაშფოთა და შემაშინა.

თქვენ არ შეშინდებოდით, რომ დაგენახათ, რომ ავეჯის რომელიმე ელემენტი (მაგალითად — უჯრა) ამოძრავდა და სივრცეში გადაადგილება დაიწყო? ჰოდა, რაღა თქმა უნდა, მაშინვე ვიეჭვე, რომ ჩემი საყვარელი მახო შეყვარებული იყო...

როგორც ჩანს, მისი ოჯახური „ციკლი“ 4 წელს მოიცავდა და ეს ვადა გავიდა თუ არა, ჩვენმა „ოჯახურმა ნავმა“ ჩაძირვა დაიწყო.

ნებისმიერი ქალი ამ დროს პანიკაში ჩავარდებოდა, აწრიალდებოდა და სიტუაცას დაძაბავდა, მაგრამ მე ასეთი ქალების რიგს არ მივეკუთვნები. სუნთქვაშეკრული და სულგანაბული ვაკვირდებოდი მის საქციელს და ვცდილობდი, მახოს ჩემი არსებობა არც კი შეემჩნია...

ამით სასურველ შედეგს მივაღწიე კიდეც: დაუსჯელობამ მისი ყურადღება მოადუნა და საბოლოოდ „განაგლდა“. თეთრ პერანგებს ყოველდღე იცვლიდა და ახალი ჰალსტუხებიც შეიძინა. შეხსენებაც კი აღარ სჭირდებოდა, ყოველ დილით ისე იპარსავდა წვერს და ფეხსაცმელებსაც კი თავისით აპრიალებდა.

მე კი მხოლოდ ვდუმდი, პენაგებს ძველებურად ვუუთოებდი და ძვირფასი სუნამოც კი ვუყიდე. რატომ? იმიტომ, რომ თავის ახალ რჩეულს მოსწონებოდა და ქალს ჩემი ქმრისთვის უარი არ ეთქვა.

არა, სულელი ნამდვილად არ ვარ... უბრალოდ, შორსმჭვრეტელი ვარ.

მამაკაცი, რომელსაც ქალი უარს ეუბნება, ყველაფერზე წამსვლელია და ყველაზე წამოუდგენელი საქციელის ჩადენაც კი შეუძლია...

ცოლისთვის კი სხვის მიმართ ქმრის რომანტიკული სიყვარული გაცილებით საშიშია, ვიდრე „შტატიანი“ საყვარლის არსებობა.

ჩემი მახო თითქოს ხელახლა დაიბადა... გახდა, გაახალგაზრდავდა, ძველებურად დაუბრუნდა იუმორის გრძნობა, ხშირად ხუმრობდა და ისეთი სიარულის მანერა გაუხდა, თითქოს დაფრინავსო.

როდესაც განაცხადა, რომ რამდენიმე დღით მივლინებაში მიდიოდა და ჩემოდანში ტანისამოსის ჩალაგებას შეუდგა, მივხვდი, მისი რომანი სხვა განზომილებაში, უფრო „კონკრეტულ“ სტადიაში გადავიდა.

სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი „პარტიზანული ომი“.

დიდი ხნის წინ ჩინური ზღაპარი წავიკითხე. მთავარი მოქმედი პირი, მოხუცი ქალი, თავის აღსაზრდელს (რომელიც ქმარმა მიატოვა) რჩევას აძლევდა კი არა და, უბრძანებდა, რომ მაკიაჟი აღარ გაეკეთებინა, ძველი ტანისამოსით ევლო და თავისი საქციელით ყურადღება არ მიეპყრო... ქმრისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო და საშუალება მიეცა, თავის ნებაზე ენავარდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ქმარს თავისი ახალი საყვარლის მიმართ პირველმა აღფრთოვანებამ გაუარა, ცოლი მის წინაშე საუცხოო ფორმაში წარდგა და ქმარმა ის ხელახლა შეიყვარა. ამის შემდეგ ისინი ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდნენ სიკვდილამდე.

ამ ზღაპარში სიმართლის მარცვალი ნამდვილად დევს. გადავწყვიტე, სწორედ ამ ტაქტიკით მემოქმედა. უბრალოდ, საჭირო იყო მისი თანამედროვე სიტუაციაზე მორგება. ჩინელი დიდგვაროვნის ცოლისთვის გაცილებით იოლი გახლდათ, რომ უზარმაზარ სასახლეში ქმარს თვალში არ შესჩხირვოდა. მე და მახო კი ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობთ... ამის მიუხედავად, გადავწყვიტე, მაინც გამერისკა და ისე გარდავსახულიყავი, ზღაპარში როგორც იყო ნაამბობი.

ნელ-ნელა, ყოველდღიური მოწადინების შედეგად, ახალგაზრდა, ლამაზი და მომზიდველი ქალისგან ნაცრისფერ არსებად გადავიქეცი. ჩემი ქმარი კი პირიქით — ბრწყინავდა და ფარშავანგივით გაფხორილი დადიოდა.

ამ დროს მშვენიერი იდეა მომივიდა — როგორ უნდა ამერიდებინა თავი საქმის გარჩევისთვის? ხომ შეიძლებოდა, ჩემს ასეთ გარდასახვას მასზე ემოქმედა და შინიდან წასვლა გადაეწყვიტა? შემდეგ ვერაფერს ვუშველიდი საქმეს. ამიტომ, ეშმაკობა ვიხმარე, წელი შალის შარფით შევიხვიე და სიარულის დროს კვნესა დავიწყე...

მახო ცოტა შეშფოთდა... მთავარი ის იყო, რომ ოჯახიდან წასვლაზე კრინტს ვერ ძრავდა. ამ თემაზე საუბრის წამოწყება უჭირდა. „ავადმყოფ“ ცოლს ამ თემაზე რომელი მამაკაცი დაელაპარაკება? ამას ხომ დიდი გამბედაობა სჭირდება?!

დრო გადიოდა... თავს ისე ვიჭერდი, თითქოს შუაღამის 3 საათზე ქმრის შინ დაბრუნება ჩემთვის უმნიშვნელო მოვლენა იყო. თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს როცა ის შინ ბრუნდებოდა და დასაძინებლად წვებოდა, მე გულიანად მეძინა...

თუმცა, ამ დროს სამზარეულოს მაგიდაზე მას თბილი ვახშამი ელოდა. ის ვახშამს მიირთმევდა და შემდეგ ცოლქმრის (ანუ ჩემს) სარეცელში დასაძინებლად წვებოდა და ვიდრე ჩაეძინებოდა, თავის საყვარელზე ოცნებობდა...

მისი საყვარელი ქალი კი როგორც ჩანს, მოუთმენლობას ამჟღავნებდა...

ბოლო დროს მახო შინ შედარებით ადრე ბრუნდებოდა და ხასიათიც გაუფუჭდა... შინ მე ველოდი — ერთგული, თავდადებული და შეუმჩნეველი ცოლი. რაღა თქმა უნდა, დროდადრო ჩემთან დალაპარაკებას და საჭირბოროტო საკითხზე საუბრის წამოწყებას ცდილობდა, მაგრამ როგორც კი მივხვდებოდი, რომ სწორედ ახლა აპირებდა „იმის“ თქმას, მაშინვე ხან „გულის შეტევა“ მემართებოდა, ხან „თავბრუ მესხმოდა“... დანარჩენ დროს მზრუნველი, ალერსიანი ცოლი ვიყავი და ყურადღებას არ ვაკლებდი.

ბოლოს და ბოლოს, ამ კაცთან მთელი 4 წელი ვიცხოვრე და კარგად ვიცოდი მისი მავნე ჩვევები. მას მოხალული გოგრის თესლის წკაპუნი და სააბაზანოში გაზეთის კითხვა უყვარდა. მის ხასიათს ისე კარგად ვცნობდი, რომ ზუსტად ვიცოდი, როდის რისი თქმა და გაკეთება სურდა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ჩემთვის, როგორც მეგობრისთვის, ყველაფრის გულახდილად თქმის სურვილი უჩნდებოდა, მაგრამ ამის საშუალებას არ ვაძლევდი — როგორც კი ჩაახველებდა, ვხვდებოდი, რომ „აღსარების“ სათქმელად ემზადებოდა და მაშინვე რაღაცას ვიმიზეზებდი.

შემდეგ მახოს გულის გადაშლის სურვილი გადაუვლიდა და მეც შვებით ამოვისუნთქავდი ხოლმე. არაფრის გაგონება არ მსურდა, რადგან ჩემი გადაწყვეტილებით, მის გვერდით სიკვდილამდე ვაპირებდი ცხოვრებას და მისი „აღსარება“ ჩვენი ურთიერთობისთვის მომაკვდინებელი იქნებოდა.

მაშ ასე... მახომ შინ ადრე მოსვლა დაიწყო... მას გადატკეცილ შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა... უკვე 3 თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც მახომ სააბაზანოში, დიდი ინტერვალის მერე, პირველად იმღერა...

უკვე აღარ შეიძლებოდა ამ ყველაფრის ასე დატოვება; არ უნდა მიმეცა საშუალება, რომ მისი რომანი მრავალწლიან ურთიერთობაში გადაზრდილიყო.

დადგა დრო, როდესაც ახალმა სიყვარულმა სიახლე დაკარგა, პირველმა აღფრთოვანებამ გაიარა, მაგრამ ეს სიყვარული „ჩვევაში“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაზრდილი. დადგა დრო, გამანადგურებელი დარტყმა მიმეყენებინა.

ბოლო თვეების განმავლობაში მეგობრები ჭკუას მარიგებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ არ შეიძლებოდა სახლში წელზე შალმოხვეულს მევლო, რომ ჩემი დაუვარცხნელი თმა საშინელ დღეში იყო, რომ ძველ ხალათსა და დახეულ კოლჰოტში ბოროტ ჯადოქარს ვგავდი და მირჩევდნენ, პომადა მაინც წამესვა. მე კი ამ ყველაფერს მშვიდად ვისმენდი და გულში მეცინებოდა. ვიცოდი, რომ ჩემი დროც დადგებოდა...

მახოს მეგობარი 40 წლის გახდა და გადაწყვიტა, იუბილე ზარ-ზეიმით აღენიშნა. მახოს საქციელით ვხვდებოდი, რომ იქ ჩემი მეტოქეც იქნებოდა. ჩემი ქმარი ძალზე მოწადინებული იყო, რომ როგორმე არ წავეყვანე წვეულებაზე. რადგან ეს არ გამოუვიდა, საბოლოოდ თვითონაც გადაიფიქრა წასვლა, მაგრამ უარი არ გაუვიდა... იცოდა, მეგობარს გაანაწყენებდა და საბოლოო ჯამში გადაწყდა, რომ უნდა წავსულიყავით.

დილით მახო სამსახურში წავიდა და დამიბარა, რომ 4 საათისთვის მოვიდოდა და მზად დავხვედროდი.

ბრწეულისყვავილისფერი, ტანზე მომდგარი კაბა მეცვა... კოსმეტიკისგან დასვენებულ სახეზე ჯანსაღი ფერი მედო, წითლად შეღებილი და ტალღებად დაყრილი თმა წელამდე მწვდებოდა, ახალი, წითელი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ძალიან მიხდებოდა და ჩემს ლამაზ ფეხებს უფრო მოხდენილს აჩენდა...

მახო კარში გაშეშდა. თითქოს პირველად დამინახა...

რესტორანში კარგა ხანს დავყავით და ვიმხიარულეთ.

შესაძლოა, იქ ჩემი მეტოქე იყო კიდეც, მაგრამ მე ის არ შემინიშნავს. მამაკაცების ყურადღების ცენტრში მოვექეცი, ქალები კი შურით მიყურებდნენ.

როდესაც შინ ვბრუნდებოდით, მახომ ყვავილების მაღაზია შენიშნა, მანქანა გააჩერა და ძალიან ლამაზი ვარდების თაიგული მიყიდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენი სახლი ვარდებით აივსო. ყოველ საღამოს თითო თაიგული მოჰქონდა...

კარგია, როცა თაფლობის თვე ორჯერ გაქვს, ერთსა და იმავე მამაკაცთან...

ჩემი ქმარი ახლა მივლინებებში აღარ დადის, მე კი მთელი 3 წელი და 6 თვე მაქვს, რომ „ოჯახური ციკლის“ ვადის გასვლის დროისთვის ახალი ტაქტიკა შევიმუშაო... ■

აკრძალული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-46

გიომ ოთახში გაიარ-გამოიარა. რა ჯობია? მთელი საღამო შინ დაჯდეს, ტელეფონის ზარის მოლოდინში, თუ გაერიოს იმ ქალების მარაქაში, ვისიც საერთოდ არ ესმის? „მერე რა? — გაიფიქრა თავისთვის და მხრები აიჩეჩა, — კრისტი ლამაზი და მოხდენილი ქალია... ის სწორედ ის არის, ვინც მე მჭირდება... ყოველ შემთხვევაში, რაღაც პერიოდში მაინც“.

რობაქიძეს ნამდვილად არ ჰქონდა იმის ილუზია, რომ კრისტი სწორედ ის მანდილოსანი იყო, ვინც მას მთელი ცხოვრება სჭირდებოდა, მაგრამ ამჯერად რატომ მიიჩნია ასე, თავადაც ვერ ხვდებოდა.

მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ! — ლელუკას შეშფოთებული ხმის გაგონებაზე გიო მოიღუშა, — რამე მოხდა?.. მართლა?.. კარგი, დაწყნარდი, რამეს მოვიფიქრებ, — ხმადაბლა ჩასძახა ყურმილში და გათიშა.

ნინიმ მთელი ღამე ტირილში გაათენა. მეორე დილით თვალებდასივებულს გაეღვიძა. სარკეში რომ ჩაიხედა და საკუთარი თავი დაინახა, შეძრწუნდა — „არაჩვეულებრივად“ გამოიყურებოდა საკუთარ დაბადების დღეზე! ყველა სიკეთესთან ერთად, საშინლად მარტოსულად და მიტოვებულად გრძნობდა თავს.

ის იყო, ჩაიცვა და თავი მოიწესრიგა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. გაუკვირდა, რადგან არავის ელოდა. იცოდა, რომ თორნიკე უკვე წასული იყო, ლელუკაც სოფელში გაემგზავრა. სხვა ვინ უნდა ყოფილიყო? ნუთუ თოკომ გადაიფიქრა? სუნთქვაშეკრული მიუახლოვდა კარს და გამოაღო.

— გილოცავ დაბადების დღეს! — ომახიანად შესძახა გიომ. — შეიძლება?

— ჰო, — ამოღერღა გაოგნებულმა, — მობრძანდით.

— მიხარია, რომ შინ დამხვდი. ასე მეგონა, საჩუქრის დატოვება გარეთ, ზღურბლთან, მომიწევდა, — გაიღიმა მამაკაცმა და ოთახში შემოაბიჯა.

— თქვენ რა, საჩუქარი მომიტანეთ? — თვალები გაუფართოვდა ნინის.

— მესმის, რომ დაბადების დღეებზე ჩვეულებრივ, ასე არ იქცევიან, მაგრამ რა ვქნა, სხვებს არ ვგავარ, მე ექსცენტრიკული ადამიანი ვარ, — მხიარული ირონიით წარმოთქვა რობაქიძემ, — გამომართვი! — და საგულდაგულოდ შეფუთული მძიმე საგანი გადასცა.

— საიდან იცოდით, დაბადების დღე რომ მქონდა? ლელუკამ გითხრათ?

— არა. როგორც წესი, როცა ჩვენთან მუშაობა დაიწყე, ანკეტა შეავსე... იქ კი ყველანაირი მონაცემი წერია... აი ასე, მარტივად და საერთოდ, იქნებ შევცვალოთ მიმართვის ფორმა და უფრო გავუშინაურდეთ ერთმანეთს? რაღაც უხერხულად ვგრძნობ თავს.

— ვეცდები... საჩუქრისთვის კი დიდი მადლობა.

— სამადლობელი არაფერია... ახლა კი, მგონი, ყავა დავიმსახურე, რას იტყვი? ჰოდა, სანამ ყავას დავლევ, შენ საჩუქარს ნახავ.

ნინიმ მთრთოლვარე ტუჩებით გაიღიმა.

— ეს რა, ტრადიციაა ასეთი?

— აბა რა! და არა მარტო თბილისში, მთელ საქართველოში.

— ჩვენთან ასე არ იციან, სხვათა შორის.

— აბა, როგორ იციან?

— როგორ და... სტუმრები თავად იდუღებენ ყავას, — ეშმაკურად გახედა მამაკაცს.

— კარგი, ეგრე იყოს, ოღონდ დამაკვალიანე, სად რას ინახავ, სანამ შენს სამზარეულოში გავშინაურდები, — თქვა გიომ და გოგონას თვალი თვალში გაუყარა.

ნინის ღაწვები შეეფაკლა, მზერა აარიდა მოულოდნელ სტუმარს და საჩვენებელი თითი სამზარეულოსკენ გაიშვირა.

— თავად გაშინაურდი, ჩემი დახმარების გარეშე, — ნიშნის მოგებით უპასუხა გიოს და დივანზე ჩამოჯდა.

გაოგნდა, როცა საჩუქარს ოქროსფერი ქაღალდი შემოაცალა... ეს იყო მინისგან ჩამოსხმული სამფეროვანი პირამიდა, რომლის შიგნით მუქი-წითელი ვარდის კოკორი იწონებდა თავს. გოგონამ ფრთხილად დაიდო საჩუქარი ხელისგულზე.

— არც კი ვიცი, რა ვთქვა! — შესძახა აღტაცებულმა, — რატომ შეწუხდით...

— შევწუხდი? სულაც არა... ეს ქრთამია, შენ ჩვენგან რომ არ გაიქცე და ჩემს საშინელ ხასიათს რომ როგორმე შეეგუო...

— მაგრამ მე სხვის ადგილზე ვმუშაობ... როცა ის დეკრეტიდან გამოვა...

— არ გამოვა. თამუნა მეორე ბავშვზეა ორსულად. ასე რომ, კიდევ ორი წელი გარანტირებული გაქვს ჩემ გვერდით ყოფნა, — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა რობაქიძემ და შეუმჩნევლად ჩაიღიმა.

— ვნახოთ... — თვალები დახარა ნინიმ და კვლავ საჩუქარს მიაჩერდა.

— ყავა ვერ ვიპოვე.

— კარადაშია, ზედა თაროზე, მარჯვნივ... მოიცა, მე მოვადუღებ.

— ადგილზე დარჩი! — მამაკაცმა ხელები გაშალა. — დღეს შენ დაბადების დღე გაქვს.

— არის, უფროსო! — მხიარულად შესძახა გოგონამ და გაიცინა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მამაკაცმა ორი ფინჯანი ყავა შემოიტანა და მაგიდაზე დადგა. ნინიმ შეამჩნია, რომ გიოს ზუსტად ისე მოედუღებინა, როგორც მას უყვარდა — მაგარი ყავა რძით. „ალბათ სამსახურში შეამჩნია, როგორ ვაკეთებდი“, — გაიფიქრა კმაყოფილმა.

— როგორ აპირებ დღევანდელი დღის გატარებას, რა გეგმები გაქვს? — ჰკითხა გიომ და მის პირდაპირ დაჯდა.

— არ ვიცი... ამაზე არ მიფიქრია.

— ჰო, მაგრამ მთელი დღე ოთხ კედელს შუა ხომ არ გამოიკეტები? ბოლოს და ბოლოს, იუბილარი ხარ!

— თავიდან ვიფიქრე, თბილისს დავათვალიერებ, სანაპიროზე გავისეირნებმეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე, სულელური იდეა იყო.

— ჩემი აზრით, პირიქით, შესანიშნავი იდეაა! ნებას დამრთავ, შენთან ერთად წამოვიდე? იმედია, ხელს არ შეგიშლი.

— თქვენ... შენ რაში გჭირდება ეს? — დაჟინებით მიაჩერდა გოგონა, ვერ მიუხვდა განზრახვას.

— მიყვარს სანაპიროზე გასეირნება.

— ხუმრობ!

— იცი, რა? მე დავლევ ყავას და მერე თხუთმეტ წუთს გაძლევ მოსამზადებლად, კარგი?

— გაპრანჭვას არ ვაპირებ!

— არც გჭირდება... ოღონდ ცოტა სახე მოიწესრიგე, თორემ ხალხი იფიქრებს, ამ კაცს ისე გაუმწარებია ეს გოგო, მთელი ღამე ტირილში გაუთენებიაო.

ნინი გაწითლდა.

— ცდები, არ მიტირია.

— ნუ მატყუებ, — თითი დაუქნია მამაკაცმა, — და არც იფიქრო, რომ სადმე გაიქცე... სულერთია, მაინც გიპოვი, — გიომ ბოლო ყლუპი მოსვა და წამოდგა, — თხუთმეტი წუთი! შევთანხმდით?

გოგონამ უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა საჩუქრისთვის. ამას სიცოცხლის ბოლომდე შევინახავ.

— მადლობა შენ... მინდოდა, ამჯერად ისეთი ყვავილი მომეტანა, რომელიც არასდროს დაჭკნებოდა, — ხმადაბლა თქვა გიომ, — მიხარია, რომ მოგეწონა... გავალ, გარეთ დაგელოდები.

მამაკაცი გავიდა თუ არა, ნინიმ საჩუქარი გულზე მიიხუტა.

კარგა ხანს იხეტიალეს სანაპიროზე. მერე შარდენზე გავიდნენ. შემხვედრნი ცნობისმოყვარედ ათვალიერებდნენ ორივეს.

— ხედავ, როგორ გცნობენ? — გაეღიმა ნინის. — პოპულარობა ხელს არ გიშლის ყოველდღიურობაში?

— როგორ გითხრა... არც კი ვიცი, რა გიპასუხო... არ მიფიქრია ამაზე. ვიცი მხოლოდ ერთი რამ. ჩემი პოპულარობა სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა. ტელევიზია არასაიმედოა ამ მხრივ. დღეს თუ შენი წარმატებით მაღლა აფრინდები, ხვალ შეიძლება მოწყვეტით დაენარცხო მიწას. ამიტომ თავში არ უნდა აგივარდეს და ყოველთვის უნდა იცოდე, როდის წახვიდე. როცა ჩემს შესაძლებლობებს ამოვწურავ, ჟურნალისტობას თავს დავანებებ... და ეს მოხდება მანამ, სანამ მიწას დავენარცხები.

— და რა უნდა აკეთო მერე?

— ვნახოთ... ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. რამეს მოვიფიქრებ. გგონია, ვერ შევძლებ ჩემი ცხოვრების კარდინალურად შეცვლას?

— ჩემი აზრით, შენ ყველაფრის გაკეთებას შეძლებ, რასაც მოისურვებ, — დარცხვენით ჩაილაპარაკა გოგონამ, — დიდი მადლობა, აქ რომ მომიყვანე.

— მეც მივიღე სიამოვნება, რა გგონია! ვიცი, ახლა რაც უნდა მითხრა... რომ შენითაც გააგნებ სახლამდე და რომ მეტს აღარ შემაწუხებ, რათა ძვირფასი დრო არ დამაკარგვინო, მაგრამ ასე ადვილად ვერ დააღწევ ჩემგან თავს, იცოდე!

— საიდან იცი, რა უნდა მეთქვა?

— ამ ერთი კვირის განმავლობაში საკმაოდ კარგად შეგისწავლე. ახლაც მივხვდი, რომ ტაქტიანად აპირებ ჩემს თავიდან მოშორებას. ასეა?

ნინიმ სიცილი ვერ შეიკავა.

— არ მომწონს, ასეთი გამჭვირვალე რომ ვარ!

— სულაც არა. ყოველი შემთხვევისთვის, სხვებისთვის არ ხარ გამჭვირვალე, — მრავლისმეტყველად შენიშნა რობაქიძემ და სანამ ნინი მისი ნათქვამის არსს ჩასწვდებოდა, გააგრძელა, — კიდევ რის ნახვას ისურვებდი საღამომდე? დროზე მითხარი, თორემ ხომ ხედავ, წვიმას აპირებს.

— წვიმას? გამორიცხულია! ისე ცხელა, არ არსებობს, იწვიმოს, — თავი გადააქნია ნინიმ, — ერთი რამ მინდა გთხოვო და იმედია, თავხედობაში არ ჩამითვლი...

— მთხოვე, რაც გსურს, დღეს შენი დღეა.

— ნაყინი მინდა.

— არის ნაყინი! რადგან შენი დღეა, უფლება გაქვს, გქონდეს ყველაფერი, რასაც მოისურვებ... აბსოლუტურად ყველაფერი...

— რა გულუხვი ხარ, — გაიხუმრა ნინიმ, მაგრამ მამაკაცს შეხედა თუ არა, ღიმილი ტუჩებზე გაეყინა.

გიო თვალებით ეფერებოდა მას... და ამ გამოხედვაში სწორედ ის გრძნობა გამოიხატებოდა, რომელიც სულაც არ საჭიროებდა სიტყვებს...

ნინის საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა, სხეულში უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა — ნერვიულმა და სასიამოვნომ ერთდროულად. უეცრად სურვილმა წამოუარა, ხელი ჩაეჭიდა მისთვის, ჩახუტებოდა მას და მისი ტუჩების სიმხურვალე კიდევ ერთხელ შეეგრძნო... „ეს იმიტომ, რომ თორნიკე მენატრება!“ — პანიკურმა შიშმა შეიპყრო გოგონა.

— აი, აქ დავსხდეთ... მე ნაყინს მოვიტან, — დახშული ხმით თქვა მამაკაცმა და ისე გატრიალდა, მისთვის არც შეუხედავს.

მის მოსვლამდე ნინი ცოტათი დაწყნარდა.

— გიო, აღიარე, ბოლოს როდის გაუმასპინძლდი ქალს ნაყინით? — მხიარულად ჰკითხა.

— არც კი მახსოვს, — ღიმილით უპასუხა რობაქიძემ და დაჯდა.

— შენთვის არ იყიდე?

— მე დიეტაზე ვარ! — საზეიმო ხმით განაცხადა. — ნაყინს ვერიდები!.. რა მითხარი, რამდენი წლის გავხდიო? — თვალები მაცდურად მოჭუტა მამაკაცმა.

— არაფერიც არ მითქვამს, — გადაიკისკისა ნინიმ.

— მე თუ მკითხავ, ათი წლის ბავშვის შეხედულება გაქვს, — გააგრძელა გიომ, — აჰა, აბა, რას ვამბობდი? ხედავ, ცხვირი როგორ დაგესვარა ნაყინით? ასე ხომ ბავშვები იქცევიან!

— ვაი! აბა საად? — თვალები დააელმა გოგონამ და ცხვირზე დაიხედა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

— აგერ! — თქვა მამაკაცმა და სანამ იგი გონს მოვიდოდა, ცხვირი ენის წვერით აულოკა.

წამით ნინის გარშემო სამყარო გაჩერდა. იგრძნო, როგორ გაუხურდა სხეული.

— შენ... მე... მგონი, ამბობდი, ნაყინი არ მინდაო... — აკანკალებული ხმით ძლივს ამოთქვა.

— ეს ყველაფერი დამღუპველი ჩვევების ბრალია! — ფრთხილად შენიშნა რობაქიძემ. — არავინ იცის, რაწამს შეგახსენებს თავს.

— ესე იგი, ნაყინზე გართულება გაქვს? — დაკონკრეტება სცადა გოგონამ.

— ნაყინზე არა! — ორაზროვნად უპასუხა გიომ და უეცრად სახე შეეცვალა. — წავიდეთ, თორემ გავილუმპებით.

ნინი მორჩილად მიჰყვა უკან. ისეთი შეგრძნება დაეუფლა,



თითქოს უკიდეგანო უფსკრულის პირას იდგა თავბრუდახვეული. „ღმერთო, ფრთხილად უნდა ვიყო, ასე როგორ შეიძლება!“ — გაიფიქრა შეშინებულმა.

მიუხედავად მისი შიშისა, დღის მეორე ნახევარმა ყოველგვარი ემოციური დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. რესტორანში ისადილეს. როცა გარეთ გამოვიდნენ, უკვე წვიმდა. გიოს პროგნოზი გამართლდა.

— ხელი ჩამჭიდე! — წამოიძახა უეცრად მამაკაცმა და სანამ ნინი გონს მოვიდოდა, რომელიღაც სასტუმროს ფოიეში ამოყვეს თავი.

— აქ რა გვინდა? — დაბნეულმა გოგონამ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

— დაველოდოთ, სანამ გადაიღებს. შევიდეთ ჰოლში, იქ თბილა, ბუხარი უნთიათ ყოველთვის.

ბუხარი მართლაც ენთო. მის ირგვლივ რბილზურგიანი სავარძლები განელაგებინათ. ნინი მსუბუქად ჩაეშვა სავარძელში და თვალები დახუჭა.

— ზღაპარში მგონია თავი, — ჩაიჩურჩულა და ფეხები მოგიზგიზე ცეცხლის ალს მიუშვირა.

ამ დროს ოფიციანტმა ცხელი ჩაი და ნამცხვრები მოიტანა.

— სამწუხაროდ, სადღესასწაულო ტორტი არ აღმოაჩნდათ, — თქვა გიომ და პატიების გამომხატველი მზერით მეორე სავარძელში მოკალათდა.

— მაოცებ... — თავი გააქნია გოგონამ.

— ხანდახან ჩემს თავსაც კი ვაოცებ... რას იზამ, ხანდახან...

— გიო... — მოულოდნელად წამოიწყო ნინიმ, — რაღაც მინდა გკითხო, თუ უხერხული არ იქნება.

— მკითხე, რა პრობლემაა?

— იცი, ვინ არის ის „ძვირფასი“, ლელუკა რომ ახსენებს ხოლმე?

— რა თქმა უნდა, ვიცი. ის დედაჩემის უფროსი ძმაა, ანუ ჩემი ბიძა. ცოლი ახალი შერთული ჰყავდა, პოლიომიელიტით რომ გაუხდა ავად. ის მდიდარი კაცი იყო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, ბიცოლაჩემი გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ ამაოდ. საწყალი ქალი სიკვდილამდე საწოლს მიჯაჭვული დარჩა. სწორედ ამ დროს გაიცნო ლელუკა. ის ბალერინა იყო და სწორედ იმ დასში ცეკვავდა, რომელსაც ჩემი ბიძა უწევდა სპონსორობას. ლელუკა მისი საყვარელი გახდა. მთელი თხუთმეტი წელი გრძელდებოდა მათი რომანი, ბიცოლაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. რომ არა ლელუკა, ბიძაჩემი ვერ გაუძლებდა იმ ტკივილს.

— ცოლმა იცოდა მათ შესახებ?

— არა. ბიცოლა ისე გარდაიცვალა, არაფერი გაუგია. ლელუკას სიგიჟემდე უყვარდა ჩემი ბიძა, თან გადაჰყვა, მაგრამ დაქორწინება მაინც ვერ მოასწრეს.

— რატომ?

— ჯერ ერთი, მაშინვე ხომ არ ითხოვდა ცოლს, წლისთავი მაინც უნდა გასულიყო. ამასობაში ბიძაჩემს გულმა უმტყუნა, როგორც ჩანს, ნერვულმა სტრესმა თავისი ქნა. იმდენი მაინც მოასწრო, რომ ლელუკას სახლი უყიდა, სწორედ ის, რომელშიც ახლა ცხოვრობს და ანგარიშიც გაუხსნა ბანკში, საკმაოდ სოლიდური თანხით. მერე დანიშნა კიდეც, მაგრამ არ დასცალდა. ჯვრისწერამდე სამი კვირით ადრე გარდაიცვალა.

— საცოდავი ლელუკა...

— ჰო. ბევრი რამ გადაიტანა... მეც მივლიდა ბიძაჩემთან ერთად, მე ხომ მასთან ვცხოვრობდი.

— ვისთან, ბიძასთან?

— ჰო. მას შვილი არ ჰყავდა და ჩემზე, როგორც შვილზე, ისე ზრუნავდა. სახლი, რომელშიც ვცხოვრობ, მან დამიტოვა ანდერძით.

— კარგი კაცი ყოფილა... მაპატიე ზედმეტი ცნობისმოყვარეობა.

— ეგ არაფერი... ლელუკა ოდესმე თავად მოგიყვებოდა ყველაფერს.

— ალბათ... არაჩვეულებრივი ჩაი იყო... და საერთოდ, მთელი დღე არაჩვეულებრივი იყო.

გიომ ყურადღებით შეხედა.

— სულაც არ არის აუცილებელი, ეს არაჩვეულებრივი დღე ამ ჰოლში დამთავრდეს. სასტუმრო დიდია, შესაძლებლობა — უამრავი. შეგვიძლია რამდენიმეს გავეცნოთ, — მის სიტყვებში დაფარული აზრი იკითხებოდა.

— ვშიშობ, ვერ შევძლებ, — თავიდან აირიდა ნინიმ წინადადება, — ისე დავიღალე, რომ ფეხზე ძლივს ვდგავარ.

— სასტუმროში საძინებლებიც არის... და როგორც ვიცი, არცთუ ურიგო...

„თავის მოკატუნება სისულელე იქნება. რა დიდი გაშიფვრა უნდა მის შემოთავაზებას? ერთი სიტყვაც საკმარისია და... ეგრევე გამაქანებს რომელიმე ნომერში. იქ კი... მასთან სექსი არ ამცდება... და არც მე ვიქნები ამის წინააღმდეგი. სწორედ მაშინ დამთავრდება ყველაფერი. არა! ეგ გამორიცხულია! ჩვენ ერთად ვერ ვიქნებით. ჩვენს ურთიერთობას მომავალი არა აქვს. ყველა სიკეთესთან ერთად, ამით სამსახურსაც დავკარგავ. გარდა ამისა, ეპიზოდური სექსუალური კავშირის მომხრე ნამდვილად არ ვარ. მე სიყვარული და ერთგულება მჭირდება. ამაზე ნაკლები არ მაკმაყოფილებს. ყველაფერი დინებაზე რომ მივუშვა, გიო შეიძლება ჩემი ცხოვრების აზრი გახდეს, მაგრამ მე ვინ ვიქნები მისთვის? ერთი რიგითი ტელეფონის ნომერი უბის წიგნაკში. ცოტა ხნის მერე კი ეს ნომერიც გაქრება, როცა მოჰბეზრდება ჩემთან, თითქოს არც ვყოფილვარ მის ცხოვრებაში“, — გაიფიქრა შუბლშეკრულმა და ნელა წამოდგა. გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ შინაგანად ისე ცახცახებდა, ნერვიულობისგან ყელი გაუშრა.

— მირჩევნია, შინ დავბრუნდე, — მტკიცედ წარმოთქვა.

— როგორც გენებოს, — ხელები გაშალა მამაკაცმა დანებების ნიშნად, — ვერაფერს დაგაძალებ, არც მაქვს ამის სურვილი. ტაქსის გამოვიძახებ.

გარეთ თავსხმა წვიმა იყო. ტაქსი მალევე მოვიდა. ნინი მანქანაში ჩაჯდა, თუმცა ფეხები უკან რჩებოდა. მამაკაცმა მძღოლს ფული გადაუხადა და გოგონას ხელი დაუქნია.

— შენ არ მოდიხარ? — ნინიმ ფანჯარა ჩამოსწია და გიოს მიაჩერდა.

— არა. მე ცოტა გაგრილება არ მაწყენდა, — მსუბუქი ირონიით უპასუხა მამაკაცმა.

— მაგრამ დასველდები ამ წვიმაში!

— ასეთ არაჩვეულებრივ დღეს? — დამცინავი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე გიოს. — არავითარ შემთხვევაში!

ტაქსი დაიძრა და ნინიმ დაინახა, როგორ გატრიალდა მამაკაცი და საწინააღმდეგო მიმართულებით დაუყვა ტროტუარს.

„სწორად მოვიქეცი, რომ არ დავრჩი“, — მთელი გზა უმტკიცებდა ნინი თავის თავს, — „მაგრამ თუ ეს ასეა, გული რატომ მტკივა ასე?“ იგი სარკმლიდან სევდიანად გაჰყურებდა ცარიელ ქუჩებს და ცდილობდა, გაეანალიზებინა ის, რაც მის თავს ხდებოდა. ამაღლებული განწყობილება, ბედნიერების შეგრძნება, რომელიც მთელი დღე თან სდევდა, თითქოს მოულოდნელად სადღაც გაქრა, მის ადგილას კი უნდობლობამ და ტკივილმა დაისადგურა.

გიოს ერთხელაც არ უხსენებია დღეს თორნიკე. არც კი უკითხავს, მასთან ერთად რატომ არ გაატარა დაბადების დღე. ნუთუ იცოდა, მისმა სიძემ რომ მოატყუა? იქნებ შეეცოდა ნინი და იმიტომ მოვიდა მასთან? იქნებ ნაკლებად კეთილშობილური მოტივი იმალებოდა მისი საქციელის უკან? ამის გაფიქრებაზე შეამცივნა. ყველაფერი გასაგებია. „მას ჩემი შეცდენა უნდოდა, რითაც საბოლოოდ დამაშორებდა თორნიკეს. იცის, რა თავისი შინაგანი ხიბლის ამბავი, ეგონა, მეც ადვილად მომაწონებდა თავს. ლამის გამოუვიდა კიდეც. რაღაც მომენტში თანახმაც კი ვიყავი, ნომერში ავყოლოდი. ძნელია ცდუნებას გაუძლო, როცა ასეთი მამაკაცი თავბრუს გახვევს. ვინ იცის, რამდენი ქალის ოცნების მამაკაცია... და არა მარტო თავისი პროფესიის გამო. ძალიან მამაკაცურია ისედაც... ღმერთო, რა სულელი ვარ! კიდევ კარგი, უარი ვუთხარი!“ — თავი დაიშვიდა და ტაქსიდან გადმოვიდა.

გოგონა უკვე აღარ ენდობოდა თავის თავს. მით უმეტეს, რომ თორნიკესთან ურთიერთობა დღითი დღე უფუჭდებოდა. ხვდებოდა, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მიილტვოდა გიოსკენ. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მასთან კარგად გრძნობდა თავს. რობაქიძესთან ნებისმიერ თემაზე შეეძლო ლაპარაკი, კამათი, განსჯა... მოსწონდა მისი ხალასი იუმორი, მხიარული ხასიათი... ამასთან, საინტერესო იყო მის გვერდით მუშაობა. მამაკაცი თავისი ბუნებრივი დინამიზმითა და ენერგიით ირგვლივ მყოფ ადამიანებს აჯადოებდა. „მორჩა! ასეთი დღეე-

ბი მეტჯერ აღარ განმეორება! რაც უფრო ხშირად შევხვდები, მით უფრო დამოკიდებული გავხდები მასზე და გამიჭირდება უარის თქმა. მასთან ურთიერთობაში რაღაც ზღვარი უნდა დავიცვა!“ — მტკიცედ გადაწყვიტა და კარს გასაღები მოარგო.

არა, რაღაც უნდა იღონოს. აღარ დაელოდება, თორნიკე როდის იშოვის ბინას. თვითონვე მოძებნის. აი, სამსახურში რამდენიმე გოგონა კიდევაც ცხოვრობს ქირით. ბოლოს და ბოლოს, რომელიმეს შეუამხანაგდება და... იქნებ ამან მაინც აუხილოს თორნიკეს თვალები და ცოტა აზრზე მოვიდეს? ამით გიოს ვიზიტსაც ადვილად აიცილებს თავიდან. მას ხომ ნებისმიერ დროს შეუძლია მოვიდეს ლელუკასთან და მასთანაც შეიაროს? როცა სხვაგან გადავა, ამის შესაძლებლობა აღარ ექნება და თვითონაც გაცილებით მშვიდად იგრძნობს თავს.

ნინი გააცილა თუ არა, გიომ გეზი პირდაპირ კრისტისკენ აიღო. ქალი მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას. იქაურობა კრისტის დაქალებით იყო სავსე, რაც მამაკაცს მაინცდამაინც არ ეპიტნავა. მიუხედავად ამისა, მაინც თავდაჭერილად მიესალმა სტუმრებს, მათთან ერთად სუფრას მიუჯდა და შეძლებისდაგვარად მოილხინა.

საღამომ მხიარულად ჩაიარა. უკვე გვიან იყო, კრისტიმ სტუმრების გაცილება რომ დაიწყო... ბოლოს მარტონი დარჩნენ. გიოსთვის გასაგები იყო, რატომაც დაპატიჟა ქალმა იგი ვახშამზე. კრისტი არც მალავდა ამას. იგი ვნებიანი მზერით შესციცინებდა ცნობილ ჟურნალისტს თვალებში და სულმოუთმენლად ელოდა, როდის გადმოდგამდა რობაქიძე საპასუხო ნაბიჯს. გიომ კარგად უწყოდა ეს და თავადაც სწორედ ამისთვის მოვიდა მასთან. თუმცა...

მიხვდა, რომ მას ეს ქალი არ უნდოდა. მისდა სამწუხაროდ, ამას მაშინვე მიხვდა, როგორც კი კრისტის სახლის ზღურბლს გადააბიჯა. დიზაინერი უმშვენიერესი იყო, ბრწყინვალე სხეული ჰქონდა, მაღალი მკერდი, ვნებიანი მიხრა-მოხრა... მაგრამ ამაოდ... გიო მის მიმართ არაფერს გრძნობდა და ვერც ვერაფერს უხერხებდა თავის თავს. სულ რომ გაშშვლებულიყო კრისტი ამწუთას და მის მკლავებში ჩავარდნილიყო, საპასუხო რეაქცია არ ექნებოდა.

ქალი არ გაჩერებულა. კარგა ხანს ლაყბობდა, რაღაც ისტორიებს ჰყვებოდა, თან ორი თითით მკერდთან შეკრული კოფთის ღილს აწვალებდა, რათა მამაკაცის ყურადღება მიექცია, მაგრამ გიოზე არც ამან მოახდინა შთაბეჭდილება. უკვირდა კრისტის, რატომ იქცეოდა იგი ასე, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. უეცრად გიო წამოდგა, ჩემი წასვლის დროაო, ჩაიბურტყუნა, ქალს დამნაშავის ღიმილით დაემშვიდობა და წავიდა.

თავზარდაცემული და გახევებული კრისტი კარგა ხანს იდგა გამოღებულ კართან.

გამოუძინებელს და გაღიზიანებულს დილით ადრე გაეღვიძა. უგემურად ისაუზმა და კომპიუტერს მიუჯდა, მაგრამ მუშაობას გული ვერ დაუდო. როცა მიხვდა, რომ არაფერი გამოსდიოდა, გადაწყვიტა, თავისი პატარა ნათლული მოენახულებინა.

კახა და ნათია სიხარულით შეხვდნენ გიოს გამოჩენას. პატარა გოჩაც აჭყლოპინდა, მაგრამ არც ამან უშველა, ვერა და ვერ გამოუკეთდა ხასიათი.

— შენ ცოლი გჭირდება, ჩემო კარგო, — ნათიამ მისი „დამუშავება“ დაიწყო, — ხვდები ვინმეს?

— დროდადრო.

— და ეს სერიოზულია?

— არ არის გამორიცხული, ნათი. შიგადაშიგ ჩაგაყენებ საქმის კურსში.



— კარგს იზამ, თუ გამაგებინებ! ასე ცხოვრება, შენც ხომ ხედავ, რომ მოსაბეზრებელია!

შინ დაბრუნებული საწოლზე მიწვა. შეიძლება მართალია ნათია. იქნებ შეირთოს ცოლი? აი, მაგალითად, კრისტი სულაც არ არის ცუდი ვარიანტი, მაგრამ რომ არ უყვარს? მერედა, რა აუცილებელია, მაინცდამაინც უყვარდეს? მისთვის ხომ ასე უცხოა ეს გრძნობა. მთავარია შეჩვევა. შეეჩვევიან ერთმანეთს და სიყვარულიც მოვა. მერე ბავშვები გაჩნდებიან და მის ცხოვრებასაც მეტი აზრი მიეცემა.

ასეთი მტანჯველი აზრებით დახუნძლული გამოცხადდა მეორე დილით სამსახურში, ოდნავ შეაგვიანდა კიდეც. ნინი უკვე მოსულიყო, კომპიუტერთან იჯდა და რომელიღაც ჩანაწერს უსმენდა. მამაკაცს გაფითრებული ეჩვენა იგი, თითქოს თვალებიც ჩაშავებოდა...

და უეცრად მისთვის გასაგები გახდა, რატომ არ დარჩა იმ ღამეს კრისტისთან. ნინი! ეს პატარა, ლამაზი გოგონა იყო ყველაფრის მიზეზი! როგორ მოუნდა ამწუთას, მისულიყო მასთან ახლოს, მას თმაზე თითებით შეხებოდა, თავი მის ყელში ჩაემალა და მოფერებოდა, შეესრუტა მისი ნაზი სხეულის სურნელი. ის მზად იყო, ყოველდღე გაეკეთებინა ეს, სიცოცხლის ბოლო წუთამდე... მხოლოდ ნინის შეეძლო მისი გულის სიხარულით ავსება და მისი ცხოვრების გალამაზება.

ამ აღმოჩენამ იმდენად დასცა თავზარი, რომ კედელს მიეყრდნო, რათა არ წაქცეულიყო.

— კარგად ხარ? — შეშფოთებული გოგონა წამოხტა და მისკენ წამოვიდა.

„ახლა რომ მომიახლოვდეს, დამერხევა!“, — შეშინდა გიო.

— წუხელ ზედმეტი დავლიე და იმის ბრალია, — იცრუა, — თუ ვინმემ დამირეკოს, უთხარი, მოგვიანებით იქნება-თქო. ახლა არავის თავი არ მაქვს, — მშრალად თქვა, მოახლოებულ გოგონას ცივად აუარა გვერდი და ოთახის კარი მიიხურა.

კაბინეტში შესულმა ონკანი მოუშვა და ცივი წყალი სახეზე შეისხა. როცა თავის თავს შეხედა სარკეში, შეამჩნია, როგორ შეცვლოდა გამომეტყველება, თითქოს მთელი ათი წლით დაბერებულიყო. „ჩემსავე დაგებულ მახეში გავები. რა ჩავიდინე ეს? მე მას არაფერში ვჭირდები. მას ის არარაობა უყვარს და ამას უნდა შევეგუო... თუკი შევძლებ, რა თქმა უნდა“, — საკუთარ ორეულს სიმწრით გაუღიმა მამაკაცმა და ღონემიხდილი დივანზე ჩამოჯდა.

არა, ასე გაგრძელება არ შეიძლება, რაღაც უნდა მოიფიქროს. როგორმე უნდა დააღწიოს თავი ამ მდგომარეობას. ეს გოგო, ბოლოს და ბოლოს, მისი სიძის საყვარელია, ყველაფერს რომ თავი დაანებოს! რა გამართლება ექნება მის საქციელს? სულაც რომ თანახმა იყოს ნინი, თორნიკეს როგორღა შეხედოს თვალებში? მერე რა, თუკი იგი მის ბიძაშვილს ღალატობს? ამით თავს ვერ გაიმართლებს. განა ქალი დაილია ამქვეყნად? ასე ახლოს მაინც არ იყოს მასთან, მის დაქვემდებარებაში მაინც არ მუშაობდეს! ყოველდღე რომ არ ხედავდეს, იქნებ დაივიწყოს კიდეც. ჰო, ეგ მართალია! აი, საიდან უნდა დაიწყოს! იქნებ შვებულება აიღოს და დროებით წავიდეს თბილისიდან? რამდენი ხანია, სოფელში არ ყოფილა, მშობლებს მოინახულებს, დაისვენებს, განიტვირთება... ამასობაში გაუვლის კიდეც და დამშვიდდება. რომ დაბრუნდება, დასვენებული გონებით და ენერგიით სავსე უფრო აქტიურად გააგრძელებს მუშაობას. კარგი აზრია, ძალიან კარგი!.. და დღესვე შეუდგება მის განხორციელებას!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43-46

მარი ჯაფარიძე

ანა გარეგნულად ძალიან ნაზი, ქალური, ჰაეროვანი და ფერიასავით ლამაზი იყო. მანერებიც და ჩაცმის სტილიც ისეთი ჰქონდა, როგორიც ნამდვილ ლედის შეეფერება — დახვეწილი და ელეგანტური, მაგრამ მისი შინაგანი ბუნება გარეგნობასთან სრულ კონტრასტს ქმნიდა — ჯიუტსა და თავნებას ვაჟკაცური თვისებებიც მკვეთრად ჰქონდა გამოხატული. ცხოვრებას არასოდეს უშინდებოდა და თუ საჭირო იყო, მუშტი-კრივშიც კი ჩაებმებოდა... როცა თავისი აზრის დაცვა სჭირდებოდა, სალი კლდესავით შეუვალი ხდებოდა და თუ რამეს ჩაიფიქრებდა, აუცილებლად მიაღწევდა საწადელს... შესაშური ნებისყოფაც ჰქონდა და ამ თვისებებმა მის ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა.

მამაკაცები მუდამ ბუზებივით ეხვეოდნენ და ყველგან ყურადღების ცენტრში ექცეოდა... მის მოვლილ და ჩამოქნილ თითებზე კოცნაც კი ბევრს ნატვრად ჰქონდა გადაქცეული.

ანა ამ ყველაფერს მიჩვეული იყო და უჩვეულოდ ის უფრო მიაჩნდა, თუ ახალგაცნობილი მამაკაცი მის შებმას არ დაიწყებდა.

არც ახლა გაჰკვირვებია, როცა ახალნაყიდი მანქანის გადასაფორმებლად რუსთავში მიმავალს, მის გვერდით, სავარძელში, უდარდელად გადაწოლილი მანქანის ძველი პატრონი თვალებით ჭამდა და ათასგვარ სისულელეზე ელაპარაკებოდა, ოღონდ მისი ყურადღება მიეპყრო.

— 2 თვის წინ ვაკეში სახლი ვიყიდე, რემონტი უკვე დავამთავრე, ახლა კი დროა, ცოლის მოყვანაზე ვიფიქრო, — ყბედობდა ჯონი, — მანქანაც მყავს, ქონებაც მაქვს და ცხოვრებაც, მარტო ერთი კარგი დედაკაცი მაკლია, რომ ოჯახი ავაწყო.

— კი, მაგრამ აქამდე რატომ არ მოიყვანე ცოლი? — ანამ ჯონის მოზრდილ ღიპსა და ღაბაბს თვალი შეავლო და გაეცინა.

— აქამდე როგორ მოვიყვანდი, ქოხში ხომ არ ვაცხოვრებდი და ავტობუსით ხომ არ ვატარებდი? ჩემს ცოლს არ ეკადრება, გენაცვალე, ასეთი ცხოვრება...

— ჩემო ჯონი, ერთი ის მითხარი, რას მატყობ, რომ დედაკაცი ვარ ან ვინმეს ქონებას დავხარბდები და სიმდიდრის გამო გათხოვებას გადავწყვეტ?

— ა-ა-რრა, როგორ გეკადრება, გენაცვალე, — ჯონი ასეთ პირდაპირობას არ ელოდა და ცოტათი დაიბნა, — ვინ გითხრათ, რომ ვინმეს ქონებას დახარბდებით? მე თქვენ არ მიგულისხმიხართ.

— გინდა თქვა, რომ ამ ყველაფერს, რასაც ახლა ლაპარაკობდი, ჩემს გასაგონად არ ამბობდი?

— აარრა, კი... არა, არა, თქვენს გასაგონად არ ვამბობდი, — საბოლოო ჯამში გადათქმა ამჯობინა, რომ ქალი არ გაენაწყენებინა და ამით მისკენ მიმავალი გზა სულ არ მოეჭრა.

— კარგი, რადგან ჩემს გასაგონად არ ამბობდი, მაშინ კეთილი ინებე და გაჩუმდი, შენი სამომავლო გეგმები არ მაინტერესებს, — გააჩუმა ანამ.

ჯონი გაბუტული ბავშვივით კუთხეში მიიყუჟა და ხმა აღარ ამოუღია. მხოლოდ ხანდახან გადახედავდა ხოლმე საჭესთან მჯარ ქალს და ეგ იყო...

— ნომერი შეარჩიეთ, ქალბატონო, — მიმართა ოპერატორმა გოგონამ და ხელი ზურგს უკან, თაროებზე განთავსებული სანომრე ნიშნებისკენ გაიშვირა.

— ეგ ნომერი არ მინდა, — მოჭრით თქვა ქალმა.

— აბა, რა ნომერი გნებავთ?

— როგორც ვიცი, ფასიანი ნომრებიც გაქვთ და ნებისმიერი სახელის ნომრად აღება შემიძლია.

— დიახ, თუ დაკავებული არაა, რა თქმა უნდა.

— არა მგონია, რომ დაკავებული იყოს, — რაღაცნაირად, უცნაურად ჩაიცინა ანამ, — ultrix-ი მინდა...

— უკაცრავად, როგორ თქვით?

ანამ ფურცელზე დაწერა — ultrix და ოპერატორს მიაწოდა.

— ეს ნომერი 10 ათასი ლარი დაგიჯდებათ, — გაფრთხილებასავით გაისმა ოპერატორის ხმა.

— არა უშავს, დამიჯდეს, მთავარია, რომ გარკვევით ეწეროს, — ისევ უცნაურად ჩაიცინა ქალმა.

— სალაროში 10.000-ლარიანი ქვითარი აიღეთ, შემდეგ გარეთ გაბრძანდით, ხელმარჯვნივ, ერთსართულიან შენობაში მიბრძანდით და იქ დაგიმზადებენ...

რამდენიმე წუთის შემდეგ ანას მზა სანომრე ნიშანი ხელში ეჭირა და უცნაურად დაჰყურებდა... ნომრები მანქანაზე იქვე დაუმაგრეს.

ქალმა შორიდან შეხედა თავის წითელ „მერანს“ და კმაყოფილი მიუჯდა საჭეს.

— ანა, რას ნიშნავს ეგ სიტყვა, ნომრად რომ აიღე? — ჰკითხა ჯონიმ, როდესაც თბილისისკენ მომავალ ტრასას დაადგნენ...

— ეგ ლათინური სიტყვაა, ცოტა რთული ასახსნელია, — თავი აარიდა პასუხს ანამ.

— უცნაური ქალი ხარ, — თავისი „კომპეტენტური“ აზრი გამოთქვა ჯონიმ.

— შეიძლება უცნაური ვარ, მაგრამ იქნებ თქვენ, დანარჩენი ადამიანები ხართ უცნაურები და მე — ჩვეულებრივი?

— შეიძლება, — ცოტა ხნის შემ-

დეგ უპასუხა მამაკაცმა, მაგრამ გულში მის ნათქვამს არ დაეთანხმა, — ისე, სვანები ყველანი უცნაურები ხართ, — დაასკვნა ბიოლოს და გაჩუმდა.

ანას მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ჯონი იქ ჩამოსვა, სადაც მამაკაცმა მიუთითა და ვიდრე მანქანას დაძრავდა, აწკრიალებულ ტელეფონს უპასუხა.

— დავით, ჩამოხვედი? — ჩასძახა ტელეფონში გახარებულმა.

— ჰო, აეროპორტში ვარ, თუ შეგიძლია, მოდი, შე ქაჯანავ, თუ არა და, ტაქსით წამოვალ, — ბიძამისსაც გაუხარდა დისშვილის ხმის გაგონება.

— მოვალ, დამელოდე, — ტელეფონში ჩასძახა ანამ და გეზი აეროპორტისკენ აიღო. თბილისში ანას ჩამოსვლამდე 2 კვირით ადრე დავითი საქმის გამო პრაღაში გაემგზავრა, ანას კი დაურეკა და ბოდიში მოუხადა, რომ თბილისში ვერ დახვდებოდა.

ბიძა-დისშვილი ერთმანეთს თბილად გადაეხვია... დავითი ანასთვის მამაც იყო, მეგობარიც, ძმაც და ბიძაც. მასზე ახლობლად არავინ მიაჩნდა და თავისი ცხოვრება დავითის გარეშე ვერც წარმოედგინა.

— ვაა, მანქანის ყიდვა უკე მოგისწრია, — დავითმა კმაყოფილებით შეათვალიერა ანას ავტომობილი...

— კი, ჩამოვედი თუ არა, მეორე დღესვე შევიძინე, მოგწონს? — ჰკითხა, გასაღები გადაატრიალა და გვერდით მჯდომ დავითს ღიმილით შეხედა...

— კი, მაგარია, 100 ათასს გადაიხდიდი, ამ „თოჯინაში“...

— არა, მაგდენი არ მიმიცია, 20 ათასით ნაკლები გადავიხადე...

— სამაგიეროდ, ნომრებიანად დაჯდებოდა მაგდენი, — გაეცინა დავითს.

— ნომრებიანად — კი.

— ჯიუტი ხარ, ჩემო პატარავ, — თმა მოუჩეჩა სიყვარულით დავითმა, — შენი მანქანის ნომრით თუ ვიმსჯელებთ, ფიცის გატეხას არ აპირებ...

— არ ვაპირებ, მაგრამ ჯერ მანამდე დრო მაქვს, ბიზნესის წამოწყებას ვაპირებ...

— შეეშვი, რად გინდა, აგერ, ჩვენი საერთო საქმიდან წილი ხომ გაქვს, არც საბანკო ანგარიშებს უჩივი და რაღად გინდა ახალი თავსატეხი?

— ხომ იცი, მე უსაქმოდ ვერ გავჩერდები, რაღაც უნდა ვაკეთო...

— აგერ, ჩაუდექი სათავეში შენს დაარსებულ კომპანიას, მე კი დაგეხმარები და აკეთე საქმე, რამდენიც გინდა...

— არა, დავით, ეგ არაფერია... ბავშვობიდან დიდი კომპანიის ხელმძღვანელობაზე ვოცნებობდი, ძალიან მაგარი ოფისით და ბევრი თანამშრომლით.

— ღმერთმა დიდი შეცდომა დაუშვა, შენ რომ ქალად გაგაჩინა...

— მე კი მიმაჩნია, რომ ძალიანაც კარგად მოიქცა... არ ვნანობ, ქალი რომ ვარ...

დავითმა მხოლოდ თავი გადაქნია...

ამასობაში დავითის სახლთან მივიდნენ და ბარგი ძლივს აათრიეს მეორე სართულზე.

ანას მონატრებოდა ბიძამისის სახლი, სადაც 5 წელი გაატარა და მიაჩნდა, რომ ის მისი სახლიც იყო.

— საჩუქრები ჩამომიტანე? — ანამ უზარმაზარ ჩემოდნებს გადახედა და ისე, როგორც ბავშვობაში, როცა დავითი მივლინებიდან ბრუნდებოდა ხოლმე, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაძვრებოდა თავდაყირა ამ უზარმაზარ და უძირო ჩემოდნებში, რომ მათი შიგთავსი საფუძვლიანად შეესწავლა. იქ ტკბილეულთან ერთად აუცილებლად რაიმე სიურპრიზიც ელოდა ხოლმე.

— კი, ჩამოგიტანე, მიდი, გაქექე ჩემოდნები, ხომ ვიცი, ერთი სული გაქვს, — გაეცინა დავითს, — მეცოდები, რომ ტანისამოსი არ გაქვს და ტკბილეულიც დიდი ხანია, არ გიჭამია, მე რომ არ გყავდე, რა გეშველებოდა?

ანამ ჩემოდანი დივანზე დადო და საკეტები ერთმანეთის მიყოლებით, ნელ-ნელა გახსნა.

მაშინაც ასე იცოდა, იხანგრძლივებდა სიამოვნებას... ნელა ირჯებოდა და ამ დროს იმაზე ფიქრი უყვარდა, გამოიცნობდა თუ არა, რას ჩამოუტანდა საყვარელი ბიძა, მაგრამ როგორც წესი, ვერასოდეს ხვდებოდა წინასწარ.

ამჯერად უამრავი შოკოლადი და 2, ძალიან ლამაზი თოჯინა იდო ჩემოდანში.

— ერთი ნინოსია? — მიხვდა ანა.

— ჰო, — დავითმა თავი დაუქნია.

ანამ ორივე თოჯინა ამოიღო ყუთებიდან, ერთმანეთს შეადარა და რომელიც უფრო მეტად მოეწონა, თავისთვის ის დაიტოვა.

დავითმა და ანამ რესტორანში ისადილეს და საუბარს კარგა ხანს შეჰყვნენ. გვიან საღამოს კი ანა დავითს გამოემშვიდობა.

მას მაიკოსთან და მახოსთან სტუმრობა ჰქონდა გადაწყვეტილი.

მეგობრის ოჯახთან ურთიერთობა მას შემდეგ გაწყვიტა, რაც ლევანს დაშორდა. ამ ადამიანზე ერთი სიტყვის გაგონებაც კი არ უნდოდა და როდესაც მაიკოს ნახულობდა, ძალაუნებურად, ლევანზე ჩამოაგდებდნენ ხოლმე სიტყვას.

ამიტომ გოგომ მეგობარს გულახდილად უთხრა, რის გამო წყვეტდა მასთან ურთიერთობას და ბოდიშიც მოუხადა...

12 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მაიკო აღარ უნახავს... მეგობრის შესახებ ისიც კი არ იცოდა, შვილი ჰყავდა თუ არა. ამიტომ, მაღაზიაში საჩუქრის საყიდლად შესულმა, ისევ ტბილეულის ყიდვა არჩია და რამდენიმე წუთის შემდეგ მაიკოს სახლის კარს მიადგა.

მაიკო თვალებს არ უჯერებდა, კართან ანა რომ დაინახა. მეგობარს კისერზე ჩამოეკიდა და იმდენი კოცნა, ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცა.

— შემოდი, შემოდი, — ხელი ჩაავლო და შინ ისე შეიყვანა. თითქოს შიშობდა, რომ ანა უარს ეტყოდა და უკან გაბრუნდებოდა.

ანამ იქაურობას თვალი მოავლო, მაგრამ იქ ნაცნობი და ძველი ვერაფერი აღმოაჩინა.

ბინა გაერემონტებინათ, ავეჯი შეეცვალათ და ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა.

— მარტო ხარ? — ირგვლივ მაიკოს გარდა სულიერი ვერ დაინახა ქალმა.

— ჰო, მახო რაიონში მუშაობს, დიდი ობიექტი აქვს აღებული და კვირაში ორჯერ ჩამოდის მხოლოდ.

— ბავშვები?

— შვილი არ მყავს, — სევდიანად თქვა მაიკომ, — თითქმის ყველა ცნობილი ექიმი მოვიარეთ, გვეუბნებიან, რომ ყველაფერი წესრიგში გვაქვს, მაგრამ არ ვფეხმძიმდები...

— ეს ძალიან ცუდია, მე მეგონა, ახლა უკვე მოზრდილი ბავშვები გეყოლებოდა.

— ეჰ, არ გამხადა ღმერთმა დედობის ღირსი, — ამოიოხრა მაიკომ.

— მე ავიღებ მაგას ჩემს თავზე, ამერიკაში გაგიშვებ, იქ ერთი კარგი ექიმია, რომელიც ამ სფეროში სასწაულებს ახდენს და პირობას გაძლევ, რომ მაგ პრობლემას გადავჭრით.

— შენ როგორ ხარ? გავიგე, რომ ამერიკაში წახვედი; დიდი ხანია, რაც დაბრუნდი?

— 4 დღეა, რაც ჩამოვედი...

— ანა, კიდევ უფრო გალამაზებულხარ...

— იჰ, — ხელი ჩაიქნია ანამ, — კარგი, რა... ახალი რა არის, ის მითხარი.

— მნიშვნელოვანი არაფერი, რომ მოსაყოლად ღირდეს.

— კი, მაგრამ ნუთუ, 12 წლის განმავლობაში ისეთი არაფერი მოხდა, რომ მომიყვე? — ანა მიხვდა, რომ მაიკო ლევანზე ლაპარაკს განგებ

არიდებდა თავს.

— არა, არაფერი, — ისევ გააქნია თავი.

— ლევანი როგორაა? — პირდაპირ ჰკითხა ქალმა.

— რა უჭირს, არის ძველებურად. ცოლს გაშორდა და შვილს თავად ზრდის, რადგან იმ გოგომ თან არ წაიყვანა. ახლა უკვე 12 წლისაა, დიდი გოგოა და მამაზე ჭკუას კარგავს, ისე უყვარს, — მაიკოს ლაპარაკი ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა.

— ჰო, მახო... კარგად, შენ?.. მეც მომენატრე, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა მაიკო, — იცი, ჩვენთან ვინაა სტუმრად?.. ანა... ჰო, ის ანა... კარგი, მოგიკითხავ, თვითონაც მოგიკითხა... კიდევ მოვა, ნუ ინერვიულებ... მაშინ ნახავ... ხომ მოხვალ კიდევ, ანა? — ჩაეკითხა მეგობარს.

ანამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ჰო, მოვალო, მოვალო, — ხმამაღლა გადაიკისკისა მაიკომ და ქმარს დაემშვიდობა.

— ანა, იცი, როგორ მიხარია, რომ დამიბრუნდი? გულის სიღრმეში ყოველთვის მჯეროდა, რომ აუცილებლად მოხვიდოდი, რადგან ჩვენი მეგობრობის ასე გაწყვეტა უსამართლობა იყო. თავიდან მიჭირდა შენთვის ამ ნაბიჯის პატიება, რადგან ლევანის დასავიწყებლად ეს გამოსავალი არ იყო, მაგრამ მერე, დროთა განმავლობაში დავივიწყე წყენა და ძალიან მენატრებოდი ხოლმე... იცი, რამდენჯერ დავრეკე შენთან და ყურმილი ისე დავკიდე, რომ არ დაგელაპარაკე?

— შეყვარებული მამაკაცივით იქცეოდი? — გაიცინა ქალმა.

— ჰო, და ვიცი, რომ შენც ასე იქცეოდი.

— კარგი, რაც იყო, იყო, ახლა თავიდან დავიწყოთ ყველაფერი...

— იცი, მაშინ ძალიან განვიცადე, ბავშვი რომ გარდაიცვალა...

ანას ფერი ეცვალა.

— შენც იცი? — არ ელოდა, რომ მისი და ლევანის შვილის გარდაცვალების ამბავი მაიკოს ყურამდეც მივიდოდა.

— კი, ვიცი და ისიც ვიცი, რომ ამის გამო სვანეთან უკმაყოფილება მოგივიდა.

— ჰო, — თავი დააქნია ანამ, მაგრამ მაიკოს ლაპარაკი აღარ ესმოდა. კედელზე, ერთ ადგილს გაუშტერა თვალი და თითქოს ფილმს უყურებსო, ისე ნათლად დაინახა იმ საშინელი დღეების კადრები.

როგორც კი ანა მიხვდა, რომ ორსულად იყო, ბევრი არ უფიქრია, მაშინვე დავითს გაუმხილა. ბიძამ გაუგო, საყვედურიც კი არ დასცდენია...

მისი ფეხმძიმობა დამალა, მაგრამ ანას ნათესავების (მამის მხრიდან) ყურამდე მაინც მიაღწია ამ ამბავმა.

თბილისში ჩამოსულმა მურთაზმა შემთხვევით მოჰკრა თვალი 9 თვის ფეხმძიმეს და დავითს მიუვარდა. მაშინ მურთაზსა და დავითს შორის დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა.

მურთაზი დავითს ბრალს სდებდა, რომ უმამო ბავშვი თავისთან წამოიყვანა და სათანადოდ ვერ მიხედა, ანას კი მოკვლით ემუქრებოდა. დავითი ანას იცავდა და მურთაზს სთხოვდა, რომ გოგონასთვის ხმა არ გაეცა.

მურთაზმა სვანეთიდან თავისი ძმები გამოიძახა. დავითს მაშინ მიუცვივდნენ, როცა ანა შინ არ იყო და სცემეს. შინ დაბრუნებულ ანას ბიძაშვილები ისევ იქ დახვდნენ, დავითის სახლში ჯერ კიდევ ალიაქოთი იყო...

დასისხლიანებული დავითის დანახვაზე გოგონას ისტერიკა დაემართა და შიშისა და ფსიქოლოგიური შოკის გამო ნაადრევი მშობიარობა დაეწყო.

დავითი უკვე „სასწრაფოს“ ჰყავდა წაყვანილი. ანა მურთაზმა სამშობიაროში ტაქსით წაიყვანა. 3 კვირით ადრე გოგონა გააჩინა. ბავშვი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო...

3 დღის შემდეგ აცნობეს, რომ ჩვილი გარდაიცვალა...

მძიმედ გადაიტანა ის დღეები ანამ, მაგრამ თავი ხელში აიყვანა და სამშობიაროდან გამოსული იმაზე ფიქრობდა, ნათესავები როგორ დაეშოშმინებინა, რომ ამ სირცხვილის გამო გვარიდან არ მოეკვეთათ.

ფიქრი მაიკომ გააწყვეტინა. ვიდრე ანა თავის წარსულზე ფიქრობდა, მას ყავის მოდუღება მოესწრო.

ქაფქაფა, სურნელოვანი სითხით სავსე ფინჯნები ოთახში შემოჰქონდა, როდესაც კარზე ზარის ხმა გაისმა.

— გააღე, რა, მეზობელი იქნება, მაგას ჩემი სტუმარი არ გამოეპარება, — აქოთქოთდა მაიკო, — თუ დაინახა, რომ ვინმე მოვიდა, აუცილებლად შემოვა, რომ „დასმოტროს“, ვინაა და რაზეა მოსული.

ანა ღიმილით ადგა, მაგრამ კარი რომ გააღო, ღიმილი სახეზე შეეყინა...

იქ ლევანი იდგა და ქალს მდუმარედ შეჰყურებდა... ხმას ვერც ანა იღებდა. კარგა ხანს იდგნენ ასე, ვიდრე მაიკო არ გამოვიდა.

— ლევან, შენ? — მოულოდნელობისგან იქვე შედგა. — შემოდი, შემოდი, — შემოიპატიჟა შემდეგ.

ლევანი შემოვიდა, ჯერ ანა გადაკოცნა, შემდეგ მაიკო და ოთახში შეაბიჯა.

— თავს დავდებ, რომ ჩემმა ქმარმა დაგირეკა, — მაიკო უკან მიჰყვა.

ანამ ერთი პირობა გადაწყვიტა, უსიტყვოდ წასულიყო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. რა ჰქონდა გასაქცევი? რატომ უნდა აერიდებინა თავი?

თვითონაც ოთახში შევიდა და მამაკაცის პირისპირ, დივანზე დაეშვა.

— ანა, როგორ ხარ? — ლევანმა ოფიციალური სახე მიიღო და ხმასაც ასეთი ტონი მისცა.

— კარგად, თავად?

— მეც არა მიშავს. როდის ჩამოხვედი?

— რამდენიმე დღეა.

— მე მაღაზიაში ჩავალ, — ხმამაღლა თქვა მაიკომ და კარს მიღმა გაუჩინარდა, მაგრამ ეს უწყინარი ტყუილი საჭირო არც იყო... მის გასვლას ვერც ვერავინ შენიშნავდა, წყვილი ისე იყო ერთმანეთის თვალიერებით გართული.

— ისევ ისეთი ლამაზი ხარ, — მამაკაცმა კომპლიმენტი უთხრა.

— შენ კი გაზრდილხარ, გაჭაღარავებულხარ, ასაკი დაგტყობია, — არ დაინდო ქალმა...

— ჰო, უკვე 40-ს მივუკაკუნე, — ჩაიცინა ლევანმა.

მამაკაცი ადგა და ანას მიუახლოვდა. დაიხარა, 2 თითი ნიკაპში ამოსდო და თავი ააწევინა.

— შენ კი ისევ ისეთი პატარა გოგო ხარ, — სახე ახლოს მიუტანა და თვალებში ჩახედა.

— შეხება არ გაბედო, — კბილებში გამოცრა ანამ ისე, რომ თავი არ გაუწევია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

აგერ, უკვე მეშვიდე წელიწადია, „გზავნილებს“ ვწერ და 7 წლის განმავლობაში, კვირაში ერთხელ, შესავლის დაწერა მიწევს. ზოგს მოსწონს, ზოგს — არა, მაგრამ მაინც ხომ ვწერ? ჰოდა, ნუთუ არ შეიძლება, რომ ერთხელაც, შესავლის გარეშე დავწერო? რა მოხდება ვითომ? ჰოდა, ეს „ტირადა“ სწორედ იმიტომ დავიწყე, რომ მეთქვა, ამჯერად შესავალს არ გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ მაინც არ გამოვიდა... რაც დავწერე, იმას სხვა რა ჰქვია, თუ არა — შესავალი? ჰოდა, მოკლედ და კონკრეტულად, თქვენს მესიჯებს გთავაზობთ, თქვენს „არანორმალურ“ მეზობლებთან დაკავშირებით რომ გამოგზავნეთ.

ჩემი უჩვეულო მეზობლები

გადამგდები

„2 წელია, ქირით ვცხოვრობ და ერთ დღეს, გვერდით ოთახში ერთი ქალი გადმოვიდა. ნუ, ჯერ პირველ დღესვე გაგვაოცა. ტაქსის მძღოლისთვის, რომელმაც ბარგი მოატანინა, თურმე ადგილზე მოსვლის მერე უთქვამს, ნისიაზე წამოგიყვანეო. რაღას იზამდა საწყალი მძღოლი? როგორც კი წავიდა, მაშინვე თქვა, გადავაგდე ის მძღოლიო. :) მეორე დღეს სტუმრები მყავდნენ და საფერფლეს ვერ მივაგენი. ჰოდა, რატომღაც გარეთ ჩავილაპარაკე ჩემთვის, ნეტავ სად წავიდა ეს ოხერი საფერფლე-მეთქი? უი, მწვანე ხომ არ იყოო? კი, ქალბატონო, თქვენ რა იცით-მეთქი? უი, შვილო, აგერ იდო გარეთ და გამიხარდა, რომ ვიპოვე, საფერფლე არ მქონდაო. ვაიი, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გამომელანძღა. ისე, 3 დღეში უკან გავუშვით ჩემი უჩვეულო მეზობელი. აზერი“.

მაკონტროლებელი

„ეს ალბათ იშვიათი გამონაკლისი არ არის, მაგრამ მეზობლად ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობს, რომელიც თითქმის სულ ეზოშია და სრულად აკონტროლებს თავის ტერიტორიას. ზუსტად იცის ირგვლივ მაცხოვრებელთა პირადი ცხოვრება, ვინ ვისთან როდის შედის და გამოდის, სანამ ქალს მუცელი გაეზრდება, კარგა ხნით ადრე ამბობს, ორსულად არისო და არც ცდება. თუ ვინმე დაოჯახდა, მეორე დღეს მოყვრების ოჯახზე უკვე ყველაფერი იცის — რამდენოთახიანი ბინა, როგორი სამსახური, ანაზღაურება აქვთ; სიძეს ან პატარძალს რა უყიდეს და ა.შ. მოკლედ, ყველაფერზე ფლობს ამომწურავ ინფორმაციას. კიდევ კარგი, შეყვარებული არ მყავს, თორემ მაგას გამოაპარებ რამეს? სვანის ასული“.

საწყალი მანანა

„ჩემი მეზობელი მანანა 62 წლისაა. თავის დროზე შვილებიც გააჩინა, გაზარდა, დააოჯახა, შვილიშვილებსაც მოესწრო და სწორედ მაშინ, როცა ჰაერივით სჭირდებოდა მარტო ყოფნა და დასვენება, რუსეთში მყოფმა შვილმა „ნახევრად რუსი“ შვილიშვილი ჩამოუყვანა, თავად კი ისევ რუსეთში დაბრუნდა იმ პირობით, რომ ცოტა ხანში დაბრუნდებოდა და შვილს უკან წაიყვანდა, მაგრამ ეს პირობა მე-14 წელია, ვერ შეასრულა. ვანიას, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მამა ჰყავს, მაინც რუსის სისხლი უჩქეფს და ძნელი მოსათვინიერებელი აღმოჩნდა. სისხლი გაუშრო მანანას. ეს პატარა ლაწირაკი ისეთ დღეშია, სახლში ყველაფერს ლეწავს. დატუქსვის შემთხვევაში კი ორ იმდენს „აკეთებს“. ამიტომაც ჩუმადაა მანანა და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა თავისი შვილი ჩამოვა და ვანიას წაიყვანს, მაგრამ ვერ აუხდა ეს ნატვრა. მერე სკოლაშიც შეიყვანა ბიჭი და სწორედ აქ დაიწყო მისი გაათმაგებული ტანჯვა-წამება. ქართველ ბავშვებს ვერ შეეწყო ვანია, ვინც თვალში არ მოუვა, გამეტებით ურტყამს. თუ ვინმე აქეთ დაარტყამს, მასზე გაბრაზებული მანანაზე იყრის გულის ჯავრს და სანამ სკოლაში არ წაიყვანს იმ ბავშვის გასაღახავად, მანამდე არ მოისვენებს ხოლმე. ისიც მორჩილად მიჰყვება და „ძველი ბიჭივით“ არჩევს საქმეებს. ვანიას თავის უბანში აღარ მიესვლება, რადგან ყველა მისი ტოლი ნაცემ-ნაბეგვი ჰყავს. ამიტომ ჩემს ბიძაშვილთან მოუხშირა სიარულს. ერთ დღეს, ატეხილ ხმაურზე გარეთ გავედი და რას ვხედავ? ეს ჩვენი ვანია მუშტის ქნევით ემუქრებოდა ვაუკაცურად მდგომ, ყელმოღერებულ ქართველებს. მერე, როცა ერთ-ერთმა მხარში ხელი ძლიერად დაარტყა, მუქარა შეწყვიტა და შეტევაზე გადავიდა. ისე ამოუნაყეს ცხვირ-პირი, როგორც ქართველ ვაუკაცებს შეშვენით. არც ვანიამ დააკლო მათ. ბოლოს, ნაცემმა, ნიანგის ცრემლები გადმოყარა და ისევ მუქარას მიჰყო ხელი, ოღონდ ამჯერად მუშტს აღარ იქნევდა, ხელებით ცრემლებს იწმენდდა. ვანიას წლები ემატება, რაც უფრო იზრდება, მისი მოთხოვნებიც იმატებს. მანანა თავბედს იწყევლის და ისევ იმ ნანატრ დღეს ელოდება, როცა თავისი შვილი ჩამოვა. თუმცა, არა მგონია, ვანიას შეელოს... მასაც არ უნდა რუსი დედა და რუსეთში დაბრუნება, ქართველი ბებია და საქართველო ურჩევნია. ლუნა“.

კოტე და თეო

„უჩვეულო მეზობლების თავყრილობა მაქვს სამეზობლოში. კოტე და თეო მარკეტში მუშაობენ (უფრო სწორად, თეო მუშაობს, მაგრამ კოტე უსახლკარო ბავშვივით, მთელი დღე მასთანაა). კოტე მხიარული, სიტყვამოსწრებული და ენაწყლიანი ბიჭია. რამდენიმე დღის წინ მათთან ორი კაცი შესულა, მეგობრის ბავშვებისთვის ტკბილეულის ყიდვა უნდოდათ. ბევრნაირი შოკოლადი უყიდიათ და ბოლოს ერთს ნაზუქი დაუნახავს. ატრიალებს თურმე ხელში და თეოს გაუთავებლად ეკითხება, ამ ნაზუქს კვერცხი უკანა მხარეს რატომ არ უსვიაო? კოტეს თეოს შეწუხებული სახე რომ დაუნახავს, მასთან მისულა. ახლა ამ კაცს კოტესთვის უკითხავს: ნაზუქს კვერცხი წინიდან რომ უსვია, უკან რატომ არ უსვიაო? კოტეს ჯერ თეოსთვის შეუხედავს და უთქვამს: შენ კვერცხები წინ რომ გაქვს, უკანაც გაქვსო? ამ სიტყვებს ერთი გაწევ-გამოწევა და ამბები მოჰყვა, თუმცა, ყველაფერმა მაინც მშვიდობით ჩაიარა. ეს ამბავი კი კურიოზად დადის ჩემს უბანში. გაცოცხლებული თოჯინა“.

„ვაჟნი“ კაცი

„აი, ამ თემას ველოდიიი! დიდი ხანია, ჩემი სამეზობლოსთვის კბილის გაკვრა მინდა და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ. მოკლედ, ჩემი კორპუსიც თბილისივით ინტერნაციონალურია და სანამ ეზოში ჩავალ, 3-4 ენაზე მისალმებას ვასწრებ, მაგრამ დანარჩენი სახლებისგან ჩვენ მუსიკალურობით გამოვირჩევით. დიდი ხანია, კონცერტებზე აღარ დავდივარ. რატომ დავხარჯო ფული, როცა ჩემი ორი მეზობელი პიანისტია, ერთი — თავგადაკლული მელომანი, მესამე და ყველაზე მძიმე შემთხვევა კი სასულე საკრავებს ეუფლება? ზაფხულში ფანჯარა ვერ გამიღია ჩემს ნებაზე, ისე აკვნესებს ტრომბონს (იკვნესოს მამამისმა, მისი მუსიკაზე მითრევისთვის). ჩემი სამეზობლოს ღირსეული წარმომადგენელია სომეხი აშოტა. აი, კაცი! სულ საქეიფო განწყობილებაზეა. თუ კახურ ღვინოს გავუგზავნით, თავს გასწირავს ჩვენ გამო. რომ ჰკითხო, მისი შიშით მე და ჩემს დას კაცი ვერ მოგვეკარება უბანში (ჰმ!). აშოტა მუდამ სტარტზეა, გულმოდგინედ აკონტროლებს კორპუსის მცხოვრებთა მისვლა-მოსვლის განრიგს და სიხარულით გიჟდება, როცა მამაჩემი მანქანისთვის ყურადღების მიქცევას სთხოვს. ამით რწმუნდება, რომ ჯერაც „საჭირო კაცია“ და გაბღენძილი ამყარებს წესრიგს ეზოში. ასეთია ჩემი მუსიკალური, აშოტას „მიხედილი“ კორპუსის ცხოვრება, რომლის იდილიას დილით რძე-მაწვნის ძახილი, საღამოს კი მელომანი მეზობლის მუს-ცენტრიდან გადმოფრქვეული სვანური „რაშოვდა“ არღვევს. პარიჟანკა“.

შეიყვარეთ ჭალი ისე, შეიყვარეს ეს ჭალის სიმღერა

ხმაურიანი ხალხი

„ჩემს ზედა სართულზე ახალგადმოსული მეზობლები ცხოვრობენ. თითქმის 8 თვეა, რაც გადმოვიდნენ. ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი ოჯახია: მამა, დედა და ქალ-ვაჟი. არც მისალმება-დამშვიდობება ეშლებათ. თუმცა, ყოველღამე 2 საათზე რომ იწყებენ ბრაგუნს, დილის შვიდამდე არ ამთავრებენ. ისეთი ხმაა, თითქოს ძალიან დიდ ურიოს ან უშველებელ რკინის არმატურას იატაკს ურტყამენო. თან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახლი ნაქირავები აქვთ. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, ნაქირავებ ბინაში რემონტს აკეთებდნენ. ასეა თუ ისე, თითქმის 8 თვეა, ყოველღამ ნანასავით ჩამესმის არანორმალური ბრაგაბრუგის ხმა და მშვიდად ველოდები, რომ დღეს ან ხვალ ჩამომენგრევა ჭერი. ალბათ იკითხავთ, რატომ არ აფრთხილებო? რამდენჯერმე კორექტულად მივანიშნეთ ძილის სურვილზე, მაგრამ ორაზროვანი ღიმილის გარდა, ვერაფერი დავიმსახურეთ. ჩემ გვერდით, ასევე ნაქირავებში ცხოვრობს ოჯახი: მამა, დედა და 4 წლის ბიჭი. ყოველ დილით, 8 საათზე, ეს პატარა ბიჭი იწყებს თავიანთი ავეჯის მტვრევას, სავარაუდოდ — ჩაქუჩით. პარალელურად, ბიჭის მამიკო არანორმალური ხმით იწყებს ზუსტად ერთი და იმავე ტექსტის ღრიალს: „ჩემი შრომით ნაყიდი, ჩემი ოფლით შეძენილი“ და წივილ-კივილ-ღრიალის შემდეგ ყველაფერი მშვიდდება. არადა, მხოლოდ ერთი თხელი კედელი გვყოფს ერთმანეთისგან. ასე რომ, 7-ზე ერთი მეზობელი ამთავრებს ბრახუნს, 8-ზე მეორე იწყებს და მე, უკვე უძილობისგან ზომბად გადაქცეული, შუალედურ სიმშვიდის საათს (ანუ დილის 7-დან 8-მდე) საკუთარი თავის დაწყნარებაში ვატარებ. გეფიცებით, ყოველდღე ასე მეორდება, თან — შესაშური პუნქტუალურობით! ისღა დამრჩენია, მოთმინებით დაველოდო ორივე ოჯახის ადრე თუ გვიან აბარგებას. ბამბუჩა“.

მეგობრები

„მე და შალვა უკვე 8 წელია, ერთ კორპუსში ვცხოვრობთ. მაგარი დაქალ-ძმაკაცები არიან ჩვენი მშობლები. ძაან ახლოს ვართ ერთმანეთთან, სამსახურიდან რომ მოვდიოდი, პირდაპირ მათთან შევდიოდი. ანალოგიურად იქცეოდა შალვაც. ბევრჯერ მათთან მიჭამია და ღამითაც დავრჩენილვარ. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ რამდენიმე თვის წინ, როცა საქართველოში არ ვიყავი, შალვას ცოლი მოუყვანია. ყოველდღე ჩხუბი ჰქონდა თავის ცოლთან, საწყალი გოგო მთელი დღე ელოდებოდა მის მოსვლას, ეს კი პირველად ჩემს ოჯახში შედიოდა. მერე ჩამოვედი და სახლში მისვლამდე, მეც ჯერ იქ შევდიოდი. შალვასთვის უთქვამს თავის ცოლს, ჩვენ წინ ბიჭი რომ ცხოვრობს, ყოველდღე შემოდის და ცდილობს, თავი მომაწონოსო. მეორე დღეს მე და შალვამ მაგრად ვიცინეთ ამ ამბავზე. ახლა გადავეჩვიე, მაგრამ მაინც წამიცდება ხოლმე ფეხი შალვას სახლისკენ. აა, ასეთი ამბებია ჩემს თავს, მარი. P.S. გოგონებო, ჩაგკოცნეთ, მაგარი საყვარელი არსებები ხართ, რა, ეს ქალები. ნამდვილი მამაკაცი“.

რა უყვარდა?

„აუ, მარ, ეს ისეთი თემაა, მთელი ჟურნალი ჩემს მეზობლებს უნდა დაეთმოს. ახლა იმ მეზობელზე გწერთ, 2 დღის წინ მე და 9717 რომ ვაღვიძებდით. ქალბატონი ირინოლა მაგარი მასტია, იქნება ასე, 76-77 წლის, „ქალი ფეთქვა და დამრტყმელი“ ძალა. სოფლის საპატიო ჭორიკანების დედაბოძი და ოჯახში „გლავნის“ სახელის მატარებელი (გამიგოს, რაებს ვწერ?! ვარდებით დაგჭირდებათ ჩემთან მოსვლა). 2 წლის წინ ქმარი დაეღუპა და დაიწყო იმაზე ფიქრი, რა უყვარდა, რა გავატანოთო? ჟურნალები უნდა გავატანო, კითხვა უყვარდაო, მოდი, „ფლეიბოი“ გავატანოთო, შვილიშვილმა. უნდა გენახათ, რა თვალით შეხედა ირინკამ. რა ვქნა, კითხვა უყვარდაო, ამოილუღლუღა მარიმ. შარშან პაპა დამეღუპა. გასვენებაში მოსახევი კალენდრით ჩამოვიდა და პაპაჩემს დაატირა, ჩემს შალიკოს მიეცი და უთხარი, მეც მალე წამიყვანოს, ჩვენი დარდი ნუ აქვს, კარგად ვართო. 9717 მაგრად ვაცინე მაგ ქალზე და ხელიც კი იტკინა, მასთან ჩხუბში. სოფი19“.

ინფექციონისტი — ეს ის ადამიანია, რომელიც წიგნებს ყურე ამინდში ყიდულობს

„დებილი“

„ერთი ჩემი მგზავრი თავის კახელ სიძეზე ჰყვებოდა: ჩემი სიძე საფრანგეთში პირველად რომ ჩავიდა, ჩემმა დამ გააფრთხილა (ის უკვე იქ დიდი ხნის ჩასული იყო), ხმა არ ამოიღო და არ ილაპარაკო. ჩავიდა აეროპორტში გელა და არის ჩუმად. ეკითხებიან, სად მიდიხარ, სასტუმრო ან ტელეფონზე დარეკვა თუ გინდაო, მაგრამ ნურას უკაცრავად, გელა ხმას არ იღებს. ჩათვალეს, რომ დებილი იყო, დასვეს თბილისის რეისზე და უკან გამოუშვეს. ჩემი და გაგიჟდა, ეს რა გააკეთე, შე მართლა კახელო, საფრანგეთში ჩამოსული კაცი თბილისში წახვედი უკანო? — შენ არ მითხარი, ხმა არ ამოიღოო? უპასუხა შეწუხებული ხმით გელამ. ახლა ჩემი სიძე საფრანგეთშია და როცა დავურეკავთ, ასე გვპასუხობს: „ვიოო“... მაინც ვერ მოიშალა კახური კილოო, — დაასრულა მგზავრმა და თან აღნიშნა, რომ სიძეებში ყველაზე მეტად კახელი უყვარდა. მანაველი“.

თოფი თუ დოქი?

„ერთი მეზობელი მყავს (რაიონში), ნოდარი ჰქვია. მისი ბიჭი, აჩიკო, ჯარიდან რომ დაბრუნდა, მტკიცედ გადაწყვიტა ცოლის მოყვანა. შეგულებულიც ჰყავდა ერთი კალმით ნახატი გოგო. ნონას რამდენად მოსწონდა აჩი, ნამდვილად არ ვიცი. ეს კია, რომ იცნობდა და მის შესახებ ყველაფერი იცოდა. ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო და ერთ დღეს ჩვენმა არჩილმა გააფრთხილა ოჯახის წევრები, ქალი მომყავსო. 3 ძმაკაცი ჩაისვა მანქანაში და მერე, როგორც ხდება ხოლმე, მოიტაცა ნონა. გოგომ ცოტა კი წაუტირა, მაგრამ მალევე დაწყნარდა. ნოდარი ძალიან გახარებული იყო. თუმცა, მშვენივრად იცოდა, რომ გოგოს ოჯახი ცოტა აბობოქრებული იქნებოდა და მათთან გამკლავება გაუჭირდებოდა... შუა ქეიფში იყვნენ, როცა ჭიშკართან პიპინის ხმა გაისმა. ხალხით გაძეძგილი „მარშრუტკა“ მისდგომოდა სახლს. პატარძლის ღიპიანი მამა გადმოვიდა, დოინჯი გაიკეთა და ბოხი ხმით — მაინძელოო, — ორჯერ დაიძახა. ნოდარმა, ეგრე არ უნდაო, კარის გაღებაც არ იკადრა, ფანჯარა გამოაღო, მარჯვენა ხელში მამაპაპისეული თოფი დაიჭირა, მარცხენაში კი ღვინით სავსე დოქი და გასძახა ჭიშკართან მყოფთ: — ან თოფი, ან დოქი, აირჩიეთო... „მარშრუტკიდან“ მაშინვე იყვირეს, დოქი, დოქიო და გაიმართა ქეიფი, რომელიც ერთ კვირაში დიდ ქორწილში გადაიზარდა, ერთ წელიწადში კი პატარა ნოდარიკო გაჩნდა. ბაბუის ასლია... P.S. მე მართლაც უჩვეულო მეზობლები მყავს ყველგან. აზიელი“.

„მოპახმელიო ტიპშა“

„მეზობლებზე ვერაფერს მოგახსენებთ. უბრალოდ, მეზობლად მდებარე

ლაბორატორიაში მომუშავე საქალბატონეზე მოგიყვებით. მაგარი მხიარული და მოქეიფე გოგოა, ნანა. თითქმის ყოველ სამუშაო დღეს გადმოდის ჩემთან (წყალი მიაქვს). ხშირად ჩამოვსხდებით ჩვენებურად და მამამთილის გამოხდილ არაყს ვაჭაშნიკებთ (თანაც წყლის ჭიქებით, რომ არ გაგვიგონ). წინა დღეს, დილით, მე და კოზანოსტრას შეგვხვდა, „მარშრუტკას“ ელოდებოდა, თან ხელში „ბორჯომის“ ბოთლი ეჭირა. გამიკვირდა და ვკითხე, ნანა, რა მოგივიდა, მოსული არ ხარ სამსახურში და უკან მიდიხარ-მეთქი? გოგო, საშინელ „პახმელიაზე“ ვარ, დილით ჩემს სახლთან, მარკეტში „ბორჯომი“ ვიყიდე, მოვედი სამსახურში, გავხსენი და „ჭაჭა“ ყოფილა (ეტყობა, ვიღაცამ ჩააცივა), ახლა უკან უნდა ჩავუტანო და შევცვალოო. მე ჭკუა დავარიგე, გზაში რაც უნდა დახარჯო, იმ ფასად აგერ იყიდე „ბორჯომი“ და ჭაჭა, რა იცი, რა დროს გამოგადგება-მეთქი. ის და კოზანოსტრა გაჩერებაზე დავტოვე და წამოვედი სახლში. საღამოს მოვიდა ჩემი ბიჭი, თვალებში ჭინკები უხტოდა. — რა მოგივიდა, ცუდად ხარ, თავი გტკივა? — დავაყარე კითხვები. — არა, დედიკო, ნანას „ბორჯომის“ ფული მივეცი, ჭაჭა გამოვართვი და ლექციების შემდეგ ბიჭებმა ცოტა წავუქეიფეთო. ნანასი კი მიკვირს, „პახმელიაზე“ ისევ არაყი დაელია, არ სჯობდა? ეჰ, ნანა, სად შეცდი?! ისედაც, ქეიფი დაგვიძველდა. აბლახანუმი“.

უარყოფილი საპატარძლო

„მე ყველაზე კარგი მეზობლები მყავს. ერთ დღეს სამსახურიდან დაბრუნებულ ნინოს კარი არავინ გაუღო. არადა, მეუღლე სახლში იყო. მიიღეს გადაწყვეტილება და გამოანგრიეს შესასვლელში კედლის 2 აგური, ჩემი სახლიდან იატაკის საწმენდი ჯოხით გასწიეს ურდული და გააღეს კარი. ის „ფორთოჩკა“ აღარ ამოაშენეს. ერთ დღეს მესმის რატუკას ხმა, „ფორთოჩკასთან“ დგას და ტირის — დიდი მარი (ორი მარი ვართ და თავის დაიკოსგან რომ გამარჩიოს, მე დიდ მარის მეძახის), მიშველე, ვიღუპები, დედიკო ხახვიან სუპს მაჭმევსო. „სნიკერსს“ გიყიდი-მეთქი, დავპირდი და სულ „სხაპასხუპით“ შეჭამა. დაპირება კი დაპირებად დარჩა. ვეხვეწები, ცოლად მომიყვანე-მეთქი და არ მოვყავარ, შენ ისიც გეყოფა, ლაშა რომ უნდა გააუბედურო, თან შენნაირი ბებრუხანა რა ჯანდაბად მინდა, 3 წლის ბიჭსო? ჭრიჭინა“.

„ბაღანა“

„მინდა მოგახსენოთ ჩემი და ჩემი მეზობლების უცნაურ ქმედებებზე. დავიწყოთ V სართულიდან, რომლის ერთ-ერთი მკვიდრი 70 წელს გადაცილებული, ჯიგარი, გურული ქალია. მისი ჰობი „ენის ტლიკინია“. ჩამოვა ჩვენთან, IV სართულზე და დედაჩემს საკუთარი ოჯახის ამბებს ჩამოუპატაკებს, შემდეგ გავა ჩვენს აივანზე, ბინოკლივით შორსმჭვრეტელი და მღელვარებაშეპარული თვალებით გაჩერებას გახედავს... დედაჩემი ჰკითხავს: — რა მოხდა, ქალბატონო ლალი? — ბაღანა იგვიანებს...

ბოლო 2 წელია, მიკვირს, ეს 43 წლის, ცოლშვილიანი „ბაღანა“, ასე ხშირად რატომ იგვიანებს? :-)

შემდეგ ჩავა III სართულზე და იქ „ჩააბარებს“ IV სართულის ამბებს, პირველზე ისაუბრებს II და III სართულის ამბებზე, შემდეგ კი ავა სახლში და ყველა სართულის ამბავს განიხილავს. ეს მისი ჰობი კი არა, მგონი, სამსახურია. რაც შეეხება ჩემ წინ მცხოვრებ ცოლ-ქმარს, ჩვენს ოჯახებს იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ დაზარინება-დაკაკუნების გარეშე შევდიოდით ერთმანეთთან. აღბათ 4-5 წლის ვიქნებოდი, როდესაც მშობელმა რაღაც საქმეზე მათთან გამგზავნა. სახლში შესულმა, ჩამიჩუმიც ვერ გავიგონე და დავიძახე: — ნანა დეიდა, ნანა დეიდა-მეთქი, მაგრამ კვლავ სიჩუმე იყო და ერთ-ერთი ოთახიდან რაღაც ხმა შემომესმა. კარს ნელა მივუახლოვდი, ოდნავ შევაღე და ცოლ-ქმრის უცნაური პოზა-მდგომარეობა აღვიქვი, როგორც კონფლიქტი, ქალის უცნაური ხმა კი ჩუმ ტირილად მივიჩნიე. სწრაფად გამოვბრუნდი და სახლში შესულმა დედაჩემს ვუთხარი: დეე, ვახო ძია ნანა დეიდას სცემდა-მეთქი, — მაგრამ დროთა განმავლობაში გავაცნობიერე, რომ კი არ სცემდა, არამედ „გაგანია სექსით“ იყვნენ დაკავებულნი და ჩუმი ტირილი კვნესა იყო. I სართულზე მცხოვრები ქალბატონის უჩვეულო მეზობელი კი თავად ვარ, რადგან გასული ზამთრის განმავლობაში მისი სახლის წინ დაგებული ფეხის საწმენდი ქსოვილით ვსარგებლობდი. სამაგიეროდ, სახლში მისულს დედაჩემი სუფთა ბიჭს მეძახდა. რაც შეეხება პირველ სართულზე მცხოვრებ ქალბატონს, გეტყვით, რომ დედა საკუთარ შვილს დაგვიანებისთვის დედას აგინებს ხოლმე. მისტერ“.

მოჩვენებითი სიღარიბე

„ჩემი უჩვეულო მეზობლები სამწუხაროდ, ერთ-ერთი, ყველაზე გავრცელებული სექტის წევრები არიან. მრავალრიცხოვანი ოჯახიდან არც ერთი არ მუშაობს. სამაგიეროდ, ყველა უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული, კარგი მანქანით დადის, გადასარევ კერძებს ამზადებენ და ყოველ სეზონზე, იმ წლის მოდის ახალი ტენდენციების მიხედვით, რემონტს აკეთებენ. ამ დროს კი გამუდმებით სიღარიბეზე წუწუნებენ, ხახვსა და ზეთს მეზობლებისგან სესხულობენ, ვითომ უნდათ, ყველასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდეთ. უზომოდ ფარისევლობენ და სახლში დაპატიჟებით კალთებს გვახევენ. დამღალა ეზოში ამდენი გაშტერებული, „კოსტუმ-შარვლიანი“, უაზროდ მოღიმარი ბიჭის ყურებამ. სვანის ასული“.

უმეზობლო

„ნატა გათხოვილ დაქალს ესტუმრა. ბევრი ჭორაობის შემდეგ დაქალი დაინტერესდა, როგორი კარის მეზობლები ჰყავდა. არც ერთს არ ვიცნობ, ზამთარში არ მცალია მათთვის, ზაფხულში ისინი ვერ იცლიან ჩემთვის, როგორც კი აცივდება, გაზის „სოჩიკს“ ვაჩერებ და არც ერთ მეზობელს არ ვუშვებ სახლში, არ მინდა ჩამიშვანო. კი, მაგრამ როცა გიკაკუნებენ და შენთან მოდიან, რას ეუბნებიო? თავს გავყოფ ხოლმე კარიდან, ვეუბნები, ჩაცმული არა ვარ, ცოტას წავეჭორავები და ვემშვიდობებიო. აბა, ვინმეს ხომ არ გეცნოთ? ვის გყავთ ასეთი უჩვეულო კარის მეზობელი? ჭრიჭინა“.

„კუდიანი“ და „მონათმფლობელი“ ბერძენი

„გამარჯობა, „გზა“. მე თქვენი ძველი მკითხველი ვარ. მერე საბერძნეთში წავედი. ერთი კვირაა, რაც საქართველოში დავბრუნდი. ძნელია აგიხსნათ, რას განვიცდი და რა გადავიტანე. მით უმეტეს, ასეთი პატარა შევეჭიდე ამ ტანჯულ ცხოვრებას. უცხოეთში ათი თვე ვიმუშავე და დამცირების მეტი ვერაფერი ვნახე. თავიდან რომ ჩავედი, დასაქმების ოფისმა ერთ ბერძნულ ოჯახ-

ყველაზე ნაკლებად იმ ბედნიერებს ვაკლდებით ხოლმე, რომლებიც ოდესღაც თავადაც ჩვენ ვიყვნეთ

ში გამიშვა სამუშაოდ. რა ვიცოდი, თუ ასეთი ტანჯვა მელოდა?! მივედი ოჯახში. ბერძნული არ ვიცოდი, მაგრამ ინგლისურს კარგად ვფლობ და მათთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. სამაგიეროდ, თუ მინდოდა, ჩემთვის ქართული საჭმელი გამეკეთებინა, მეუბნებოდნენ, არ ვარგაო. ამაზე პირველად მეტკინა გული. დილის 7 საათიდან ღამის 12-მდე ფეხზე ვიდექი და მთელი ეს დრო, მათ, საკმაოდ დიდ სახლს ვალაგებდი. მეზობლად 6-ოთახიანი ოფისი ჰქონდათ და პარალელურად იქაც ვალაგებდი. ერთ დღეს, წვიმდა და ძალიან ციოდა. ფანჯრების დაწმენდა დამავალეს. დავწმინდე, თან სიცხე მქონდა და როცა მოვრჩი, გული გამიხდა ცუდად. შეეშინდათ და წამლის საყიდელი ფული მომცეს. როგორღაც ავდექი, მაგრამ ვერ ვუთხარი, რომ მთელი დღის მშიერი ვიყავი. ერთხელ, როცა ვუთხარი, „მირჩიეს“, ეს არ ჭამო, ის — არაო და ძველ საჭმელებზე მეუბნებოდნენ, ეს შეჭამეო. აბა, ძველს როგორ შევჭამდი? ამიტომ ვრჩებოდი მშიერი. ვეღარ გავუძელი ამდენს და წამოვედი. იმ ოფისმა ახლა სხვა ოჯახში გამიშვა. იქ კი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. 8-ოთახიანი სახლი დამხვდა, ორი პატარა ბავშვი მოსავლელი და თანაც, საჭმელიც ჩემი გასაკეთებელი იყო. დავთანხმდი, რადგან კარგ გასამრჯელოს დამპირდნენ, მაგრამ ვაი, ჩემი გული ამდენ ტანჯვას ვეღარ უძლებს და ამიტომაც გიყვებით. ყველაფერს თავი დავანებოთ და, ელემენტარულად, მტვერსასრუტს, ცოცხს, იატაკის საწმენდ ჯოხსაც არ მაძლევდნენ. მომცემდნენ რამდენიმენაირ ჩვარს და სველი ჩვრით, მუხლებზე ხოხვით ვწმენდდი იატაკს. ჩვრები სხვადასხვა ფერის იყო და აბა, შემშლოდა და მაგიდის ჩვრით შუშა გამეწმინდა?! ერთ ამბავს დამაწევდნენ. ქალი მიყვიროდა, ქართველებს მათხოვრებს უწოდებდა, მე კი საცოდავი, მხოლოდ ვტიროდი. ამაზე უფრო გიჟდებოდა და უარესად ყვიროდა. მისი ქმარი მიცავდა ხოლმე. ხედავდა, რომ მართალი ვიყავი და ჩემ გამო ცოლთან უთანხმოება ჰქონდა. ეს ქალი ასაკით 33 წლის იყო, მაგრამ მიმიქარავს 80 წლის, კუდიანი დედაბერი. ისიც ძველ საჭმელს მაჭმევდა. თუ არა და, თავისი თეფშიდან მონარჩენ საჭმელზე მიმითითებდა. არ ვჭამდი და ვრჩებოდი მშიერი. ერთხელ ღამე ჩუმად ავდექი, მაცივრიდან კიტრი, პომიდორი და ორი ნაჭერი პური ავიღე, ტუალეტში შევედი და ჩუმად ვჭამე. რა ვიცოდი, თუ დათვლილი ჰქონდა კიტრი და პომიდორი? დილით მთელი ამბავი დამაწია. მის ორ შვილს ვუვლიდი, სახლს მუხლებზე ხოხვით ვუწმენდდი და მშიერსაც მტოვებდა. პრეტენზიასაც არ გამოვხატავდი და მეტი რაღა უნდოდა?! მათ ოჯახში სულ 5 დღე ვიყავი. წარმოიდგინეთ, მაგ 5 დღის ნამუშევარი ფულიც არ მომცეს. ისევ იმ ოფისში მიმიყვანეს, სადაც ჩემნაირი გაჭირვებული ქალები სამუშაოს ეძებდნენ. მოვუყევი, როგორ მომექცა ის ქალი, თან ფული რომ არ მომცა. ქართველი მარტო მე ვიყავი. რუსული კი ყველამ იცოდა და ჩემი ამბის მოყოლა არ გამჭირვებია. გაგიჟდა ყველა, უკვირდათ, ასე პატარა გოგომ როგორ გაუძელი ასეთ დამცირებასო და მითხრეს, დაგეხმარებით, რომ ეგ ქალი გაამწაროო. მოკლედ, ის ქალბატონი ქმართან ერთად მოეთრა ოფისში, ახალი მომვლელ-დამლაგებელი უნდოდათ. ყველა იქ მყოფ ქალს გაესაუბრა და ყველამ უარი უთხრა მასთან სამუშაოდ წასვლაზე. რომ იკითხა, უარს რატომ მეუბნებითო, უთხრეს: აი, ამ პატარა გოგოს ასე მოექეცი და როგორ ფიქრობ, ჩვენ წამოვალთო? ქალი გაგიჟდა და ჩემს ჯიბრზე ორმაგი ხელფასი შესთავაზა, მაგრამ მაინც უარით გაისტუმრეს. წავიდნენ სახელგატეხილები. თანაც, საკმაოდ ცნობილი ოჯახია. მე საწყალმა, ბოლოს გავიგე, რომ თურმე ოფისები მოლაპარაკებულები არიან ოჯახებთან, ამუშავებენ საწყალ, გაჭირვებულ ხალხს და ხელფასს არ უხდიან. ფულს ოფისს უხდიან და არა — მომვლელებს. მინდა იცოდეთ ყველამ, რომ ასე ადვილი არაა საზღვარგარეთ მუშაობა. ახლა ისეთ ჭკუაზე ვარ, მირჩევნია, საქართველოში მაღაზიაში ვიმუშაო, ვიდრე ისევ ასეთი ტანჯვა ვნახო. პუპსიკა.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„მთელი ცხოვრება უბედური ვარ. მყავს შვილები, მაგრამ მაინც უბედური ვარ. ჩემი ქმარი მღალატობდა და კინაღამ ჩემს თავს სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანე. მამცირებდა და მცემდა. ახლა უნდა, რომ ვენდო. ამტკიცებს, შეიცვალეო, მაგრამ ვეღარ ვენდობი და ეს უფრო მტანჯავს. რა ვქნა, არ ვიცი. ძალიან ცუდად ვარ და მგონია, გავგიჟდები“.

„ვაიმე, რამდენი ვიცინეეე! „ახმეტელზე“ ქალი შამპუნებს ყიდდა. ვიღაც ქალმა — შამპუნი-ბალზამი მინდაო. ეს უმტკიცებდა, ნახე, რა აწერია რუსულად, „შამპუნ-კანდინციონერ“, ეს ხომ იგივეა ქართულად, რაც შამპუნ-ბალზამიო. ისე, ახმეტელზე რა არ ხდება?! „შუბა კალგოტკა“ „ტრი“ ლარი, „ვაზმი დვა ლარამ“. შარვალი ჯინსის, ბოლო მოდა, „ვაზმი ქუთი ლარი“, თუ მყიდველი ხარ, 4 ლარი. ასე გამოდის, 50 ლარში „ჩაიზმანები“. ზედ ხომ არ აწერია, ახმეტელზე, ციგნებში იყიდე თუ ვაკეში, ბუტიკში? ჭორიკანა ასინეთა“.

„მე რომ უჩვეულო მეზობლები მყავს, ისეთი ვის ეყოლება? ვერავინ იტყვის მათზე, რომ უჭირთ, მშვენივრად ცხოვრობენ, მაგრამ რად გინდა, ყველაფრის თხოვნა შეუძლიათ, ასანთის ღერებიდან დაწყებული, შამპუნით დამთავრებული. მერედა, რა არჩევანი იციაააან! — აუ, ქალო, უფრო ხარისხიანი არ გაქვს, ის რომ მომცე? ეს არ ვარგა, მგონიო. გეფიცები, მე მრცხვენია, რადგან ის „ხარისხიანი“ არ მაქვს. ნუ, რას ეძახიან მაგარ ხარისხიანს, არ ვიცი, რაა... მეც შემეპარება ხოლმე ეჭვი, იქნებ რაღაც უხარისხოა-მეთქი, ეჰ, რა ვიცი... რა ვიცი... ნეტავ, თქვენც გყავთ ასეთი „ხარისხიანი“ მეზობლები? ლა-ლოლა“.

„გოგის მეზობლად მდგმურად მცხოვრებმა სტუდენტებმა „იამახა“ იყიდეს, თან, გამაძლიერებლით. ორი კვირა არც დღე და არც ღამე საშველი აღარ იყო — უკრავდნენ და უკრავდნენ. ორი კვირის თავზე, დილით, გოგიმ ბიჭებს კარზე მიუკაკუნა. გაუღეს.

— მე თქვენი მეზობელი ვარ.

— გიცნობთ, გოგი ბიძია, რა გნებავთ?

— ერთი ათი დღით ეგ თქვენი „იამახა“ მათხოვეთ.

— ათი დღე ქეიფს აპირებთ?

— არა, ძილს!

ოლეგარიო“. ■

დედების გვირგვინია ცა
იცეხენ ყვავილებს

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ჩემი ჰობი“.

გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რა ნაკლს დავუმალავ შეყვარებულს?“

„სამსახური რომ იშოვო ან ძალა უნდა გერჩოდეს, ან ტვინი გისკდებოდეს“

„ზოგს ისეთი განათლება აქვს, წესით, პარლამენტში უნდა იჯდეს...“

„გზის“ №46-ში დაიბეჭდა 19 წლის დათოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ეძებს მაღალანაზღაურებად სამუშაოს. „უმაღლესი განათლება ნამდვილად არ მაქვს. ვარ პატიოსანი, შრომისმოყვარე იმერელი. ამჯერად ვმუშაობ, მაგრამ ძალიან დაბალი ხელფასი მაქვს. უმორჩილესად გთხოვთ, დამასაქმეთ“.

ლიკა ქაჯაია

იკუშკები:

„სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარები, მაგრამ არ შემიძლია, კომპლიმენტი არ გითხრა — მშრომელი, გამრჯე და შეგნებული ბიჭი ჩანხარ. დარწმუნებული ვარ, ამ ცხოვრებაში არ დაიკარგები და დიდ წარმატებასაც მიაღწევ! ყოველივე საუკეთესოს გისურვებ! შენნაირი ადამიანების დახმარება ყველაზე დიდი სიკეთეა“.

ლუნა:

„მესმის შენი. როცა საკუთარი ფული გაქვს, უფრო თავდაჯერებული ხდები და გოგონებშიც მეტი პოპულარობით სარგებლობ. გისურვებ, მაღალანაზღაურებადი სამუშაო გეშოვოს. P.S. მერე მეც გამიხსენე და ზოგჯერ მაინც მიყიდე რამე (ნეტავ, ეს რამე რა უნდა იყოს, ჰა?) :). წარმატებებს გისურვებ!“

სვანის ასული:

„ახლა ისეთი დროა, ან ძალა უნდა გერჩოდეს, ან ტვინი გისკდებოდეს, რათა იშოვო სამსახური ნორმალური ანაზღაურებით. თუ არც ძალა გერჩის, არც ტვინი „გადმოგდის“ და არც დიდ ქალაქში ცხოვრობ, მაშინ ყველაფერი გაცილებით რთულადაა. ჩემო კარგო, ნებისმიერ განცხადებას ყურადღებით გაეცანი და რაც მთავარია, ამ საქმეში ნაცნობები ჩარიე. იმედია, გაგიმართლებს“.

GOLD GIRL:

„ძალიან კარგია, რომ შრომისმოყვარე ადამიანი ხარ. ასაკით შენზე უფროს ბევრ ისეთ ბიჭს ვიცნობ, რომელიც ქუჩაში დგას, მშობლების კისერზე ცხოვრობს და ეს სულაც არ ადარდებს. რომ შემეძლოს, დიდი სიამოვნებით დაგეხმარებოდი. წარმატებებს და წინსვლას გისურვებ, ამას ნამდვილად იმსახურებ! დარწმუნებული ვარ, მიზანს მიაღწევ“.

გრუზინკა:

„მიხარია, შენნაირი ახალგაზრდა კაცი რომ ჰყავს საქართველოს. ისე, აუცილებელი არაა, მაღალანაზღაურებადი სამსახური გქონდეს. კარგი იქნება, თუ რაიმე ხელობას ისწავლი. წარმატებები!“

ბასტი:

„რომ მუშაობ, ესეც ბევრს ნიშნავს და მერწმუნე, შენს ადგილას არ ვიწუწუნებდი. უნივერსიტეტში სწავლა დავამთავრე — ფილოლოგი ვარ, მაგრამ არა თუ პროფესიით, არამედ მაღაზიაში კონსულტანტის ადგილიც ვერ ვიშოვე. მოკლედ, ამქვეყნად მცირედს უნდა დასჯერდე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ მცირედის მოპოვებასაც ბევრი ჩალიჩი და წვალება უნდა. იმედია, მალე ყველანი დავსაქმდებით“.

EKO BOY:

„აბა, ჩვენ რით უნდა დაგეხმაროთ? თანაც, მგზავნელების უმეტესობა ან სკოლის მოსწავლეა, ან — სტუდენტი და აქ გართობის მიზნით ამესიჯებს. აჯობებს, გაზეთი „სიტყვა და საქმე“ იყიდო და იქნებ, რომელიმე ვაკანსიას გამოჰკრა ხელი“.

რუსპირი:

„დათუნა, ცუდად ნამდვილად არაა შენი საქმე და იცი, რატომ? — მუშაობ! მართალია, დაბალი ხელფასი გაქვს, მაგრამ ღმერთს ამისთვისაც მადლობა უნდა შესწირო. ქვეყანაში იცი, რამდენი უმუშევარი პროფესორია? ზოგს ისეთი განათლება აქვს, წესით, პარლამენტში უნდა იჯდეს, მაგრამ ბაზარში ვაჭრობს. აქედან გამომდინარე, შენს მდგომარეობას ტრაგიკულად ნუ აღიქვამ. იცოდე, ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც, მაგრამ კაბინეტზე, ბოდიში მომითხოვია :)). წარმატებები!“

აზიელი:

„დღესდღეობით საქართველოში ორად ორი რამ მუშაობს კარგად — ფარმაცევტული ბაზარი და რესტორნების ქსელი. გავგიჟდი, რა, ყოველ ნაბიჯზე აფთიაქია და თან, რამხელა რიგებია?! ადამიანი, დაავადების პირველივე სიმპტომის გამოვლენისთანავე ექიმთან კი არ მიდის, არამედ აფთიაქში დურთავს თავს. ეს სიტუაცია თან სასაცილოა, თან — სატირალიც. ასე რომ, დავით, რადგან უმაღლესი განათლება არ გაქვს, რესტორანში მაინც სცადე ბედი. თუ თბილისში ცხოვრობ, გირჩევ, რესტორან „თაღლაურას“ მიაკითხო (მგონი, ვაკანსიები აქვთ). იქ საკმაოდ კარგი ანაზღაურება აქვთ. წარმატებები!“

დამავოი:

„ეჰ, დათო, დათო... რა გირჩიო, აბა? შედი ინტერნეტში და შეიძლება, იქ მაინც ნახო რაიმე საშენო საქმე. ისე, მეც მინდა მუშაობა და თუ რამე, გამაგებინე :)). წარმატებები!“

ჭრიჭინა:

„სიამოვნებით დაგეხმარებოდი, მაგრამ თავადაც სამსახურს ვეძებ :))“.

მეამგოხე სული:

„ჩემო კარგო, დასაქმების სააგენტოს ვგავართ? შე კაი ადამიანო, თუ მუშაობ, რაღა გინდა? ნახევარი საქართველო უმუშევარია, შენ კი საკუთარი ფული გაქვს და მაინც წუწუნებ? და კიდევ, თუ გინდა, ამ ცხოვრებაში რაიმეს მიაღწიო, გზა თავადვე უნდა გაიკვლიო“. ■

„მემუქრებიან, — შვილს წაგართმევთო“

მიკი:

„ბევრი გწერთ და მეც გადავწყვიტე, თქვენი დახმარებით მესარგებლა. ვარ 20 წლის. დაახლოებით 3 წელი ვიყავი გათხოვილი. ქმარს 5 თვის წინ, მისი უაზრო ეჭვიანობის გამო გავშორდი. ყველაფერს ვაპატიებდი, გარდა ცემისა, მან კი ჩემზე ხელი დაუფიქრებლად აღმართა. მყავს ერთი მცირეწლოვანი შვილი. ყოფილი ნათესავები გამუდმებით შეურაცხყოფას მაყენებენ და ცდილობენ, ცხოვრება საბოლოოდ დამინგრიონ. მემუქრებიან, — შვილს წაგართმევთო. დავიღალე ასეთი ცხოვრებით. ბავშვებო, იქნებ, თქვენ მაინც შეძლოთ ჩემი ნუგეშისცემა და დამშვიდება...“

P.S. მაშ ასე, თუ მიკის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს. ■

„განშორება ასუსტებს წვრილმან ვნებებს და აძლიერებს სიყვარულს“

„ნამდვილ სიყვარულს ძებნა არ სჭირდება“

„გზის“ №46-ში დაიბეჭდა 18 წლის ლელას მესიჯი, რომელიც შეყვარებულს საკუთარი ინიციატივით დაშორდა, ახლა კი ამ ნაბიჯს ნანობს: „რატომღაც, მომეჩვენა, რომ აღარ მიყვარდა და ვუთხარი, — შენთან ურთიერთობა არ მინდა-მეთქი. ცოტა ხნის წინ კი მივხვდი, რომ ისევ მიყვარს... როგორ მოვიქცე?“

აზიელი:

„ჰოდა, ახლა შენივე ინიციატივით უნდა შერიგდეთ. სიყვარულის „აღმართზე“ შეყვარებულები მომავალზე ლაპარაკობენ, „დაღმართზე“ — წარსულს იხსენებენ. შენს გრძნობას და შეყვარებულს წარსულში ნუ დატოვებ. ბედნიერებას გისურვებ!“

დამავოი:

„ბოდიშის მოხდა არასდროსაა გვიან. თუ ხვდები, რომ გიყვარს, შეურიგდი. ტყუილად ნურც თავს დაიტანჯავ და ნურც მას დატანჯავ. წარმატებები!“

ლოლა:

„იმის გამო, რომ პირველი ნაბიჯის გადადგმა გიჭირს, სიყვარულს ნუ დაკარგავ. გაბედე და შეყვარებულს უთხარი: შევცდი, ურთიერთობა არ უნდა გაგვეწყვიტა-თქო. თუ უყვარხარ, გაგიგებს“.

ნინი:

„იცი, რისი ღირსი ხარ? — იმ ბიჭმა რომ აღარ გაპატიოს! მოგეჩვენა, რა, სიყვარული თამაში გგონია თუ ლექსის დაზეპირება? სიყვარული ისწავლეთ, რა, ხალხო“.

ბასტი:

„შე ოჯახაშენებულო, მადლიზა შეყვარებული გყავდა და მას დაშორდი? მთელი საქართველო იმაზე წუწუნებს, კაცი ვერ ვნახე ისეთი, რომელიც ჩემს შეყვარებას გაბედავდაო, შენ კი ვიღაცამ გულში ჩაგიგდო და მისი მოცილება გადაწყვიტე? ჰოდა, ახლა იმის ღირსი ხარ, არ შეგირიგდეს და შენს ჯიბრზე, სხვა შეირთოს... არა, არა, ამისთვის ვერ გაგიმეტებ. იმედია, ის ბიჭი დიდსულოვანი აღმოჩნდება და ყველაფერს მოგიტევებს. ბედნიერებას გისურვებ!“

რუსპირი:

„დავიბენი. ჩემო კარგო, სიყვარული ისეთი გრძნობაა, რომელსაც მოჩვენებები არ ახასიათებს. იქნებ, მართლა აღარ გიყვარს და სწორედ ახლა გეჩვენება რაღაც? P.S. რაღაცები უკვე მეც მეჩვენება :))“.

ნიგუ:

„განშორება ასუსტებს წვრილმან ვნებებს და აძლიერებს სიყვარულს. ჯობია, შენი გრძნობები გაუმხილო და თუ ისევ უყვარხარ, ეს ამბავი მხოლოდ გაახარებს. წარმატებები!“

პატარა ქალუკა 21:

„პრივეტ“, ლიკ. მომენატრა თქვენთან ყოფნა და დავბრუნდი :)). ლელა, ჩემო პატარავ, პირადში ყოველთვის დგება ისეთი მომენტი, როცა გგონია, რომ გრძნობა გაცივდა... არც ახლაა გვიან, თუ გიყვარს, ჰკითხე: ისევ შენი რომ ვიყო, ეს ბედნიერებას მოგანიჭებდა-თქო? თუ დადებით პასუხს მიიღებ, მაშინ თამამად უთხარი: ამით მეც ბედნიერი ვიქნებოდი-თქო! აბა, შენ იცი, მომავალში გადაწყვეტილების მიღებას ნუღარ იჩქარებ“.

სკორპიონ:

„დაელაპარაკე და მჯერა, ამით ყველაფერი მოგვარდება. სიყვარულის გამო გარისკვა ნამდვილად ღირს“.

GOLD GIRL:

„ცუდია, როდესაც დაუფიქრებელ, ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებ და ვიღაცას ამით გულს სტკენ. საკუთარ გრძნობებში კარგად რომ გარკვეულიყავი, ახლა ასეთ სიტუაციაში არ აღმოჩნდებოდი და „ლოვესაც“ არ ატკენდი გულს. დაელაპარაკე და თუ ისევ უყვარხარ, გაპატიებს. ბედნიერებას გისურვებ!“

გრუზინკა:

„საკუთარ გრძნობებში კარგად უნდა გაერკვე. მიყვარს, არ მიყვარს — რას მკითხაობ, პატარა ბავშვი ხომ არ ხარ? სხვის გრძნობას პატივი უნდა სცე. P.S. სკანდალისტო, მიხარია, ჩემი რჩევა რომ გაითვალისწინე. იცოდე, ნიკი არ გაამართლო“.

BABI*JEI*:

„შენი ინიციატივით თუ დაშორდით, ახლა ისევ შენ უნდა სცადო ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ მგონი, რაღაც არეული ხარ და ყველაფერს აჯობებს, საკუთარ თავსა და გრძნობებში კარგად გაერკვე“.

ქალბატონი:

„გირჩევ, სწავლაზე მეტი იფიქრო და როცა ცხოვრებაში მყარად დადგები ფეხზე, რეალური სიყვარულიც მაშინ გეწვევა; ახლანდელი გრძნობა კი, ჩემი აზრით, მხოლოდ მირაჟია“.

სვანის ასული:

„გამოსავალი ერთი და თანაც, ძალიან მარტივია — იმ ბიჭს პატიება სთხოვე ან მიახვედრე მაინც, რომ საკუთარ საქციელს ნანობ. გაპატიებს თუ არა, ეგ უკვე მისი გადასაწყვეტია, ვერაფერს დააძალებ. იქნებ, მართლა უყვარხარ, მაგრამ საკუთარ თავმოყვარეობას არ გადააბიჯოს ან შეიძლება, უკვე თავადაც გადაიფიქრა შენთან ურთიერთობა... ყველაფერზე კარგად დაფიქრდი და გადაწყვიტე, რა გინდა. იცოდე, წინდაუხედავად აღარ მოიქცე“.

იკუშკები:

„შენ ახლა იმ ასაკში ხარ, როცა ცხოვრებას ეცნობი, მრავალფეროვნება გჭირდება და ამისკენ ისწრაფვი კიდეც; სანაცნობო წრეც ნელ-ნელა ფართოვდება და თავისთავად, საპირისპირო სქესის რაოდენობა და ყურადღებაც მატულობს, რასაც თან ერთვის შენი გრძნობების ცვალებადობა. ადვილი შესაძლებელია, ყოფილი „ლოვეს“ მიმართ შენი სიყვარული მოჩვენებითი იყოს. უბრალოდ, მას ძალიან შეეჩვიე და ახლა მარტოობა გაგიჭირდა. შენს ასაკში შეყვარებულთან დაშორება მეც გამომიცდია და ეს მხოლოდ ჭკუის სასწავლებლად გამომადგა. გაითვალისწინე, თუ საკუთარ გრძნობაში დარწმუნებული არ ხარ, არ ღირს ურთიერთობის გაბმა. იცოდე, ნამდვილ სიყვარულს ძებნა არ სჭირდება“.

ლუნა:

„როცა გულით გიყვარს, არაფერიც არ მოგეჩვენება. არც კი ვიცი, რა გირჩიო, რა გითხრა და რით განუგეშო. „ლოვეს“ სიმართლე უთხარი და თუ მასაც არ მოეჩვენა, რომ აღარ უყვარხარ, აუცილებლად დაგიბრუნდება. წრფელ სიყვარულს გისურვებ!“

ვამპირა:

„გამარჯობა. ლელას წერილს ვკითხულობდი და საკუთარი თავი გამახსენდა. მე და ერთ ბიჭს 5 წელი ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ ამას არ ვამჟღავნებდით, პირიქით — სულ ვჩხუბობდით. როცა სიყვარულში გამომიტყდა, თავი უბედნიერესი ქალი მეგონა, მაგრამ ზოგჯერ, ისეთი უყურადღებო იყო, მის გრძნობაში ეჭვი შემეპარა და დავშორდი. ჩვენ დღემდე გვიყვარს ერთმანეთი და ძალიან ვნანობ, ასეთი გადაწყვეტილება რომ მივიღე, ამიტომ, ლელას ვურჩევ, კარგად დაფიქრდეს და აუცილებლად შეურიგდეს. წარმატებები!“

თიკო-თიკო, საბერძნეთიდან:

„როცა ადამიანი შორსაა, სწორედ მაშინ იგებ, ის მართლა გიყვარს თუ არა. თუკი საკუთარ გრძნობაში დარწმუნებული ხარ, მიდი და აუხსენი, რომ ისევ გიყვარს. თუ ძველებურად უყვარხარ, გაგიგებს და ისევ ერთად იქნებით. ბედნიერებას გისურვებ! იმედია, ჩემი რჩევა გამოგადგება“.

ჭრიჭინა:

„ვიდრე საყვარელ ადამიანს არ დაკარგავ, ვერ ხვდები, თუ როგორი ძვირფასია ის შენთვის. ხელი შენ ჰკარი და მოგიწევს, თავადვე შემოირიგო. აუცილებლად დაელაპარაკე. წარმატებები!“

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გამარჯობა. ვეხმაურები 45-ე ნომრიდან მე-5 მესიჯის ავტორ მამაკაცს, საბერძნეთის ნომერზე. ვარ 25 წლის მანდილოსანი, სუფთა წარსულით.

2. ვარ 31 წლის, არ ვარ გათხოვილი. მაქვს სუფთა წარსული. მსურს გამომეხმაუროს ერთგული, დასაქმებული, ბინით უზრუნველყოფილი, 37 წლამდე ასაკის მამაკაცი.

3. ვეხმაურები 46-ე ნომრის მე-11 მესიჯის ავტორ მამაკაცს. ვარ 28 წლის გოგო, მსურს გავიცნო, თუ სურვილი აქვს. მომწერე. მირანდა.

4. ვარ დაბალი, მახინჯი, სულელი, მსუქანი, 18 წლის, ბებერი გოგო. არ გაბედოთ და არ გამომეხმაუროთ, მაინც არ გიკადრებთ.

5. 37 წლის მანდილოსანს სურს წმინდა, ქართული ოჯახის შექმნა. არიან დღეს ნამდვილი, ქართველი, ვაჟკაცი მამაკაცები, რომლებმაც მანდილოსნის ფასი იციან?

კაცები

6. მე ვეტრფი მხოლოდ შენს ღამაზ თვალებს და სურნელებას, შენი ტანისას. მსურს, გვერდით მყავდეს სიცოცხლით სავსე მანდილოსანი, რომელსაც დავაფასებ.

7. „გზა“ №46, მერვე მესიჯის ნომერი მომწერეთ.

8. ვარ 21 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ ღამაზ, შავგვრემან გოგოს.

9. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მანდილოსანს. ვარ 30 წლის.

10. მინდა გავიცნო თბილისელი, 45-50 წლამდე ასაკის, შეძლებული, სასიამოვნო ქალბატონი. ვარ საკმაოდ სიმპათიური, 43 წლის.

11. ვარ თბილისელი, 35 წლის. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს.

ვეძებ

12. ვეძებ ნათლიას, გურამ გერმანოზაშვილს. ძალიან გთხოვთ, თუ ვინმე იცნობთ ამ სახელის და გვარის ადამიანს, შემეხმიანეთ.

სხვადასხვა

• „გზა“, გამარჯობა. მანიაკურად მიყვარხარ. თუ არის ისეთი კვირა, რომ ათენში ვერ „გნახავ“, საჩქაროდ ვრეკავ საქართველოში და იმ ნომერს მიგზავნიან. „გზავ“, გთხოვ, ტუტუცი ადამიანების მესიჯებს ნუ დაგვიბეჭდავ. ოსი ლია ყველა ქართველის ენით ბერძნებს რატომ ლანძღავს? მოხუცის ქუჩაში გალანძღვას არც ერთი ქართველი არ ვიკადრებთ. ლიამ თავისი პრობლემები თვითონ მოინელოს. ბერძენი ხალხი დღესდღეობით, ჩვენს ტკივილს იზიარებს. თუ კი ვინმეს რამე არ მოსწონს, გზა დიდია, წავიდნენ, სადაც უნდათ. თამრო.

• მოდი, ამ ცრემლებმა თქვან ჩვენი სათქმელი, კვლავ ღამემ უპასუხოს დასმულ შეკითხვას, სიჩუმე გამეფდეს, რომ ისევ შევიგრძნოთ, ვუსმინოთ ანგელოზთა ფეხის ხმას. ტანჯულ, მაპატიე.

• გამარჯობა, მარი. მინდა, თქვენს სამეგობროს მეც შემოვუერთდე. ვეცდები, მეც დავთესო თქვენთან დიდი სიკეთე. მწარე.

• მარი, რა დააშავა ქართულმა ენამ, რომ ასე საშინლად ამახინჯებენ ჟურნალისტები? სხვათა შორის, „გზის“ ჟურნალისტებიც! ჟურნალის ბოლო ნომერში ერთ-ერთი სტატიის სათაურშივეა „რთვლის“ შესახებ საუბარი. რთვილი და რთველი სხვადასხვა სიტყვაა. რთველი ყურძნის კრეფაა, რთვილი (სწორი და ლიტერატურული ფორმაა „თრთვილი“, — ავტ) კი ამინდის ცვლილებით, კერძოდ ყინვით გამოწვეული მოვლენა. კიდევ, მხოლობითში სიტყვა „მკვლევარი“ რატომ შეკვეცეს მრავლობითში — „მკვლევრებად“? თან ყველა ჟურნალ-გაზეთმა

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

აიტაცა. მაგ ლოგიკით სიტყვა პარლამენტარიც შეიძლება შევკვეცოთ და გამოგვივა „პარლამენტრები“. ვფიქრობ, შეცდომაა და მისი ასე დამკვიდრება კი — ცოდვა! P.S. სალომე არშბას რბილ „ლ“-ებზე რომ აღარაფერი ვთქვა. ფინტიკოზა.

• მგზავნელებო, მიმიღებთ? მე ახალი ვარ. პატარა.

• მარი, მოგესალმები ათენიდან. გაიხარე! ემიგრანტების დასახმარებლად ღმერთმა გამოგგზავნათ. იცი, რამდენ ცრემლიან ემიგრანტს უმსუბუქებ ცხოვრებას? მე პირადად, რომ არა ქართული ჟურნალები და განსაკუთრებით — „გზა“, ალბათ გავაფრენდი. როდესაც დავბრუნდები, აუცილებლად გნახავ და საჩუქარიც ჩემზეა. ძალიან მომწონს ბერბიჭა. ეტყობა, სიყვარულით სავსე გული აქვს. მოკითხვა ყველა მგზავნელს. გაიხარეთ. ახალგაზრდა ბებია.

• გამარჯობა, მარი. არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც ამას ამბობს: გულწრფელად გიხდი მადლობას „გზავნილების“ შექმნისთვის. უსაზღვროდ თბილი და მოსიყვარულე ხალხი გავიცანი. ვერ წარმოიდგენ, ეს როგორ მჭირდებოდა... ყველას მოვიკითხავ და ბევრს ვკოცნი. მაესტრო, როცა შეძლებ, მომწერე. ოლე, ძალიან თბილი და ყურადღებიანი ხარ. ბელო, ნუ მეკარგები. აბეზარავ, გაკოცე. მარტოსულო, დიიიიდი მადლობა. სო-ნი.

• აუუუ, შემოგევლე, მარიამულ! ახლა ვიპოვე ჩემი დაბეჭდილი მესიჯი და „მარშრუტკაში“ ისე ავკივლდიიი... ყველა მე მებრდღვნა, ცუდად ხომ არ ხარო? ვგიჟდები თქვენზე. ფოთოლი18.

• აუუ, როგორ ველოდებით 3 იანვარს?! გოგონებო, მაგარ დროს გავატარებთ. თან ყანა თუ გაიჩითა, აუუუუ?! გკოცნით. ლ.77.

• მამუკა, მაგრად მიყვარხარ და მენატრები. მით უმეტეს, ახლოს ხარ, მაგრამ მაინც... შეცვლილი მე არ ვარ. უბრალოდ, ვცდილობ, ჩუმად ვიყო. ლ.77.

• გამარჯობა, მარი. წელიწადზე მეტია, არ დამიმესიჯებია. წავედი და არც ვაპირებდი ვინმესთვის თავის შეხსენებას, მაგრამ თეთრი ყვავის მესიჯი რომ წავიკითხე, გულით მომინდა, მომეწერა. ჩემთვის „გზავნილები“ და „მობილიზაცია“ იმ ძველ მგზავნელებთან ასოცირდება, რომლებიც ცხოვრებას მიხალისებდნენ, ძველ დროს. ერთი სული მქონდა, ხუთშაბათი მოსულიყო. ვიცოდი, „გზავნილებისა“ და „მობილიზაციის“ ყოველი გვერდი სითბოთი და სიყვარულით იქნებოდა სავსე. განა მაშინ არ იყო, პატარ-პატარა უთანხმოებები? იყო, მაგრამ ჩვენ შორის ბოღმა არ იყო. ძალიან მაკლია ჩემი ლიმონა, ილინი, პარიჟანკა, კანიბალკა, პენსიონერი, მამაცი თოჯინა, ჩორი, ნელკა, ისტერიჩკა, BABY SMILE, მის 13.07, კოხი, მის სიო, ჩუქჩა, იკჩო, ელისო, მონასტრის ბიჭი, სტიქია, ზაზუნა22, შეწირული, ლუციფერი, დუჩი, ლორელაი, ლელუჩია, 9717, ლეო91, სინიორელა, იტა, 9122, ჩემი გიჟები — კაკუ და ნიკოლი (ვინმე გამომრჩებოდა და მე მაპატიეთ). ერთი სიტყვით, ეს ის ხალხია, რომელთა გამოც ხუთშაბათი მიხაროდა. გმადლობ შენ, თეთრო ყვავო, რომ გახსოვარ მეც და დანარჩენებიც. მე წავალ ისევ და მარ, გულით გთხოვ დამიბეჭდო, მეტს აღარ შეგაწუხებ. ბაო.

• მარის არ ვუყვარვაააარ! :-(:-(აბეზარა.

• მარიამულო, მადლობა ყველაფრისთვის... როცა შენს ნაწერს ვკითხულობ, გული სიხარულით მევსება. მენატრები, მარ! ლუნა.

• მარი, ჯიგარო, „გზის“ წაკითხვა ვერ მოვახერხე და თურმე რა ამბები ყოფილა?! ერთმა ანგელოზმა დამარწმუნა და მინდა, SWEET-GIRL-ს ბოდიში მოვუხადო. ოღონდ, არ გეგონოს, გოგონავ, რომ შენ მართალი ხარ ჩემთან. მგონი მაქვს აზრის გამოთქმის უფლება, ჰო, პატარავ? თეთრი ყვავი ისე იწელება, გეგონება მართალი იყოს. ისიც ისევე კბენს ხალხს, როგორც გასაღები. რა განსხვავებაა მათ შორის? ასე რომ, SWEET, შენი გასარკვევი არაა, რისი სურვილი მაქვს. მარი, უჯიგრესი ადამიანი ხარ. ნიკას ლამაზმანო, სიამოვნებით გიმკურნალებ, რა გაწუხებს? ნამდვილი მამაკაცი.

• გული მწყდება, რადგან „გზავნილებში“ ბოროტებამ იმატა და ის ძლიერი სიყვარული მიიმალა, რაც ერთმანეთის მიმართ გაგვაჩნია. მე წელს ყველაზე ბედნიერი ვიყავი, რადგან უდიდეს სიყვარულსა და სითბოს ვგრძნობდი გრუზინკას მხრიდან. ჩვენ ბევრი ლამაზი დღე გვაქვს ერთად გატარებული. მე და სვეტა ჩემს მეორე სახლში მარტო ვიყავით ხოლმე ამ ზაფხულს და ის ისე მიფრთხილდებოდა, როგორც საკუთარ შვილს. მთელი ღამე მელვიძა, ვერაფრით ვიძინებდი (ან რა დამაძინებდა, როცა შემეძლო გაუთავებლად მელაპარაკა მასთან). ამიტომ საწოლს ვირწევდი ხოლმე და ამის გამო დამცინოდა. მერე კი ფილმ „უძინართა მზის“ (ვაბოდებ ამ ფილმზე) მელოდიას მირთავდა და სანამ არ ჩამეძინებოდა, მანამდე მასმენინებდა. დილით პირველი ყოველთვის ის იღვიძებდა, მერე თბილად გამიღიმებდა ხოლმე და დილა მშვიდობისას მეუბნებოდა. მე ყველა მისი თბილი სიტყვა და შემოხედვა მახსოვს. ახლა გრუზინკას გული სტკივა. ძალიან გთხოვ მარიამულ, მომეცი უფლება, მას შევახსენო, რომ მიყვარს და მენატრება. ლუნა.

• ნუუუ, საახალწლოდ დიდი გეგმები დამიგროვდაა. მგონი მაგარ ახალ წელს გავატარებ. ენიგმა, მთაში რატომ ხარ, მოგბეზრდა ცოდვილი ხალხის ცქერა და განდგომილ ცხოვრებას მოეკიდე? რა ჯობია მთას და მარტოობას? გენაცვალე, გაკოცე ბევრი. ლიმონა, ქალი კი არა თაფლი ხარ. მზის სხივი და სიყვარული. ვაბოდებ შენს ნიჭზე და თავად შენზე. თოლია.

• სიყვარულია, რომ აქცევს მოკვდავთ, კაცს ზეციერად და ქალს ღვთაებად, სიყვარულია, ჩვენ რომ გვანიჭებს, სიბრძნეს, სიხარულს და უკვდავებას, სიყვარულია, ჯვარცმა, წამება, საღვთო კოცნაა, საღვთო ფიცია, შეყვარებულთა წმინდა სახელი, ანგელოზებმა ცაში იციან. სიყვარულია, ჩვენ რომ გვაცოცხლებს, სიყვარულია, რაც ცოცხლად გვმარხავს, სიყვარულია, თვითონ ღვთაება და მას მოწილედ, თვით ღმერთიც არ ჰყავს, თვით გოლგოთაზე ღმერთიც და კაციც, კაციც და ღმერთიც სიყვარულს აჰყავს! ქალი ცდუნება.

• მარი, პრივეტ. როგორ ხარ? იცი, „გზავნილების“ გარეშე არ შემიძლია. შენც ძალიან შემაყვარე თავი. ხიპიშა...

• მაია, ამ ცხოვრებაში ყველაფერი დასწრებაზეა. მე რომ არ ჩამეძირა, ის ჩამძირავდა. იცი, ვისაც ვგულისხმობ ანუ ყველაფერს წერტილი დაესმება. ლ.77.

• გათენდა ხუთშაბათი დილა და „გზა“ საღამოს მეენება მარტო. :(

• გამარჯობა, მარი. თქვენი ჟურნალის აქტიური მკითხველი ვარ. სულ გულისფანცქალით ველი ხოლმე მომდევნო ნომერს. შენს რუბრიკებს — „მინირომანი“ და „რეალური“, ყოველთვის ვკითხულობ და სურვილი გამიჩნდა, ჩემ შესახებაც მოგიყვეთ. მარტოხელა დედა ვარ და 8 თვის გოგონას მარტო ვზრდი. მის გამო დავკარგე ყველა და ყველაფერი. თუ სურვილი გექნებათ, გიამბოთ და ჩემს ისტორიას დაბეჭდავთ, უბრალოდ, მომწერეთ... პატივისცემით, ნინა... წინასწარ დიდი მადლობა...

• ლუნა, ჩემო პაწაწუნავ, მესიჯებზე

ნამდვილი მამაკაცი ყოველთვის ოცნებობს იმას, შაცდ ჭიდოს სოფს

რატომ არ მპასუხობ? გაწყენინე რამე, დაი? გრუზი, გენათალე ქალო, მოვიკითხავ სევდიან ქალს, ტირიფს, კამელიას, ოლეგარიოს, მისტერს, მგზავრო ძალიან მიხარია, რომ ბედნიერი ხარ. შეწირულო, უდიდესი ადამიანი ხარ, გთხოვ, დაბრუნდი „გზაში“ ჩემი ხათრით. მოვიკითხავ ყველას, ვისაც ვუყვარვარ. ყველას ძალიან გაფასებთ. ქალი ცდუნება.

• მარი, ორი „დღე და მთელი ცხოვრება“ წავიკითხე. საშინელ ხასიათზე დავდექი. ნამდვილი სიყვარული მართლა არსებობს და მიკვირს, ხალხი ხელს რატომ ჰკრავს? ჩემს საყვარელ ადამიანთან ყოფნის უფლება რომ მქონდეს, უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი.

• თეთრი ყვავი თავად SWEET GIRL-ია ან მისი სასტავიდანაა, რომელიმე. მარი, მე თუ მკითხავ, ერთი შურიანი გოგოა და გასაღებზე მეტს თავად აკეთებს. მაგ გოგოს მესიჯები გულს მირევს. მალე გაირკვევა ვინცაა და არც მას შერჩება რამე. დათო, მაგარი კაცი ხარ. ნინი.

• ეჰ, მარ, მგონი შენს ტელეფონს ჩემს ნომერზე ალერგია აქვს. რატომ არ მწყალობთ შენ და შენი მობილური, ნეტავ? ცუდი გოგო ვარ, თუ? ფეშენა.

• მე ხომ ვიცი, შენს ლოდინში გავგიჟდები, შემოვიხევ შენს ნაჩუქარ კაბას, კარტის დასტებს ჩავილაგებ უბეში, შენს საძებრად კვლავ ქუჩაში გავალ. კვლავ გავხდები სევდიანი ბოშა ქალი, ცრემლებიც ხომ დამამჩნევენ კვალს, ასე დიდი სიყვარული რომ მასწავლე, განშორებაც შემასწავლე, რა... მე ხომ ვიცი, რომ დამტანჯავს ეს ლოდინი, მაგრამ მაინც არვის ვუღებ გულს, წუთიერი გრძნობის მონა როდი ვარ, ფეხით გავსრეს სხვის ნაბოძებ გულს. მე ხომ ვიცი, შენს ლოდინში გავგიჟდები, გავიწეწავ შენს საყვარელ თმას, კარტის დასტებს მიმოვფანტავ ქუჩებში და მოვიკლავ ამ კარტებზე თავს. მოკითხვა ყველა ჯიგარს, სოფი, მეზობლებს არ გავუაროთ? გაგეცნობი, ნინო. 9717.

• ახლა ღამეა, ნაზი და ჩუმი, მინდა გაჩუქო მე ჩემი გული, განა იმიტომ, რომ აღარ ფეთქავს? დღეს ეს პატარა სიყვარულს ბედავს. ბექა ლომიძეს. თემურიჩი.

• მარ, მოკლედ, სიზმარში გნახეეე!!! მიყვარხართ! მარწყვის გოგო.

• 6 წლის ბიძაშვილი მეკითხება: მარი, შენ და შენი შეყვარებული რომ გათხოვდებით, სად უნდა იცხოვროთ? ვახოს ტვინამდე ჯერ სიტყვა „ცოლის მოყვანა“ არ მისულა. ჭრიჭინა.

• უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ბევრმა გამოთქვით დახმარების სურვილი. მემე, რატომ ხარ ასეთი კარგი? ფლამინგო, რავა ხარ? ყველანი ძალიან მიყვარხართ. ჭრიჭინა

• აზიელს მინდა ვუთხრა, რომ მაგ სპექტაკლში მე ვიყავი მწერლის როლში. ამიტომ, მადლობა შენ. იქ სხვა მგზავნელებიც იყვნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ იცანი, არა? სუპერსთარი.

• ნინო, გაიხარე, ოჯახსა შინა. კარგი ხარ, კარგიოო! :) ისე, ეს თეთრი ყვავი მეც მესიმპათიურება და რა�ა ვიცი, აბა? ვიცი? რა ვიცი... :) დამავოი.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? თუ იცით, რომ მაგრად მომენატრეთ? ჭრიჭინ, რატომ არ გამოგვიარე, ااا? ხომ იცი, მე დაკავებული ვარ, მაგრამ შენ რა გიშლის ხელს? იდუმალი ქალი.

• ინკოგნიტო თაყვანისმცემელს: თქვენი გაცნობის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ასე რომ, ჩემი გულისთვის ნუ დაიხარჯებით, არც თქვენი ლექსი მესიმპათიურება. იდუმალი ქალი.

• მოვიკითხავ ყველა ღირსეულ მგზავნელს, განსაკუთრებით მეგრელებს. მიყვარხართ და მართლა კარგები ხართ, გაკოცეთ უთვალავი. მპუااა. სიყვარულით, თქვენი იდუმალი-ქალი.

• სიხარულებო, მიწისძვრამ ხომ არ შეგაშინათ? SKY, რა კარგუნელა ხარ?! სიკვდილ, რავა ხარ? გლუკოზას სალამი. ეშმაკუნა, უზომოდ მიყვარხარ. ლიმოონ, მპუااااااა. ჭრიჭინა.

• შენი ამბორით გამთბარი, ცის დასალიერს წავედი, კოცნას მეც გიძღვნი, ძვირფასო, უშენოდ ვეღარ გავძელი, შენ ჩემთვის მუდამ იქნები, უსაყვარლესი თავხედი. ცხრათვალა.

• SWEET-GIRL, ნამდვილი მამაკაცი თუ არა, სხვა ხომ გიცნობს რეალში? ჰოდა, იქიდან ვიცით, შენი მშვენიერების შესახებ.

• SWEET-GIRL, გენაცვალე, ზაფხულის იმ ლამაზი დღის გახსენებით არავის აწუხებ. როდესაც თქვენს ნაწერებს ვკითხულობ, ვფიქრობ, თუ რა ბედნიერი ვიქნებოდი იმ დღეს, მეც თქვენთან ერთად რომ ვყოფილიყავი. გენაცვალეთ, ყველანი კარგები და საყვარლები ხართ და ზოგიერთების უაზრო კომენტარებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. GOLD GIRL.

• მარი, ჩვენო საამაყო და ძვირფასო საუნჯევ! ღმერთს ვეხვეწები შენს ხილვას, სურათით მაინც. რა ამოუწურავი მარაგი გაქვს, გენაცვალოს ნანი დუმბაძე.

• ენიგმას: იქნება მართლაც აღარ ვარსებობ, იქნება მართლა წყევლა ვარ ღვთის, მაგრამ უნაკლო ვინმე არსებობს? ჩემს ცოდვებისთვის უფალიც მსჯის. მაპატიებ, კახა? ექსბუსუნა.

• SWEET, ნამდვილ მამაკაცს თუ არ დაევასეთ, იმით არ ვათენებთ დარდში ღამეებს? მე მომბაძე თათ და გაუტარე. ლიჩნად მე მაგრად ვხალისობ. GREEN GIRL.

• თეთრი ყვავი ჩემი ფავორიტი ჯერ კიდევ მაშინ იყო, მარის მანქანაში რომ ვიყავით ჩაპრესილები და მარიმ რომ არ გაგვიმხილა მისი ვინაობა. გენაცვალე, ყვავუკ. GREEN GIRL.

• სალამი საყვარელო მგზავნელებო, მიყვარხართ და მენატრებით. რატომ არავინ მომიკითხა? 9717, როდის ჩამოხვალ თბილისში და მგელობანას არ მეთამაშები? უი, რა დრო ყოფილა უკვე, 11 საათია. უნდა დავიძინო, თორემ დედიკო გამიბრაზდება. აბა, დავიძინე და ყველას ძილი ნებისა. მეგი-გოგო. პატარა იდუმალი.

• იდუმალ ქალს: მე მენატრები ყველაზე ძლიერ, სურვილად მექცა შენთან შეხვედრა, იმ მთვარეს ვგავარ, ფიქრში რომ ათევს, ოცნებად რომ აქვს მზესთან შეხვედრა, მე მენატრები იმაზე უფრო, ვიდრე პატიმარს — თავისუფლება, მე მენატრები და სულ მახსოვხარ, რომ დაგივიწყო, არ მაქვს უფლება. შენით მოხიბლული თაყვანისმცემელი.

• დათო, „03“-ზე დავრეკო? შენც რა ჩემი პაკლოებივით გაიგიჟე თავი? ანჯელინა მე არ ვარ და მილიონერი მამიკო მე არ მყავს და... ჰმ... ASHLEY PCD.

• კაქი ლა, მაარ :(5 წლის სტაჟიანმა მესიჯომანმა ახლა უნდა ვამუღამო წერა? :(არ მიმაბლოკო, ცოდო ვااალ. :) ASHLEY PCD.

• ვამეე! ლალოლა გავიცანიი! გენათალე, ანგელოზო! პ.ს. არ მოგბეზრდათ იმ ეკოსაშინელებაზე ლაქლაქი? პოპულარობა უნდა და გაგდებთ გოიმებივით. ASHLEY PCD.

• ჰო, ისე... მარო, შენც აგაგდო იმ ეკოლოგიურმა კატასტროფამ. არ გკიდიათ, ვიღაც სოფლელი? იბუინოს და იყოს, ყველამ მიაიგნორეთ, ი ვსო! ASHLEY PCD.

• დათო, მეტის მოწერას აღარ ვაპირებ. ახლა პატიოსან ხალხს მისწერე, O.K.?

• პარიჟანკა, ალბათ შენი ყველა ლექტორი კაცის უნახავი, მწარე ქალიშვილია. :) ვიზიარებ. სკარლეტ, ქალო, ეს რა ლექსებია, რა იყო, კვდები? :) ASHLEY PCD.

• კარგი ტიპშა ჩანხარ. აუ, მაგრად

ჭალის ამ ოყვარის თავის სიყვარულზე საუბარი, მაგრამ სუფრა, ყველამ იცოდეს, რომ მასზე შეყვარებული ვარ

მინდა SWEET-ისა და თეთრი ყვავის გაცნობა. მიმაჩნია, რომ რასაც ფიქრობენ, იმას წერენ. მეც ასეთი ვარ. ASHLEY PCD.

• 9717, მარიამული შეგიყვარდა? ICE LADY, ეგაა უბედურება, ქალო? ახლა ხო, მიიბეჭდა YOUR TEXT MESSAGE ON THE PAPERS OF MAGAZINE „გზა“? აუ, მატიტელავ, მაგრად დამევასე.

• ძაან მიხარია, რომ გაჭირვებულთათვის დახმარების სურვილი გაგიჩნდათ. „გზის“ რედაქციას მივმართავ თხოვნით: იქნებ ისეთივე აქცია მოაწყოთ, როგორც წლების წინ „კვირის პალიტრამ“? დევიზით — „დავეხმაროთ ერთმანეთს“ და მთელი საქართველო ჩართოთ ამ მადლიან საქმეში? ASHLEY PCD.

• შოკოლად, გენათალე, მეც სულ ზოოპარკი მქონდა სახლში. :) ლეკვი მყავდა, კურდღელს გალიის კარს უღებდა და ერთად იწვნენ ხოლმე, მიხუტებულები. კუს ბაკანზე გულის ფორმის ამოტეხილი ჰქონდა და რომ დავკარგეთ, 7 თვეში ჩემი ძმის მიერ ნაპოვნ კუში, ის მაიმუნი კუ შევიცანით. :) მაგრამ იხვები მყავდაა?! ეეჰ, როგორ მიყვარდნენ. ზღარბი მეც მყავდა, ისეთი საკალელი იყო, თვალებს იფშვნეტდა და რძეს სვამდა და... მე-2 სართულიდან გადამივარდა. ზაზუნაც მყოლია, თევზებიც და ა.შ. ASHLEY PCD.

• გამოკეთდა ჩემი პატარა ღლონტის გოჭიი. არა, რა, ადამიანს რაც არ უნდა აპატიო, ნაგავი ნაგვად რჩება! ამიტომ, აღარ გამეცნოთ, თუ გულს მატკენთ! ASHLEY PCD.

• ეს რამდენნი ხართ, ხალხოო! ღმერთმა გამრავლოთ. :) რა არის, რა მელანქოლიურ ლექსებს გზავნით? მსოფლიო ომი დაიწყო? გამხიარულდით, ლაა. ASHLEY PCD.

• თიკო ბუკია, უძალიანმაგრესი გოგო ხარ. ვერძი2.

• მსაჯულ, ადგილის მანდ დაჯავშნას ჩემი გაგიჟება უნდა, მაგრამ როგორც მე შემწვარი ქათმის კანის მჭამელი არ ვარ, ისე შენ მაგ ძალის შემწევი არ ხარ. მისტერ.

• ნინი16-ს: რაღაცით ბატ ტასიკოს მაგონებ. შენისთანა პადხალიმები აქცევენ ქვეყანას. გამოვიდა რაა, მესია! კოშმაარ! არც ისე ცუდი გოგო.

• ცხრათვალავ, მე ბერბიჭას გულს ნამდვილად არ ვთხოვ... ნუ იეჭვიანებ. ორივე საყვარლები ხართ. ამოუცნობი.

• აქ ყველა ვიღაცას დაეძებს, ერთობიან და არც უფიქრიათ, რომ მომავალი — ილუზიაა. დავეძებ ვიღაცას და ვის? ვინც დავკარგე და ვინც არ მიპოვია. გაიგეთ ამის აზრი? მიგრელ.

• უცნობო მგზავნელო, გამიხარდა, ეკობოის რომ გამოესარჩლე. მართლაც, მეც მსგავსი შთაბეჭდილება დამრჩა და რატომღაც არც ის მგონია, მარი სძულდეს...:) სარვიეტა.

• სალამი ყველას. მე ახალი ვარ, მაგრამ „გზას“ 3 წელია, ვკითხულობ. მაპატიეთ, მაგრამ ახლა ჟურნალში ვეღარაფერს ვპოულობ. თანაც, ამდენი რომანები რა ამბავია?

• კი, ტირიფო, აბა, როგორ? ბევრს გიცნობთ და კულუარულ ინფოებსაც ვფლობ. შენ და მგზავრს გაბედნიერებას გილოცავთ, თბილად შეაბერდით ერთმანეთს. გაკოცეთ. ნინო.

• მემე, თვალი იმიტომ ხედავს სინათლეს, რომ თვით მასშია ნათელი. გმადლობ მხარდაჭერისთვის, მაგრამ იდეის ხორცშესხმას სხვა მგზავნელთა თვალი, გული და ჯიბეც სჭირდება. ნინოო, მუხლს გიდრეკ. მსაჯულო, ვაუ! არჩევანი შენა, არადანი — მე, ჩემი შებმა — შენა, შენი გული — მე. ექსპერიმეენტ! GREEN, გაიხარე, როგორც მე გამახარე, შენი გემოვნებით. მატიტელ, ყოჩაღ! ენიგმა.

• მთლად გაზარმაცებულმა ნოდარმა ცოცხლად დამარხვა გადაწყვიტა და ერთ მშვენიერ დღეს სამგლოვიარო მუსიკის თანხლებით გაასვენეს სახლიდან, დასამარხავად. ამ ამბით შეძრწუნებულმა ერთმა უცნობმა მამაკაცმა მუსიკოსებს დაკვრა შეაწყვეტინა და ნოდარს გასძახა: შვილო, ძალიან გთხოვ, ნუ წახვალ იქ და ჩემს ერთადერთ, გასათხოვარ ქალიშვილს შენ მოგათხოვებ! ორი ფირმა მანქანა მყავს, ისიც შენი იყოს, ბოლოს და ბოლოს, ჩემი სამსართულიანი სახლიც შენი იყოს, ოღონდ ნუ წახვალ იქ!.. ნოდარმა კუბოდან თავი წამოყო და ჰკითხა: ყველაფერი კარგია ძიაკაცო, მაგრამ ერთი ეს მითხარი, იმ სამსართულიან სახლში ლიფტი თუ გაქვსო? არაო! თუ არა და, დაუკარით, მაგის დედაც ვატირეო, გასძახა მუსიკოსებს ნოდარმა. ჯეჯე.

• ნუ ჩხუბობთ რა, გეხვეწებით! თქვენ ხომ ასეთი კარგები ხართ! გაკოცეთ ყველას. პატარა.

• იდუმალ-ქალს: გემუდარები, ორგულობა არ დამაბრალო, არ დაიჯერო, განშორებამ გრძნობა გასრისა, არ დაივიწყო, რომ ოდესღაც გული საბრალო, შენსავე მკერდში შევინახე, შენგან წასვლისას, შენი მკერდია ჩემი გრძნობის თავშესაფარი, შინ დაბრუნება იცის თურმე, ჩემისთანამაც, შენზე ოცნებით მოვიარე ქვეყნად მთა-ბარი, მაგრამ ცოდვების გასაბანად წყალიც თან დამაქვს, არ დაგიმალავ, მეც სხვებივით ლხენას დავეძებ და ახლაც შენთან უცოდველი როდი მოვედი, მაგრამ არასდროს დაიჯერო, ისე დავეცი, გადავივიწყო შენი გულის სვეტიცხოველი, შენს უკეთესი რა შემეძლო ქვეყნად მენახა, ამ უნაპირო სამყაროში მხოლოდ შენა ხარ! შენი თაყვანისმცემელი.

• ცისიას: მომწონს, როცა მიმღერიან სატრფიალო ბაიათებს, 9 გული მაქვს გენაცვალე, ერთს შენ დაგიზანიატებ, ცხრათვალ, შენ ნუ გაბრაზდები, განვიხილავ ვარიანტებს. ბერბიჭა.

• სხვისთვის თეთრო ყვავო, ჩემთვის კი იადონო, მიხარია, რომ ის აღმოჩნდი, ვისაც ვფიქრობდი. იქნებ ისევ გაგვიმრავალფეროვნო „გზავნილები“, თორემ ხარისხი ჩაწვა. ბერბიჭა.

• გთხოვთ დამეხმარეთ, გავთხოვდი ჩემი ნებით და ახლა ვხვდები, რომ ჩემს ყოფილ ლოვესაც ვუყვარვარ. რა ვქნა? ოჯახსაც ვერ ვანგრევ. დამეხმარეთ რა! ნათი.

• მარ, მალე გააკეთე რა, „ჯურღმულიორკი“, „ვინ გვარცხვენს“ და შავ დაფაზე მათი სახელები ჩაწერე, ვინც სალანძღავ გზავნილს დაწერს. იქნებ მერე დაწყნარდნენ? ლა-ლოლა.

• მარი, MY DEAR, ქუთაისელი ონისე ფხაკაძის წინადადება, ვფიქრობ, ურიგო არ არის. ახალგაზრდა პოეტებზე. ეს კიდევ ერთი სტიმული იქნება მგზავნელებისთვისაც. სარვიეტა.

• ASHLEY PCD, რა მაგარი ხარ, შენ მომეწონე, რაღაცნაირად. გაიხარეთ, ყველანი საყვარლები ხართ. თაკ...

მიყვარხარ

• ჩემო პატარა სიხარულო, საყვარელო და მონატრებულო თეკლა, მენატრები, ჩემო ლამაზო ფერიავ. ჩემი სიცოცხლე ხარ, ბებო. ძაან მიყვარხარ და მენატრები, ბებოს სიხარულო. დიდი სიყვარულით, მზია ბებო.

• თუ ვინმე შეძლებს, ყინულის პატარა ნამცეცებით მზეზე დაწეროს შენი სახელი, მას ჩემზე მეტად ჰყვარებიხარ, იცოდე. ლაშა, უზომოდ მიყვარხარ და მენატრები. ჭრიჭინა.

• მარი კიკვიძე, ძალიან მაგრად მიყვარხარ და მენატრები. უშენოდ ძალიან ცუდად ვარ. გოგა გამყრელიძე.

თუ მამაყაცები დიდი ბავშვები ვართ, მაშინ ქალები — ბავშვები ვართ, ოღონდ ჭაღარაში

გილოცავ!

• თიკო, სულაც არ გჭირდება ჩემი სიყვარული, მაინც არაფერში გარგია, მაგრამ სიძულვილთან შედარებით, ვინმეს რომ უყვარხარ, კარგია... გილოცავ დაბადების დღეს, 24 ნოემბერს.

• ჩემს დაქალს, თამო სიჭინავას ვულოცავ დაბადების დღეს. ძალიან მიყვარხარ, თამ. თქვენ კი, როგორც მოსვლით გაგახარეთ, ისე წასვლით დაგამწუხრებთ. გაკოცეთ. ედელვაისი.

• შუბლა, გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი, შენს ცოლ-შვილთან ერთად! დინგა.

• ლოკატორ, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი ყოფილიყავი, შენს ცოლ-შვილთან ერთად!

• ჩემს საყვარელ ბიძაშვილს, ილიას ვულოცავთ დაბადების დღეს, 17 ნოემბერს. უფალი გფარავდეს. გიორგი, ნიკა, რატი, ნათია.

• მონატრებულ რძალს, ნათია გოგიჩაშვილს დიდი სიყვარულით ულოცავს დედამთილი ოქროს დაბადების დღეს, 19 ნოემბერს. გისურვებ ჩემო გოგო, გახარებულ და წარმატებულ წლებს. გაიხარე შენს ლამაზ ქმარ-შვილთან და ყველა კეთილისმსურველ ადამიანთან ერთად. უფალი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი. გკოცნი, ნინო.

• ნონიკო ბაბუნაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, საყვარელ ხალხთან ერთად. ინეზა და ბესო.

• გეგუთში, დათო გაბუნიას ვულოცავ დაბადების დღეს, საყვარელ ხალხთან ერთად. ინეზა და ბესო.

• სენაკში, სოფელ უშაფათში, 23 ნოემბერს გიორგობას და დაბადების დღეს ვულოცავ ლაშა გოგინავას. უზომოდ მენატრები. ჯანმრთელი და ბედნიერი მეყოლე, დედი. გფარავდეს წმინდა გიორგი. ქეთევან ნიკოლაიშვილი.

• ათენში დროებით მცხოვრებ გია გიორგაძეს გვინდა 21 ნოემბერს მივულოცოთ 50 წლის იუბილე. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, საყვარელ ოჯახთან ერთად.

• ჩემს საყვარელ და მონატრებულ შვილიშვილს, გიორგი მიქაძეს 23 ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღესა და გიორგობას. წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს, ჩემო პატარა ანგელოზო. მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ტკბილო, პატარა ბიჭო. იხარე და გაიზარდე. გკოცნის დარეჯან ბებო.

• მამიკო, დაბადების დღეს გილოცავ, მრავალს დაესწარი, მუდამ ბედნიერი მენახე. უზომოდ მენატრები და მიყვარხარ. გკოცნი, შენი მონატრებული შვილი, თეონა.

• გორელ მიშიკო კუჭიაშვილს ვულოცავ 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს და დაბადების დღეს. ამ მადლიან დღეს მოევლინე ქვეყანას ღვთის ნებით და ამით უფალმა დიდი მოვალეობა დაგაკისრა. მოვალეობა სიკეთის კეთებისა. მე მჯერა, შენ შეიცვლები და ბედნიერებას მიაღწევ. ცხოვრების მეგზურად ღირსეული გეპოვოს და შენც ღირსეულად გეცხოვროს. ადამიანის გრძნობებზე არასდროს გეთამაშოს. მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა, მოგექცნენ. იყავი ჯანმრთელი და ძლიერი. მუდამ შენი კეთილისმსურველი...

• ჩემო სიხარულო, დათუნა, გილოცავ დაბადების დღეს, 26 ნოემბერს. გაიზარდე კარგი ბიჭი. გისურვებ ულევ სიხარულს, შენს დედ-მამასთან ერთად. გფარავდეს ღმერთი. თინა ბებო.

• ქუთაისში მცხოვრებ კაპიტან ირაკლი გელხვიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 ნოემბერს. გისურვებ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს, ცოლ-შვილთან ერთად. დედა.

• 19 ნოემბერს დაბადების დღე მინდა მივულოცო ნინიკო მაჩიტაძეს. დაესწარი მრავალს. ჯანმრთელობა და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. რაც ჩანაფიქრი გაქვს, აგსრულებოდეს. ბიცოლა.

• საბერძნეთში დროებით მცხოვრებ ლელა ფუთურიძე-ქარჩხაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობასა და უფლის წყალობას, მონატრებულ ქმარ-შვილთან ერთად. ლელა.

• ჩვენს ძვირფას ქალბატონ ნინო ჭუმბურიძეს ვულოცავთ წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდებას. ვუსურვებთ უფლის წყალობას, ოჯახთან ერთად. სიყვარულით, ნატო ჭუმბურიძე, ირინა კიკნაძე, მაგული ჩიგოგა და საახლობლო.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილს, სალომე ღონღაძეს. 24 ნოემბერს 18 წლის ხდები დედიკო და სულ კარგად მეყოლე, ჯანმრთელად და ბედნიერად. ასევე გისურვებ წარმატებებს სწავლაში. გკოცნი და გეფერები, შენი დედიკო, თინიკო.

• ვანდა! ჩემო სიხარულო! ჩემი ოცნება და ფიქრი ხარ. უზომოდ მიყვარხარ და მენატრები. გილოცავ ბებოს სიხარულო, დაბადების დღეს. 17 ნოემბერს 15 წლის ხდები, დედას და ბებოს სიხარულო და ლამაზო გოგო. გვიყვარხარ და ძალიან გვენატრებით. მაგული ბებო და შენი სანატრელი დედიკო.

• სიყვარულო და სევდავ ჩემო, გილოცავ დაბადების დღეს, 18 ნოემბერს. გისურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. გწამდეს, რომ მუდამ მახსოვხარ. გფარავდეს ღმერთი. გულო,

• რუსთავში თაკოსა და ირაკლის ვულოცავ პირველი შვილის შეძენას. გაგიზარდოთ უფალმა სასახელო ქალიშვილი. წმინდა ბარბარეს მფარველობა არ მოჰკლებოდეს.

• დაბადების დღეს ვულოცავ ზურა ხურციძეს. ჩემო სიხარულო, ჩემო უსაყვარლესო, ჩემო ძვირფასო მეუღლევ და ტყუპის მამიკოვ, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. დღევანდელ დღეს კი ამ პატარა ლექსით გილოცავთ: დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, ერთი სიცოცხლე რა არის შენთვის და ჩემიც შენთვის დამილოცნია. გილოცავს შენი მეუღლე, მარიკა გურგენიძე და შენი ტყუპი, დათუნა და თამთა ხურციძეები. გკოცნით ბევრს.

• ჩემს რძალს, ნათელა გაგნიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. გილოცავ, მონატრებული სიხარულითა და სიყვარულით გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს და გახარებას, შენს ოჯახთან ერთად. უფლის, ღვთისმშობლისა და წმინდანების მადლი არ მოჰკლებოდეს შენს ოჯახს. მზია.

• რუსთავში, ჩემს მონატრებულ ქმარშვილს, ვახტანგ და გიორგი გოგოლაძეებს და ჩემს უცნობ რძალს, ია კაპანაძე-გოგოლაძეს და უცნობ შვილიშვილს, მარიამ გოგოლაძეს ვულოცავ გიორგობის წმინდა დღესასწაულს. გფარავდეთ მუდამ მისი ძლიერი კალთა. დალი კოჭლამაზაშვილი.

• მამუკა ბენდელიანს და ნინო ხაჭაპურიძეს ვულოცავ შვილიშვილის, პატარა მამუკას იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბევრ ლამაზ წელს. გფარავდეთ ღმერთი. ნესტანი.

• ლაგოდეხში, ჩემს საყვარელ სიძეს, ირაკლი ორუჯაშვილს და ჩემს საყვარელ დისშვილს, თამარ ორუჯაშვილ-კანტროშვილს ვულოცავ პატარა ბარბარეს დაბადებას. გილოცავთ, ჩემო სიხარულებო, დიდი და სასახელო გოგო გაზრდილიყოს. აგრეთვე გილოცავთ გიორგობას. დალი კოჭლამაზაშვილი.

• ჩემს სიცოცხლეს და ერთადერთს, გიორგი კოხრეიძეს ვულოცავ გიორგობას. მრავალს დაესწარი, დედულია, მიყვარხარ. შენი დედიკო.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ■

ფაიმ-აუფი

ყველაზე, ყველაზე...

* ყველაზე მკვრივი კანი მურენს (ერთგვარი თევზი) აქვს, მას ტყვიაც ვერ ხვრეტს.

* ყველაზე სასტიკი თევზი პირანიაა.

* ყველაზე დიდი სალამანდრა სიგრძით 1,8 მეტრი იყო და 65 კგ-ს იწონიდა. სალამანდრა ცეცხლში არ იწვება — ის კანიდან დამცავ ლორწოს გამოყოფს და გარბის.

* ყველაზე გრძელი გველი 1912 წელს დაიჭირეს. მისი სიგრძე 10 მეტრი იყო.

* ყველაზე საიმედო დამცავი სისტემა ტეხასურ რქიან ხვლიკს აქვს. ხელში აღების შემდეგ, ხვლიკი ბურთივით იბერება და თვალებიდან შხამიან სითხეს ასხამს.

* ყველაზე დიდი ბაყაყი ამერიკელი გოლიათია, რომლის სიგრძე 87,63 სმ-ს შეადგენს; აფრიკული ბაყაყის საშუალო ნახტომი 10,3 მეტრია; ზონდის არქიპელაგზე ბინადრობს ბაყაყი, რომელიც დაფრინავს — გაშლილ თითებს შორის არსებული აპკის წყალობით, ბაყაყს ხიდან ხეზე ჩიტივით გადაფრენა შეუძლია. ■

უაზრო სიკვდილი

მინის გამძლეობას შეწირული

38 წლის ადვოკატმა ჰარი ჰოიმ სტუდენტებისთვის ვესტიბიულის მინის გამძლეობის დემონსტრირება გადაწყვიტა, მინას შეასკდა და 24-ე სართულიდან გადაფრინდა.

შოკოლადში ჩაძირული

ვინსენტ სმიტი ნიუ-ჯერსის შოკოლადის ფაბრიკაში მუშაობდა და ერთხელაც, ცხელი შოკოლადის ქვაბში ჩავარდა. იგი 10 წუთის შემდეგ, გარდაცვლილი იპოვეს.

„ამერიკული მთეების“ მსხვერპლი

2003 წელს, სიეტლის ერთ-ერთ პარკში დუგ მაკეი „ამერიკული მთეების“ რელსებს ზეთავდა. მისი გრძელი თმა ურიკამ ჩაითრია, მექანიკოსი 12 მეტრი სიმაღლიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

ფუტკრებით დაკბენილი

50 წლის ჯამ სინგ გირდან ბარელამ მეუღლის დაკრძალვაზე სამგლოვიარო ცეცხლი დაანთო, კვალმა ფუტკრები გააღიზიანა და ქვრივი მათი ნაკბენებისგან გარდაიცვალა.

ტორტში გაგუდული

იტალიის ქალაქ კონტეზაში, მდიდარ ბერბიჭას დაბადების დღეზე უზარმაზარი ტორტი მიართვეს, რომელშიც სტრიპტიზიორი იყო ჩამალული. ორგანიზატორები გაოგნდნენ, როდესაც დათქმულ დროს ტორტიდან სტრიპტიზიორი არ ამოხტა. თურმე, კონდიტერს ტორტში სასუნთქი მილის ჩადება დაავიწყდა, რის გამოც, 23 წლის ქალი ტორტში გაიგუდა. ■

უჩვეულო სასმელები

* აშშ-ში იყიდება ლუდი, რომელსაც პიცის გემო აქვს. პიკანტური არომატის მისაცემად, სასმელში ნიორს, პომიდორსა და ოხრახუშს ამატებენ.

* ვიეტნამში, ბრინჯის არაყში გველის ნაღველს ურევენ და სასმელს გველის ხორცისგან მომზადებულ კერძთან ერთად მიირთმევენ.

* ჩინეთში ბრინჯის ღვინის კასრში ხვლიკს აგდებენ. ერთ წელიწადში ხვლიკი „დნება“, ღვინო კი სამკურნალო თვისებებს იძენს.

* ჰავაის კუნძულებზე ყავის ლუდს ხარშავენ. სასმელი ერთდროულად, ათრობს და ამხნევებს. ყავის ლუდი სერფინგისტების საყვარელი სასმელია.

* იოგურტის ლიქიორს ჰოლანდიაში ამზადებენ, საფრანგეთში ბოთლებში ასხამენ და იაპონიაში ყიდიან.

* ჩიჩა ჰქვია პერუში დამზადებულ სასმელს, რომელსაც ძველად ინკები ამა თუ იმ რიტუალის დროს მიირთმევდნენ. დაღეჭილ სიმინდის მარცვლებს ქალები კასრში ყრიან და მოგვიანებით, ის დაღვინებას იწყებს.

* მესკალს აგავის წვენისგან ამზადებენ და მასში მატლს ადგებენ, რომელიც, როგორც ამბობენ, ჰალუცინაციებს იწვევს. ■

სპეცსამსახურებმა დაადგინეს – დუჩე ბრიტანელებს ჰყავდათ გადაბირებული...

იტალიელი დიქტატორი ბენიტო მუსოლინი საკუთარი კარიერის გარიჟრაზე ბრიტანეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა. კერძოდ, 1917 წელს გაზეთის — Il Popolo d'Italia — მთავარი რედაქტორი მუსოლინი მსოფლიო ომის მხარდამჭერი პროპაგანდისთვის საკმაოდ სერიოზულ გასამრჯელოს იღებდა.

„კონფლიქტიდან რევოლუციური რუსეთის გამოთიშვის შემდეგ, ომში ბრიტანეთის ყველაზე საიმედო მოკავშირე იტალია იყო. მუსოლინი 1917 წლის შემოდგომიდან, დაახლოებით ერთი წლის მანძილზე, კვირაში 100 გირვანქა სტერლინგს იღებდა, რაც დღევანდელი საზომით, 6 ათასის ეკვივალენტურია", — აღნიშნავს კემბრიჯელი ისტორიკოსი პიტერ მარტლენდი, რომელმაც მუსოლინისთან ბრიტანელების გარიგების დეტალები გამოააშკარავა. ■

უმდიდრესი სანტექნიკოსი ჯაშუშებს ებრძვის

უმდიდრესმა ბრიტანელმა სანტექნიკოსმა, ჩარლი მალინზმა თავის კონკურენტს — კომპანია Service Corps-ს სასამართლოში შპიონაჟის ბრალდებით უჩივლა. აღსანიშნავია, რომ სარჩელის თანხამ მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. მალინზი კონკურენტებს თანამშრომლების გადაბირებაში, მისი ტექნოლოგიური ინსტრუქციის გამოყენებასა და კომპანიის კლიენტების საიდუმლო სიის ხელში ჩაგდებაში ადანაშაულებს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, Service Corps-ის კომპიუტერები უკვე ამოღებულია და სწორედ მათი დახმარებით დადგინდება, მალინზის ბრალდებები სიმართლეს შეეფერება თუ არა.

ჩარლის თქმით, უკვე ორი წელია, მას კონკურენტები უსინდისოდ ებრძვიან და დაახლოებით ნახევარი წლის წინ მისი საწარმოს ხელში ჩაგდებაც კი განიზრახეს, მაგრამ მალინზმა მათ მაშინვე ცივი უარი სტკიცა: ოჯახური ბიზნესი არ იყიდებაო!

ბრიტანული კომპანიის — Pimlico Plumbers-ის კლიენტებს შორის არიან მსახიობები: ჰიუ გრანტი, დენიელ კრეიგი, კირა ნაიტლი და ჰელენ მირენი. 2008 წელს კომპანიის შემოსავალმა 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია, ხოლო მალინზის ხელფასმა 1,3 მილიონი გირვანქა შეადგინა. ჩარლი მალინზი სანტექნიკოსი 15 წლის ასაკში, სკოლის მიტოვების შემდეგ გახდა და 30 წლის მანძილზე მან თავისი კომპანიის წლიური ბრუნვის 15 მილიონ გირვანქამდე აყვანა შეძლო, ამჟამად კი Pimlico-ს მეწყალსადენეს მომსახურება საათში 80 გირვანქამდე ჯდება. ■

ნარკომოვაჭრეები ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელის სახელს იყენებდნენ

„ნარკობარიგები" ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელის, ადრიანოს გამოსახულებას საკუთარი საქონლის უკეთ გასაღებისთვის იყენებდნენ. რიო-დე-ჟანეიროს პოლიციამ ნარკომოვაჭრეებისგან 1350-ზე მეტი კრეკის კრისტალი, დიდი ოდენობით შესაფუთი მასალა და ბრაზილიის ყველაზე პოპულარული კლუბ „ფლამენგოს" სახელით მოთამაშე ადრიანოსგამოსახულებიანი ეტიკეტები ამოიღო. ნარკომოვაჭრეების გათვლით, ცნობილი ფეხბურთელის გამოსახულებით დამშვენებულ მათ საქონელზე მოთხოვნა უნდა გაზრდილიყო. სხვათა შორის, ეტიკეტებზე ადრიანო „ინტერის" მაისურშია აღბეჭდილი (შეგახსენებთ, ფორვარდი „ინტერის" სახელით 2001-დან 2009 წლამდე გამოდიოდა).

2005 წლიდან ადრიანოს პრობლემები შეექმნა — მამის გარდაცვალების შემდეგ ალკოჰოლს მიეჩვია და ჩვეული სპორტული ფორმა დაკარგა. 2008 წელს თავდამსხმელი იჯარის უფლებით, ბრაზილიური „სან-პაულუს" რიგებში გამოდიოდა, 2009 წლის იანვარში კი ისევ „ინტერში" დაბრუნდა; თუმცა, ამავე წლის მარტში 27 წლის ადრიანომ მილანის კლუბის კეთილგანწყობილება საბოლოოდ დაკარგა და ბრაზილიაში გაემგზავრა. ორი კვირის განმავლობაში მისი ადგილსამყოფლის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ხოლო საინფორმაციო საშუალებები ირწმუნებოდნენ, რომ ადრიანო ნარკოტიკებს მიეჩვია და სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებასაც ცდილობდაო. გაჩნდა ცნობა იმის შესახებაც, რომ ფორვარდმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

2009 წლის მაისში ადრიანომ „ფლამენგოსთან" გააფორმა კონტრაქტი და ამჟამად 15 გატანილი ბურთით ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელთა რიცხვში შედის. „ფლამენგოში" წარმატებული თამაშის წყალობით, ადრიანომ ბრაზილიის ნაკრებში დაბრუნებაც შეძლო. ■

აღმოსავლეთის ბლოკი დემოკრატიას სიფრთხილით ეკიდება

Pew Research Center-ის გამოკითხვის თანახმად, ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის მცხოვრებლები დემოკრატიასა და კაპიტალიზმს არაერთმნიშვნელოვნად ეკიდებიან: რუსეთში საბჭოთა კავშირს მისტირიან და იმპერია ენატრებათ, უკრაინაში მრავალპარტიული დემოკრატიის მომხრედ თავს გამოკითხულთა მესამედი თუ მიიჩნევს, ხოლო უნგრელთა 72%-მა განაცხადა, რომ კომუნისტების დროს უკეთესი ეკონომიკური სიტუაცია იყო. დემოკრატიისა და კაპიტალიზმისადმი ყველაზე უკეთესი დამოკიდებულება პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთშია.

ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი წინააღმდეგობები მთლიანობაში შემცირდა, საგრძნობლად შერბილდა იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულებაც. გამოკითხულთა აზრით, ძირითადი პრობლემა კორუფცია, სასამართლოების არაობიექტურობა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული უთანასწორობაა. ■

ოჰ, ეს „მსუბუქი“ ფრანგები...

თუ ბესტსელერის ავტორს, ფრანგ მწერალ ლორანს კარაკალას ვერწმუნებით, ფრანგები ცხოვრებას მსუბუქად ნამდვილად არ უყურებენ და ამ ქვეყანაში დამკვიდრებაც საკმაოდ ძნელია. „საკუთარ გარეგნობასა და აზრის გამოხატვის მანერაზე საგანგებო ზრუნვა მოგიწევთ. თქვენი ვარცხნილობა, ჩაცმულობა და მაკიაჟი თვით ყველაზე გრძელი და მძიმე სამუშაო დღის ბოლოსაც სრულიად უნაკლო უნდა იყოს, — აფრთხილებს საფრანგეთში მუშაობის დაწყების მსურველთ ქალბატონი კარაკალა: — იდეალური ფრანგი კლერკი ყოველთვის მოჩვენებითი ინტერესით ისმენს ბოსის წუწუნს ოჯახურ უსიამოვნებებზე, მაგრამ საკუთარი პრობლემებით მას არასდროს აწუხებს; იდეალური ფრანგი კლერკისთვის მთავარი, თვითდისციპლინა და კარგი აღზრდაა“.

აი, კიდევ რამდენიმე კარაკალასეული რჩევა: „მნიშვნელოვან საქმიან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე შემწვარი ლოკოკინები არაფრით მიირთვათ, თორემ ნივრის სუნი აგივათ; ლიფტში შესულს იქ მყოფებთან მისალმება არაფრის დიდებით დაგავიწყდეთ, ოღონდ, მათთან არასდროს ახსენოთ თქვენი ხელფასის ოდენობა ან საათის ღირებულება. XX საუკუნის საფრანგეთში ფულს ისეთივე კოლოსალური ტაბუ ადევს, როგორიც სექსს XIX საუკუნის დიდ ბრიტანეთში; კორპორატიულ წვეულებებზე ჩვეულებრივზე ხშირად უნდა გაიღიმოთ, შეზარხოშებულ კოლეგებს კი სათოფეზეც არ გაეკაროთ; თუ საქმიანი შეხვედრა რესტორანში ხდება, რაიმე ზედმეტი რომ არ წამოროშოთ, სუფრასთან მხოლოდ წყალი უნდა სვათ. ასეთ შეხვედრებზე არც ენაკვიმატობაა რეკომენდებული: თქვენ ხომ არ იცით, მიიჩნევენ თუ არა თქვენს ხუმრობას სასაცილოდ; კოლეგებთან უდარდელი ლაქლაქიც დაუშვებელია: უნდა შეიგნოთ, რომ თქვენი ცხოვრება სხვებს სულაც არ აინტერესებთ, მათ არც თქვენი სამკაულების ჩხრიალი და მკვეთრი სუნამო დააყენებს კარგ ხასიათზე; იდეალურმა ფრანგმა კლერკმა სამსახურებრივი რომანი ყველანაირად უნდა დამალოს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ საერთოდ არ წამოიწყებს — ასეთი რომანის დასრულების შემდეგ ხომ წარმოუდგენლად მძიმე იქნება იმ ადამიანის ყოველდღიურად ყურება, ვინც გული მოგიკლათ...“

ამ ყველაფრის წაკითხვის შემდეგ, ბრიტანელები არა მარტო საფრანგეთში დამკვიდრების მსურველ უცხოელებს, არამედ ფრანგ მამაკაცებსა და ქალებსაც კი ასეთ რჩევას აძლევენ: „ჯობს, სამუშაოდ დიდ ბრიტანეთში გადმოხვიდეთ! მართალია, აქ ელეგანტურობითა და ტაქტით დიდად გამორჩეული კოლეგები არ გეყოლებათ, მაგრამ თუ თქვენ მიერ გაღმერთებული ბუღალტერი თავის პირად მდივანზე გაგცვლით, მეზობელ პაბში გამოთრობას ნამდვილად არავინ დაგიშლით...“ ■

„ჩვენს ოჯახში კლასიკური მუსიკის და წიგნის კულტი იყო...“

პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერი, პარლამენტის წევრი კონსტანტინე გამსახურდია „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. მან მითხრა: „ჩვენს სახლში კლასიკური მუსიკის და წიგნის კულტი იყო. ოჯახის ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ლიტერატურას ვინახავდით და დიდი კონსტანტინე მათ ინტენსიურად კითხულობდა, ხოლო მამას შეეძლო, დღეში 6-7 საათი კითხვაში გაეტარებინა“. ბატონი კონსტანტინე თავადაც ბევრს კითხულობს და ამბობს: როცა ამა თუ იმ საკითხში წინასწარ ვემზადები და ამის განწყობილებაც მაქვს, ჩემი მეხსიერება უნაკლოდ ფუნქციონირებსო. ყველაზე მეტად, მას გერმანული და ფრანგული ლიტერატურა მოსწონს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული კონკურსგარეშეა.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ბატონო კონსტანტინე, პარლამენტარის ამპლუაში თავს როგორ გრძნობთ?

— მინდა გითხრათ, რომ პარლამენტში მხოლოდ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების დამდგენი საგამომძიებლო კომისიის შექმნის გამო არ შემოვსულვარ, მაგრამ ჩემთვის ამ კომისიაში ყოფნა ნამდვილად, ძალიან მნიშვნელოვანია. 2004 წლიდან ამ საქმის გამოძიებას ვითხოვ.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი მუშაობა რამდენად ნაყოფიერი იქნება?

— კომისია 11 პარლამენტარისგან შედგება და თითოეულს ამ საქმისადმი გულწრფელი დამოკიდებულება აქვს. ჩვენ პროკურატურიდან ყველა საბუთს გამოვითხოვთ და ბევრ საინტერესო მასალას მოვაგროვებთ.

— მინდა, თქვენი ძმის შესახებაც გკითხოთ — ცოტნე თუ ინახულეთ?

— დიახ, ციხეში მივედი და ველაპარაკე. ის თავს დამნაშავედ არ ცნობს. დაზარალებული პირი, რომელიც საავადმყოფოდან უკვე გაეწერა, მის დაჭრაში ცოტნეს მონაწილეობას უარყოფს. არ არსებობს იარაღი, რითაც დანაშაულია ჩადენილი, საქმეში მხოლოდ ხანდაზმული მეზობელი ქალის ჩვენებაა.

— ამ ფაქტს თქვენ როგორ შეაფასებთ?

— ცოტნეს ჩემ გამო დაუპირისპირდნენ!

— ვინ დაუპირისპირდა?

— ის ადამიანები, რომლებსაც სურთ, ანგარიში გამისწორონ. ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩული აქვს.

— ამ ქართველი მწერლის მამა თვითნასწავლი მღვდელი იყო და ერთ-ერთი სოფლის ეკლესიაში წირავდა.

— უნდა დავფიქრდე...

— მიგანიშნებთ, ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „შოთა რუსთაველის შემდეგ, ქართველებს მასზე დიდი მწერალი არ გვყოლიაო“.

— ვაჟა-ფშაველა.

— „ამ ქალაქში ჩასვლისას ზღვის, მდინარის და ტბის შუა აღმოვჩნდი და ამიტომაც, პირველ რიგში, თევზი მოვიკითხე“, — საქართველოს რომელ ქალაქში ჩასვლას აღწერს ასე ალექსანდრე დიუმა (უფროსი)?

— ფოთში.

— მხატვრები მიიჩნევენ, რომ ეშმაკის დახატვა ადვილია. რატომ?

— არავინ იცის, როგორია იგი სინამდვილეში. არსებობს გარკვეული შაბლონი — წვერი, რქები, მაგრამ შესაძლოა, მას ფრთებიც ჰქონდეს, რადგან ის დაცემული ანგელოზია. მხატვრების ფანტაზია გარკვეულ თეოლოგიურ კონცეფციას ეყრდნობა.

— ეს საზოგადო მოღვაწე ქართველი კათოლიკეების ოჯახში დაიბადა. 1872 წლიდან იგი ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე სწავლობდა, 1872 წლიდან კი ევროპის ლაბორატორიებში მიმდინარე სამუშაოებს ეცნობოდა და აკვირდებოდა.

— პეტრე მელიქიშვილი.

— სად არის დამზადებული თანამედროვე აზერბაიჯანული, უკრაინული, მოლდოვური და ქართული ფულის ერთეულები?

— ინგლისში.

— ცდებით, საფრანგეთშია დამზადებული. ვისი მეფობის დროს ააგეს მეტეხის ეკლესია?

— დემეტრე თავდადებულის.

— „ცხოვრება არის ნეტარი, როცა ხარ პარლამენტარი“, — რომელ თანამედროვე ავტორს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ალბათ, კოტე ყუბანეიშვილს.

— და თქვენ მას ეთანხმებით?

— გააჩნია, ვისთვის როგორ.

— შოკოლადი „დათუნია“ გიყვართ?

— რა თქმა უნდა!

— და ის თუ იცით, ვის ეკუთვნის ტილო — „დილა ფიჭვის ტყეში“, რომელიც ამ შოკოლადის შესაფუთ ქაღალდზეა გადატანილი?

— ვიცოდი და ვეღარ ვიხსენებ (*იცინის*). მგონი, შიშკინს, არა?

— დიახ, ოღონდ დათვები კონსტანტინე სავიცკის დახატულია. ვინ თარგმნა ქართულად შექსპირის სონეტები?

— რეზო თაბუკაშვილმა. რამდენიმე სონეტი მამაჩემმაც თარგმნა, მაგრამ რომლები, ზეპირად არ მახსოვს.

— პორტუგალია, კუბა, ლიტვა, შვეიცარია, დანია — ჩამოთვლილთაგან, ტერიტორიის მიხედვით, რომელია ყველაზე პატარა ქვეყანა?

— დანია ან შვეიცარია.

— ერთ-ერთი დაასახელეთ.

— დანია.

— ცდებით, სწორი პასუხია — შვეიცარია. რომელ თვეშია მორიელის ზოდიაქო?

— 22 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე.

— ეი. ასტროლოგიაში კარგად ერკვევით...

— დიახ. თავად კირჩხიბი ვარ და ასტროლოგთა პროგნოზს ვეცნობი ხოლმე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მას ნაკლებად ვითვალისწინებ.

— წარმოშობით საიდან იყო მონათა ავჯანყების ბელადი — სპარტაკი?

— თრაკიელი მონა იყო.

— ვინ ააშენა ენგურზე, აფხაზეთ-სამეგრელოს შორის გადებული ხიდი?

— არ ვიცი.

— იგი გერმანელმა ტყვეებმა ააგეს.

— კოლხური კოშკიც გერმანელი და იაპონელი ტყვეების მიერ არის აშენებული.

— ეს ინგლისელი მწერალი წერისას უამრავ შეცდომას უშვებდა, რადგან ბავშვობაში სკოლაში არ უვლია. დაასახელეთ იგი.

— რომელ ჟანრში მუშაობდა?

— უმეტესად, დეტექტივებს წერდა.

— აგატა კრისტი.

— ვის მიუძღვნა „დაკიდებული ბაღები“ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა?

— საკუთარ მეუღლეს — დედოფალ სემირამიდას მიუძღვნა.

— რა ბედი ეწია ტროას ომიდან დაბრუნებულ აგამემნონს?

— ის მეუღლემ აბაზანაში მოკლა.

— სულხან-საბას „მემკვიდრის აღზრდის“ მიხედვით, სედრაქი უფლისწულს ურჩევს, იყოს ერთგული, როგორც ძაღლი, ძლიერი — როგორც ჭიანჭველა და გონიერი — როგორც...

— სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს.

— გონიერი — როგორც ვირი. რომელი თეორიის ავტორი იყო დიდი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე?

— „განწყობის თეორიის“.

— შილერის აზრით: „არ შეიძლება, თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც...“

— „...სხვას ჩაგრავს“.

— ის ერთადერთი პლანეტაა მზის სისტემაში, რომელსაც ღმერთის სახელი არ ჰქვია. რომელია ეს პლანეტა?

— მარსი ომის, პლუტონი — მიწისქვეშეთის, მერკური — ვაჭრობისა და მოგზაურთა ღმერთია...

— ბატონო კონსტანტინე, ჩვენი პლანეტიდან ძალიან შორს წახვედით.

— ა! დედამიწაა ეს პლანეტა, მაგრამ არა ბერძნული მითოლოგიით.

— ეს ფრანგი მწერალი ემიგრაციაში გარდაიცვალა. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, მისი ნეშტი პარიზში გადაასვენეს და პანთეონში, ვოლტერის გვერდით დაკრძალეს. მის საფლავზე არის წარწერა: „ბუნებისა და ჭეშმარიტების მამას“.

— ჟან-ჟაკ რუსო.

— ვინ არის რეჟისორი კინოფილმისა — „შვიდი სამურაი“?

— აკირა კუროსავა.

— სად მდებარეობს უფიცის გალერეა?

— ფლორენციაში. ამ გალერეაში ნამყოფი ვარ.

— კვირა 7 დღისგან შედგება, წელიწადი 12 თვედ იყოფა, საათში — 60 წუთია, წრე კი — 360 გრადუსია. პირველად სად გამოიგონეს ეს სათვალავი?

— ანტიკურ საბერძნეთში.

— ცდებით.

— (*ფიქრობს*) გამახსენდა, ეს ძველ ბაბილონში მოხდა და ამ ყველაფრის გამომგონებლები მანეთონი და ბეროსი იყვნენ.

— რომელი ოკეანის აუზშია ბარენცის ზღვა?

— ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში.

— სად აღმოცენდა პროტესტანტიზმის ნაირსახეობა — ლუთერანობა?

— გერმანიაში.

— რომელ საუკუნეში შემოიღეს რუსულ ეკლესიაში პატრიარქის წოდება?

— XVI საუკუნეში, როცა რუსეთი ე.წ. მესამე რომად გამოცხადდა.

— ამჟამად, რა ჰქვია კუნძულ ცეილონს?

— შრი-ლანკა.

— „ულამაზესი უმამაცესს კი არა, უთავხედესს შეხვდება ხოლმე. სილამაზეს დიდებულს ხანდახან სჩვევია შიშისმომგვრელი ზეგავლენის მოხდენა. მხოლოდ თავხედი არ ეკრძალება მას ასეთ წუთებში“, — კონსტანტინე გამსახურდიას რომელ რომანში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— თუ შეიძლება, გამიმეორეთ. (*გამეორების შემდეგ*) უნდა დავფიქრდე და გიპასუხებთ.

— მიგანიშნებთ, ამავე რომანში ვხვდებით შემდეგ სიტყვებსაც: „ქალი, როგორც ყოველი ნაალაფარი, მისწრებაზეა“.

— „მთვარის მოტაცებაში“.

— ვის მიუძღვნა აკაკიმ პოემა-ზღაპარი „ალექსი“?

— შვილს — ალექსი წერეთელს.

— რა ჰქვია ინდოეთის ფულის ერთეულს?

— რუპია.

— სენა, ტიბროსი, ტემზა, ხუანხე — ამ მდინარეებიდან, რომელი არ გადის ქვეყნის დედაქალაქზე?

— ხუანხე.

— XIX საუკუნის შუახანებამდე ინგლისში გადასახადი უცნაური პრინციპით იკრიბებოდა, რაც სახლებს კიდევ უფრო პირქუშს ხდიდა. როგორ გროვდებოდა გადასახადი?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რადგან სიტყვა — „პირქუში“ ახსენეთ, ე.ი. სახლი რაც უფრო განათებული იყო, მის მფლობელს მით მეტი უნდა გადაეხადა.

— უფრო ზუსტად?..

— ალბათ, ფანჯრების რაოდენობისა და სიდიდის მიხედვით.

— გამოიცანით. ამ რუბრიკაში ერთ-ერთი საუკეთესო რესპონდენტი იყავით. ვნახოთ, იქნებ, „წლის ერუდიტიც“ კი გახდეთ.

— საინტერესო რუბრიკაა. უკვე დავასრულეთ?

— მხოლოდ ერთი კითხვა დამრჩა...

— დასანანია, აზარტში შევედი.

— დაბოლოს, გერმანელი ფილოსოფოსის, არტურ შოპენჰაუერის სიტყვები გავიხსენოთ. როგორ მთავრდება მისი გამონათქვამი: „საშუალო კაცი სულ იმის ფიქრშია, დრო როგორ გაატაროს, ნიჭიერი კი...“

—„...როგორ გამოიყენოს“. ■

ერუდიტი +

ლეგენდა ბულბულას კოშკზე

XV საუკუნეში, სოფელ ქვიშხეთიდან 6 კილომეტრის დაშორებით, მაღალ, მიუვალ ადგილზე ციხე-კოშკი ააგეს, სადაც ხალხი ლეკთა თავდასხმების დროს იხიზნებოდა. ერთხელ სოფელს ლეკთა დიდი ბრბო დაესხა თავს. ხალხის დაცვა გლეხის ქალმა, ბულბულამ ითავა: მან სასწრაფოდ, დამცველი რაზმი შეადგინა, მტრის იერიში მცირე ხნით მოიგერია და ხალხი დიდძალი სანოვაგით ციხე-კოშკში გახიზნა. ბულბულას რაზმი მოახლოებულ ბრბოს ციხის ქონგურებიდან უთვალთვალებდა. ციხე-კოშკს ჰქონდა საიდუმლო გვირაბი, რომლის საშუალებითაც კოშკში სასმელი წყალი შედიოდა. მტერი ყოველ ღონეს ხმარობდა, საიდუმლო გზას და წყალსადენს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დაიჭირეს სახედარი, მოანწყურეს და ციხე-კოშკის გარშემო რამდენჯერმე შემოატარეს იმ იმედით, რომ თუ სადმე წყალია, სახედარი ამას შეიგრძნობს და გაჩერდებაო. ასეც მოხდა. ლეკებმა ნიადაგი გათხარეს და ციხეს წყალი გადაუკეტეს. შეხიზნულ ხალხს უწყლოდ ყოფნა გაუჭირდა. წყალსადენის აღდგენა ისევ ბულბულამ იკისრა და კოშკიდან მალულად გამოვიდა, მაგრამ ჩასაფრებულმა ლეკებმა იგი შეიპყრეს და ციხეში შესასვლელი გზის ჩვენება მოსთხოვეს. ბულბულამ მოძალადეებს ციხემდე მისასვლელი შორი გზა ასწავლა, თავად კი წყლის სათავის შეკეთების შემდეგ, ციხისკენ მოკლე გზით გაიქცა. ლეკებმა ის ისევ შეიპყრეს და სასტიკად გაუსწორდნენ — მისი ცხედარი ნაკუწებად აქციეს. საბოლოოდ, მტერმა ციხესიმაგრე აიღო, ხალხი შეიპყრო და ტყვედ წაიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ციხე-კოშკს და სოფელს ბულბულა შეარქვეს. სამწუხაროდ, ხალხური სიტყვიერება არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ რა გვარის იყო ეს გმირი ქალი.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის ბროილერი?

2. ყველაზე დიდი მედალი რუსეთში თუჯისგან ისხმებოდა და ის 17 გირვანქას იწონიდა. ვის აჯილდოებდნენ ამ მედლით?

3. ძველ რომში გამოცდილ გლადიატორებს ხშირად ახალბედებს უპირისპირებდნენ. რა მიზნით?

4. უგემრიელესი თევზი მაკრურუსი ყოველთვის თავმოჭრილი და უკუდო იყიდება. რატომ?

5. დაასრულეთ იტალიელთა გამონათქვამი: „ჩვენს ქვეყანაში ისეთი სიღარიბეა, რომ ცისარტყელაც კი...“

6. რა არის პინა?

7. რა არის აქსელბანდი?

8. რას ნიშნავს სიტყვა „ქეში“?

9. რა არის კიპრუჭი?

10. რა არის ქარჩი?

11. ყველაზე ახალგაზრდა მილიონერად ლოს-ანჯელესელი ჯეკი კუგანი მიიჩნევა. თავისი პირველი მილიონი მან 1920 წელს, 6 წლის ასაკში იშოვა. რა გზით?

12. რა არის წრუტო?

* * *

ორი მეზობელი შეხვდა ერთმანეთს. ერთს სულ დალილავებული აქვს ცხვირ-პირი.

— გავიგე, გუშინ სადგურში უცემიხარ ვიღაცას!

— რის სადგური, რა სადგური, ერთი ბეწო პლატფორმა იყო.

* * *

კახელს ორი ქალიშვილი თბილისში გაუთხოვდა. ერთ დღეს სიძეები ესტუმრნენ. ერთი დღე აქეიფა კახელმა, მეორე დღე და მერე დაფიქრდა, — ერთი ვიცოდე, ამათ თავზე რასა ვყვები, გოგოებს მ...ვენო და დაიბოღმა. ზის სუფრასთან და ხმას არ იღებს. სიძეებმა უგუნებობა შეამჩნიეს და სიმამრისათვის რომ ესიამოვნებინათ, მის გასაგონად ერთმანეთში წამოიწყეს ლაპარაკი:

— აუ, ნახე, რა მაგარი ძაღლი ჰყოლია ჩვენს სიმამრს. ხო იცი, რა ღირს მაგის ლეკვები?!

— როგორ არ ვიცი, ძალიან ძვირია! მაგას ისეთ მამალს ჩამოვუყვან და ისეთ ლეკვებს დავაყრევინებ...

— ჰო, მიდით, მიდით, მოუ...ავი აღარავინ დამიტოვოთ ოჯახში!.. — აყვირდა სიმამრი.

* * *

— ტიტუუ, ტიტუუ, ეს რა სიტყვა მაკადრა თინაიას ქმარმა!!! — კივის ქეთოია.

— რა გაკადრა მაინც ასეთი?

— აჰ, მაგას რაფრა გევიმეორებ, მაგრამ „ჩა“-ზე იწყება და „თლახ“-ზე მთავრდება.

* * *

ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ხნის უნახავი ჭიჭიკია და ბიჭიკია:

— რა არის ახალი? — ჰკითხა ჭიჭიკიამ.

— ეჰ, ცუდი ამბავი ტრიალებს ჩემს თავს — ამას წინათ ცოლს წავასწარი... მღალატობს თურმე, მაგისი...

— შე კაცო, მე ისა გკითხე, ახალი თუა-მეთქი რამე.

* * *

კუპეში ახალგაზრდა ბიჭი და გოგონა სხედან. ბიჭი ეკითხება:

— გოგონი, რატომ ხართ ჩუმად?

— მინდა და ჩუმად ვარ!

— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ, თუ გინდათ, ჩუმად რატომ ხართ?

* * *

ავანგარდისტი მხატვარი ჩაფიქრებული დგას.

— რა მოხდა? — ეკითხება მეგობარი.

— კლიენტს პორტრეტი დავუხატე და მითხრა, თვალების ფერი შემიცვალეო.

— მერე?

— თვალებს ვერ ვპოულობ.

* * *

ექიმი პაციენტს ეუბნება:

— ქალბატონო, ყველაფერი რიგზეა, ოღონდ მაინც გირჩევთ, ზაფხულობით სუფთა ჰაერზე ისეირნოთ, ზამთარში კი თბილად ჩაიცვათ.

— რაო, რა გითხრა ექიმმა? — ეკითხება ქმარი.

— რაო და ზამთარში „ნორკის“ ქურქი ჩაიცვი და ზაფხულში ანტალიაში დაისვენეო.

* * *

— ჩემს ცოლს დღეს თაფლობის თვე ეწყება.

— შენ?

— მე — არა, დიაბეტი მაქვს!

* * *

— ჭიჭიკია, რატომ შეღებე შენი ცხენი მწვანედ?

— ნაშების „შესაბმელად“.

— ეგ როგორ?

— საღამოს ამ ცხენით პლაჟზე ჩავივლი. ნაშები მკითხავენ: რატომ არის ეს ცხენი მწვანეო? მე ვეტყვი: რა დროს ცხენია, წამოდი, ვისიყვარულოთ-თქო.

— აა!.. კარგი, აბა, შენ იცი!

საღამოს ჭიჭიკიამ თავისი ცხენი პლაჟზე გააჭენა. ერთ ნაშას ძალიან მოეწონა და ეუბნება:

— წამოდი, ვისიყვარულოთ!

— მოიცა, რა დროს ეგ არის, ვერა ხედავ, როგორი მწვანე ცხენი მყავს?!

* * *

— როგორ აღნიშნავენ რუსები ახალ წელს?

— ერთი ყუთი არაყი, ერთი ყუთი ლუდი, ერთი ძეხვი და ერთიც — ძაღლი.

— ძაღლი — რისთვის?

— აბა, ძეხვი ვინ უნდა შეჭამოს?!

* * *

კაცი გაყვირის:

— კიდევ 100 გრამი ინვესტიცია და უძრავ ქონებად ვიქცევიი!

* * *

— ჭიჭიკია, ფხიზელი ხარ?!

— ჰო, ლოთობას თავი დავანებე!

— აგაშენა ღმერთმა. რამდენი ხანია?

— ზეგ სამი დღე შემისრულდება!

* * *

ჭიჭიკიას კაციჭამია მისდევს.

— თავი დამანებე, შე დეგენერატო, ცოლი და 4 შვილი მყავს სარჩენი!

— ჰოდა, ჩემები დავხოცო შიმშილით, არა?..

* * *

ნადირობიდან დაბრუნებული ჭიჭიკია ცოლს უყვება:

— იცი, რა ეშმაკი ცხოველია მელა?

— მართლა?

— აბა! მივდიოდი ტყეში, ვხედავ, გამორბის მელა, ვესროლე, მოვკალი და ახლოს რომ მივედი, ძაღლი არ აღმოჩნდა?!. აი, ასეთი ეშმაკი ცხოველია მელა!

* * *

— ქალს გემო მხოლოდ 30 წლის ასაკში გავუგე.

— კი, მაგრამ მანამდე?

— მანამდე მხოლოდ მამაკაცები იყვნენ.

— შენ რა, ცისფერი ხარ?!

— ცისფერი თავი გაბია! კაციჭამია ვარ!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მსხვილი მეფრინველეობის მეურნეობაში გარკვეული წესით გამოზრდილი საზორცე ჯიშის ვარია.
2. ლოთებს.
3. რათა გაეზარდათ მათი გამარჯვების რიცხვი და ამ გზით აემაღლებინათ გლადიატორის ღირებულება.
4. ეს თევზი იმდენად მახინჯია, რომ სხვაგვარად არავინ ყიდულობს.
5. „...შავ-თეთრია“.
6. სასწორის თეფში.
7. ფეხსაცმლის თასმის პლასტმასის დაბოლოება.
8. „ქეში“ და „ირიბი“ სინონიმებია.
9. ფიჭიან თაფლს კიპრუჭი, მეორენაირად კი გოლეული ჰქვია.
10. ერთი ბრტყელი პირის მქონე წერაქვი.
11. მან ჩარლი ჩაპლინს გაუწია პარტნიორობა ფილმში — „ბიჭუნა“.
12. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

ჩვენი ფოტო გაღეარეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ჰოროსკოპი

(19 - 25 ნოემბერი)

ვერძი:
საინტერესო პერიოდი დაგიდგათ — შემოქმედებითი საქმეების განხორციელებას შეძლებთ, შეიძენთ ახალ მეგობრებს და მათი დახმარებით მრავალ პრობლემას მოაგვარებთ.

ხარი:
ნუ გაჯიუტდებით და საკუთარი სიმართლის დამტკიცებას აგრესიით ნუ შეეცდებით. უქმეებში როგორც სამსახურებრივი, ისე საოჯახო საქმეების შესრულებაც მოგიწევთ.

ტყუპი:
მეგობრების დახმარებით საჭირო ადამიანებს გაიცნობთ და ახალ სამსახურს იშოვით, საკუთარ გეგმებს განახორციელებთ. საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაანებივრეთ.

კირჩხიბი:
ამ პერიოდში საოჯახო საქმეები მოაგვარეთ და თუ შესაძლებლობა გექნებათ, საყვარელ ადამიანებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. კვირის ბოლოს რომანტიკული შეხვედრა გელით.

ლომი:
დაძაბული სამსახურებრივი გრაფიკის გამო, ნაკლებ დროს ატარებთ ოჯახის წევრებთან, რაც კონფლიქტს აუცილებლად გამოიწვევს. უქმეები ახლობლებთან ერთად გაატარეთ.

ქალწული:
ვიდრე რაიმეს ხელს მოაწერთ, კარგად დაფიქრდით. კვირის მეორე ნახევარი საკუთარ თავს დაუთმეთ, შეიცვალეთ იმიჯი და ზამთრის სეზონისთვის ახალი ტანსაცმელი შეიძინეთ.

სასწორი:
ახალი საქმიანობის წყალობით დამატებითი შემოსავალი გაგიჩნდებათ. ნუ მოახვევთ საკუთარ აზრს სხვებს. მისდიეთ ჯანსაღი ცხოვრების წესს და გადაეჩვიეთ ძილის წინ ჭამას.

მორიელი:
ნუ დააბანდებთ ფულს საეჭვო საქმეში. თავისუფალი დრო შვილებთან ერთად გაატარეთ, მათ თქვენი გამოცდილება გაუზიარეთ და პრობლემების მოგვარებაში დაეხმარეთ.

მშვილდოსანი:
გეგმების განხორციელების დროა. აუცილებლად გადაამოწმეთ ყველა მიღებული ინფორმაცია. მეგობრებთან ურთიერთობა დარეგულირდება. კვირის მეორე ნახევარი ცოდნის გაღრმავებას დაუთმეთ.

თხის რქა:
დაიმახსოვრეთ, ფული და მეგობრობა შეუთავსებელი ცნებებია — ფულის გამო მეგობრებს ნუ გადაიმტერებთ. საოჯახო საქმეებს მარტო ნუ შეეჭიდებით, მეუღლესთან ერთად მოაგვარეთ.

მეწყლული:
ამ კვირაში შესაძლოა, დასაქორწინებლები დაწყვილდნენ კიდეც. ნუ გადავარდებით ილუზიებში, ინტუიციაზე დაყრდნობით იმოქმედეთ და დრო მეგობრებისთვისაც გამონახეთ.

თევზები:
კარგი დროა გეგმების განსახორციელებლად. წამოიწყეთ ახალი საქმეები, ივარჯიშეთ და დაიცავით დიეტა. თუ თქვენს პარტნიორზე სერიოზულად ფიქრობთ, დაქორწინებას ნუღარ გადადებთ.

პატარები გენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

პატარები გენიოსობენ

თამთა და ზაქარია წითლანაძეები დახუჭობანას თამაშობენ...

— ზაქარ, უკვე დაიმალე?

— არა, ჯერ არ შევმძვრალვარ სკამის ქვეშ.

პატარა სანდრიკომ ქუჩაში ძალიან დიდმუცლიანი კაცი დაინახა:

— ბებო, ეს კაცი სპილოა, ხომ?

3 წლის თორნიკე ცას შეჰყურებს, ქარი ღრუბლებს მიერეკება. თორნიკე დედას მიმართავს:

— დედიკო, უყურე, ღრუბლები „მატარებლობანას“ თამაშობენ.

5 წლის შალვა მშვილდაძე კითხულობს:

— მგელს მუცელი გაუჭრეს და მართლა გადაარჩინეს ბებია და წითელქუდა?

— რა თქმა უნდა, — პასუხობენ უფროსები.

— მერე შეჭმული წითელქუდა ისევ ცოცხალი დარჩა?

— შალვა, ეს ხომ ზღაპარია და იმიტომ ხდება ასე, — უპასუხა მამამ.

— ახლა ვხვდები, საიდან სწავლობენ ბავშვები ტყუილებს.

4 წლის გვანცა კრაწაშვილმა გაბერა ბუშტი, მიაწოდა მამას და უთხრა:

— მამიკო, მაგრად მოჰკიდე ხელი, არ დაიღუპოს.

4 წლის საბა წიკლაური ათვალიერებს შპალერის დიდ გრაგნილს და კითხულობს:

— ეს დიდი ტაკოსთვისაა?

პატარა ნინოს ოჯახში ძაღლი ჰყავთ. ნინომ ბებოს ქურქზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— ბებო, შენ ძაღლის პალტო გაცვია?

2 წლის გიორგი ბიჭიკაშვილს დედა აბანავებდა. ბანაობისას გიორგი დედას ეკითხება:

— დედიკო, შენ რომ პატარა იყავი, მე ვინ მაბანავებდა?



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. მოხერხება; 2. ხევსურეთი; 3. ღელე; 4. რურუა; 5. ვეზუვი; 6. ბოლი; 7. ლივერპული; 8. პოლო; 9. სპა; 10. უფალი; 11. ფიზიკა; 12. გრავიურა; 13. ფალავანი; 14. მადა; 15. ფლორიდა; 16. გვირილა; 17. ელი; 18. ბირმა; 19. ვიწრო; 20. თამბაქო; 21. ჩირი; 22. ვალსი; 23. მი; 24. ლივ; 25. ევა; 26. ბულიონი; 27. ნოხი; 28. ბარდა; 29. ბაქო; 30. ელია; 31. ბაო; 32. აბრა; 33. წიწაკა; 34. ბოლნისი; 35. ბეირუთი; 36. ართვინი; 37. ვალენსია; 38. ძნა; 39. მანდოლინა; 40. მუმია.
სურათებზე: 1. მილა იოვოვიჩი; 2. ბრიუს უილისი.

სპეციალური კროსვორდი

გ	ა	ე	რ	თ	ე	დ	ა	დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	გ	გ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ		
ი	ი		ი	ძ	ქ	ა	ო	ს	ნ	ი	ე	ა		ო		ე	ნ	ი	ა	ი	ლ	ა		რ	ა		ჯ		

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

გ. საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ა.** ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა; **ე.** ჯეკ ლონდონის ნაწარმოები „თეთრი ...“; **რ.** მანძილი, რომელსაც გადის ტრანსპორტი საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; **თ.** ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩხიკვთა ქორწილი“; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **დ.** მტერი; **ა.** ვაზის მოკლედ აჭრილი ორმტევნიანი ღერწი; **დ.** სირიის დედაქალაქი; **ა.** ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **ი.** მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრება; **ს.** იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც თითქოსდა ფარულად მტრობდა მოცარტს; **ვ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე.** უღელტეხილი, რომელსაც გადადიოდნენ ცხინვალის გზით რაჭაში მიმავალი მგზავრები; **ნ.** ქალაქი იტალიაში; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **გ.** ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად სცემს წყლისა და ორთქლის შადრევანი; **ზ.** ფრანგი ფეხბურთელი; **ა.** გათავისუფლებული ყმა; **ს.** გამოცდა, გამოცდების პერიოდი უმაღლეს სასწავლებელში; **თ.** მცენარე, რომლის ტოტისგანაც ჩიჩილაკს ამზადებენ; **ა.** „ლურჯი“ თვე; **ნ.** ერი; **ე.** სილამაზე, მიმზიდველობა; **რ.** ლითონის ფულის ან მედლის უკანა მხარე; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** სოფლის სახელწოდება ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიის ზოგიერთ ქვეყანაში; **დ.** წელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ. გამბიტი; **ზ.** ზნე; **ა.** აგრესია; **ზ.** ზვიგენი; **რ.** რიქშა; **უ.** უნიათო; **ნ.** ნეფე; **ა.** ანემია; **ვ.** ვასალი; **ს.** სათითე; **თ.** თიანეთი; **ა.** აკვანი; **ვ.** ვაიმარი; **ი.** ისთვუდი; **ს.** სლალომი; **მ.** მიმინო; **კ.** კრასუსი; **ი.** იადონი; **თ.** თხა; **ხ.** ხმელი; **ვ.** ვაგნერი; **ე.** ეზოპე; **ლ.** ლონდონი; **ზ.** ზვავი; **ე.** ემოცია.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
მერიჟოფეს თავი თამადა ეგონაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	2	3	5	4	9	7	8	1
8	1	5	2	7	3	4	9	6
7	4	9	6	8	1	2	5	3
2	6	7	3	5	4	9	1	8
5	3	8	9	1	7	6	2	4
4	9	1	8	6	2	5	3	7
9	7	2	1	3	6	8	4	5
3	5	4	7	9	8	1	6	2
1	8	6	4	2	5	3	7	9

6	7	8	9	5	1	4	3	2
1	9	3	4	2	8	6	5	7
2	4	5	7	6	3	8	1	9
4	5	2	3	1	7	9	6	8
7	8	1	5	9	6	2	4	3
3	6	9	8	4	2	1	7	5
9	2	6	1	7	5	3	8	4
8	1	7	2	3	4	5	9	6
5	3	4	6	8	9	7	2	1

5	9	4	3	6	8	7	1	2
8	6	1	7	2	5	3	9	4
2	3	7	1	4	9	8	6	5
4	8	3	9	1	2	5	7	6
9	7	2	8	5	6	1	4	3
6	1	5	4	3	7	9	2	8
1	5	6	2	7	3	4	8	9
7	2	8	5	9	4	6	3	1
3	4	9	6	8	1	2	5	7

* მარტივი

				7		5		
		1		6			8	
	7		2				4	
	6		3				1	
		5	7			2		
	9		5		8		7	
	3				4		6	
	2			5		3		
		9		8				

** საშუალო

			1				8	
	6				9		4	
		9			6			1
7				5		6		
	4			2	7		9	
		6	4					3
3			5			2		
	7		8				6	
	1				2			

*** რთული

		8	9					7
	5			7				3
				5			9	
		2	4			7		
		7		9	3	2		
		6			5	9		
	4			1				
1				6			5	
6					8	3		

ფოტოკუჩიოზები



მედია-დანაზოგი

ევროპული მედია

ანტიკრიზისული პროექტი

მათ უკვე ნახეს ჩვენი ფასები

თქვენ?

16 - 23 ნოემბრამდე

CONVERSE

მსოფლიოში პირველად, პირველი კედები მარკუს კონვერსს 1908 წელს ეცვა.

ფასი: ~~100~~ 39.90

ფასი: ~~160~~ 69.90

ACCU CHEK

გლუკომეტრი

- გერმანული ხარისხი
- შაქრის კონტროლი სისხლში კვებამდე და მის შემდეგ
- შედეგების მარკირება
- საშუალო ნიშნულის გამოთვლა
- მოსახერხებელი შალითა

ფასი: ~~120~~ 90

„სიტყვა და საქმის“ პირველ მვერდზე დაბეჭდილია კუპონი,

შეაგროვეთ 2 ცალი, მიიტანეთ „კონვერსის“ მაღაზიაში

ჭავჭავაძის 30 ტელ: 30 57 72

შეაგროვეთ 2 ცალი, მიიტანეთ „მირკოს“ აფთიაქებში

პეკინის 13 ტელ: 37 98 73

ანონსი

microlife

მომავალი ორშაბათიდან

23–30 ნოემბრამდე

იხილეთ „მედია-დანაზოგის“ ახალი შემოთავაზება

თერთმეტსექციანი გამათბობელი რადიატორი

ინტერნეტ-ფასი თვისება

b 129/42